

ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი

6060 ბარაბაძე

მორალური ზიანი და მისი ანაზღაურების პროცესი

სადისერტაციო ნაშრომი სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის
მოსაპოვებლად სამოქალაქო სამართალში

სამეცნიერო ხელმძღვანელი: სამართლის დოქტორი,
პროფესორი გია ლილუაშვილი

თბილისი

2011

სტრუქტურა

შესაბლი	4
თავი I. მორალური ზიანის ცნება	15
§ 1.1. ზიანის ცნება	15
§ 1.2. მორალური ზიანის ცნება	18
თავი II. მორალური ზიანის შესახებ მოძღვრების ისტორიული წინამდგრები და განვითარება	25
§ 2.1. მორალური ზიანის შესახებ მოძღვრების განვითარებისა და კომპენსაციის საკითხი გერმანულ კანონმდებლობაში	27
§ 2.2. მორალური ზიანის შესახებ მოძღვრების განვითარებისა და კომპენსაციის საკითხი ფრანგულ კანონმდებლობაში	35
§ 2.3. მორალური ზიანის შესახებ მოძღვრების განვითარებისა და კომპენსაციის საკითხი აშშ-სა და ინგლისის კანონმდებლობაში	39
§ 2.4. მორალური ზიანის შესახებ მოძღვრების განვითარებისა და კომპენსაციის საკითხი რუსეთის კანონმდებლობაში	50
§ 2.5. მორალური ზიანის შესახებ მოძღვრების განვითარებისა და კომპენსაციის საკითხი ქართულ კანონმდებლობაში	53
თავი III. სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველი მორალური ზიანისათვის, კომპენსაციის განსაზღვრის პრინციპები და პრობლემები კანონმდებლობასა და სასამართლო პრაქტიკაში	57
§ 3.1. სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველი მორალური ზიანისათვის	58
§ 3.2. კომპენსაციის განსაზღვრის პრინციპები და პრობლემები კანონმდებლობასა და სასამართლო პრაქტიკაში	68
თავი IV. სახელის, პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის დაცვის შესახებ აღმრულ საქმეთა განხილვისა და მორალური ზიანისათვის კომპენსაციის დაკისრების თავისებურებანი	84
§ 4.1. სახელის დაცვის შესახებ საქმეთა განხილვისა და მორალური ზიანისათვის კომპენსაციის დაკისრების თავისებურებანი	88
§ 4.2. პატივის, ღირსების, საქმიანი რეპუტაციის შესახებ აღმრულ საქმეთა განხილვისა და მორალური ზიანისათვის კომპენსაციის დაკისრების თავისებურებანი	91
§ 4.3. ცნობილი ადამიანების არაქონებრივი უფლებების დაცვა	93
§ 4.4. სიტყვის, აზრის და გამოხატვის თავისუფლება	100
თავი V. პირადი ცხოვრების საიდუმლოების, პირადი ხელშეუხებლობის დაცვის შესახებ აღმრულ საქმეთა განხილვისა და მორალური ზიანისათვის კომპენსაციის დაკისრების თავისებურებანი, არაქონებრივ უფლებათა დაცვა გარდაცვალების შემდეგ და დაზარალებულთა ახლობელთათვის და იურიდიული პირისათვის მორალური ზიანის კომპენსაციის საკითხი	111
§ 5.1. პირადი ცხოვრების საიდუმლოების დაცვა	111
§ 5.2. პერსონალური მონაცემების დაცვა	123

§ 5.3. პირადი ხელშეუხებლობის დაცვა	126
§ 5.4. გამოსახულების დაცვა	127
§ 5.5. არაქონებრივ უფლებათა დაცვა გარდაცვალების შემდეგ და მორალური ზიანის ანაზღაურების საკითხი დაზარალებულთა ახლობელთავის	135
§ 5.6. იურიდიული პირისათვის მორალური ზიანის კომპენსაციის საკითხი	150
თავი VI. დელიქტური ვალდებულებებიდან წარმოშობილი მორალური ზიანისათვის კომპენსაციის დაკისრების თავისებურებანი კანონმდებლობისა და სასამართლო პრაქტიკის მიხედვით	154
§ 6.1. დელიქტური ვალდებულებებიდან წარმოშობილი მორალური ზიანისათვის კომპენსაციის დაკისრების საფუძველი	158
§ 6.2. პასუხისმგებლობა სიცოცხლის ხელყოფის შემთხვევაში	168
§ 6.3. პასუხისმგებლობა ჯანმრთელობის ხელყოფის შემთხვევაში	171
§ 6.4. სახელმწიფოს პასუხისმგებლობა მისი მოსამსახურის მიერ მიყენებული ზიანისათვის	179
თავი VII. დასკვნა	204
აბრევიატურები	228
ბიბლიოგრაფია	230

შესავალი

მორალი საზოგადოებაში ადამიანის ქცევის ნორმატიული რეგულაციის ერთ-ერთი ძირითადი საშუალება, საზოგადოებრივი ცნობიერების განსაკუთრებული ფორმა და საზოგადოებრივი ურთიერთობების სახეა. მორალი (ლათინურად “მორალის”- ზნეობრივი) მოიცავს ზნეობრივ შეხედულებებს და გრძნობებს, ცხოვრებისეულ ორიენტაციას და პრინციპებს, ქცევებისა და ურთიერთობების მიზანს და მოტივს, ზღვარს ავლებს სიკეთესა და ბოროტებას, ღირსებას და უღირსობას, სამართლიანობას და უსამართლობას, სინდისიერებასა და უსინდისობას, გულმოწყალებას და სისასტიკეს შორის.

თანამედროვე ფილოსოფოსი ფრენსის ფუკუიამა მორალს განმარტავს, როგორც საზოგადოების სიცოცხლისუნარიანობის დონის განმსაზღვრელ სოციალურ კაპიტალს.¹

მორალი ადამიანის ფსიქიკის, სულიერი დირებულებების განმსაზღვრელი კატეგორიების ერთობლიობაა. პიროვნების აზროვნების, სოციალური ორიენტაციის, საზოგადოებრივი ინდივიდის არსებობის საფუძველი და ქვაკუთხედია. მორალი და მორალური დირებულებები განსაზღვრავს მის სულიერ არსებობას, დაბადებიდან სიცოცხლის დასასრულამდე, განაპირობებს სოციალურ სტატუსს, პიროვნულ იდეოლოგიას, რასაც საფუძვლად როგორც წესი ხშირად რელიგიური შეხედულებები, ეროვნული ტრადიციები, საზოგადოებრივი ურთიერთობების და განწყობის ისტორიული დინამიკა განაპირობებს.

თავისი არსებით მორალი, როგორც ურთიერთობების საზოგადოებრივი რეგულატორი უფრო ძველი წარმონაქმნია, ვიდრე სამართლი, რომელიც დაწერილი და სახელმწიფოებრივი იძულებით უზრუნველყოფილი მორალური ნორმების ერთობლიობაა. სამართლის ნორმად ქცეული ყველა წესი მორალური უნდა იყოს, მაგრამ ყველა მორალური კრიტერიუმი კანონში ვერ აისახება და ცივილური ურთიერთობებისთვის არც არსებობს ამის აუცილებლობა. ადამიანები, როგორც წესი, ვალდებულებისა და რაიმე განსაკუთრებული დანაწესის გარეშე იცავენ, პატივს ცემენ და უფრთხილდებიან ერთმანეთს. მიუხედავად იმისა, რომ “ბუნებრივი სამართალი” მორალის სახით ადამიანის ცხოვრების მუდმივი თანამგზავრია,

¹ <http://ru.wikipedia.org/wiki.moral.//>

როგორც ჩანს, იგი არ ადმოჩნდა საკმარისი საზოგადოებრივი ურთიერთობების იმგვარი რეგულაციისათვის, რომელიც თავისუფალი და ერუდირებული ადამიანის ყოფნა-განვითარების პარმონიული არსებობის გარანტია იქნებოდა. ამიტომ კაცობრიობის განვითარების ისტორია დღემდე არა მარტო ომებისა და კატაკლიზმების, არამედ ადამიანის პიროვნების, მისი სულიერი ლირებულებების განვითარების, ურთიერთობების უკეთ მოწყობისა და დამკვიდრების ისტორიაა.

სამართლის განვითარების ისტორია იმის დასტურია, რომ უხსოვარი დროიდან საზოგადოების მოაზროვნე ნაწილი იმავე საზოგადოების პოლიტიკური ხელისუფლების საწინააღმდეგოდ თუ საამებლად ფიქრობდა, ქმნიდა, ეძებდა ადამიანთა თანაცხოვრების უკეთეს მოდელს, წესს, ზოგჯერ უტოპიურს, ზოგჯერ რეალურს ადამიანის განვითარების და ფიზიკური არსებობის უკეთ მოსაწყობად.

ეს ნორმათშემოქმედება, ძიება, ფასდაუდებელი ლირებულებების დეკლარირება სახელმწიფოთა შორის თუ სახელმწიფოებრივ დონეზე დღესაც გრძელდება და ალბათ მომავალშიც გაგრძელდება. ამის დასტურია ბოლო ორი საუკუნის მანძილზე და უახლოეს წარსულში შექმნილი ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის სფეროში შექმნილი კანონშემოქმედების ნიმუშები: ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია, სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო პაქტი და სხვა საერთაშორისო სამართლებრივი აქტები, რომლებიც საქართველოს კონსტიტუციასთან ერთად ახდენენ ადამიანთა უზენაესი უფლებებისა და თავისუფლებების არა მარტო დეკლარირებას და აღიარებას, არამედ ქმედითი სამართლებრივი მექანიზმებით მათ დაცვასა და აღსრულებას.

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის რომის კონვენცია მიზნად ისახავს რა მასში გაცხადებულ უფლებათა საყოველთაო და ეფუქტიანი აღიარებისა და დაცვის უზრუნველყოფას, მისი ხელმომწერი სახელმწიფოები “კვლავაც ადასტურებენ თავიანთ ერთგულებას იმ ძირითადი თავისუფლებებისადმი, რომელთაც ეფუძნება საყოველთაო სამართლიანობა და მშვიდობა და, რომელთა საუკეთესო დაცვა ხორციელდება, ერთი მხრივ,

ქმედითი პოლიტიკური დემოკრატიითა და, მეორე მხრივ, ადამიანის უფლებათა საერთო გაგებითა და უზრუნველყოფით, რასაც ისინი ემყარებიან;”²

ადამიანის თავისუფლების, ფიზიკური და სულიერი პარმონიული განვითარების საწინდარი დეკლარაციასა და კონსტიტუციაში ზემოთ მითითებული უზენაესი ღირებულებების არა მხოლოდ დაფიქსირება, არამედ მათი დაცვის და რეალურად განხორციელების ეფექტური და ქმედითი მექანიზმების შექმნა. ნებისმიერი უფლების თუ თავისუფლების აღიარების აუცილებლობა მისი ხელყოფის პროცესში წარმოშვა. სამართლის ფუნქცია უფლების დარღვევის პრევენციასთან ერთად ხელყოფილი უფლების აღდგენა, მისი რესტიტუციაა, რომელიც სამართლის სხვადასხვა დარგის ნორმებით ხორციელდება. სამართალდარღვევის შედეგად დამდგარი შედეგების კომპენსაცია სამართლებრივი პასუხისმგებლობის სხვადასხვა საშუალებებით წარმოებს. სისხლის სამართალში სასჯელის შეფარდებით, ადმინისტრაციული სამართალდარღვევისას ადმინისტრაციული სახდელის დაკისრებით, სამოქალაქო სამართალში ზიანის ანაზღაურებით.

ქართული კანონმდებლობის სიახლეა ის, რომ სამოქალაქო კოდექსით და სხვა ნორმატიული აქტებით დამკვიდრდა სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობა პირადი არაქონებრივი უფლებების ხელყოფისას მორალური ზიანის მიერნებისათვის, რაც საბჭოური კანონმდებლობის დროს არ არსებობდა.

მორალური კატეგორიები, რომელზეც ზემოთ ვისაუბრეთ, პირველ რიგში მოიცავს საყოველთაოდ დეკლარირებულ პირად უფლებებს, ამიტომ სამართალდარღვევის შედეგად მათი ხელყოფა აღიქმება, როგორც მორალური ღირებულებების ხელყოფა და შესაბამისად მორალური ზიანის დაკისრებისა და ანაზღაურების სამართლებრივი საფუძველი.

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციითა და კონსტიტუციით გარანტირებული პიროვნების უფლებათა დარღვევა, როგორც წესი, მატერიალურთან ერთად მორალური ზიანის ანაზღაურების საფუძველია. კონვენციით გარანტირებული, დაცული და აღიარებულია პიროვნების საკუთრების დაცვა (მუხლი 1), სიცოცხლის უფლება (მუხლი 2), განათლების უფლება (მუხლი 2, ოქმი 1), წამების აკრძალვა (მუხლი 3), მიმოსვლის თავისუფლება (მუხლი 2, ოქმი 4), მონობის

² ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია, 1950 წელი, 04 ნოემბერი, რომი. პრეამბულა, თბილისი, 2004 წელი.

და იძულებითი შრომის აკრძალვა (მუხლი 4), თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლება (მუხლი 5), პირადი და ოჯახური დაცულობის უფლება (მუხლი 8), აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლება (მუხლი 9), აზრის გამოხატვის თავისუფლება (მუხლი 10), დისკრიმინაციის აკრძალვა (მუხლი 14), დისკრიმინაციის საერთო აკრძალვა (მუხლი 1 ოქმი 12).

ამასთან, ადამიანის უფლებათა ეკროპის სასამართლო აღიარებს, რომ არ არსებობს მორალისა და ზნეობის განსაზღვრის ერთიანი ეკროპული სტანდარტები. ყოველი სახელმწიფო განსაზღვრავს ამ ცნებებს მოცემული ქვეყნის კულტურული და ისტორიული ფასეულობების საფუძველზე. შესაბამისად, სხვადასხვა სახელმწიფო განსხვავებულ კრიტერიუმებს ფლობს, რომელთა საფუძველზეც შეზღუდვის განსხვავებულ სტანდარტი დგინდება. თუმცა ეკროპული სასამართლო მზად არის ჩაერიოს თუ ამგვარი შეზღუდვა ზედმეტად ფართოა.³

საქართველოს კონსტიტუციით აღიარებული და დაცულია ადამიანთა უფლებები და თავისუფლებები, კერძოდ, სიცოცხლის (მუხლი 15), პატივისა და ღირსების (მუხლი 17), სიტყვის, აზრის, სინდისის, აღმსარებლობისა და რწმენის თავისუფლების (მუხლი 19), პირადი ცხოვრების, პირადი საქმიანობის ადგილის, პირადი ჩანაწერის, მიმოწერის, სატელეფონო და სხვა ტექნიკური საშუალებით საუბრის, საცხოვრებელი ბინის და სხვა მფლობელობის ხელშეუხებლობლობის (მუხლი 20), საკუთრების და მემკვიდრეობის (მუხლი 21), თავისუფალი მიმოსვლისა და საცხოვრებელი ადგილის თავისუფალი არჩევის (მუხლი 22), ინტელექტუალური საკუთრების ხელშეუგალობის (მუხლი 23), ინფორმაციის მიღების, ინფორმაციის, აზრის გავრცელების (მუხლი 24), სახელმწიფო დაწესებულებებში პირზე არსებული ინფორმაციის გაცნობის (მუხლი 41) უფლება და სხვა უფლებები.⁴

სამოქალაქო სამართალი იმ ნორმათა ერთობლიობაა, რომელიც აწესრიგებს პირთა თანასწორობაზე დამყარებულ ქონებრივ, პირად არაქონებრივ და საოჯახო ურთიერთობებს. პირად არაქონებრივ უფლებებს არ გააჩნიათ მატერიალური ხასიათი და მათი ობიექტია არამატერიალური (სულიერი) სიკეთე და ინტელექტუალური შემოქმედების შედეგები.

³ კონსტანტინე კორკელია, ირინე ქურდაძე “ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი ადამიანის უფლებათა ეკროპული კონვენციის მიხედვით.” 2004 წელი. გვ. 206.

⁴ საქართველოს კონსტიტუცია, თბილისი, 1995 წელი. [/www.laws.codexserver.ge](http://www.laws.codexserver.ge).

“კერძო სამართლით დაცული ინდივიდის “პიროვნული უფლებები” არის აბსოლუტური უფლებები, რომლებიც ადამიანის პიროვნების პატივისცემისა და მისი ინდივიდუალურობის (იდენტობის) გამომხატველია. ეს უფლებები ადამიანის, კერძოსამართლებრივი ურთიერთობების სუბიექტის, სტატუსს განამტკიცებენ.”⁵

“თითოეული ადამიანი თავისთავად წარმოადგენს განსაკუთრებულ ფენომენს, რომელსაც აქვს უფლება ინდივიდუალობაზე. არაქონებრივი უფლებები კი ხახს უსვამენ პიროვნების განსაკუთრებულობას, იცავენ მის თვითმყოფადობას და განუმეორებლობას. მართალია, თითოეულ პიროვნებას გააჩნია თავისი ქონებრივი უფლებებიც, მაგრამ არაქონებრივ უფლებებსაც მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ადამიანის ინდივიდუალობის გაღრმავებაში.”⁶

“ადამიანში ჰუმანურობა იშვება იმის პროპორციულად, თუ როგორ აქცევს იგი სასიკვდილო შეურაცხოფებს სამოქალაქო სახის დავებად, იმის პროპორციულად, თუ როგორ იქცევა დასჯა გამოსწორებადის გამოსწორებისა და ბოროტის ხელახლი აღზრდის გზად.”⁷

“თანამედროვე სამართალი არ სჯერდება მხოლოდ ადამიანის ფიზიკურად ხელშესახები სიკეთეების დაცვას. მართალია, სამოქალაქო სამართალში ისტორიულად მნიშვნელოვან როლს ქონება და ქონებრივი სიკეთეები ასრულებენ, მაგრამ ადამიანის, როგორც არა მხოლოდ სიმდიდრის შემქმნელი არსების, არამედ ღირსების მქონე პიროვნებად გაცნობიერების აუცილებლობა უდევს საფუძვლად სამოქალაქო სამართალში პირადი არაქონებრივი უფლებების ჯერ აღიარებას, ხოლო შემდეგ კი მის დაცვას.”⁸

“სამოქალაქო ბრუნვის განხორციელება გულისხმობს არა მხოლოდ სუბიექტების გარკვეული სამოქალაქო უფლებების აღიარებას, არამედ მათი საიმედო სამართლებრივი დაცვის უზრუნველყოფასაც. სამოქალაქო უფლებათა დაცვის საშუალებებში იგულისხმება კანონმდებლობით გათვალისწინებული საშუალებები, რომელთა დახმარებითაც შეიძლება მიღწეულ იქნეს უფლების დარღვევის აღკვეთა, აღმოფხვრა ან დანაკარგების

⁵ დაგით კერესელიძე, “კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები,” გვ. 131.

⁶ М.Н. Малеина “нemатериальные блага и перспективы их развития,” закон, 1995, #10

⁷ ემანუელ ლევინა, “როგორი თავისუფლება,” სამართალი საფრანგეთში, თბილისი, 2001 წელი.

⁸ ლ. ჭანტურია “შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში”, თბ. 1997, გვ. 189.

კომპენსაცია. სამოქალაქო უფლებების დაცვის უნივერსალურ საშუალებებს განეკუთვნება: უფლების აღიარება, პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა, ზიანის ანაზღაურება და კომპენსაცია, მორალური ზიანის ანაზღაურება და სხვა.”⁹

სამოქალაქოსამართლებრივი ნორმები, სამართლის სხვა დარგების ნორმების მსგავსად, ემსახურებიან, ადამიანის არაქონებრივი უფლებების დაცვას, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი სპეციფიკური ხერხების საშუალებით.

“პიროვნული უფლებების მიზანია ადამიანის პიროვნების სფეროში არაკანონიერი ჩარევის აღკვეთა. ისინი უზრუნველყოფენ ადამიანის ღირსების, პატივისა და ინდივიდუალურობის ხელშეუხებლობას. პიროვნების ინდივიდუალურობის გამოვლინებაა, მაგალითად, ადამიანის სახელის, გამოსახულების, პირადი და ინტიმური სფეროს, აზრის ფორმირებისა და გამოსატვის უფლებების ხელყოფის წინააღმდეგ მიმართული უფლებები.”¹⁰

პირადი უფლებების დაცვის თაობაზე არსებული დიდალი სამართლებრივი მასალა სასამართლო პრაქტიკის განვითარების შედეგად ჩამოყალიბდა, უფრო ზუსტად კი – დელიქტური სამართლის საფუძველზე. პირადი არაქონებრივი უფლებები აღიარებულ იქნა სამოქალაქო სამართლით დაცულ სიკეთედ და მისი ხელყოფა მართლსაწინააღმდეგო მოქმედებად ჩაითვალა, რომელიც დელიქტურ ვალდებულებას წარმოშობს.

დასავლეთის ქვეყნების სასამართლო პრაქტიკის მიერ ჩამოყალიბებული და სამეცნიერო ლიტერატურაში აღიარებული ზოგადი პირადი არაქონებრივი უფლებებიდან საქართველოს სამოქალაქო კოდექსმა აღიარა ყველაზე მნიშვნელოვანი, რომელიც დაუკავშირა ფიზიკური პირების სტატუსს. თუმცა, ეს ნორმები გარკვეული შეზღუდვებით შეეხება იურიდიულ პირებსაც. სამოქალაქო კოდექსის მე-18 და მე-19 მუხლები პირადი არაქონებრივი უფლებების სამოქალაქო სამართლებრივი დაცვის საფუძველს წარმოადგენს. სახელის ტარების უფლება, პატივი, დირსება, პირადი ცხოვრების საიდუმლოება, პირადი ხელშეუხებლობა, საქმიანი რეპუტაცია, უფლება გამოსახულებაზე აღნიშნული პირადი უფლებების დაცვა გარდაცვალების

⁹ გულნაზ გალდავა “სამოქალაქო უფლებათა დაცვის ფორმები და საშუალებები საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით.” სამართლის უურნალი, თსუ, №1, 2009 წელი, გვ. 122.

¹⁰ დავით კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები,” გვ. 132.

შემდეგ – ეს იმ არაქონებრივ სიკეთეთა არასრული ჩამონათვალია, რომელთაც იცავს კანონი ხელყოფისაგან.

“საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის ჩამონათვალი არ უნდა ჩაითვალოს ამომწურავად. იგი აწესრიგებს პიროვნული უფლებების რამდენიმე მნიშვნელოვან სახეს. შესაბამისად, შესაძლებელია, უშუალოდ ადამიანის ღირსების დაცვიდან გამომდინარე, ცალკეულ შემთხვევაში პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლებასთან ურთიერთკავშირში, სხვა პიროვნული უფლებებიც ჩაითვალოს ანალოგიური სამართლებრივი დაცვის მქონედ. საქართველოს სამართალში მიზანშეწონილია მოხდეს ზოგადი პიროვნული უფლების აღიარება. იგი ზოგადად უნდა მოიცავდეს საქართველოს კონსტიტუციით გათვალისწინებულ ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებებს და მათგან გამომდინარე ცალკეულ ფასეულობას.”¹¹

დაცვის საშუალებებად კანონი მიიჩნევს ხელყოფისათვის მოქმედების შეწყვეტის ან მასზე უარის თქმის, პატივის, ღირსების, პირადი ცხოვრების საიდუმლოების, საქმიანი რეპუტაციის შემლახველი ცნობების უარყოფის დაკისრებას ხელყოფისათვის მისი ბრალის მიუხედავად, ხოლო ბრალეული ხელყოფის შემთხვევაში მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურებას.

პირადი არაქონებრივი უფლების სამოქალაქოსამართლებრივი დაცვის მიზნით, საჭიროა მისთვის ფიზიკური და ინტელექტუალური ხელშეუხებლობის მინიჭება, ასევე ფიზიკური პირების შემთხვევაში პიროვნების შინაგანი სამყაროს ხელშეუხებლობის უზრუნველყოფა, რათა მას ჰქონდეს განსაზღვრული დამოუკიდებლობა, როგორც საზოგადოებასა და სოციალური გარემოსაგან, აგრეთვე სახელმწიფოსაგან. ყოველივე ეს შესაძლებელია პირისათვის თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის მინიჭებით, როგორც პირადი, ისე ოჯახური საიდუმლოს უზრუნველყოფით.¹²

აღსანიშნავია, რომ კანონმდებლობასა და იურიდიულ ლიტერატურაში პიროვნული უფლებების გამომხატველი ტერმინების მრავალფეროვება შეინიშნება. სამოქალაქო კოდექსი იყენებს “პირადი უფლებების” ცნებას (სსკ-ის I მუხლი), ასევე ტერმინს “პირადი არაქონებრივი უფლებები” (სსკ-ის მე-18 მუხლი). იურიდიულ ლიტერატურაში იყენებენ ასევე ტერმინ “პიროვნულ უფლებებს”. ამ ტერმინის უპირატესობა სწორედ “პიროვნულობის” ხაზგასმაა.

¹¹ დავით კერესელიძე, “კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები,” გვ. 137.

¹² შ. ჩიკვაშვილი “პასუხისმგებლობა მორალური ზიანისათვის,” თბ. 2003 წელი, გვ. 11.

ყველა სხვა ტერმინში სიტყვა “პირადის” გამოყენება ნაკლებად მკაფიოს ხდის ამ უფლებების სხვა “პირადი” ანუ რეალურად, ნებისმიერი სუბიექტური უფლებისგან გამჯვნას.¹³

მოქალაქის ინდივიდუალური თავისუფლების უზრუნველყოფას განაპირობებს პირადი არაქონებრივი უფლებების არამხოლოდ მინიჭება, არამედ მისი დაცვის შესაძლებლობა გარეშე პირთა ხელყოფისაგან.

პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა, პირადი და ოჯახური საიდუმლო არის პიროვნების უფლება თავის შეხედულებით განსაზღვროს საკუთარი ქცევა ინდივიდუალურ ცხოვრებაში. მისი სამართლებრივი დაცვა კი მიმართულია პირად ცხოვრებაში უცხო პირთა ჩარევის წინააღმდეგ, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

სამოქალაქო სამართლებრივი დაცვის საშუალებები მნიშვნელოვანია მაშინაც, როცა მოქალაქე დაზარალდა მისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის დროს სინამდვილესთან შეუსაბამო სხვადასხვაგარი ინფორმაციის გავრცელებით. დასახელებული ღირსებების დაცვა უზრუნველყოფს ერთი მხრივ, კერძო ცხოვრების ხელშეუხებლობას და, მეორე მხრივ, ამ ცხოვრების საიდუმლოს შენახვას. პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა გულისხმობს პირადი ურთიერთობების, მიმოწერისა და სატელეფონო საუბრების საიდუმლოს შენახვას, საცხოვრებელი ადგილის, პირადი დოკუმენტაციისა და თვით ინდივიდის ხელშეუხებლობას. პირადი და ოჯახური საიდუმლო ეხება აგრეთვე ისეთ ცნობებს, რომლებიც დაკავშირებულია ჯანმრთელობის მდგომარეობასთან, შვილად აყვანასთან, ფულად დანაზოგებთან, ხელოვნურ განაყოფიერებასთან, არატრადიციულ სექსუალურ ორიენტაციასთან და ა.შ. ¹⁴

კანონით აღიარებული არაქონებრივი უფლებით დაცული სიკეთეები მორალური ფასეულობების იდენტურია, ამდენად მათი ხელყოფა პიროვნების მორალის ხელყოფის ტოლფასია. მორალური ზიანი, როგორც არამატერიალურ, არაქონებრივ უფლებათა ბრალეული ხელყოფის შედეგი ტერმონოლოგიურადაც კი გამოხატავს მისს არსს. მორალური ზიანი როგორც ადამიანის არსების განმსაზღვრელ სულიერ ფასეულობათა ხელყოფის შედეგი სახეზეა, როცა ადგილი აქვს ფიზიკურ და ფსიქიკურ ტანჯვას, ძლიერ სტრესს, ცვლილებებს ადამიანის ფსიქოლოგიაში. იმის გათვალისწინებით,

¹³ დავით კერძესელიძე, “კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები,” გვ. 133.

¹⁴ ლ. ჭანტურია “შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში”, თბ. 1997, გვ. 113.

რომ არ შეიძლება ზუსტად იდენტური ფსიქიკური და სულიერი გაწყობის ინდივიდის არსებობა ერთი და იგივე ხელყოფა მორალურ ღირებულებებზე სხვადასხვა განცდებსა და ემოციებს იწვევს. ზოგი სუბიექტურად მტკიცნეულად აღიქვამს მეორე პირის არამართლსაწინააღმდეგო ქმედებას, ზოგისთვის კი პირადი უფლების ხელმყოფი ობიექტური ხელყოფა არავითარ გადიზიანებას არ იწვევს. მორალური ზიანის ანაზღაურების რაიმე კონკრეტულ სტანდარტს კანონმდებელი არ გვთავაზობს. სამართლის ნორმა მიუთითებს, რომ მორალური ზიანისათვის ფულადი ანაზღაურება შეიძლება მოთხოვილ იქნეს მხოლოდ კანონით ზუსტად განსაზღვრულ შემთხვევებში გონივრული და სამართლიანი ანაზღაურდების სახით. მორალური ზიანის ანაზღაურების ზოგადმა წესმა უდიდესი პასუხისმგებლობა დააკისრა სასამართლო პრაქტიკას. ერთადერთი საზომი რომლითაც მორალური ზიანისათვის კომპენსაციის ოდენობა დგინდება მოსამართლის სამართლშემოქმედებაა.

კანონი მხოლოდ ორ კრიტერიუმს ასახელებს კომპენსაციის ზომის განსაზღვრისათვის „გონივრულობა“ და „სამართლიანობა“. საქმის ინდივიდუალური თავისებურებების გათვალისწინებით მოსამართლემ უნდა განსაზღვროს კომპენსაციის ოდენობა. კონკრეტული შემთხვევების გადაწყვეტის დროს კანონის საფუძველზე მისი ცალკეული ნორმების კომენტირების შედეგად იქმნება და ვითარდება სამოსამართლო სამართალი, რომელიც დღევანდელობის გათვალისწინებით გადამწყვეტიც კი აღმოჩნდა ამ პრობლემასთან მიმართებაში.

”კანონის ნორმებისაგან განსხვავებით, რომლებსაც საყოველთაო საგალდებულო ძალა აქვთ, სამოსამართლო სამართლის ნორმების მოქმედება სრულიად განსხვავებულია. ასეთი ნორმები წარმოიშობა სასამართლოს მიერ კონკრეტული საკითხის გადაწყვეტისას, როცა მიღებული გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შევა. მისი მოქმედება კი მდგომარეობს იმაში, რომ სხვა სასამართლოები ანალოგიური შემთხვევის გადაწყვეტისას ითვალისწინებენ და შეძლებისდაგვარად იცავენ მათ. გადაწყვეტილებათა გათვალისწინების ხარისხი შეიძლება სრულიად სხვადასხვა იყოს. ამავე დროს სასამართლოს შეუძლია გადაუხვიოს სამოსამართლო სამართლის ნორმებისაგან.“¹⁵

¹⁵ ლ. ჭანტურია „შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში“, ობ. 1997, გვ. 114.

უცხოური ქვეყნების კანონმდებლობის მიმოხილვა გვარწმუნებს, რომ პირადი არაქონებრივი უფლებების შესახებ ნორმები სამოქალაქო კოდექსებში ნაკლებად ან საერთოდ არ გვხვდება, მაგრამ ამ უფლებათა დაცვის სფერო სწორედ სასამართლო პრაქტიკის საფუძველზე ვითარდება.

ქართულ სამართალში ისეთი პირადი არაქონებრივი უფლებების, როგორიცაა პატივი, ღირსება, საქმიანი რეპუტაცია, საკუთარი გამოსახულება და ა.შ. საკანონმდებლო წესით განმტკიცება ამ საკითხზე სწორედ სასამართლო პრაქტიკის წყალობით დასავლეთის ქვეყნების სამოქალაქო სამართალში დაგროვილმა დიდმა გამოცდილებამ განაპირობა. იმის გათვალისწინებით, რომ სამოქალაქო კოდექსი ჯერ საკმაოდ “ახალგაზრდაა,” 13 წლის მანძილზე, არცოუ ისე მცირე სასამართლო პრაქტიკა დაგროვდა, რაც ძალიან მნიშვნელოვანია მორალური ზიანისათვის კომპენსაციის საკითხის ანალიზისა და პრობლემის განხილვისათვის. წინამდებარე ნაშრომში გაანალიზებულია უცხოური, კერძოდ, კონტინენტური და საერთო სამართლის ქვეყნების გამოცდილება პირადი არაქონებრივი უფლებების სამოქალაქო სამართლებრივი დაცვის სფეროში, მორალური ზიანის ანაზღაურების საფუძვლები და კომპენსაციის თავისებურებები ზოგიერთი პირადი არაქონებრივი უფლებების მაგალითზე.

ვინაიდან მორალური ზიანისთვის კომპენსაციის განსაზღვრის კრიტერიუმების დამდგენი “კანონმდებელი” სასამართლო პრაქტიკაა, ნაშრომში სავსებით შეგნებულად მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა, როგორც ქართული სასამართლო პრაქტიკის ანალიზს, ისე ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლო პრაქტიკის მიმოხილვას, რომლის როლი და ზემოქმედება საქართველოს ეროვნულ კანონშემოქმედებასა და სასამართლო პრაქტიკაზე სულ უფრო იზრდება. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპის კონვენცია (მიღებულია ევროპის საბჭოს წევრების მიერ რომში 1950 წლის 4 ნოემბერს შემდეგი ცვლილებებითა და დამატებებით) ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში უმნიშვნელოვანესი და უპრეცედენტო საერთაშორისო დოკუმენტია. 1999 წლიდან, რაც საქართველო ამ კონვენციას მიუერთდა იგი საქართველოსთვის სავალდებულო გახდა როგორც საერთაშორისო, ისე ეროვნულ დონეზე. სტრასბურგის პრეცედენტული სამართალის მზარდი მნიშვნელობა სულ უფრო მეტ გავლენას ახდენს ეროვნული სასამართლოების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებზე. “იმ შემთხვევაში, თუ ეროვნული სასამართლოს

გადაწყვეტილებით დაირღვა კონვენცია, ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება არ ცვლის ამ გადაწყვეტილების კანონიერ ძალას, მაგრამ სასამართლომ უნდა იხელმძღვანელოს კონვენციით ისევე, როგორც სახელმწიფო სამართლის სხვა ნორმებით. მან უნდა გაითვალისწინოს კონვენციის 46-ე მუხლი და ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება მოცემული საქმის განხილვის დროს. სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულებისთვის დადგენილია სამთვიანი ვადა, გადაწყვეტილების აღსრულებაზე კონტროლს ახორციელებს მინისტრთა კომიტეტი.”¹⁶ მიუხედავად დროის არცოუ ისე დიდი პერიოდისა, რაც საქართველო ადამიანის უფლებათა ევროპის კონვენციას მიუქრთდა, სასამართლო პრაქტიკა აქტიურად იყენებს აღნიშნულ კონვენციას და ევროსასამართლოს პრეცედენტულ საქმეებს გადაწყვეტილებათა დასაბუთებისას. გამომდინარე აღნიშნულიდან განსაკუთრებით საინტერესოა სტრასბურგის ადამიანის უფლებათა სასამართლოს პრაქტიკა, ცალკეული სასამართლო პრეცედენტები არა მარტო საქართველოს წინააღმდეგ მიმართულ განაცხადებზე, არამედ სხვა ქვეყნების წინააღმდეგ წარმოებულ საქმეებზე. საქართველოს წინააღმდეგ მიღებული გადაწყვეტილებები ძირითადად შეეხება ევროკონვენციის მესამე (ადამიანის წამების აკრძალვა), მეხუთე (თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლება), მეექვსე (საქმის სამართლიანი განხილვის უფლება), მერვე (პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცულობის უფლება), მეცხრე (აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლება), მეათე (აზრის გამოხატვის თავისუფლება), კონვენციის დამატებითი ოქმის პირველი მუხლის (საკუთრების დაცვა) დარღვევებს.

სასამართლო თავის გადაწყვეტილებებში უთითებს არა მარტო კონვენციით აღიარებული და დაცული ადამიანის კონკრეტულ უფლებათა დარღვევის თაობაზე, არამედ იყენებს რა სამართლიანი დაკმაყოფილების უფლებას ხელშემკვრელ სახელმწიფოს აკისრებს ზიანის ანაზღაურებას. ზიანის ანაზღაურება სახელმწიფოებს ეკისრებათ როგორც მატერიალური, ისე მორალური, არამატერიალური ზიანისათვის. მორალური ზიანისათვის პასუხისმგებლობის საფუძვლის და კომპენსაციის განსაზღვრის პრობლემის

¹⁶ ირმა მერებაშვილი, “ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო და მის განხილვას დაქვემდებარებული სამოქალაქო საქმეები,” ჟურნალი „მართლმსაჯულება“, №1, 2010 წელი, გვ. 35-37

დამუშავება-ანალიზისათვის მიგვაჩნია უპირველესია ერთ-ერთი სოლიდური საერთაშორისო სასამართლოს პრაქტიკის გაცნობა.

თავი I. მორალური ზიანის ცნება

§ 1.1 ზიანის ცნება

პირთა მიერ სამოქალაქო უფლებების და ვალდებულებების განხორციელების პროცესში სამოქალაქო უფლებები ცალკეულ შემთხვევებში შეიძლება დაირღვეს. “სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობა, რომელიც არის სამოქალაქო სამართალდარღვევის შედეგი, ეკისრება სამართალდამრღვევს უფლებადარღვეული პირის მდგომარეობის აღსაღენად და გამოიხატება სამოქალაქო კანონმდებლობით განსაზღვრული ფორმებით. სწორედ დაზარალებულის ქონებრივი მდგომარეობის აღდგენაში ჩანს სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკომპენსაციო ხასიათი, რაც ძირითადად მიუწებული ზიანის ანაზღაურებით ხორციელდება.”¹⁷

ზიანი – სოციალური ცნებაა. უფრო ფართო გაგებით ზიანი შეიძლება განიმარტოს როგორც საზოგადოებრივი ურთიერთობების ხელყოფის, კანონით დაცული უფლებების და ინტერესების დარღვევის შედეგი.

“ზიანი სამოქალაქო სამართალში არის ფიზიკური და იურიდიული პირის უფლების ან კეთილდღეობის არამართლზომიერი და ბრალეული ხელყოფა, განადგურება.”¹⁸

სამოქალაქო სამართალში ზიანის ქვეშ იგულისხმება კანონით დაცული სიკეთეების ყოველგვარი ხელყოფა. “ზიანის ცნებაში მოიაზრება პირის ქონებაზე ან სამართლებრივად დაცულ სხვა სიკეთეზე გარკვეული ზემოქმედებით გამოწვეული უარყოფითი შედეგი.”¹⁹

ზიანი წარმოადგენს პირის ქონებრივი და არაქონებრივი ინტერესების მისი ნების გარეშე ხელყოფას, რისი ანაზღაურებაც აღიარებულია ბრუნვის წეს-ჩვეულებებით და შეზღუდული არ არის კანონმდებლობით. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ: ზიანი არის კანონით გათვალისწინებული

¹⁷ მზია დუნდუა “დელიქტური პასუხისმგებლობისა და სახელშეკრულებო პასუხისმგებლობის თანაფარდობა.” სამართლის უერნალი, თსუ, №1, 2009 წელი, გვ. 54.

¹⁸ შ. ჩიკვაშვილი “პასუხისმგებლობა მორალური ზიანისათვის,” თბ. 2003 წელი, გვ. 23.

¹⁹ ქეთევან ქოჩაშვილი “ბრალი, როგორც სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობის პირობა”. სამართლის უერნალი, თსუ, №1, 2009 წელი, გვ. 82.

ანაზღაურებადი სხვაობა “უნდა ყოფილიყო” და “არის მდგომარეობას” შორის. (“სხვაობის პიპოთება”).²⁰

ზიანის ანაზღაურება სამოქალაქო-სამართლებრივიპასუხისმგებლობის ფორმაა. სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობა შეიძლება გამოიხატოს ზიანის ანაზღაურების, პირგასამტებლოს გადახდის, ბეს დაკარგვის ფორმით და სხვა. ზიანის ანაზღაურებას საერთო მნიშვნელობა აქვს, რაც იმას ნიშნავს, რომ ის გამოიყენება ვალდებულების ყოველგვარი დარღვევის დროს (გარდა კანონით ან ხელშეკრულებით გათვალისწინებული გამონაკლისებისა), თუნდაც კონკრეტული ვალდებულების მარეგულირებელი ნორმები არ მიუთითებდნენ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის თაობაზე.

“ზიანის ანაზღაურების სამართლი მიმართულია ვალდებულების დარღვევის პრევენციისა და ინტერესთა წონასწორობის აღდგენაზე. პენალური სანქციები ქართული სამართლისთვის უცხოა. ზიანის ანაზღაურების სამართლის დაუწერელ კანონს და უმნიშვნელოვანეს დათქმას უსაფუძვლო გამდიდრების აკრძალვა წარმოადგენს. ამ პრინციპის მიხედვით, მოვალე უნდა აღადგინოს *status quo* და იგი არ არის ვალდებული კრედიტორი იმაზე უკეთეს მდგომარეობაში ჩააყენოს, ვიდრე იგი ზიანის არარსებობის შემთხვევაში იქნებოდა.”²¹

სამოქალაქო სამართალში ზიანი შეიძლება წარმოიშვას ერთ-ერთი მხარის მიერ ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არასათანადო შესრულების შედეგად. სხვა შემთხვევაში ზიანი შეიძლება მიაყენოს ერთი პირის მოქმედებამ მეორეს მაშინაც როცა ისინი არ იმყოფებოდნენ არანაირ ვალდებულებით ურთიერთობაში. ამისდა მიხედვით ასხვავებენ სახელშეკრულებო და არასახელშეკრულებო ზიანს.

სახელშეკრულებო ზიანი, როგორც უკვე აღვნიშნეთ შეიძლება მიყენებულ იქნეს იმ ვალდებულებების შეუსრულებლობის შედეგად, რომლებიც გამომდინარეობდა ხელშეკრულებიდან, კანონიდან ან ადმინისტრაციული აქტიდან. ვინაიდან ზიანის მიყენებამდე მხარეები უკვე იმყოფებოდნენ გარკვეულ სამოქალაქო-სამართლებრივ ურთიერთობებში პასუხისმგებლობა ურთიერთობის დარღვევით მიყენებული ზიანისათვის

²⁰ Mommsen, Lehre vom Interese, (1855). მითითებულია, გიორგი ვაშაგიძე „სამოქალაქო კოდექსის გართულებულ ვალდებულებათა სისტემა“. თბილისი, 2010 წელი, გვ. 193.

²¹ გიორგი ვაშაგიძე, “სამოქალაქო კოდექსის გართულებულ ვალდებულებათა სისტემა”, თბილისი, 2010 წელი, გვ. 194.

განისაზღვრება ხელშეკრულების პირობების შესაბამისად ან იმ კანონის თანახმად, რომელიც არეგულირებს მოცემულ სამართალურთიერთობას.

ეკონომიკური თვალსაზრისით სამართალდარღვევების შედეგებს განსხვავებული ხასიათი გააჩნიათ. სამართალდარღვევათა ერთი ნაწილი იწვევს ეკონომიკურ შედეგებს, სხვა შედეგებს მატერიალური ხასიათი არ გააჩნიათ. ამისდა მიხედვით ზიანს, როგორც სამართალდარღვევის შედეგს შეიძლება ჰქონდეს ქონებრივი ან არაქონებრივი ხასიათი.

“მატერიალური ზიანი ქონებრივია (მატერიალიზირებული), ხოლო არამატერიალიზირებული, არაქონებრივი ზიანი წარმოადგენს მოვალის ქმედებით მიყენებულ ტანჯვას და განცდებს, რომელსაც დაზარალებული განიცდის ამა თუ იმ სიკეთის, როგორც წესი, არამატერიალურ ფასეულობათა ხელყოფით.”²² სახელშეკრულებო ზიანი, როგორც უკვე აღვნიშნეთ შეიძლება მიყენებულ იქნეს იმ ვალდებულებების შეუსრულებლობის შედეგად, რომლებიც გამომდინარეობდა ხელშეკრულებიდან, კანონიდან ან ადმინისტრაციული აქტიდან. ვინაიდან ზიანის მიყენებამდე მხარეები უკვე იმყოფებოდნენ გარკვეულ სამოქალაქო-სამართლებრივ ურთიერთობებში პასუხისმგებლობა ურთიერთობის დარღვევით მიყენებული ზიანისათვის განისაზღვრება ხელშეკრულების პირობების შესაბამისად ან იმ კანონის თანახმად, რომელიც არეგულირებს მოცემულ სამართალურთიერთობას.

არასახელშეკრულებო ზიანის ქვეშ იგულისხმება ზიანი მიყენებული იმ სიკეთის დარღვევის შედეგად, რომელთა შესახებაც მხარეები ადრე არ იმყოფებოდნენ სახელშეკრულებო ურთიერთობებში.

არასახელშეკრულებო ზიანი წარმოიშობა უშუალოდ სამართალდარღვევიდან (დელიქტიდან). ამრიგად, თუკი სახელშეკრულები ზიანი წარმოადგენს ადრე არსებული ვალდებულებების შეუსრულებლობის შედეგს, არასახელშეკრულებო – წარმოადგენს ადრე არარსებული ურთიერთობების წარმოშობის მიზეზს. “პასუხისმგებლობის დაყოფას სახელშეკრულებო და არასახელშეკრულებო პასუხისმგებლობად არსებითი მნიშვნელობა აქვს, რამდენადაც მასზეა დამოკიდებული ასეთ ურთიერთობათა მიმართ ამა თუ იმ ნორმის გამოყენება. თუ საქმე ეხება იმ ზიანის ანაზღაურებას რომელიც დელიქტური ვალდებულებებიდან წარმოიშობა, გამოყენებულ უნდა იქნეს ამ ვალდებულების მარეგულირებელი ნორმები,

²² მზია თოდუა, ჰუსტ ვილემსი, “ვალდებულებითი სამართალი”, თბილისი, საია, 2006 წელი. გვ. 46.

ხოლო თუ პირს ზიანი მიადგა სახელშეკრულებო ვალდებულებების შეუსრულებლობის შედეგად, მაშინ ზიანისათვის პასუხისმგებლობა უნდა განისაზღვროს მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულების პირობებით და იმ ნორმათა წესებით, რომლებიც ასეთ ურთიერთობებს არეგულირებს.”²³

სამართალურთიერთობის დარღვევის მატერიალურ (ეკონომიკურ) შედეგს, რომელსაც გააჩნია ღირებულებითი ხასიათი, სამოქალაქო სამართალში ქონებრივი ზიანი ეწოდება, ხოლო სამართალდარღვევის ისეთ შედეგებს, რომლებსაც არ გააჩნიათ ეკონომიკური შინაარსი და ღირებულებითი ფორმა არაქონებრივი ზიანი. პირთა პირადი არაქონებრივი უფლებების ხელყოფას შედეგად შეიძლება მოჰყვეს როგორც ქონებრივი, ისე არაქონებრივი (მორალური) ზიანი.

”ქონებრივ ზიანში იგულისხმება არა მხოლოდ დაზარალებულის ქონებრივი აქტივების შემცირება, არამედ პასივების გაზრდაც. მასში ერთიანდება მესამე პირთა მიმართ არსებულ მოთხოვნათა დაკარგვაც, თუ ეს მოთხოვნები ქონებრივი შედეგების დადგომაზე იყო მიმართული.”²⁴

კანონით დაცული ძირითადი არაქონებრივი სიკეთები ჩამოთვლილია კონსტიტუციაში და სამოქალაქო კოდექსში. ესენია სიცოცხლე, ჯანმრთელობა, პატივი, ღირსება, საქმიანი რეპუტაცია, სახელი, პირადი ხელშეუხებლობა, პირადი ცხოვრების საიდუმლოება. თუმცა ძირითადი უფლებების და თავისუფლებების ეს ჩამონათვალი არ უნდა იქნეს გაგებული როგორც ადამიანის სხვა საზოგადოდ აღიარებული უფლებებისა და თავისუფლებების უარყოფა. მითითებული უფლებების და სიკეთების დაცვა ხორციელდება სამოქალაქო კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში და წესით.

§ 12. მორალური ზიანის ცნება

ჩვენი კვლევის საგანს წარმოადგენს პირადი არაქონებრივი და ქონებრივი სიკეთების დარღვევის ისეთი შედეგი როგორიცაა მორალური ზიანი. ”მორალური ზიანი შეიძლება მდგომარეობდეს ზნეობრივ განცდებში

²³ მზია დუნდუა ”დელიქტური პასუხისმგებლობისა და სახელშეკრულებო პასუხისმგებლობის თანაფარდობა.” სამართლის ქურნალი, თსუ, №1, 2009 წელი, გვ. 54.

²⁴ გიორგი ვაშაკიძე, ”სამოქალაქო კოდექსის გართულებულ ვალდებულებათა სისტემა”, თბილისი, 2010 წელი, გვ. 46.

ნათესავების დაკარგვასთან დაკავშირებით, აქტიური საზოგადოებრივი ცხოვრების გაგრძელების შეუძლებლობის გამჯდავნებაში, ფიზიკური პირის პატივის, დირსების, პირადი ცხოვრების საიდუმლოების, პირადი ხელშეუხებლობის ან საქმიანი რეგუტაციის შემდახავი სინამდვილის შეუსაბამო ცნობების გავრცელებაში, რაიმე უფლების დროებით შეზღუდვაში ან ჩამორთმევაში, ფიზიკურ ტკივილში, რომელიც დაკავშირებულია ჯანმრთელობისათვის ზიანის ან სხვაგვარი ვნების მიყენებასთან, ან დაავადებაში, რომელიც პირმა გადაიტანა ზნეობრივი ტანჯვის შედეგად და სხვა. მოცემული ჩამონათვალი სანიმუშოა და შეიძლება განივრცოს საქმის კონკრეტულ გარემოებათა გათვალისწინებით.”²⁵

მორალური ზიანის ანაზღაურების პრობლემა არ შეიძლება გადაწყვდეს თვით მორალური ზიანის ცნების გარკვევის გარეშე. მორალი (ლათინური სიტყვიდან “მორალის” – ზნეობრივი) – ეთიკური ფასეულობების ის სფეროა, რომელსაც უპირველეს ყოვლისა აღიარებს ყოველი სრულწლოვანი და ქმედუნარიანი ადამიანი. საზოგადოებრივი ურთიერთობების ამ სფეროს ფარგლები და შინაარსი იცვლება დროის მსვლელობასთან ერთად და განსხვავებულია სხვადასხვა ხალხსა და საზოგადოების სხვადასხვა ფენას შორის.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი პირად არაქონებრივი უფლებების დარღვევისას ითვალისწინებს მორალური ზიანის ანაზღაურებას, თუმცა არ შეიცავს მის ცნებას. ამიტომ “მორალური ზიანის” ცნების განსაზღვრისთვის სასურველია გავაანალიზოთ სხვა ქვეყნების კანონმდებლობა.

“საბჭოური პერიოდის კანონმდებლობა მორალური ზიანისათვის პასუხისმგებლობას არ ცნობდა. რუსეთის ფედერაციის უმაღლესი სასამართლოს პლენუმმა 1994წ. 20 დეკემბრის №10 დადგენილებაში “მორალური ზიანის შესახებ კანონმდებლობის გამოყენების ზოგიერთი საკითხის” შესახებ, განმარტა მორალური ზიანის ცნება, სადაც მითითებულია, რომ “მორალური ზიანის ქვეშ იგულისხმება ზნეობრივი ან ფიზიკური ტანჯვა მიყენებული ქმედებით (უმოქმედობით) რომელიც ხელყოფს ადამიანის დაბადებიდან ან კანონით კუთვნილ არამატერიალურ სიკეთეებს (სიცოცხლეს, ჯანმრთელობას, პიროვნების დირსებას, საქმიან რეგუტაციას, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობას, პირად და ოჯახურ საიდუმლოს და

²⁵ მ. თოდეუ, შ. ქურდაძე “ცალკეული კატეგორიის სამოქალაქო საქმეზე გადაწყვეტილებათა მიღების თავისებურებანი” თბილისი, 2005 წელი, გვ. 69

ა.შ.) ან რომელიც არდვევს მის პირად არაქონებრივ უფლებებს—სახელის გამოყენების უფლება, ავტორობის უფლება და სხვა არამატერიალურ უფლებებს ან მოქალაქეთა ქონებრივ უფლებებს.”²⁶

“ფილოსოფიის გაგებით მორალური ზიანი სუბიექტისათვის მიუენებული და მის მიერ გაცნობიერებული ბოროტება.”²⁷

მორალური ზიანის ცნებასთან დაკავშირებით მოსაზრება ყველა ამ საკითხზე მომუშავე მეცნიერს აქვს გამოთქმული, მაგრამ ყველა მათგანის ძირითად ამოსავალ წერტილს მაინც მორალური ზიანის, როგორც ფიზიკური და ზნეობრივი ტანჯვის განმარტება წარმოადგენს. თუმცა, სხვადასხვა მოსაზრებას გამოთქვამენ თვით ტერმინთან დაკავშირებით.

მაგალითად მ.ნ. მალევინა იხილავს რა მორალურ ზიანს, როგორც არაქონებრივი სიკეთების დაცვის ერთ-ერთ საშუალებას გამოთქვამს მოსაზრებას, რომ უფრო ხელსაყრელი იქნებოდა კანონმდებლობაში “მორალური ზიანის” ნაცვლად “არაქონებრივი ზიანის” ტერმინის გამოყენება.²⁸

ერდელევსკი მიიჩნევს რა, რომ მორალური ზიანი გამოიხატება დაზარალებულის ნეგატიურ ფსიქიკურ რეაქციებში თვლის, რომ უფრო სწორი იქნებოდა “მორალური ზიანის” ნაცვლად “ფსიქიკური ზიანის” გამოყენება. ²⁹ აღნიშნული საკითხის გადასაწყვეტად მიზანშეწონილად მიგვაჩნია კანონმდებლობაში არსებული რამოდენიმე სახის ზიანის უფრო დეტალური განხილვა. კანონმდებლობაში ძირითადად გამოიყენება შემდეგი ტერმინები: “ქონებრივი ზიანი”, არაქონებრივი ზიანი”, “ფიზიკური (ორგანული) ზიანი”, “მორალური ზიანი”.

ქონებრივი ზიანის ცნებასთან დაკავშირებით როგორც წესი სირთულე არ წარმოიშობა. ყველა ავტორი ერთსულოვანია, რომ სამართალდარღვევის უარყოფითი შედეგი, რომელიც ღირებულების ხასიათს ატარებს და შეიძლება ფულით შეფასდეს, ქონებრივ ზიანს წარმოადგენს. ცოტა უფრო რთულია “ფიზიკური ზიანის” ცნების განსაზღვრა. “ფიზიკური ზიანის” ცნება არ ემთხვევა “ფიზიკური ტანჯვის” ცნებას. ფიზიკური ტანჯვა მორალური ზიანის ერთ-ერთი ფორმაა, მაშინ როცა ფიზიკური ზიანი – ეს არის ნებისმიერი

²⁶ შ. ჩიკვაშვილი “პასუხისმგებლობა მორალური ზიანისათვის,” თბ. 2003 წელი, გვ. 12.

²⁷ Смиренская, Елена Витальевна, Компенсация морального вреда как деликтное обязательство, Автoreферат, Волгоград, 2000.

²⁸ Малеина М.Н. “нематериальные блага и перспективы их развития,” закон, 1995, #10, с.103.

²⁹ Ерделевский А.М Компенсация морального вреда 2-е изд. М. 2000, гv...5.

ნეგატიური ცვლილება ადამიანის ორგანიზმში, რაც ხელს უშლის მის ნორმალურ ბიოლოგიურ ფუნქციონირებას. ფიზიკური ზიანი მატერიალურია და ამავე დროს არაქონებრივი. ნეგატიურ ცვლილებებს რომელიც ხდება ადამიანის ორგანიზმში მივყავართ ან შეიძლება მიგვიყანოს პიროვნების ფსიქიკური ჯანმრთელობის და ქონებრივი კეთილდღეობის სფეროს ნეგატიურ ცვლილებამდე. შესაბამისად ფიზიკური ზიანი შეიძლება ანაზღაურდეს მორალური და ქონებრივი ზიანის კომპენსაციის გზით, რაც წარმოქმნის მათი გამიჯვნის აუცილებლობას. ასეთი გამიჯვნის მთავარი სირთულე მდგომარეობს ანაზღაურების ფორმის ერთიანობაში, რამდენადაც ფული უნივერსალური ქონებრივი ექვივალენტია. ფიზიკური ზიანის ანაზღაურება ქონებრივი ზიანის ანაზღაურების გზით მიმართულია ორგანიზმის დისფუნქციის ან მისი გარეგანი გამოვლენის აღკვეთისა და აღდგენისაკენ, როცა მორალური ზიანის ანაზღაურება მიმართულია ადამიანის ჯანმრთელობისათვის ზიანის მიენებასთან დაკავშირებული განცდის ან ტანჯვის აღკვეთისა ან შემსუბუქებისაკენ. გაცილებით რთულია არაქონებრივი ზიანისა და მორალური ზიანის ცნებების გამიჯვნა.

არაქონებრივი ზიანი – სამართალდარღვევის (დელიქტის) არამატერიალური შედეგია, ხოლო მორალური ზიანი – დელიქტის უარყოფითი შედეგი, რაც ზნეობრივ ტანჯვაში გამოიხატება და იძლევა კანონით საკმარის საფუძველს მისი ანაზღაურებისათვის.

ამრიგად, “არამატერიალური ზიანი უფრო ფართო ცნებაა და მორალურ ზიანთან ერთად მოიცავს ფიზიკურ ზიანსაც. შესაბამისად თუკი შემოვიდებო ტერმინს “არაქონებრივი ზიანი” მან ფაქტიურად უნდა გააერთიანოს თავის თავში “ფიზიკური ზიანი” და “მორალური ზიანი”.³⁰ გამომდინარე აღნიშნულიდან “მორალური ზიანის” ცნების შეცვლა “არაქონებრივი ზიანის” ცნებით, რომელიც მისი იდენტური კი არა, პირიქით, მისი მომცველია მიზანშეწონილად არ მიგვაჩნია.

გამართლებული არ უნდა იყოს “მორალური ზიანის” ცნების ნაცვლად “ფიზიკური ზიანის” ცნების შემოღებაც. “ზნეობრივი ტანჯვა” რომელიც მორალური ზიანის ანაზღაურების საფუძველია ხშირად გამოიყენება როგორც “ზნეობრივი განცდის” სინონიმი.³¹ თუკი გავითვალისწინებთ, რომ

³⁰ Малеина М.Н. “Личные неимущественные права граждан понятие осуществление защиты” М. 2001. გვ. 45.

³¹ იქვე, გვ. 45.

ფსიქოლოგიაში განცდის ქვეშ იგულისხმება “სუბიექტის მიერ განცდილი ნებისმიერი ემოციური მდგომარეობა” “ზნეობრივი ტანჯვა” შეიძლება გუწოდოთ უარყოფით ემოციებს, რომლებიც წარმოიშობა ფსიქიკაში. მორალური ტანჯვა ნიშნავს, რომ ზიანის მიმეუნებლის ქმედებამ აუცილებლად უნდა პპოვოს ასახვა დაზარალებულის შეგნებაში, გამოიწვიოს განსაზღვრული ფსიქიკური რეაქცია. ამასთან კანონით დაცულ სიკეთეზე არასასიამოვნო ცვლილება აისახება ადამიანის შეგნებაში ნეგატიური შეგრძნებების ან განცდის ფორმით. განცდა შეიძლება გამოხატოს შიშის, სიმორცხვის, დამცირების გრძნობაში ან ფსიქოლოგიური თვალსაზრისით სხვა დამცირების მცდელობაში.³² ფიზიკური ტანჯვის ქვეშ კი უნდა ვიგულისხმოთ ტკივილი, გულისრევა, თავბრუსხევევა და სხვა ავადმყოფური შეგრძნებები. ბუნებრივია, რომ ეს ავადმყოფური შეგრძნებები აისახება დაზარალებულის შეგნებაში და იწვევს სხვადასხვა სახის ფსიქიკურ განცდებს. სხვა სიტყვებით, “ფიზიკურ ტანჯვას თითქმის ყოველთვის ახლავს ფსიქიკური ხასიათის ტანჯვა, რამდენადაც შეგნებაში აისახება არა მარტო რაღაც მოვლენები, არამედ ავადმყოფური სიმპტომები, სხვაგარად ფიზიკური ტანჯვა. ეს უკანასკნელი არსებობს დამოუკიდებლად და ზნეობრივი ტანჯვისაგან განსხვავებით არ ერთიანდება ფსიქიკური ტანჯვის კატეგორიაში.”³³ შემთხვევითი არ არის, რომ სიტყვა “განცდა” შეესაბამება სიტყვა “ზნეობრივს” და არა სიტყვა “ფიზიკურს”. ტერმინი “ფსიქიკური ტანჯვა” არ შეიცავს “ფიზიკურ ტანჯვას” და შესაბამისად “ფსიქიკური ზიანის” ცნებას არ შეუძლია მოიცვას ტანჯვის ორივე სახე, რომლითაც გაბატონებული შეხედულების თანახმად ხასიათდება მორალური ზიანი. აქედან კი თავის მხრივ გამომდინარეობს ფიზიკური და ზნეობრივი ტანჯვის განსაზღვრისათვის ახალი ტერმინის “ფსიქიკური ზიანის” შემოღების უსაფუძვლობა.

ეტიმოლოგიურად არაქონებრივი ზიანი მორალური ზიანის იდენტურია. ეს უკანასკნელი გამოთქმა უფრო მისი შინაარსობრივი დატვირთვის გამომხატველია. “იგივე მორალური ზიანის იდენტურია „ფსიქოლოგიური ზიანი“, რაც გამოიყენება საერთო სამართლის ქვეყნებში. უკელა შემთხვევაში მათი შინაარსი ერთნაირია.

³² Эрделевский А.М. Моральный вред и компенсация за страдания. Москва, Издательство БЕК, 1998 г. გვ. 132.

³³ იქვე, გვ. 133.

მორალური ზიანი უნდა გულისხმობდეს „ფიზიკურ და ზნეობრივ-ფსიქოლოგიურ ტანჯვას“, რასაც სამოქალაქო ბრუნვის მონაწილე განიცდის ამა თუ იმ სიკეთის, უმეტესწილად, არამატერიალურ ფასეულობათა ხელყოფით.”³⁴

იმ განმარტებებზე უფრო სწორი, რომ არაქონებრივი ზიანი ეს არის “ზნეობრივი და ფიზიკური ტანჯვა” ან “სულიერი და ფიზიკური ტანჯვა” არის განმარტება, რომ არაქონებრივი ზიანი ეს არის პირის მიერ განცდილი ფიზიკური და ფსიქიკური ტანჯვა.³⁵ ამასთან აუცილებელია მოხდეს არაქონებრივი ზიანის განმარტება და განიმარტოს როგორც „ფიზიკური და ფსიქიკური ტანჯვა” რომელიც განიცადა პირმა. აღნიშნული განმარტება არ გულისხმობს, რომ ნებისმიერი ფიზიკური და ფსიქიკური ტანჯვა, რომელიც პირმა განიცადა მართლსაწინააღმდეგო მოქმედების შედეგად უნდა ანაზღაურდეს. ანაზღაურების შემთხვევები და პირობები დარეგულირებულ უნდა იქნეს კანონმდებლობის შესაბამისად.

მორალურისგან განსხვავებით, ქონებრივი ზიანი მხოლოდ გარკვეული ფულადი ღირებულების მქონე სიკეთის ხელყოფაა. მართალია, როგორც წესი, ორივე შემთხვევაში ეკვივალენტს ფული წარმოადგენს, მაგრამ, თუ ერთ შემთხვევაში მატერიალური ინტერესის გამოსწორება ხდება, სხვა დროს, ეს ემსახურება არამატერიალური ინტერესების დაცვას. ამიტომაცაა, რომ ქონებრივი ზიანი უფრო მატერიალიზებული ზიანია თვითი გარეგნული გამოხატულებით და მისი იდენტიფიკაცია – სიდიდის განსაზღვრა შედარებით ადგილიცაა. ეს იმიტომაც, რომ თვით ქონება წარმოადგენს შეფასების საზომს და ამდენად, ობიექტური მასშტაბები თვით დაზარალებული სუბიექტის გარეთაა. ცხადია, ცალკეულ შემთხვევებში ანგარიში ეწევა თვით სუბიექტის ინტერესებსაც, მაგრამ ეს შეფასებისთვის როგორც წესი, მეორეხარისხოვანია. არაქონებრივი ზიანის ვითარებაში ობიექტური მასშტაბები თვით დაზარალებულის სუბიექტშია, რაზედაც თვით ზიანის სახელწოდებაც მიგვანიშნებს.”³⁶ “მორალური ზიანის ცნების შინაგანი ფსიქოლოგიური შინაარსის შესწავლით მორალური ზიანი ერთდროულად ფიზიკური და ზნეობრივი ტანჯვაა. ეს ორი სამართლებრივი კატეგორია

³⁴ Эрделевский А.М. Компенсация морального вреда 2-е изд. М. 2000.

³⁵ ლევან დოდონაძე „მორალური ზიანის ანაზღაურება”, 2010 წელი, გვ. 136.

³⁶ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მესამე, თბ. 2001, გვ. 469.

ურთიერთდაკავშირებულია და მორალური ზიანის დაყოფის ან სხვა სახელწოდების დარქმევის ნებისმიერი მცდელობა დაუსაბუთებელია.”³⁷

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქვროა, რომ ნებისმიერი ტერმინი უფრო გამოხატავდეს მორალური ზიანის არსე და ხელსაყრელი იყოს “მორალურ ზიანთან” შედარებით, რომელიც უკვე საკმაოდ მყარად დამკვიდრდა მოქმედ კანონმდებლობაში. გარდა ამისა ტერმინოლოგიის ცვლილება სადაოს გახდის მთელი რიგი ტერმინების შინაარსაც და შესაბამისად მოითხოვს საკმაოდ სერიოზული კორექტივების შეტანას მოქმედ კანონმდებლობაში. კანონმდებლობა უკვე გადაჭრა ეს პრობლემა აირჩია და განამტკიცა რა ტერმინი, რომელიც ვფიქრობთ ყველაზე უფრო ახლოსაა და კარგად გამოხატავს მოცემული ინსტიტუტის არსეს.

აღიარებული შეხედულების თანახმად ადამიანი ორი სუბსტანციისგან შედგება: სულისა და სხეულისაგან. “და გამოსახა უფალმა ღმერთმა ადამი მიწის მტვრისაგან და შთაბერა მის ნესტოებს სიცოცხლის სუნთქვა, და იქმნა კაცი ცოცხალ არსებად”. (დაბ.2.7). “სული, ფსიქიკა-ეს არის ადამიანის გონებისთვის მიუწვდომელი, აუქსენელი მაცოცხლებელი ძალა, რომელიც ადამიანს დვოისგან მიეცა. წმინდა წერილში ეს საწყისი იწოდება ხან სამშვინველად – “ფსიქი”(ბერძ), “ანიმა” (ლათ), ხან სულად–”პნევმა” (ბერძ), “სპირიტუს” (ლათ).”³⁸ ადამიანის სულიერი მდგომარეობის განმსაზღვრელი მისი ფსიქიკური მდგომარეობაა. ფსიქიკის ხელყოფა სულიერი სფეროს ტკივილად აღიქმება. მიგვაჩნია, რომ სოციოლოგიაში, ფილოსოფიასა თუ რელიგიაში დამკვიდრებული შეხედულებების საწინააღმდეგო არ იქნება თუ ვიტყვით, რომ ფსიქიკური ტანჯვა, რასაც სამართალი პიროვნების ემოციური, ფსიქიკური სფეროს ხელყოფას უკავშირებს სულიერი ტანჯვის გამომხატველია

დამკვიდრებული ტერმინი “მორალური ზიანი” და მისი განმარტება მითითებული მიზეზების გამო ჩვენთვის მისაღებია, მაგრამ ვთვლით, რომ უფრო სწორი დეფინიცია იქნებოდა მორალურ ზიანად მიგვეჩნია მართლსაწინააღმდეგო ქმედების შედეგად კანონით დაცული სიკეთეების ხელყოფით გამოწვეული პირის სულიერი ტანჯვა.

³⁷ Смиренская, Елена Витальевна, Компенсация морального вреда как деликтное обязательство, Автореферат, Волгоград, 2000.

³⁸ ქვემო ჭელიძე, “სული და სამშვინველი”, ქურნ. “ამბიონი”, 2010, 21.01.

თავი II. მორალური ზიანის შესახებ მოძღვრების ისტორიული წინამდღვრები და განვითარება.

ისტორიულად მოძღვრება პირადი არაქონებრივი უფლებების შესახებ წარმოიშვა როგორც მოძღვრება საკუთარ პიროვნებაზე უფლების შესახებ. მის წარმოშობას დონელუსის სახელს უკავშირებენ, რომელმაც ჯერ კიდევ მე-16 საუკუნეში რომის სამართლის კომენტირებისას სამართლებრივი დაცვის ღირს სიკეთედ აღიარა სიცოცხლე, ფიზიკური ხელშეუხებლობა, თავისუფლება და პრესტიჟი.³⁹ დონელუსის ამ შეხედულებას მე-19 საუკუნის სამართლისმცოდნეობამ დიდი ყურადღება დაუთმო და იმ ეპოქის ცნობილი იურისტების დისკუსიის საგანი გახადა. მაგალითად, სავინი წინააღმდეგი იყო, რომ სამოქალაქო სამართალს ასეთი უფლება ცალკე განემტკიცებინა, რადგან იგი შეუძლებლად მიიჩნევდა ადამიანის მიერ საკუთარი სხეულისა და სიცოცხლის განკარგვის უფლების აღიარებას. სამაგიეროდ სავინის ეპოქის მეორე დიდი მოღვაწე პუხტა საკუთარ პიროვნებაზე უფლებას შესაძლებლად მიიჩნევდა. ამ იდეას განამტკიცებდა დერნბურგიც პანდექტების ცნობილ სახელმძღვანელოში. პირადი არაქონებრივი უფლებების პირველი დეფინიცია მაინც გირკეს ეკუთვნის, რომლის თანახმადაც, პირადია „უფლებები, რომლებიც მის სუბიექტს უზრუნველყოფენ საკუთარი პირადი სფეროების ამა თუ იმ ნაწილზე ბატონობას“. ⁴⁰ გირკე „პიროვნულ უფლებებს“ უწოდებს „უფლებებს საკუთარ პიროვნებაზე.“ ამასთან მიუთითებს, რომ ეს უფლებები ვლინდება სამართლებრივი წესრიგის მიერ უზრუნველყოფილ ზოგად მოთხოვნაში – იყო პიროვნება.”⁴¹

პირადი არაქონებრივი უფლების, როგორც საკუთარ პიროვნებაზე უფლების, გაგება ერთადერთი არ ყოფილა მე-19 საუკუნეში. არსებობდა შეხედულებაც, რომელიც პირად უფლებებში ხედავდა საზოგადოებისაგან საკუთარი ინდივიდუალობის ყურადღებისა და პატივისცემის უფლებას. ამ შეხედულების გაძლიერება არსებითად გამოიწვია საავტორო სამართლის გაძლიერებამ. მისი არსებობა უკავშირდება გარეისის სახელს, რომელმაც

³⁹ ლ. ჭანტურია „შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში“, თბ. 1997, გვ. 189.

⁴⁰ ლ. ჭანტურია „შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში“, თბ. 1997 გვ. 189.

⁴¹ Gierke, Deutsches Privatrecht, Band I, 1895, &81.

პირადი უფლებების დეფინიციაც კი ჩამოაყალიბა: „სამართლის სუბიექტს აქვს თავისი ინდივიდუალობის, როგორც ასეთის, აღიარების უფლება“.⁴²

სამართლებრივი სახელმწიფოსათვის დამახასიათებელია ადამიანის უფლებების და თავისუფლების უზრუნველყოფის მაღალი ხარისხის არსებობა. მის უმთავრეს ამოცანას წარმოადგენს, როგორც კონსტიტუციით აღიარებული უფლებების და თავისუფლებების ეფექტური დაცვა, ასევე დარღვევის შემთხვევაში მათი სამართლიანი, სწრაფი, ეფექტური აღდგენა და მიუენებული ზიანის ანაზღაურება.

მორალური ზიანის კომპენსაციის ინსტიტუტი მრავალ ქვეყანაში დიდი ხანია არსებობს, წარმოადგენს მათი სამართლებრივი სისტემის განუყოფელ ნაწილს და სამოქალაქო სამართლის ნორმების სამართლებრივი რეგულირების ობიექტს. ამასთან აშკარაა, რომ არამატერიალური საკუთრების მართლსაწინაღმდეგო ხელყოფის შემთხვევების დიდი ურავლესობა ქმნის ასევე სისხლის სამართლებრივად დასჯადი ქმედების შემადგენლობას, რამაც როგორც ჩანს განსაზღვრა მჭიდრო კავშირი ადამიანის იდეალური სიკეთეების დაცვასა და სისხლის სამართალწარმოებას შორის.

ჯერ კიდევ სამართლებრივი ისტორიის საწყის ეტაპზე ზოგადსავალდებულო ნორმები ითვალისწინებდნენ სხეულის განზრახი ან გაუფრთხილებელი დაზიანების და სიკვდილის კომპენსირების შესაძლებლობას. ამასთან მორალურ ზიანს ნაკლებად უწევდა ანგარიშს რომის სამართალი, სადაც ზიანის ქვეშ იგულისხმებოდა “ყველანაირი ქონებრივი ზარალი, რომელიც ვინმებ განიცადა რაიმე მოვლენის ძალით... ზიანის ანაზღაურების იურიდიულ საფუძველს წარმოადგენს ან ხელშეკრულება ან სამართალდარღვევა – სამართალდარღვევით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების ვალდებულება ითვალისწინებს მოქმედის ბრალეულობას. ზიანის ანაზღაურება ხორციელდება ფულადი თანხის გადახდით, რამდენიმე გაიზრდებოდა დაზარალებულის ქონება, თუკი ზიანის მიმუენებელი მოვლენა არ დადგებოდა, ან თუკი ვალდებულება (დროულად) შესრულდებოდა” ანუ ძირითადად ანაზღაურებას ექვემდებარებოდა ზიანი, რომელსაც გააჩნდა ზუსტი ფულადი ექვივალენტი.

რომის სამართალში, რომელიც ტრადიციულად ძირითად აქცენტს აკეთებდა მოქალაქეთა ქონებრივი უფლებების დაცვაზე იგრძნობოდა

⁴² ლ. ჭანტურია „შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში”, ობ. 1997, გვ. 190.

ადამიანის ცხოვრების არამატერიალური სფეროს: სიცოცხლის, ჯანმრთელობის, პატივის, ღირსების დაცვის ტენდენცია. ჯერ კიდევ XII ტაბულის ქანონებში უდაოდ იყო არა მარტო ჯანმრთელობისათვის მიუწებული ზიანის, არამედ დაზარალებლისთვის მიუწებული ტანჯვის მატერიალური კომპენსაციის მცდელობა. სხვისი არაქონებრივი უფლებების დარღვევისათვის დამნაშავეს ეკისრებოდა ჯარიმა, დაზარალებულის სასარგებლოდ.

§ 2.1. მორალური ზიანის შესახებ მოძღვრების განვითარებისა და კომპენსაციის საკითხი გერმანულ კანონმდებლობაში.

“იმპერატორ კარლ V-ის ძეგლისდებაში, რომელიც ცნობილია “კაროლინას” სახელწოდებით ნახსენებია “ფულადი კომპენსაცია ტანჯვისათვის”. გერმანიაში დღესაც ამავე სახელწოდებით არსებობს ფულადი ანაზღაურების ინსტიტუტი მიუწებული ტკივილისა და ტანჯვისათვის. გერმანულ კანონმდებლობაში თანდათან გამოიკვეთა ინტერესი იმ პირთა მიმართ, რომლებიც უკანონოდ იქნენ მიცემული სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებაში, ძირითადად ისინი, ვისაც არამართლზომიერად აღუკვეთეს თავისუფლება. როგორც 1776წ. პრუსიაში მიღებულ კანონში, ისე გერმანიის სამოქალაქო კოდექსის §823-ში საუბარია ფულადი კომპენსაციის გადახდაზე იმ ზიანის მიუწებისთვისაც, რომელსაც არა აქვს ქონებრივი ხასიათი.”⁴³ ამასთან ეს კომპენსაცია მოცემული ნორმით გათვალისწინებულია იმ შემთხვევებისათვის, როცა არაქონებრივი ზიანი დგება ისეთი არამართალზომიერი ქმედების შედეგად, რაც ზიანს აყენებს დაზარალებულის ჯანმრთელობას, ან კიდევ არამართალზომიერად ზღუდავს დაზარალებულის თავისუფლებას. ტანჯვის ქვეშ გერმანულ სამართალში იგულისხმება, როგორც ფიზიკური, ისე ფსიქიკური ტანჯვა.

გერმანიის სამოქალაქო კოდექსი არ შეიცავს სპეციალურ ნორმებს პიროვნების უფლებათა დაცვის შესახებ. “იგი გერმანიის ძირითადი კანონით აღიარებული ადამიანის ღირსებიდან და პიროვნების თავისუფლადი

⁴³ კონრად ცვაიგერტი, ჰაინ კოტცი “შედარებითი სამართალმცოდნეობის შესავალი კერძო სამართლის სფეროში,” ტომი II, თბ. 2001, გვ. 380.

განვითარების უფლებიდან ბუნებრივად გამომდინარედ მიიჩნევა. თუმცა პარალელურად ხდება კანონით ზოგიერთი პიროვნული უფლების დაცვაც, როგორებიცაა, მაგალითად, სახელის უფლება და გამოსახულების უფლება.⁴⁴

ზიანის მიყენების შედეგად წარმოშობილი ურთიერთობების მარეგულირებელ საერთო ნორმას წარმოადგენს გერმანიის სამოქალაქო კოდექსის §823. თუმცა §823-ის პირველი აბზაცი ნებას იძლევა აღიძრას სარჩელები ბრალეული ქმედებების შედეგად მიყენებული ზიანის გამო. ეს მოქმედებები უნდა გამოიხატებოდეს სხეულის დაშავებაში, ჯანმრთელობისათვის ზიანის მიყენებაში და თავისუფლების შეღახვაში. მაგრამ აქ დაცულია ინდივიდის მხოლოდ ფიზიკური არსებობა.⁴⁵ მოცემულ აბზაცში საუბარი არ არის ინდივიდის ღირსების და მისი კერძო ცხოვრების სფეროს დაცვაზე უკანონო ჩარევისაგან. მიუხედავად იმისა, რომ XIX საუკუნის მრავალი ცნობილი მეცნიერი სავალდებულოდ მიიჩნევდა დელიქტური სამართლის ნორმებით “პიროვნების ზოგადი უფლებების” განსაკუთრებით პატივის, ღირსების და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების დაცვას. გერმანიის სამოქალაქო კოდექსშია არ გაიზიარა მათი რეკომენდაციები. მხოლოდ §12-შია მითითებული, რომ პირს, რომლის სახელსაც მეორე პირი უნებართვოდ იყენებს, უფლება აქვს მოსთხოვოს მას ამგვარი ქმედებისგან თავის შეკავება.⁴⁶ “სახელზე უფლება სხვა უფლების” სახით აღიარებულია §823-ის პირველი აბზაცით. სასამართლოები სამართლებრივი დაცვით ხშირად უზრუნველყოფენ საკუთარ გამოსახულებაზე უფლებას. გერმანიის ამჟამინდელ ძირითად კანონში, (კონსტიტუციაში) აღნიშნული ღირებულებები დაფიქსირდა პირველ და მეორე მუხლებში. ფედერალურმა სასამართლომ 1954 წლის გადაწყვეტილებაში პირველად აღიარა პიროვნების უფლება “სხვა უფლებად” გერმანიის სამოქალაქო კოდექსის §823 პირველი აბზაცის შინაარსით, ანუ მისი ზოგადი ხასიათი.”⁴⁷ ამ გადაწყვეტილებას მოჰყვა სხვები, რომლებმაც პირადი არაქონებრივი უფლებები გერმანულ სამართლში სამოქალაქოსამართლებრივი დაცვის, კერძოდ, დელიქტურსამართლებრივი დაცვის ობიექტად აქციეს.

⁴⁴ დაგით კერესელიძე, “კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები,” გვ. 139.

⁴⁵ კონრად ცვაიგერტი, ჰაინ კოტცი “შედარებითი სამართალმცოდნეობის შესავალი კერძო სამართლის სფეროში,” ტომი II, თბ. 2001, გვ. 380.

⁴⁶ გერმანიის სამოქალაქო კოდექსი (BGB), თბილისი, 2010 წელი, გამომცემლობა “სიესტა.”

⁴⁷ ლ. ჭანტურია “შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში”, თბ. 1997, გვ. 192.

გერმანიის სამოქალაქო კოდექსში შესული ცვლილებებით (2000 წლის 19 ივნისი) მორალური ზიანის ანაზღაურების სამართლებრივი რეგულირების საკითხშიც მნიშვნელოვანი ცვლილებები განხორციელდა. კერძოდ კოდექსის 847-ე მუხლი სრულად იქნა ამოღებული კოდექსიდან და აღნიშნული ნორმის 1 აბზაცი მცირე ცვლილებებით გადატანილ იქნა 253-ე მუხლის მეორე აბზაცში.

847-ე მუხლის 1 აბზაცი ადგენდა: ფიზიკური ზიანის მიუენების შემთხვევაში ან ჯანმრთელობისთვის სხვაგვარი ზიანის მიუენების დროს ან თავისუფლების უკანონოდ შეზღუდვისას დაზარალებულს შეუძლია მოითხოვოს ფულადი კომპენსაცია ზიანისთვის რომელიც არ წარმოადგენს მატერიალურ ზიანს. ამჟამად კოდექსის 253-ე მუხლი შემდეგნაირად არის ჩამოყალიბებული:

1) ზიანის მიუენებისათვის, რომელიც არ წარმოადგენს მატერიალურს ფულადი კომპენსაცია შეიძლება მოთხოვნილ იქნას მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში;

2) თუ ფიზიკური ან ჯანმრთელობისათვის მიუენებული სხვაგვარი ზიანი, უკანონოდ თავისუფლების აღკვეთა, სექსუალური თავისუფლების შეზღუდვა ექვემდებარება ანაზღაურებას, ამასთანავე ზიანისთვის, რომელიც არ წარმოადგენს ქონებრივს შეიძლება მოთხოვნილ იქნას სამართლიანი ანაზღაურება. თუმცა არც 823-ე, არც მანამდე მოქმედ 847-ე და ამჟამად მოქმედ 253-ე მუხლში არ არის კონკრეტული მითითება სხვა უფლებებსა თუ სიკეთეებზე, რომელთა დარღვევაც იძლევა შესაძლებლობას პირმა მოითხოვოს არაქონებრივი ზიანი. სასამართლო პრაქტიკა ამ შემთხვევაში გერმანიის კონსტიტუციის პირველი და მეორე მუხლების გამოყენებით აღიარებს სხვა უფლებების არსებობასაც, რომელთა დარღვევის შემთხვევაშიც შესაძლებელია არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა.⁴⁸

შესაბამისად გერმანიის სამოქალაქო კოდექსში განხორციელებული ცვლილებების არსი მდგომარეობს იმაში, რომ შესაძლებელი გახდა არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების ინსტიტუტის გამოყენება არა მხოლოდ ბრალეული არასახელშეკრულებლო ურთიერთობისას მიუენებული ზიანის დროს, არამედ იმ დროსაც, როცა დაზარალებული და ზიანის მიმყენებელი

⁴⁸ ლევან დოდონაძე “მორალური ზიანის ანაზღაურება”, 2010 წელი, გვ.17.

სახელშეცრულებო ურთიერთობაში იყვნენ ერთმანეთთან, ასევე იმ დროს, როცა ზიანი შემთხვევით მიადგა პირს მომეტებული საფრთხის წყაროს მიერ. ამასთანავე განცდილი ტანჯვა ანაზღაურდება იმ შემთხვევაშიც, როდესაც ზიანი გამოწვეული, იყო პიროვნების საყოველთაო უფლებების ხელყოფის დროს და არა მხოლოდ 253-ე მუხლის მეორე ნაწილში მითითებული სამართლებრივი სიკეთის ხელყოფის დროს, თუმცა განხორციელებული ცვლილებების შედეგად ჩამოყალიბებული 253-ე მუხლის მე-2 ნაწილის სიტყვასიტყვითი აზრიდან შეიძლება ვიფიქროთ რომ მატერიალური ზიანის ანაზღაურება არის აუცილებელი საფუძველი მორალური ზიანის ანაზღაურებისათვის.⁴⁹

თუმცა ფედერალურმა სასამართლომ თავის გადაწყვეტილებაში უგულებელყო აღნიშნული ნორმა და ჩათვალა, რომ პიროვნების სამოქალაქო-სამართლებრივი დაცვა “არასაკმარისი და ხარვეზიანი იქნება, თუ მოპასუხე არ იქნება იძულებული ანგარიში გაუწიოს პიროვნების უფლების დარღვევის სიმძიმის ადექვატურ სანქციას.⁵⁰ აღნიშნულიდან სასამართლოებისთვის მუდმივი პრაქტიკა გახდა მორალური ზიანის ანაზღაურება, თუ “მეტად სერიოზულია” მოსარჩელის პიროვნული უფლებების ხელყოფა. აქ ითვალისწინებენ მოპასუხის ქმედების მოტივაციას, მისი ბრალის სიმძიმეს, აგრეთვე მოსარჩელის პიროვნულ უფლების ხელყოფას და შორსმიმავალ შედეგთა სიმძიმეს.⁵¹

აღნიშნულ გადაწყვეტილებაში ბევრია საერთო შვეიცარულ სამართლითან იმ თვალსაზრისით, რაც უკავშირდება პიროვნების უფლების დარღვევისათვის ზიანის ანაზღაურებას. ვალდებულებითი სამართლის შესახებ შვეიცარიის კანონის 49-ე მუხლის თანახმად, ზიანის ანაზღაურების შესახებ სარჩელი მოცემულ შემთხვევაში შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, თუ ეს “გამართლებულია დარღვევის სერიოზულობით და მისი სხვაგვარად გამოსწორება ვერ მოხერხდება.”⁵² სხეულის ხელშეუხებლობის დარღვევა – ეს არის ზიანის მიუენება არამარტო სხეულის მთლიანობისათვის, არამედ ნებისმიერი ჩარევა გარეგნულ ხელშეუხებლობაში. ჯანმრთელობისათვის ზიანის მიუენება გულისხმობს ადამიანის ორგანიზმი ფიზიკური და

⁴⁹ А.М. Эрделевский компенсация морального вреда Москва 2007. С 62.

⁵⁰ Krauzer, The right of Privacy in Germani, Duke L.J. 1965. გვ.112.

⁵¹ იქვე, გვ. 112.

⁵² კონტად ცვაიგერტი, ჰაინ კოტცი “შედარებითი სამართალმცოდნეობის შესავალი კერძო სამართლის სფეროში,” ტომი II, თბ. 2001, გვ. 385.

ფსიქიდური სასიცოცხლო პროცესების დარღვევას. სასამართლო პრაქტიკა უარს ამბობს კომპენსაციაზე სხეულის უმნიშვნელო დაზიანების შემთხვევებში. მაგრამ იმის გამო, რომ არ არსებობს ზიანის “უმნიშვნელოდ” ცნობის კრიტერიუმი, საკმაოდ რთულია უმნიშვნელო ზიანის მნიშვნელოვანისაგან გამიჯვნა.

გერმანული კანონმდებლობა თავისუფლების აღკვეთის შემთხვევაშიც კი, რომელიც როგორც წესი გულისხმობს ფიზიკური თავისუფლების შეზღუდვას, ციხეში ჩასმას ან ხელბორკილის დადებას, მოქმედებს პრინციპი, რომლის თანახმადაც თავისუფლების უმნიშვნელო შეზღუდვა (მაგ. დაკავება რამოდენიმე წუთით) არ წარმოშობს მიყენებული ზიანისათვის კომპენსაციის უფლებას.⁵³

“გერმანიის სამოქალაქო კოდექსის §826-ის თანახმად “პირი, რომელმაც განზრახ მიაყენა ზიანი მეორე პირს უზნეო მოქმედებით, მოვალეა აუნაზღაუროს ზიანი”. სასამართლოები აღნიშნულ ნორმას იყენებენ ზიანის ანაზღაურებისთვის რიგ შემთხვევებში, როდესაც მეორე მხარის დამზარალებელი ერთი მხარის მოქმედება იმდენად აგრესიული და უღირსია, რომ სცილდება მოცემული საზოგადოებრივი ჯგუფის საყოველთაოდ აღიარებულ ზრდილობის ჩარჩოებს.”⁵⁴

მიუხედავად იმისა, რომ 823-ე პარაგრაფში კონკრეტულად არ არის მითითებული სხვა უფლებები და სიკეთეები, რომელთა დარღვევა წარმოშობს კომპენსაციის უფლებას, სასამართლო პრაქტიკამ ძირითადი კანონის (კონსტიტუციის) 1 და 11 მუხლების განმარტების გზით აღიარა სხვა სამართლებრივი სიკეთეების არსებობა, რომელთა ხელყოფით გამოწვეული ტანჯვა ექვემდებარება კომპენსაციის დაკისრებას. გარდა ამისა გერმანიის სასამართლო პრაქტიკაში გრძელდება პიროვნების საყოველთაო უფლებების განსხვავებული ტიპების განსაზღვრა, რომლებიც წარმოშობენ კომპენსაციის უფლებას ტანჯვისათვის. ასეთ სამართალდარღვევათა რიცხვს უნდა მივაკუთვნოთ მიმოწერის საიდუმლოსა და ჩანაწერთა კონფიდენციალობის დარღვევა, პიროვნების პირად ცხოვრებაში ჩარევა, არასანქციონირებული ფოტოგადაღება, პირის პირადი ცხოვრების შესახებ ცნობების გავრცელება, პირის სახელის გამოყენება სარეკლამო მიზნებისათვის მისი ნებართვის

⁵³ Lorenz, Privacy and the Press. The German Experience, 1990.

⁵⁴ კონტად ცვაიგერტი, ჰაინ კოტცი “შედარებითი სამართალმცოდნეობის შესავალი კერძო სამართლის სფეროში,” ტომი II, თბ. 2001, გვ. 293.

გარეშე. მსგავსი მოქმედებებით მიყენებულმა ტანჯვამ შეიძლება წარმოქმნას ფულადი კომპენსაციის მოთხოვნის უფლება.

“1907 წელს მიღებულ საავტორო კანონის ტექსტში პირდაპირ ჩაიწერა, რომ „გამოსახულების“ გამოქვეყნება ან გავრცელება ანდა გამოფენა შეიძლება მხოლოდ იმ პირის თანხმობით, ვისი გამოსახულებაც უნდა გამოქვეყნდეს ან თუ ის გარდაცვლილია, მისი მემკვიდრეების თანხმობით. გამონაკლისს ამ წესიდან შეადგენს იმ პირთა გამოსახულებების გამოქვეყნება, რომლებიც ე.წ. ისტორიულ პიროვნებებს განეკუთვნებიან. მათი გამოსახულების გამოქვეყნება შეიძლება ამ პირთა თანხმობის გარეშეც მცირე გამონაკლისების გათვალისწინებით. მიუხედავად იმისა, რომ 1907 წლის კანონი „გამოსახულებას“ ვიწრო გაგებით იყენებდა, 1920 წელს გერმანიის სასამართლომ მას უფრო ფართო მნიშვნელობა მიანიჭა და მის შინაარსში ჩააქსოვა პირის სასცენო, თეატრალური წარმოსახვაც. კერძოდ, სასამართლომ კაიზერ ვილჰელმ II-ის სახის სასცენო წარმოსახვა გამოსახულების უნებართვო გამოქვეყნებად ჩათვალა და იმპერატორის მოთხოვნა დაკმაყოფილა.

„გამოსახულებისგან“ განსხვავებით, ადრეული სასამართლო პრაქტიკა კერძო წერილების გამოქვეყნებას მხოლოდ იმ შემთხვევაში იცავდა, თუკი ეს წერილები ლიტერატურულ ღირებულებას წარმოადგენდა და შესაბამისად შეიძლებოდა მათზე საავტორო სამართლის მოქმედების გავრცელებაც, მაგალითად, საიმპერიო სასამარალომ ამგვარად დაიცვა ნიცშეს წერილები გამოქვეყნებისგან იმ მოტივით, რომ ისინი ხელოვნების ქმნილებებად მიიჩნია. ხოლო, რაც შეეხება რიხარდ ვაგნერის წერილებს, მათზე ასეთი დაცვა არ გაავრცელა იმ მოტივით, რომ ეს წერილები საქმიანი ხასიათის იყო.”⁵⁵

ტანჯვის არსებობას გერმანიის სასამართლო პრაქტიკა ყოველთვის როდი ანიჭებდა ერთიდაიგივე მნიშვნელობას. “ასე მაგალითად, გვრ ფედერალური სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით ადრე ტვინის მძიმე ტრამვის შედეგად პიროვნების სრული დაცემის შემთხვევაში მხედველობაში მიიღებოდა არამატერიალური ზიანის მიუენებისათვის კომპენსაციის საჯარიშო ხასიათი და ზიანის მიმყენებელს ეკისრებოდა საგრძნობი ფულად თანხა. “კომპენსაციის ოდენობის შეფასებისას ჯანმრთელობისათვის ზიანის

⁵⁵ ლ. ჭანტურია „შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში“, თბ. 1997, გვ. 192.

მიუენების შედეგად ტანჯვის არარსებობის ფაქტი მხედველობაში მცირედ მიიღებოდა.”⁵⁶

შემდგომ გვრ ფედერალურმა სასამართლომ უარი თქვა ამ თვალსაზრისზე და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ სასამართლომ უნდა შეამციროს კომპენსაციის ოდენობა ზიანის მიუენებისათვის იმ შემთხვევაში, თუკი მოხდა პიროვნების სრული დაცემა. ამასთან დაზარალებულის შესაძლებლობას, განეცადა ტანჯვა და გაეცნობიერებინა თავისი მდგომარეობა არსებითი მნიშვნელობა ენიჭებოდა არამატერიალური ზიანის მიუენებისათვის კომპენსაციის ოდენობის განსაზღვრისას. მსგავს შემთხვევებში, როცა გარემომცველი ვითარების მგრძნობელობითი, ემოციური ან რაციონალური აღქმის შესაძლებლობის დაკარგვით დაზარალდა დაზარალებულის პიროვნება, სასამართლოები განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდნენ ექსპერტების დასკვნებს. მაშინაც კი, როცა პიროვნების დაცემა სათანადო წესით მტკიცდებოდა, სასამართლოები არც თუ დიდი ენთუზიაზმით ამცირებდნენ კომპენსაციის ოდენობას სიმბოლურ თანხამდე.⁵⁷

“სიტუაცია, რომლის დროსაც უფრო დიდ არამატერიალურ ზიანს (ძირითადად ჯამრთელობისათვის მიუენებული დიდი ზიანი) შეეძლო გამოეწვია კომპენსაციის უფრო მცირე ოდენობა ექცეოდა მთელი რიგი გერმანელი სამართალმცოდნეულის კრიტიკის ქვეშ, რის შედეგადაც დღესდღეობით დამოკიდებულება კომპენსაციის ფუნქციონალური დანიშნულებისა და არამატერიალური ზიანის მიმართ შეიცვალა და დაზარალებულის მიერ სხეულის დაზიანების შედეგად გარემომცველი მგრძნობელობითი და (ან) რაციონალური აღქმის დაკარგვა განიხილება როგორც გარემოება, რომელიც იწვევს კომპენსაციის ოდენობის გაზრდას, რომელიც ამ შემთხვევაში განიხილება, როგორც კომპენსაცია არა გადატანილი ტანჯვისა, არამედ უშუალოდ სასიცოცხლო სიკეთეების ხელყოფისათვის.”⁵⁸

⁵⁶ კონრად ცვაიგერტი, ჰაინ კოტცი “შედარებითი სამართალმცოდნეობის შესავალი კერძო სამართლის სფეროში,” ტომი II, თბ. 2001, გვ. 289.

⁵⁷ Lorenz, Privacy end the Press. The German Experience, 1990. 148.

⁵⁸ კონრად ცვაიგერტი, ჰაინ კოტცი “შედარებითი სამართალმცოდნეობის შესავალი კერძო სამართლის სფეროში,” ტომი II, თბ. 2001, გვ. 290.

“პირადი არაქონებრივი უფლებების დარღვევა შეიძლება გამოიხატოს დარღვევის კრიტიკაში, რომელიც სცილდება საქმიანი კრიტიკის ფარგლებს და ადრესატის დირსების შელახვას იწვევს.”⁵⁹

დასავლეთის ქვეყნების სასამართლო პრაქტიკაში ბოლო დროს პირადი არაქონებრივი უფლებების დარღვევის კიდევ ერთი ჯგუფი გამოიკვეთა, რომელიც კომპიუტერულ ტექნიკასთან არის დაკავშირებული. კერძოდ, ლაპარაკია ისეთ შემთხვევებზე, როცა ამა თუ იმ პიროვნების შესახებ კომპიუტერში შენახული ინფორმაცია უნდაართვოდ გადაეცემა სხვა პირებს. მაგალითად, ამერიკის შეერთებულ შტატებში ამ ჯგუფის სამართლდარღვევას უწოდებენ computer privacy-ს.”⁶⁰ პირადი უფლების დარღვევისას, მოსარჩევეს შეუძლია თავი დაიცვას სასამართლო გადაწყვეტილებით, რომელიც ავალდებულებს მოპასუხეს უკან წაიღოს გამონათქვამი, შეწყვიტოს მისი მისამართით მსგავსი გამონათქვამები. ამას გარდა, თუ მოპასუხე დამახინჯებული ფაქტების მოხმობით აზარალებს მოსარჩევეს, უკანასკნელს შეუძლია მოითხოვოს მათი ხანგრძლივი და უარყოფითი შედეგების აცილება. ასეთ შემთხვევაში სასამართლო ავალდებულებს მოპასუხეს განცხადებით მიმართოს იგივე პირთა წრეს, რომელშიც უარყოფს ადრინდელ უმართებულო მტკიცებას.⁶¹ ისიც მნიშვნელოვანია, რომ სასამართლომ უფლება მისცეს მოპასუხის ხარჯით დაბჭდოს უურნალში სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელიც ავალდებულებს მოპასუხეს უკან წაიღოს და შეწყვიტოს გასაჩივრებული გამონათქვამი.⁶² “განსაკუთრებით მკვეთრია სასამართლოების პოზიცია პოლიტიკოსების და პუბლიცისტების მიმართ. ისინი იძულებულნი არიან აიტანონ უკელაზე მწარე და ცალმხრივი კრიტიკა ყოველთვის, როცა საჯარო გამოსვლების მათეული მანერით ან პოლიტიკური ბრძოლის წარმართვით იწვევენ ასეთ კრიტიკას, მეტად დაუცველნი არიან და საბაბს აძლევენ მოწინააღმდეგებს საკამათო მოსაზრებები გამოთქვან მათი პიროვნების საწინააღმდეგოდ.”⁶³

⁵⁹ ლ. ჭანტურია “შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში”, თბ. 1997, გვ. 194.

⁶⁰ ლ. ჭანტურია “შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში”, თბ. 1997, გვ. 196.

⁶¹ Krauzer, The right of Privacy in Germani, Duke L.J. 1965. 108.

⁶² იქვე, გვ. 108.

⁶³ კონრად ცვაიგერტი, ჰაინ კოტცი “შედარებითი სამართალმცოდნეობის შესავალი კერძო სამართლის სფეროში,” ტომი II, თბ. 2001, გვ. 384.

პასუხისმგებლობა წარმოიშობა მხოლოდ უშუალოდ დაზარალებულის მიმართ. ასეთად მიიჩნევა ყოველი, რომლის სიკეთებსაც მიადგა ზიანი, თუკი ეს ზიანი იმყოფება ადეკვატურ მიზეზობრივ კავშირში არამართალზომიერ ქმედებასთან. დაზარალებულად შეიძლება მიჩნეულ იქნას შემთხვევის ყოველი თვითმხილველიც, რომელმაც მიიღო ნერვული შოკი.⁶⁴ თუმცა სასამართლო პრაქტიკა უშვებს გამონაკლისს, თუკი შემთხვევის თვითმხილველი ახლო ურთიერთობაში იმყოფება დაზარალებულთან. ამ შემთხვევაში თვითმხილველი ასევე მიიჩნევა დაზარალებულად უშუალოდ სამართალდარღვევის ე.წ. დისტანციური ზემოქმედებისაგან და იძენს კომპენსაციის უფლებას. ზოგიერთი გერმანელი სამართალმცოდნის აზრით კანონმდებლობა და სასამართლო პრაქტიკა უნდა შეიცვალოს იმგვარად, რომ დაზარალებულის ახლობლებს მიენიჭოთ კომპენსაციის უფლება დაზარალებულის გარდაცვალებით გადატანილი ტანჯვისათვის.

§ 2.2. მორალური ზიანის შესახებ მოძღვრების განვითარებისა და კომპენსაციის საკითხი ფრანგულ კანონმდებლობაში

საფრანგეთში, ჯერ კიდევ რევოლუციამდე დიდი ხნით ადრე 1789წ. გვხვდებოდა სასამართლო გადაწყვეტილებები, რომლებიც დაზარალებულს უსაზღვრავდა ფულად ანაზღაურებას მორალური ტანჯვისათვის. ზნეობრივი ტანჯვის ანაზღაურების ჩვეულებრივ შემთხვევებს წარმოადგენდა შეურაცხოვა და ცილისწამება ზეპირი და სიტყვიერი ფორმით, სხვის საცხოვრებელში შექრა, ჯანმრთელობისათვის ზიანის მიუქნება, თავისუფლების უკანონო აღკვეთა. ახლობლის სიკვდილისათვის მორალური ზიანის ანაზღაურება შეეძლოთ მოეთხოვათ მშობლებს, შვილებს, დებს და ქმებს. ამასთან არ იყო აუცილებლობა, რომ ისინი ყოფილიყვნენ ქონების მექვიდრეები, საკმარისი იყო ზიანის არსებობის დამტკიცება. ზნეობრივი ზიანი წარმოადგენდა იმის საფუძველს, რომ დაზარალებული გამოსულიყო სამოქალაქო მოსარჩელის სახით, არა მარტო სამოქალაქო, არამედ სისხლის სამართლის საქმეებშიც. “1970წ. საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსში შევიდა 1X მუხლი, რომელიც პირდაპირ ითვალისწინებდა პირადი არაქონებრივი

⁶⁴ Lorenz, Privacy end the Press. The German Experience, 1990. 149.

უფლებების დაცვას. თუმცა ამას არ შეუტანია რაიმე არსებითი სიახლე ფრანგულ სამართალშეფარდებით პრაქტიკაში, რომელიც აღრეც წარმატებით იყენებდა პირადი არაქონებრივი უფლებების დაცვის უზრუნველსაყოფად ზიანის ანაზღაურებას.”⁶⁵ თუმცა აღნიშნულ კოდექსში ზიანი ნახსენებია საერთო კატეგორიით და მისი გამიჯვნა ქონებრივად და არაქონებრივად არ ხდება. ვინაიდან ფრანგულ კანონმდებლობაში მორალური ზიანი არ გამოიყოფა როგორც ზიანის ცალკე სახე, მისი მიყენებისათვის პასუხისმგებლობის საფუძვლების შემადგენლობა ემთხვევა ზიანის მიყენებისათვის პასუხისმგებლობის საერთო საფუძვლებს.

“საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსის მე-9 მუხლით “ყველას აქვს უფლება პატივი სცენ მის კერძო ცხოვრებას.” ფრანგული სასამართლო პრაქტიკა ისედაც უზრუნველყოფდა პიროვნების სამოქალაქო-სამართლებრივ დაცვას კოდექსის 1382-ე და 1383-ე ზოგადი დათქმების მეშვეობით. მათ თანახმად “ყველა მოვალეა აანაზღაუროს თავისი მართლსაწინააღმდეგო მოქმედებით სხვა პირისათვის მიყენებული ზიანი.” როგორც ზემოთ აღვნიშნეთ სამოქალაქო კოდექსის ტექსტი არ განასხვავებს მატერიალურ და მორალურ ზიანს.”⁶⁶ ასევე არ განასხვავებს მას თანამედროვე სასამართლო პრაქტიკა, სასამართლო გადაწყვეტილებებში არ უთითებს, თუ რა ოდენობით უნდა ანაზღაურდეს ქონებრივი ზიანი და რა ოდენობით – არამატერიალური ზიანი.

მორალური ზიანის მოცულობა ყოველი კონკრეტული შემთხვევის გარემოებებზეა დამოკიდებული და შეიძლება შეადგენდეს სიმბოლურ თანხას. ერთ-ერთ საქმეში ქმარმა ცოლს და მის საყვარელს მორალური ზიანის ანაზღაურება მოსთხოვა ცოლ-ქმრული ერთგულების დარღვევის გამო. სასამართლომ დააკმაყოფილა სარჩელი ცოლის მიმართ ერთი ფრანგის, ხოლო საყვარლის მიმართ 100 ფრანგის ოდენობით.

“მართლწესრიგი, რომელიც გერმანიის სამოქალაქო კოდექსის §823-ის პირველი აბზაციისგან განსხვავებით, არ ზღუდავს დელიქტური სამართლის ნორმათა დამცავ ფუნქციას, მხოლოდ გარკვეული, კანონში მითითებული სამართლებრივი ღირებულებებით, რასაკვირველია მეტი ობიექტურობით

⁶⁵ ლ. ჭანტურია “შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში”, თბ. 1997, გვ. 197.

⁶⁶ ლ. ჭანტურია “შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში”, თბ. 1997, გვ. 198.

უდგება პიროვნების უფლებათა დაცვის პრობლემათა გადაწყვეტას.”⁶⁷ ის გარემოება, რომ მორალური ზიანი წარმოადგენს სასამართლო პრაქტიკისაგან წარმოშობილს, განაპირობებს კომპენსაციის ოდენობის განსაზღვრისას სასამართლოების ორიენტაციას ადრე გამოტანილ გადაწყვეტილებებზე. ამ ასპექტში ფრანგული სასამართლო პრაქტიკა ემსგავსება გერმანულს, ამასთან მორალური ზიანის კომპენსაციის ოდენობა ძლიერად არის დამოკიდებული კონკრეტული შემთხვევის გარემოებებზე. “ფრანგული კანონმდებლობა და სასამართლო პრაქტიკა არ ზღუდავს პირად არაქონებრივ უფლებებს და სიკეთებს რაიმე განსაზღვრული ჩამონათვალით და მორალური ზიანის კომპენსაციას უშვებენ ძალიან ბევრ შემთხვევაში, რაც ობიექტურად ზრდის ამ სიკეთების სამართლებრივ დაცვას.⁶⁸ ამიტომ ფრანგულ სამართლში, გერმანულისგან განსხვავებით, არ დადგა “პიროვნების საყოველთაო უფლებების” რაღაც ხელოვნური კონსტრუქციის შექმნის აუცილებლობა. მიიჩნევა, რომ პიროვნების უფლებებისათვის მიყენებული ნებისმიერი ზიანი ექვემდებარება კომპენსაციას.”⁶⁹ მორალური ზიანის კომპენსაციის გზით “კლასიკური” არაქონებრივი უფლებებისა და სიკეთების (პატივი და ლირსება, სახელის უფლება, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა და ა. შ.) დაცვის მიმართ ფრანგული სამართალი ემსგავსება გერმანულს, რაც მოგვიანებით აღიარა ქართულმა კანონმდებლობამ. დაუშვებლად ითვლება, პირის თანხმობის გარეშე მისი გამოსახულების გამოქვეყნება. სასამართლოები ზღუდავენ აღნიშნული პრინციპის მოქმედებას, ისე როგორც გერმანული კანონი “შესატვრული შემოქმედების შესახებ” (§23) იმგვარად, რომ აღიარებულ პიროვნებათა გამოსახულება არ საჭიროებს მათ თანხმობას. იგივე დაცვა გრცელდება იმ შემთხვევებზე, როცა საქმე ეხება გამოსახულების უკანონო დამზადებასა და გავრცელებას როდესაც ქვეყნდება კერძო ცხოვრების გარემოებები. ⁷⁰

“თითქმის საუკუნის განმავლობაში, ფრანგული სასამართლო პრაქტიკა, იცავს პირადი მიმოწერის საიდუმლოებას. თვლის, რომ პირადი წერილის მიმღებს არ აქვს უფლება წერილის გამომგზავნის თანხმობის გარეშე

⁶⁷ კონრად ცვაიგერტი, ჰაინ კოტცი “შედარებითი სამართალმცოდნეობის შესავალი კერძო სამართლის სფეროში,” ტომი II, თბ. 2001, გვ. 385.

⁶⁸ Honore, Causation and Remoteness of Damage, 1971, 108.

⁶⁹ კონრად ცვაიგერტი, ჰაინ კოტცი “შედარებითი სამართალმცოდნეობის შესავალი კერძო სამართლის სფეროში,” ტომი II, თბ. 2001, გვ. 386.

⁷⁰ Honore, Causation and Remoteness of Damage, 1971, 108.

გაახმოვანოს მისი შინაარსი. ადრე ეს წესი ეფუძნებოდა “ჩუმი შეთანხმების” პრეზუმციის არსებობას და პირადი მიმოწერის საიდუმლოების უფლება განიხილებოდა, როგორც ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულება. დღეს მიწნეულია რომ ეს უფლება არ წარმოადგენს აბსოლუტურ პირად არაქონებრივ უფლებას და ყველა სხვა დანარჩენი ვალდებულია თავი შეიკავოს მისი დარღვევისაგან. ფრანგული სასამართლოები უყოფანოდ “ბრალად” რიცხავენ კონფიდენციალური წერილის პუბლიკაციას, მავანის კერძო ცხოვრებიდან ფაქტების გამომზეურებას, მავანის სახელის უკანონოდ გამოყენებას და აიძულებენ როგორც მატერიალური, ისე პირველ რიგში მორალური ზიანის ანაზღაურებას. ⁷¹

პატივსა და ღირსებას იცავს საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსის 1382-ე მუხლი ბეჭდვითი სიტყვის შესახებ კანონის ნორმებთან ერთად. საჯარო შეურაცხყოფა და პატივის და ღირსების შემლახავი ცილისმწამებლური ფაქტების პუბლიკაცია (დიფამაცია) სისხლის სამართლის დანაშაულად ითვლება. შეურაცხყოფით მიყენებული მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა ჩვეულებრივ წარმოებს სამოქალაქო სარჩელის წარდგენით სისხლისსამართლებრივ სამართალ წარმოებაში. სისხლისსამართლებრივი სამართალწარმოება შეურაცხყოფასთან დაბავშირებით მიიჩნევა სავალდებულოდ, თუკი შელახულია მოსამართლის ან სახელმწიფო მოსამსახურის პატივი და ღირსება. სისხლის სამართლის საქმე მოსამართლის ბრალდებით წყდება, თუკი ბრალდებული შეძლებს დაამტკიცოს რომ გავრცელებული ცნობები სინამდვილეს შესაბამება თუმცა ასეთი მტკიცებულებების წარდგენა გამორიცხულია, თუკი სახელის გამტეხი ცნობები ეხება დაზარალებულის პირად ცხოვრებას. თუკი ბრალდებული ვერ შეძლებს გავრცელებული ცნობების სინამდვილესთან შესაბამისობის დამტკიცებას, მაშინ კანონი გამოდის მისი ქმედების “არაკეთილსინდისიერების” პრეზუმციიდან. მაგრამ ბრალდებულს აქაც შეუძლია საპირისპიროს დამტკიცება, მაგრამ ამისათვის უკვე ადარ არის საკმარისი უბრალოდ იმის მტკიცება, რომ იგი დარწმუნებული იყო გავრცელებული ცნობების სისწორეში. მან უნდა დაამტკიცოს რომ

⁷¹ კონრად ცვაიგერტი, პაინ კოტცი “შედარებითი სამართალმცოდნეობის შესავალი კერძო სამართლის სფეროში,” ტომი II, თბ. 2001, გვ. 386.

გავრცელებული ინფორმაცია მის მიერ ზედმიწევნით იყო გადამოწმებული და გავრცელებული კანონიერი მიზნით.⁷²

“დაზარალებულის სიკვდილის შემთხვევაში ფრანგული სასამართლო პრაქტიკა აღიარებს ახლობლების უფლებას მორალური ზიანის კომპენსაციაზე. მორალური ზიანის ქვეშ იგულისხმება დაზარალებულის სიკვდილის უარყოფითი ზემოქმედება ახლობლების გრძნობებზე. სასამართლო პრაქტიკაში განსაზღვრულია იმ პირთა წრე, რომლებიც მიეკუთვნებინ “ახლობლის” კატეგორიას მორალური ზიანის კომპენსაციის მიზნით. ეს ის პირებია, რომლებიც იმყოფებიან გარდაცვლილთან ნათესაურ ან საქორწინო კაშირში. ასეთ პირთა წრე სისტემატიურად განიცდის ცვლილებას, ფართოვდება. ასეთ ადამიანთა წრეს მიეკუთვნება ნაშვილები და აღზრდილები, საცოლე და სასიძო. ოუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ოუკი მორალური ზიანის მიეკუთვნება ნათესავისათვის ან მეუღლისათვის პრეზუმირებულია, ყველა სხვა პირმა კომპენსაციის უფლების მოპოვებისათვის უნდა დაამტკიცონ, რომ დაზარალებულთან ახლო ურთიერთობების გამო მათ განიცადეს მნიშვნელოვანი ტანჯვა. გარდა ამისა 1964 წლიდან სასამართლო პრაქტიკა აღიარებს ახლობლების უფლებას მორალური ზიანის კომპენსაციაზე დაზარალებულის არა მარტო სიკვდილის, არამედ მისი ჯანმრთელობისთვის მძიმე ზიანის შემთხვევაში. ”⁷³

§ 2.3. მორალური ზიანის შესახებ მოძღვრების განვითარებისა და კომპენსაციის საკითხი აშშ-სა და ინგლისში კანონმდებლობაში.

ზოგადი პიროვნული უფლებების არსებითი შემადგენელი ელემენტია აშშ-ის სამართალში საკმაოდ ფართოდ განმარტებული “პირადი სფეროს უფლება.”⁷⁴ იგი ანგლოამერიკულ სამართალში აღიარებული პატივის დაცვის კონსტრუქციისგან დამოუკიდებლად ჩამოყალიბდა და განსხვავებული პრინციპების აღიარებას დაეფუძნა. მოგვიანებით შემუშავებული ერთ-ერთი

⁷² Posner, A Theory of Negligence, 1972, 145.

⁷³ კონრად ცვაიგერტი, ჰაინ კოტცი “შედარებითი სამართალმცოდნეობის შესავალი კერძო სამართლის სფეროში,” ტომი II, თბ. 2001, გვ. 387.

⁷⁴ Warren/Brandeis, The Right to Privacy, Harvard Law Review, 1891(4). 193.

კლასიფიკაციის თანახმად, “პირადი სფეროს სამართალი” ოთხ ჯგუფს აწესრიგებს: სივრცობრივ განმარტოებაში შექრას, სამარცხვინო თუ არასასიამოვნო ფაქტების უნებართვო გამოქვეყნებას, მესამე პირების წინაშე პირზე არასწორი წარმოდგენის შექმნას, სხვისი სახელისა და გამოსახულების უნებართვო გამოყენებას.⁷⁵ მიუხედავად, იმისა, რომ ამ გზით პიროვნული უფლებების კლასიფიკაცია და ფართო სპექტრის აღექვატური დაცვა იქნა მიღწეული, უშუალოდ “პიროვნულობის” ცნებას აშშ-ის სამართალში სკეპტიკური თავშეეკავებით შეხვდნენ. ⁷⁶

ქვეყანა რომელმაც მეტნაკლებად აითვისა მორალური ზიანის ანაზღაურებადობის პრინციპი არის ინგლისი. ინგლისური სამართალი ზიანის ანაზღაურებისას არ აკეთებს არანაირ განსხვავებას მატერიალურ და არამატერიალურ ზიანს შორის. ყოველ ზიანს ეკუთვნის ანაზღაურება თუ იგი ნამდვილი და სერიოზულია.

რამდენადაც ინგლისი მსხვილი კოლონიური სახელმწიფო იყო, ანგლოსაქსონური სისტემის პრინციპები მრავალ ქვეყანაში იყო გაგრცელებული. “ინგლისურ და აშშ სამართალში არსებობს მორალური ზიანის განსაზღვრის მრავალი ვარიანტი: ფსიქოლოგიური ზიანი, ფსიქიატრიული ზიანი, ნერვული შოკი, ჩვეულებრივი შოკი. ნერვულ შოკს ინგლისის იურიდიულ ლიტერატურაში ჩვეულებრივ უწოდებენ ფსიქიკურ ზიანს, რომელიც წარმოიშობა გაუფრთხილებლობით მიუქნებული ზიანის შედეგად.”⁷⁷ თუმცა მსგავსი ტერმინოლოგია მოძველებული ითვლება, ვინაიდან იგი არ იძლევა გაუფრთხილებლობით, განზრას მიუქნებული ზიანიდან ან გარიგების დარღვევისაგან გამომდინარე ზიანის გამიჯვნის შესაძლებლობას. “იმისათვის, რომ ზიანი ჩაითვალოს ნერვულ შოკად, აუცილებელია რომ ეს ზიანი გამოიხატოს ამოსაცნობ ანუ დიაგნოსტიკას დაქვემდებარებულ, ფსიქიკურ დარღვევაში და არა ჩვეულებრივ უარყოფით ემოციებში. მაგ. შიშში, დარდში და ა.შ.”⁷⁸

ფსიქიკური ზიანის, ფიზიკური ზიანის გარეშე წარმოშობის მაგალითია, ახლობელი ადამიანის სიკვდილი. ახლობელი ადამიანის გაუფრთხილებლობით მკვლელობით მიუქნებული ფსიქიკური ზიანი არ ანაზღაურდება, თუკი იგი

⁷⁵ Prosser, Privacy, California Law Review, 1960 (48), 383.

⁷⁶ დავით კერესელიძე, “კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები,” გვ. 141.

⁷⁷ კონრად ცვაიგერტი, პაინ კოტცი “შედარებითი სამართალმცოდნეობის შესავალი კერძო სამართლის სფეროში,” ტომი II, თბ. 2001, გვ. 389.

⁷⁸ იქვე, გვ. 390.

გამოიხატება “ჩვეულებრივ” მწუხარებაში, რამდენადაც მწუხარება განისაზღვრება როგორც ჩვეულებრივი ადამიანური რეაქცია და არა როგორც რაიმე სახის ზიანი.

“საინტერესოა ე.წ. “კვერცხის ნაჭუჭის თავის ქალის წესი” რომელიც გამოიყენება ინგლისისა და ამერიკის სასამართლოების მიერ. ეს წესი იმაში მდგომარეობს, რომ ოუკი პიროვნებას მანქანით ან სხვა საშუალებით გაუფრთხილებლობით მიადგება ფიზიკური ზიანი, ზიანის მიმყენებელს უფლება არა აქვს დაზარალებულის სარჩელს დაუპირისპიროს მოსაზრება, რომ დაზარალებული ნაკლებად ან სულაც არ დაშავდებოდა, ასეთი განსაკუთრებულად თხელი თავის ქალა ან სუსტი გული რომ არ პქონოდ.”⁷⁹ ეს წესი გამოიყენება ფსიქიკური ზიანის კომპენსაციის მოთხოვნის მიმართაც, მაგალითად ოუკი ფსიქიკური ზიანი პრინციპში წინასწარ გასათვალისწინებელია იმ შემთხვევაშიც, კი ოუკი დაზარალებულმა გადაჭარბებული აღქმის გამო მიიღო უფრო სერიოზული ავადმყოფობა, ვიდრე სხვა “ნორმალურმა” ადამიანმა, მას ეს ფსიქიკური ზიანი მთლიანად უნდა აუნაზღაურდეს.⁸⁰ ამრიგად კონკრეტული პირისათვის ფსიქიკური ზიანის კომპენსაციის პირობას წარმოადგენს ზიანის მიმყენებლის მიერ მოცემულ სიტუაციაში მისი წარმოშობის წინასწარი განსაზღვრის შესაძლებლობა. ამასთან საკუთრივ ზიანის მიმყენებლის ქმედება უნდა იყოს ისეთი რომ მას შეეძლოს ნორმალური ფსიქიკის ადამიანში ნერვული შეტევის გამოწვევა. თუმცა მითითებული შეზღუდვები არ გამოიყენება ზიანის განზრახ მიყენების დროს.

“სამართალდაოღვევათა შორის, რომლებიც წარმოშობენ კომპენსაციის მოთხოვნის უფლებას ჩვეულებრივი განცდისთვის არის ძალადობა, დაშინება, იძულება, რომელთა ჩადენის შემთხვევაში არ წარმოიშობა მათი განზრახი ხასიათის მტკიცების აუცილებლობა. თანამშრომლის უკანონო დათხოვნისას ფსიქიკური ტანჯვისათვის კომპენსაცია ეძლევა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დათხოვნის ფორმაშ შეზღუდა მომავალი სამსახურეობრივი მოწყობის შესაძლებლობა.”⁸¹

⁷⁹ კონრად ცვაიგერტი, ჰაინ კოტცი “შედარებითი სამართალმცოდნეობის შესავალი კერძო სამართლის სფეროში,” ტომი II, თბ. 2001, გვ. 301.

⁸⁰ Dias/Markesinis, The English Law of Torts, A Comparative introduction, 1976.

⁸¹ კონრად ცვაიგერტი, ჰაინ კოტცი, დასახ. ნაშრომი გვ. 302.

ცალკე აღნიშვნის დირსია დანაშაულით მიყენებული ფსიქიკური ზიანის კომპენსაციის პრობლემა, რამდენადაც უმრავლეს შემთხვევაში დაზარალებულმა შეიძლება არც შეიტანოს სარჩელი სამოქალაქო სამართალწარმოების წესით, არამედ მიმართოს დანაშაულით მიყენებული ზარალის კომპენსაციისათვის კანონით გათვალიწინებულ სქემას. თუკი დანაშაულის ჩადენა გამოიხატება სხეულის დაზიანებაში, მაშინ ფსიქიკური ზიანისათვის კომპენსაცია გადახდილი იქნება არასადაო წესით. ინგლისში მსგავსი მოთხოვნების განსახილველად შექმნილია კომისია დანაშაულით მიყენებული კომპენსაციის საკითხებზე. კომპენსაციების სქემა ძალაში შევიდა 1994 წლის 1 აგვისტოდან და მას შემდეგ განიცდის მოდიფიცირებას. დღეისათვის მოქმედებს ის სატარიფო სისტემა რომელიც კომისიამ 1994 წლის 1 აპრილის შემდეგ მიიღო. ამ სატარიფო სისტემაში ნეიტრალურად არის აღწერილი კომპენსაციის გადახდის პირობები.

1952 წელს ინგლისში მიღებულ იქნა კანონი დიფამაციის შესახებ, რომელიც მიმართული იყო პიროვნების არაქონებრივი უფლებების დაცვის გაძლიერებისაკენ, რომელიც მიზნად ისახავდა ბალანსის შენარჩუნებს პირის რეპუტაციის უფლებასა და სიტყვის თავისუფლებას შორის. ამასთან პირს სარჩელის წარდგენა შეუძლია მხოლოდ სიცოცხლეში და ეს უფლება მემკვიდრეობით არ გადადის. მხოლოდ სქემატურად შევეხები ყველაზე მნიშვნელოვან პრინციპებს.

პირადი უფლებების დაცვის სფეროში საერთო სამართლის ქვეყნები ერთმანეთისგან განასხვავებენ პატივის დაცვასა და სხვა პირადი უფლებების დაცვას. პატივის დაცვას უზრუნველყოფს როგორც ინგლისური, ასევე ამერიკული სამართალი. ამ მიზანს ემსახურება დელიქტური სამართლის ისეთი ინსტიტუტები, როგორიცაა—კვალიფიციური ცილისწამება (“ბეჭდური ცილისწამება,” “Libel”, პასკვილი) და ჩვეულებრივი, უბრალო ცილისწამება (“ზეპირი ცილისწამება”, “Slender”) მათ აერთიანებს ცნება დიფამაცია (“difamashion”).⁸² კვალიფიციურ ცილისწამებაში იგულისხმება ცილისწამება წერილობით ან სხვა ფორმით, რაც ცნობის გავრცელებას აძლევს მუდმივ ხასიათს, მაშინ როცა უბრალო ცილისწამება – ცილისწამება გაკეთებული ზეპირი ან წერილობითი ფორმით, გავრცელებულ ცნობებს აძლევს დროებით ხასიათს. “სხვა პირადი უფლებების დაცვას ამერიკული სამართალი

⁸² კონრად ცვაიგერტი, ჰაინ კოტცი “შედარებითი სამართალმცოდნეობის შესავალი კერძო სამართლის სფეროში,” ტომი II, თბ. 2001, გვ. 389.

უზრუნველყოფს right of privacy–ის ხელყოფის გამო სარჩელის შეტანის გზით.”⁸³

“ინგლისურ სასამართლო პრაქტიკას პირადი სფეროს დაცვის საკითხში ასეთი ზოგადი უფლება ჯერ არ შეუმუშავებია. ამიტომ პატივის გარდა სხვა პირადი უფლებების დაცვისას ინგლისური სასამართლო მიმართავს libel და slander–ის დელიქტების უფრო ფართო ინტერპრეტაციას. ზოგადად დელიქტი დიფამაცია გულისხმობს ადამიანის პრესტიჟის, მისი პატივისა და საზოგადო აღიარების ხელყოფას იმ გზით, რომ მესამე პირის გამონათქვამები ამცირებს ადამიანის იმიჯს თანამოქალაქეების წინაშე, სასაცილოს ხდის მის ავტორიტეტს, უარყოფით განწყობას უქმნის გარშემომყოფთ ამ ადამიანის მიმართ. საერთო სამართალი ასეთი ხელყოფისათვის დაცვას უზრუნველყოფს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამას საზოგადოებაში პირის იმიჯის შელახვა მოჰყვა.”⁸⁴

პიროვნების ხელშეუხებლობის უფლების (right of privacy) ყველა სხვა დარღვევა აშშ-ში ფასდება კერძო ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების დარღვევად. “დიფამაციას ადგილი აქვს, როდესაც მესამე მხარისადმი მიმართვისას ერთი ადამიანი მავანის დირსებას, რეპუტაციას ან მდგომარეობას შეურაცხყოფას აყენებს იმგვარი მანერით, რომ ეს ამცირებს დაზარალებულს, მოქალაქეთა თვალში, იწვევს სიძულვილს, დაცინვას ან ზიზდს. დაცვის უფლება ენიჭება მაშინ როცა, დისკრედიტირებულია მოსარჩელის საზოგადოებრივი რეპუტაცია. ბეჭდური ცილისწამებისას სარჩელის აღდვრისას არ არის საჭირო განცხადება მატერიალური ზიანის ანაზღაურების თაობაზე. სასამართლო თავად დაადგენს მოცულობას დიფამაციის სერიოზულობის ხარისხიდან გამომდინარე.”⁸⁵ ზეპირი ცილისწამების დროს კი მოსარჩელემ უნდა დაამტკიცოს, რომ დიფამაციის გამო მატერიალური ზიანი ნახა. არსებობს საქმეთა გარკვეული ჯგუფი, სადაც ზეპირი ცილისწამების შემთხვევაშიც კი, მოსარჩელე თავისუფლდება მიუენებული ზიანის მტკიცების ტვირთისაგან. მაგ: თუ მოპასუხე ადანაშაულებს მოსარჩელეს დანაშაულის ჩადენაში ან მიაწერს მას გადამდებ

⁸³ იქვე, გვ. 391.

⁸⁴ ლ. ჭანტურია „შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში”, თბ. 1997, გვ. 200.

⁸⁵ კონრად ცვაიგერტი, ჰაინ კოტცი, დასახელებ. ნაშრომი, გვ. 393.

სნეულებებს.⁸⁶ მოპასუხე პასუხს აგებს არა მარტო დაუდევრობის, არამედ შემთხვევითობის დროსაც. იგი თავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან თუ დაამტკიცებს ბრალის არარსებობას. მოპასუხე შეუძლია ბრალის არარსებობა ამტკიცოს მაშინაც, თუ იგი მონაწილეა მოსარჩევის მიმართ შეურაცხმყოფელი ინფორმაციის გავრცელებაში, მაგრამ მეორეხარისხოვანი როლი აკისრია. ფასიანი ბიბლიოთეკის, მაღაზიის ან გაზეთის კიოსკის მფლობელი თუ თავად არ არის ავტორი, გამომცემლობა ან სტამბა, პასუხს არ აგებს თუ დაამტკიცებს, რომ სიფრთხილის ყველა დონისძიების მიუხედავად, მან ვერ შეძლო მადისკრედიტირებელი ხასიათის ნაბეჭდი პროდუქციის გავრცელების თავიდან აცილება. სხვა შემთხვევაში მოპასუხის ბრალს მნიშვნელობა არა აქვს.⁸⁷ მედიის საშუალებები მადისკრედიტირებელი პროდუქციით მიყენებული ზიანისათვის პასუხს აგებენ მაშინაც, თუ გამომცემელს, რედაქტორს და ავტორს არ შეიძლება სცოდნოდა ფაქტების მცდარობა და მოსარჩევის შეურაცხყოფა. დიფამაციისთვის პასუხისმგებლობისაგან ათავისუფლებენ მაშინაც, თუ მოპასუხე შეძლებს დაამტკიცოს მის მიერ მოყვანილი დამახინჯებული ფაქტების ან კრიტიკული შენიშვნების “პრივილეგია.”⁸⁸

“ინგლისის კანონმდებლობა და სასამართლო პრაქტიკა დიფამაციას მიჯნავს უბრალო შეურაცხყოფისაგან, რომელსაც შეუძლია დაამციროს ადამიანის ღირსება, მაგრამ ზიანს არ აყენებს მის რეპუტაციას. მაგ. სასამართლომ მოსარჩელებს მიმართა “არამზადა, გაიძვერა, ქურდი” ეს ჩაითვლება დიფამაციისა და შეურაცხყოფის ერთობლიობად. “არამზადა და გაიძვერა” – ეს არის შეურაცხყოფა, რომელმაც სახელის გამტეხი შინაარსი შეიძინა სიტყვა “ქურდთან” ერთად. დასკვნა იმის შესახებ ესა თუ ის ცნობა ცილისმწამებლურია თუ შეურაცხმყოფელი დამოკიდებულია საქმის ნამდვილ გარემოებებზე. ასევე მხედველობაში მიიღება გამოყენებული სიტყვების ჩვეულებრივი და ბუნებრივი მნიშვნელობები.”⁸⁹ გავრცელებული ცნობების შეურაცხმყოფელი ხასიათის მტკიცების ტგირთი ეკისრება მოსარჩევეს, რომელიც ვალდებულია დაამტკიცოს, რომ გამონათქვამი ატარებს სწორედ იმ შეურაცხმყოფელ ხასიათს რასაც მოსარჩევე მას მიაწერს. დიფამაციისათვის

⁸⁶ White, Tort Law in America, An intellectual Histori, 1980, 403.

⁸⁷ კონრად ცვაიგერტი, ჰაინ კოტცი “შედარებითი სამართლმცოდნეობის შესავალი კერძო სამართლის სფეროში,” ტომი II, თბ. 2001, გვ. 404.

⁸⁸ იქვე, გვ. 391.

⁸⁹ იქვე, გვ. 393.

პასუხისმგებლობის აუცილებელ საფუძველს წარმოადგენს შეურაცხმყოფელი ცნობების დაზარალებულისადმი მიკუთვნება. ოუკი შეტყობინებაში დასახელებულია დაზარალებულის სახელი, მაშინ არ არის საჭირო იმის მტკიცება რომ ზიანის მიმყენებელს სწორედ ამ დაზარალებულის შესახებ სურდა ცნობების გავრცელება. ცნობები მოსარჩელის სახელის შემდახველად მიიჩნევა იმ შემთხვევაშიც, როცა პუბლიკაციაში არ არის მითითებული მისი სახელი და თვით პუბლიკაცია არ შეიცავს არანაირ ნიშანს, რაც შესაძლებლობას მისცემდა მკითხველს გავრცელებული ცნობები დაეკავშირებინა მოსარჩელის პიროვნებასთან. ასეთ შემთხვევაში ცნობები მიიჩნევა პიროვნებასთან დაკავშირებულად, ოუკი ნაფიცი მსაჯულები ჩათვლიან, რომ საშუალო დონის საღად მოაზროვნე ადამიანი, გათვითცნობიერებული საქმის განსაკუთრებულ გარემოებაში ამ ცნობებს მოსარჩელესთან დაკავშირებულად ჩათვლიდა.⁹⁰ ცნობების გავრცელების ქვეშ ინგლისური სამართალი გულისხმობს მის შეტყობინებას დაზარალებულის გარდა, სულ მცირე, ერთი ადამიანისათვის. პირის სახელის გამტები ცნობის გავრცელებად არ ითვლება ასეთი ცნობების შეტყობინება ერთი მეუღლის მიერ მეორისათვის. ამავე დროს, ერთი მეუღლის მიერ ცნობების მეორე პირისათვის შეტყობინება, ითვლება გავრცელებად. სახელის გამტები ცნობების ყოველი განმეორება განიხილება როგორც ახალი გავრცელება და ქმნის სარჩელის დამოუკიდებელ საფუძველს.⁹¹

“ინგლისის კანონმდებლობა და სასამართლო პრაქტიკა მიჯნავს ტირაჟის გამავრცელებლისა და ბეჭდვითი პოდუქციის მწარმოებლის პასუხისმგებლობის საფუძველს. ჩვეულებრივ ტირაჟის გამავრცელებელი პასუხს არ აგებს შეურაცხმყოფელი ცნობების გავრცელებისათვის, ოუკი დაამტკიცებს, რომ ან არ იცოდა და არც უნდა ცოდნოდა გამოქვეყნებული ცნობების ცილისმწამებლური ხასიათის შესახებ და არც თვით პუბლიკაცია და არც მისი გავრცელების გარემოება არ იძლეოდა ცილისწამების არსებობის ვარაუდის საფუძველს. განსხვავებულ მდგომარეობაში არიან პირები, რომლებიც უშუალოდ მონაწილეობენ ბეჭდვითი პროდუქციის შექმნაში: მეპატრონე, რედაქცია და გამომცემლობა, მასობრივი ინფორმაციის

⁹⁰ Seipp, English Judicial Recognition of Right to Privacy, Oxf.J Leg. Stud. 1983. (207)

⁹¹ იქვე, 207.

საშუალებები ბრალის მიუხედავად პასუხს აგებენ სახელის გამტები ცნობების გავრცელებისათვის.”⁹²

თუკი დაზარალებული თანხმობას იძლევა ცნობების გავრცელებაზე, ცნობების გამავრცელებელი პასუხს არ აგებს, მათ შორის იმ შემთხვევაშიც, თუკი აღმოჩნდება, რომ ზოგიერთ პირს შეეძლო განემარტა ეს ცნობები. ივარაუდება რომ, დაზარალებულს უნდა მოეფიქრებინა ასეთი შედეგების დადგომის შესაძლებლობა, ვიდრე თანხმობას მისცემდა მის გავრცელებაზე.

ზიანის მიყენებული თავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან, სახელის გამტები ცნობების გავრცელებისათვის, თუკი დაამტკიცებს მათ ჭეშმარიტებას მაშინ, როცა დაზარალებული არ არის ვალდებული ამტკიცოს საპირისპირო. პასუხისმგებლობა სინამდვილის შესაბამისი ცნობის გავრცელებისათვის არ დადგება, იმისდა მიუხედავად სურდა თუ არა პირს ასეთი გავრცელებით ტანჯვის მიყენება.

ზოგიერთ შემთხვევაში სახელის გამტები შეტყობინება შეიძლება შეიცავდეს რამდენიმე ფაქტს. დიფამაციის შესახებ კანონის V მუხლით დადგენილია, რომ რამდენიმე ერთიმეორესთან დაკავშირებული ფაქტიდან ერთ-ერთის სინამდვილესთან შეუსაბამობა არ იწვევს პასუხისმგებლობას დიფამაციისათვის თუკი ერთიანობაში სხვა ფაქტებთან ეს ფაქტი არსებით ზიანს არ აყენებს მოსარჩევის რეპუტაციას.⁹³

სახელის გამტები ცნობებისადმი განსხვავებულ დამოკიდებულებას იჩენს ინგლისური სამართალი იმ შემთხვევაში, როცა შეტყობინების შინაარსს წარმოადგენს აზრის გამოხატვა. მოპასუხე ასეთ შემთხვევაში ვალდებულია დაამტკიცოს, რომ შეტყობინებაში მან გამოხატა თავისი აზრი, მაგრამ არ აპირებდა სახელის გამტები ფაქტის გავრცელებას.

ინგლისის კანონმდებლობა შეიცავს იმ შეტყობინებების განსაზღვრებას, რომლებიც სარგებლობენ იმუნიტეტით (პრივილეგიით) დიფამაციიდან გამომდინარე სარჩელების წარდგენისას. იმ შეტყობინებათა რიცხვს, რომლებიც სარგებლობენ აბსოლუტური იმუნიტეტით ანუ შეტყობინებები, რომლებიც დაკავშირებითაც არ შეიძლება სარჩელის წარდგენა, მიეკუთვნება: 1. შეტყობინება გაკეთებულია პარლამენტის ორივე პალატიდან ერთ-ერთის მიერ. 2. პარლამენტის სხდომების ანგარიში გამოქვეყნებულია

⁹² კონრად ცვაიგერტი, ჰაინ კოტცი “შედარებითი სამართალმცოდნეობის შესავალი კერძო სამართლის სფეროში,” ტომი II, თბ. 2001 გვ. 393

⁹³ Brittan, The Right of Privacy in England and the United States, 1963.(\$3)

ერთ-ერთი პალატის განკარგულებით. 3. მოსაზრება გამოთქმული მოსამართლის, ადვოკატის, ან მხარეების მიერ სასამართლო სხდომების მსვლელობისას ან ასეთ სხდომაზე მითითება, 4. ერთი სახელმწიფო პირის შეტყობინება მეორისათვის, გაკეთებული სამსახურებრივი ვალდებულების შესრულებისას. 5. ნებისმიერი ცნობა პირადად გაკეთებული ერთი მეუღლის მიერ მეორისადმი. 6. მიუკერძოებელი და ზუსტი საგაზეო, რადიო და ტელე – შეტყობინება დიდი ბრიტანეთის ტერიტორიაზე მიმდინარე სასამართლო პროცესების შესახებ.⁹⁴

ეს შეტყობინებები სარგებლობები იმუნიტეტით, იმ შემთხვევაში თუკი ისინი გაკეთებულია სასამართლო პროცესის დროს და შეტყობინება არ შეიცავს დვოის გმობას და შეუფერებელ განცხადებებს. გავრცელებულ ცნობებთან დაკავშირებით შეზღუდული (კვალიფიციური) იმუნიტეტი, ანუ იმუნიტეტი რომელიც წარმოიშობა განსაზღვრული პირობების დაცვისას ენიჭებათ შემდეგი პირობების ერთდროულად არსებობისას: ა) თუკი ერთ-ერთ მხარეს გააჩნია იურიდიული, ზნეობრივი ან საზოგადოებრივი ვალდებულება, ბ) მეორე მხარეს აქვს ასეთ შეტყობინების მიღების შესაბამისი ინტერესი. შეზღუდული იმუნიტეტი არ მიენიჭება თუკი შეტყობინება გაკეთდა განზრახ.⁹⁵

“პატივის, ლირსების და საქმიანი რეპუტაციის დაცვის საშუალების სახით გამოიყენება ცნობების გავრცელების აკრძალვა სასამართლოს მიერ და ფსიქიკური ზიანის ანაზღაურება. სასამართლო აკრძალვა გამოიყენება იმ შემთხვევაში თუკი სახელის გამტეხი ცნობები ჯერ კიდევ არ გამოქვეყნებულა, მაგრამ არსებობს უშუალო მუქარა, რომ იგი გამოქვეყნდება. კომპენსაციის ოდენობა დიფამაციისათვის ხშირად გაცილებით დიდია, განსაკუთრებით ჯანმრთელობის დაზიანებისათვის ფსიქიკური ზიანის კომპენსაციასთან შედარებით.”⁹⁶

ბოლო დრომდე სააპელაციო სასამართლოს უფლება არ ჰქონდა გადაესინჯა კომპენსაციის ოდენობა. სიტუაცია შეიცვალა 1990წ. სასამართლოებისა და სამართლებრივი მომსახურების შესახებ კანონის შემოღებასთან დაკავშირებით, რომლის თანახმადაც სააპელაციო, სასამართლოს უფლება აქვს შეცვლოს კომპენსაციის ოდენობა, თუკი

⁹⁴ Brittan, The Right of Privacy in England and the United States, 1963.(\$3)

⁹⁵ კონტაქტური კომპენსაციის შედარებით სამართლებრივი მუქარა სამართლის სფეროში,” ტომი II, თბ. 2001, გვ. 391.

⁹⁶ იქვე, გვ. 392.

პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილ ოდენობას მიიჩნევს გადაჭარბებულად ან არააღეპატურად.

“ხელშეკრულების შეუსრულებლობის შემთხვევაში მიყენებული ფსიქიკური ზიანისათვის კომპენსაციის საერთო პრინციპი მდგომარეობს დაზარალებულის ისეთ მდგომარეობაში ჩაყენებაში, რომელშიც ის ადმოწნდებოდა, თუკი ხელშეკრულება სათანადოდ შესრულდებოდა. ფსიქიკური ზიანის კომპენსაციისათვის აუცილებელია, რომ მისი წარმოქმნა იყოს ბუნებრივი და გათვალისწინებადი. საკონტრაქტო სამართლის თანახმად კომპენსაცია ემოციური განცდისათვის არ დაეკისრება, თუკი ჯანმრთელობისათვის ზიანის მიყენება, მხოლოდ ხელშეკრულების დარღვევით არ იყო გამოწვეული ან თუ ემოციური განცდა არ წარმოადგენს მისი დარღვევის სავარაუდო შედეგს.”⁹⁷

ფსიქიკური ზიანის მიყენებისათვის, პასუხისმგებლობის საზღვრები ინგლისშიც და ამერიკაშიც ძირითადად ერთნაირია. ვინაიდან ამერიკის ყოველ შტატს გააჩნია საკუთარი სამართლებრივი სისტემა, ფსიქიკური ზიანის კომპენსაციისადმი დამოკიდებულება განსხვავებულია და ზოგიერთ შემთხვევაში საკმაოდ არსებითიც. თუმცა პასუხისმგებლობის საფუძვლების განსაზღვრის კრიტერიუმები საერთოა ყველა შტატისათვის.⁹⁸

თუკი ფსიქიკური ზიანი მიყენებულია გაუფრთხილებელი ქმედებით და თან ახლავს სხეულის დაზიანება იგი ექვემდებარება კომპენსაციას. თუ მართლსაწინააღმდეგო გაუფრთხილებელი ქმედება დაზარალებულს აყენებს მხოლოდ ფსიქიკურ ზიანს ეს ზიანი, როგორც წესი, კომპენსაციას არ ექვემდებარება. “სასამართლოები თვლიან, რომ გაუფრთხილებლობით ფსიქიკური ზიანის მიმყენებელზე პასუხისმგებლობის დაკისრება უნდა მოხდეს, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი დაზარალებულზე განხორციელებული ფიზიკური ზემოქმედება გამოვლინდა ფიზიკური აშლილობის (გულის შეტევა, მომატებული წნევა, აღზნება და ა.შ.) ამერიკის სასამართლო პრაქტიკის ანალიზით, ვლინდება ამ წესიდან გამონაკლისი შემთხვევების რიცხვის ზრდის ტენდენცია. ამ მიზნით სასამართლოები აფართოებენ დაზარალებულებზე ფიზიკური ზემოქმედების ცნებას და რთავენ ისეთ ობიექტებზე ზემოქმედებას, როგორიცაა: დაზარალებულის ტანსაცმელი, ხელში მყოფი საგანი, მანქანა რომელშიც ის იჯდა, სახლი რომელშიც ეძინა.

⁹⁷ White, Tort Law in America, An Intellectual history, 1980.(410)

⁹⁸ იქვე, 410.

ფიზიკური ზემოქმედების ქვეშ ასევე გულისხმობენ გაზის აფეთქებას, ელექტროენერგიის ზემოქმედებას.”⁹⁹

სხეულის ნებისმიერი დაზიანება შეიძლება აღმოჩნდეს ემოციური განცდისთვის ფულადი კომპენსაციის უფლების წარმოშობის საკმარისი საფუძველი. მთლიანობაში შეიძლება ითქვას, რომ ამერიკული სამართალი, საკმარის ბევრ წინააღმდეგობებს ითვალისწინებს მოსარჩევისათვის, რომელიც ცდილობს დააკისროს მოპასუხეს კომპენსაცია უბრალო გაუფრთხილებლობით გამოწვეული ფსიქიკური ზიანისათვის.¹⁰⁰

განსხვავებული სიტუაციაა განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით გამოწვეული ფსიქიკური ზიანის კომპენსაციასთან დაკავშირებით. სშირად იმ შემთხვევაში როცა დარღვეულია აბსოლუტური უფლება დაზარალებულს ამ უფლების დაცვის გარდა შეუძლია მოითხოვოს სამართალდარღვევით გამოწვეული ემოციური განცდების კომპენსაცია. ამ შემთხვევაში მოსარჩევეს გაცილებით ნაკლები წინააღმდეგობა ხვდება კომპენსაციის მიღებისათვის. მხარეთა შორის სახელშეკრულებო ურთიერთობების არსებობისას ხელშეკრულების არასათანადოდ შეუსრულებლობით მიყენებული ფსიქური ზიანი ანაზღაურებას არ ექვემდებარება თუკი ზიანი განზრახ არ არის მიყენებული ან არსებობს გარემოება, რომელიც მიუთითებს, რომ ზნეობრივი ტანჯვა შეიძლება იყოს ხელშეკრულების არასათანადოდ შესრულების ბუნებრივი და სავარაუდო შედეგი. სადაო საპითხი, ხელშეკრულების არასათანადო შეუსრულებლობით გამოწვეული ფსიქიკური ზიანის ანაზღაურების თაობაზე პრინციპულად გადაწყდა ასეთი კომპენსაციის ანაზღაურების სასარგებლოდ. მაგ. ექიმსა და პაციენტს შორის ხელშეკრულების შემთხვევაში.¹⁰¹

სამართლებრივი სისტემების უმეტესობა ცდილობს, თავი აარიდოს მორალური ზიანის ანაზღაურების შესაძლებლობის გაფართოებას, იმდენად, რამდენადაც ძნელია ასეთი ზიანის არსებობის დადასტურება და ზიანის დირებულების ზუსტი გაანგარიშება. ამიტომ სამართლებრივი სისტემების უმრავლესობაში გამოიყენება ისეთი მოდელი, რომლის მიხედვითაც,

⁹⁹ კონრად ცვაიგერტი, პაინ კოტცი “შედარებითი სამართალმცოდნეობის შესავალი კერძო სამართლის სფეროში,” ტომი II, თბ. 2001, გვ. 303.

¹⁰⁰ ოქვე, გვ. 411.

¹⁰¹ White, Tort Law in America, An Intellectual history, 1980.(412)

არამატერიალური ზიანის ანაზღაურება დასაშვებია, მაგრამ ზუსტად განსაზღვრულ შემთხვევებში და განსაზღვრული რაოდენობით.¹⁰²

პოლანდიის სამოქალაქო კოდექსის 106.1-ე მუხლის მიხედვით, ”ნებისმიერი ისეთი ზიანის შემთხვევაში, რომელიც არ გულისხმობს ქონების, უფლების ან ინტერესის დაკარგვას, პირს, რომელსაც ასეთი ზიანი მიადგა, (მორალური ზიანი) აქვს უფლება, მოითხოვოს მიყენებული ზიანის სამართლიანი შეფასება, თუკი დაზარალებულმა მიიღო სხეულის დაზიანება, ან შეილახა მისი სახელი და ლირსება, ან თუ სხვაგვარად მოხდა მისი შეურაცხყოფა.”¹⁰³

§ 2.4. მორალური ზიანის შესახებ მოძღვრების განვითარებისა და კომპენსაციის საკითხი რუსეთის კანონმდებლობაში

რევოლუციამდელი რუსეთის სამოქალაქო კანონმდებლობა, ითვალისწინებდა მორალური ზიანის ანაზღაურებას. ანაზღაურება პირადი შეურაცხყოფისათვის შეიძლება დაკისრებოდა სამოქალაქო სამართალწარმოების წესით, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი იგი აისახებოდა დაზარალებულის ქონებრივ ინტერესებზე. “რევოლუციამდელი რუსი სამართალმცოდნები პირად წყენას განიხილავდნენ, როგორც პირის პატივისათვის ზიანის მიმყენებელ ქმედებას და ფულადი ანაზღაურების მოთხოვნის შესაძლო საფუძველს. თუმცა ხშირად ასეთ შესაძლებლობას დაუშვებლად მიიჩნევდნენ.

ა.მ. ერდელევსკი თვლიდა, რომ ამაში აისახებოდა არისტოკრატიული, ”რაინდული” მენტალიტეტი, დამახასიათებელი რუსეთის სამეფო კარისათვის, რომლიდანაც როგორც წესი ხდებოდა რევოლუციამდელ იურისტთა კორპუსის შევსება. გ.ფ. შერშენევიჩის აზრით: “პირადი შეურაცხყოფა არ უშვებს არანაირად ქონებრივ შეფასებას, იმიტომ რომ იგი აყენებს ზნეობრივ და არა ქონებრივ ზიანს. თუკი რა თქმა უნდა არ აისახება მატერიალურ ინტერესებზე... ნუთუ რომელიმე წესიერი ადამიანი მისცემს თავის თავს უფლებას გამოიყენოს 670-ე მუხლი იმისათვის, რომ საკუთარი დირსების ფასად მიიღოს ფულადი ანაზღაურება”. სხვა სიტყვებით, რუს

¹⁰² მზია თოდუა, პუშტ ვილემსი, ”ვალდებულებითი სამართალი”, თბილისი, საია, 2006 წელი. გვ. 134.

¹⁰³ იქვე, გვ. 134.

წარჩინებულთათვის ბუნებრივი იყო შეურაცხყოფაზე დუქლში გამოწვევით ეპასუხათ და არა ფულადი ანაზღაურების მოთხოვნით. მიყენებული შეურაცხყოფის სანაცვლოდ ფულის გადახდის მოთხოვნა მას სამუდამოდ დაუხურავდა მაღალი საზოგადოების კარს. ამასთან წყენის ცნება, როგორც ასეთი, მოიცავდა არა მარტო პირადი უფლებების დარღვევას, არამედ უხეშ შეჭრას სხვის ქონებრივ სფეროში.”¹⁰⁴ სახელმწიფო ხელისუფლების მომძლავრებასთან ერთად, თავად სახელმწიფომ დაიწყო სწრაფვა მოქალაქის პატივისა და ლირსების დაცვისათვის. ანიჭებდა რა, ქონებრივი ზიანის ანაზღაურების უფლებას დაზარალებულს, მხედველობიდან არც არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების შესაძლებლობას უშვებდა. “მორალური ზიანის ანაზღაურების იდეა გვხვდება ივანე 111 და ივანე IV-ის სამართალში. აგრეთვე ალექსი მიხეილის-ძის 1649 წლის სჯულისდებაში, რომელშიც გათვალისწინებული იყო მთელი რიგი ნორმები, რომელიც ეხებოდა “შეურაცხყოფის” ანაზღაურებას.”¹⁰⁵ თუმცა ანაზღაურების ზომა დამოკიდებული იყო დაზარალებულის საზოგადოებრივ მდგომარეობასა და სქესზე. “ზემოთ ხსენებული სჯულისდება ადგენდა ანაზღაურების კრიტერიუმებსაც, ხოლო თუკი ასეთი კრიტერიუმები არ იყო შემოღებული, პირდაპირ მიუთითებდა ფულადი საზღაურის ოდენობას. საქმის ინდივიდუალური გარემოებების გათვალისწინებით მოსამართლეს წინასწარ უნდა ჰქონოდა ხელთ კანონმდებლის მიერ შემუშავებული ტაბულები და ტარიფები.”¹⁰⁶ კანონები “შეურაცხყოფის” ანაზღაურების თაობაზე შევსებული სახით XVIII საუგუნეშიც მოქმედებდნენ, შემდგომში როცა წოდებებსა და კლასებს შორის წაშლა იწყო მკვეთრმა ზღვარმა, დღის წესრიგში დადგა მიყენებული ზიანისათვის სისხლის სამართლის და სამოქალაქო სამართლის პასუხისმგებლობის გამიჯვნის საკითხი.

1917 წლის რევოლუციის შემდეგ, რუსული საზოგადოების მენტალიტები არსებითად შეიცვალა, უპირატესობა მიენიჭა მოსაზრებას ამგვარი ანაზღაურების დაუშვებლობის შესახებ. რევოლუციის შემდგომ რუსეთის კანონმდებლობა არ ითვალისწინებდა არც მორალური ზიანის ცნებას და არც მისი ანაზღაურების შესაძლებლობას.¹⁰⁷ სასამართლო პრაქტიკა

¹⁰⁴ შალვა ჩიკვაშვილი “მორალური ზიანი სამოქალაქო სამართალში,” თბ. 1998 წ. გვ. 34.

¹⁰⁵ იქვე, გვ. 36.

¹⁰⁶ იქვე, გვ. 54.

¹⁰⁷ Романов Виктор Сергеевич “Моральный вред как институт гражданского права”, Москва. 2006. გვ. 27.

გაბატონებული დოქტრინის შესაბამისად გამოიჩეოდა სტაბილურობით და მოსამართლები უარს ამბოდნენ მორალური ზიანის ფულადი ანაზღაურების შესახებ იშვიათად წარმოდგენილი სარჩელების დაკმაყოფილებაზე. მორალური ზიანის ანაზღაურების პრინციპი განიხილებოდა როგორც სოციალისტური სამართალშეგნებისათვის კლასობრივად უცხო ინსტიტუტი.

საბჭოთა პერიოდის განმავლობაში, რომელიც 74 წელს მოიცავდა, კანონმდებლობა არ ცნობდა ფიზიკურ და ზნეობრივ ქცევათა ფულადი ანაზღაურების შესაძლებლობას. მიუხედავად იმისა, რომ სასამართლო პრაქტიკაში ზოგჯერ გვხვდებოდა საჩივრები მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით, მსგავსი საჩივრები არასოდეს დაკმაყოფილებულა, ვინაიდან ითვლებოდა რომ მორალური ზიანის ანაზღაურება უცხო იყო სოციალისტური შეგნებისა და სამართლისათვის. მიუხედავად მსგავსი უარყოფითი დამოკიდებულებისა მორალური ზიანის ანაზღაურების ინსტიტუტის მიმართ არა ერთი თეორეტიკოსი და პრაქტიკოსი გამოთქვამდა აზრს მიუენებული ზიანის მატერიალური ფორმით ანაზღაურების აუცილებლობის შესახებ. მათი აზრით, მორალური ზიანის ანაზღაურების არარსებობა წარმოადგენდა მნიშვნელოვან ხარვეზს კანონმდებლობასა და პრაქტიკაში. “დაზარალებულისათვის არამატერიალური ზიანის ანაზღაურებაზე უარის თქმა ნიშნავდა სამოქალაქო სამართლისა და სამოქალაქო სასამართლოს სრული უსუსურობის აღიარებას”.¹⁰⁸

მიუხედავად ამგვარი მოსაზრებებისა მორალური ზიანის ანაზღაურების მიმართ მაინც აშკარა უარყოფითი დამოკიდებულება იყო, რაც ძირითადად ეყრდნობოდა იმ პოზიციას, რომ მორალური ზიანის ფულადი ანაზღაურება თავისი სოციალური ბუნებით, ეწინააღმდეგებოდა სოციალისტური საზოგადოების ინტერესებს. იგი მხოლოდ ბურჟუაზიული საზოგადოებისათვის ჩვეულ მოვლენად იყო მიჩნეული. მეორე საწინააღმდეგო არგუმენტი კი იყო მორალური ზიანის ფულადი ექვივალენტით გამოთვლის შეუძლებლობა.

“მორალური ზიანის” ცნების ლეგალიზება რუსულ სამოქალაქო სამართალში მოხდა მხოლოდ ბეჭდვისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების შესახებ 1990 წლის 12 ივნისს კანონის მიღებით, თუმცა მასში ამ ცნების შინაარსი არ იყო მოცემული. “მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგა სსრკ და მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო კანონმდებლობის საფუძვლების მიღებით, სადაც ბოლოს და ბოლოს მორალური ზიანი

¹⁰⁸ Беляцкин С.А. “Возмешение морального вреда” 1913 М. юр бюро ГОРОДЕЦ .1996 г.

განისაზღვრა როგორც “ფიზიკური და მორალური ტანჯვა”.¹⁰⁹ რუსული კანონმდებლობა განვითარდა მორალური ზიანის შესახებ ნორმების სხვადასხვა საკანონმდებლო აქტებში შეტანის გზით. მორალური ზიანის ანაზღაურების შესახებ ნორმები გათვალისწინებული იქნა აგრეთვე რუსეთის ფედერაციის სამოქალაქო კოდექსში. “¹¹⁰

მორალური ზიანის ანაზღაურების ცნობილი მკვლევარის ა. ერდელევსკის აზრით რუსეთის ფედერაციის კანონმდებლობით და სასამართლო პრაქტიკის შესაბამისად არ არსებობს ზუსტად ჩამოყალიბებული კრიტერიუმები და კომპენსაციის ოდენობის დადგენის საერთო წესი, სასამართლოები არიან მძიმე მდგომარეობაში და უჭირთ სწორი გადაწყვეტილების გამოტანა. რუსეთის ფედერაციის უზენაესი სასამართლოს პლენურის არცერთი დადგენილება არ შეიცვას ზუსტ მითითებას თუ როგორი წესით უნდა მოხდეს კომპენსაციის ოდენობის განსაზღვრა. ვინაიდან სამოქალაქო კოდექსით დადგენილი კომპენსაციის ოდენობის განმსაზღვრელი კრიტერიუმები ატარებენ მეტად ზოგად ხასიათს საჭიროა კოდექსში მითითებული კრიტერიუმების საფუძველზე მიღებულ იქნეს მათი გამოყენების საერთო მეთოდი.¹¹¹

§ 2.5. მორალური ზიანის შესახებ მოძღვრების განვითარებისა და კომპენსაციის საკითხი ქართულ კანონმდებლობაში

ქართულ სამართალში არაქონებრივი ზიანის ფულადი კომპენსაცია სრულიად ბუნებრივი ყოფილა. უფრო მეტიც. “ძველი სამართლის ძეგლები გამოირჩეოდნენ თვით არაქონებრივი ზიანისა და მისი კომპენსაციისათვის საჭირო თანხის (თუ ეპვივალენტად გამოყენებული სხვა ერთეულის) ერთობ სრული კონკრეტიზაციით, რაც სასამართლო პრაქტიკას უადვილებდა გადაწყვეტილების მიღებას. ძველი ქართული სამართალი ბრუნვის მონაწილის არაქონებრივ ფასეულობებს განსაკუთრებულ პატივს სცემდა. არაქონებრივ

¹⁰⁹ Романов Виктор Сергеевич “Моральный вред как институт гражданского права”, Москва. 2006. ст. 27.

¹¹⁰ Гражданский кодекс Российской Федерации, Научно-практический комментарий, М. 1996 г.

¹¹¹ ლევან დოდონაძე “მორალური ზიანის ანაზღაურება”, 2010 წელი, გვ.124.

სიკეთეთა მიმართ იგრძნობოდა ერთგვარი სოციალური თანასწორობა, რაც იშვიათი უნდა ყოფილიყო საერთოდ წოდებრივი სამართლისათვის.”¹¹²

ქართული სამართლის ისტორიაში პირადი არაქონებრივი უფლებების შესახებ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კვლევა ეკუთვნის გიორგი ნადარეიშვილს, რომელმაც ქართული სამართლის წიგნებსა და იურიდიულ საკითხებზე ეთნოგრაფიული თუ კერძო სამართლებრივ გარიგებებზე დაყრდნობით, აჩვენა თუ როგორ წყვეტდა ადამიანის პატივისა და ღირსების დაცვის საკითხს, შეასაუგუნების კანონმდებლობა.

ქრისტიანობის დამკვიდრებას, უაღრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სამართლის ნორმების ჩამოყალიბების თვალსაზრისით. ადამიანის პატივი და ღირსება მისივე ზნეობრივ სიმაღლესა და რელიგიურ მრწამს დაუკავშირდა, თუმცა ფეოდალურ საზოგადოებაში მიღებული კანონმდებლობის იგნორირება ვერ მოხერხდა და რაც უფრო მაღალი წოდების იყო ადამიანი, მით უფრო, მაღალი პატივი და ღირსება ჰქონდა მინიჭებული საზოგადოებისა და სახელმწიფოსაგან. ფეოდალურ საქართველოშიც, ისევე როგორც, ყველა ცივილიზებულ ქვეყანაში, სამართლის ნორმების მეშვეობით დაცული იყო ადამიანის პატივი და ღირსება. იკრძალებოდა, როგორც ადამიანის ფიზიკური ასევე სიტყვიერი შეურაცხყოფა. მაგ. ბაგრატ გურაპალატის სამართლის წიგნის ფრაგმენტებში დართულ ქართული სამართლის ცნობილ ძეგლში “ბექასა და აღბუღას სამართლის წიგნი”, ვკითხულობთ, რომ თუ ვინმე, დიდებულთაგან ეპისკოპოსს სიტყვიერ შეურაცხყოფას მიაყენებდა, დამნაშავე დიდებული დაისჯებოდა 40 000 თეთრის გადახდით და “დიდათ შეხუეწით”.

“დიდად შეხუეწა” აქ დამოუკიდებელი საჯარო სახელმწიფო სასჯელია, რომელიც თან სდევს კერძო სასჯელს, სისხლის დაურვებას. გ. ნადარეიშვილის აზრით მაშინდელი მამების “სისხლის” ცნება მოიცავდა მორალური ზიანის ანაზღაურების ცნებასაც. ¹¹³ დიდად “შეხუეწა” გ. ნადარეიშვილის აზრით უნდა ყოფილიყო ბოდიშის მოხდის განსაკუთრებით მძიმე ფორმა და იგი როგორც სასჯელის სახეობა, რამოდენიმე მუხლში იხსენიება. “სასულიერი პირთა პატივსა და ღირსებას ქართველი კანონმდებელი მთელი მონდომებით იცავდა და მათი პატივისა და ღირსების

¹¹² საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მესამე, თბ. 2001, გვ. 468.

¹¹³ გიორგი ნადარეიშვილი –ადამიანის პატივისა და ღირსების დაცვა ქართული ფეოდალური სამართლის ძეგლებისა და სასამართლო პრაქტიკის გამოცდილების მიხედვით— ალმანახი ქართული სამართლის ისტორიის საკითხები, თბილისი, 2000 წელი, ოქტომბერი, №14, საია, გვ. 54.

სიტყვიერი შეურაცხეყოფით ხელმყოფს, აიძულებდა არა მარტო სისხლის სამართლებრივი ჯარიმის გადახდას, არამედ ბოდიშის მოხდასაც. დანაშაულის მონანიებისა და ბოდიშის მოხდის ეს განსაკუთრებული სახეობა იყო სწორედ “შეხუება”.¹¹⁴ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ქართულ ფეოდალურ ქრისტიანულ საზოგადოებაში, პატივისა და ლირსების ხელყოფისადმი მიღომა არ იყო ერთგვაროვანი. თუკი ერთის მხრივ სამხედრო, რაინდული შეხედულების თანახმად შეურაცხეყოფა, პატივისა და ლირსების ხელყოფა, ადამიანმა შეიძლება ჩამოირეცხოს და მოიშოროს შეურაცხმყოფელის მოკვლით ან მის მიერ პატივის გამოთხოვით, მეორე მხრივ, მოსახლეობის სამოქალაქო ნაწილში და საერთოდ მოსახლეობის უმრავლესობაში განსაკუთრებით კი, ვაჭართა და ქალაქელთა წრეში, არსებობდა შეხედულება, რომ შეურაცხმყოფელმა შეურაცხეყოფილს უნდა აუნაზღაუროს მორალური ზიანი და ეს ზიანი შეიძლება გამოიხატოს ფასეულობაში (ოქრო, ვერცხლი და ა.შ.). “სახელმწიფოსა და საზოგადოების განვითარების უფრო მაღალ საფეხურზე გადასვლასთან ერთად გამოიკვეთა, რომ შეურაცხეყოფის მიყენებაში არის როგორც საჯარო, ასევე კერძო დანაშაულის ელემენტებიც. ამიტომ შეურაცხმყოფელისაგან მოითხოვენ საჯარო ბოდიშს, მონანიებას. თუმცა კანონმდებლობას უჭირდა განესაზღვრა მიჯნა შეურაცხეყოფისათვის სისხლისსამართლებრივ და სამოქალაქო პასუხისმგებლობას შორის.”¹¹⁵ თუმცა ეს არც თანამედროვე კანონმდებლობისათვის არის ყოველთვის ადგილი.

ფეოდალურ ხანაში, განსაკუთრებით მის ადრეულ საფეხურზე, ადამიანის პატივი და ლირსება აისახებოდა მის სისხლის ფასში, რომელიც ან სამართლის წიგნში, ან სათანადო სიგელში იყო ფიქსირებული. პატივი და ლირსება მით “უფრო მაღალი იყო, რაც უფრო დიდი სისხლი სდიოდა” ამა თუ იმ ფეოდალური საგვარეულოს წარმომადგენლის “სისხლის ფასზე” გავლენას ახდენდა ქონება, თანამდებობა ნათესაური კავშირები და ა. შ. იმდროინდელ კანონმდებლობას ნორმალურად მიაჩნდა ერთიდაიგივე დანაშაულის ჩადენისათვის, მდაბიო უფრო მკაცრად დაესაჯა, ვიდრე წარჩინებული. ყველა ადამიანს ერთნაირი ლირსება რომ არ გააჩნდა ეს ანბანურ ჭეშმარიტებად ითვლებოდა. კანონმდებელს მდაბიო წარმოშობის პირთა გვერდით პატივსა და ლირსებას მოკლებულად მიაჩნდა მწვალებლები,

¹¹⁴ ოქვე, გვ. 55.

¹¹⁵ ოქვე, გვ. 55.

წარმართნი, მსახიობები და ა.შ. “თუმცა ნელ-ნელა ჩნდებოდა აზრიც, რომ არადიდგვაროვანთა შორის მრავალნი ღირსეულებად უნდა ჩათვლილიყვნენ და მთელ რიგ შემთხვევაში, მდგომარეობის მხედველობაში მიუდებლადაც ყურადღებას აქცევდნენ ადამიანის ეროვნულ, სარწმუნოებრივ და საოჯახო პატივსა და ღირსებას. მსგავს სიტუაციას პქონდა ადგილი გიორგი ბრწყინვალეს სამართლის წიგნშიც, რომლის მიხედვითაც ადამიანის პატივი და ღირსება, მისი სოციალური ფასი, გამოიხატებოდა მის “სისხლში” ე.ი. სისხლის ფასში. თუმცა საინტერესოა ისიც, რომ აღნიშნულ წიგნში ხდება წესისა და გვარის ერთომეორის გვერდით მოხსენიება, რაც იმას ნიშნავს, რომ თითოეულ გვარს, თავისი საკუთარი წესი აქვს. ე.ი. თავისი გვარის წევრებისათვის შემუშავებული ქცევის წესები, თავიანთი განკერძოებული პატივი და ღირსება გააჩნდათ, რასაც სასამართლო გარკვეულ წილად ანგარიშს უწევდა.”¹¹⁶

ამრიგად, ძველი საკანონმდებლო ძეგლების და ქართული სამართლის წიგნების მიხედვით იკვეთება, პატივისა და ღირსების შეურაცხყოფის მიყენებისათვის დადგენილი სასჯელის სახეები. საჯელის ძირითად სახეს წარმოადგენდა ბოდიშის მოხდა და ჯარიმა. სიტყვიერი შეურაცხყოფისათვის საჯელად უფარდებდნენ ასევე ენის ნემსებით დაწევლეტასაც.

მძიმე სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფისათვის სასჯელი მხოლოდ ფულადი ჯარიმით არ შემოიფარგლებოდა. დამნაშავეს საკმაოდ მძიმე სასჯელი, საჯაროდ ბოდიშის მოხდა უხდებოდა და გარდა ამისა, კომპენსაციაც ფულადი ჯარიმის სახით უნდა გადაეხადა. სასჯელის შემამსუბუქებელი გარემოება იყო ჩადენილი დანაშაულის გულწრფელი მონანიება. შეურაცხყოფილის წინაშე ბოდიშის მოხდა, შენდობისა და მიტევების გამოთხოვა. ფულადი ჯარიმა შეურაცხმყოფელს უნდა გადაეხადა შეურაცხყოფილის წინაშე დედის გედრებით და დავრდომითა. ფიქრობდნენ, რომ ასეთი სასჯელი ხელს შეუწყობდა შეურაცხყოფილის პატივისა და ღირსების აღდგენას. შეურაცხმყოფელის ასე მრავალმხრივ კომპლექსური

¹¹⁶ გიორგი ნადარეიშვილი –ადამიანის პატივისა და ღირსების დაცვა ქართული ფეოდალური სამართლის ძეგლებისა და სასამართლო პრაქტიკის გამოცდილების მიხედვით–ქართული სამართლის ისტორიის საკითხები. 2000 წელი, №14, საია, გვ. 56.

დასჯის ფაქტი მიუთითებს კანონმდებლის მხრივ ადამიანის პატივისა და დირსების ცნების შედარებით მაღალ დონეზე აღქმას.¹¹⁷

თავი 3. სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველი მორალური ზიანისათვის, კომპენსაციის განსაზღვრის პრინციპები და პროცედურები კანონმდებლობასა და სასამართლო პრაქტიკაში

“იურიდიული პასუხისმგებლობა დგება სამართალდარღვევის შემთხვევაში. სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობა იურიდიული პასუხისმგებლობის ერთ-ერთი სახეა, ამიტომ მას ახასიათებს როგორც სპეციფიკური, ისე საერთოდ იურიდიული პასუხისმგებლობისათვის დამახასიათებელი ნიშნები.”¹¹⁸

სამოქალაქო სამართალდარღვევა – მოქმედება ან უმოქმედობა, რომელიც იწვევს ცვლილებებს ობიექტურ სამყაროში შეიძლება გამოიხატოს პიროვნების კეთილდღეობის შემცირებასა თუ განადგურებაში, ქონებრივი ან არაქონებრივი ხასიათის გარკვეული უარყოფითი შედეგების დადგომაში, რასაც ლოგიკურად უნდა მოჰყეუ მათი აღდგენა, ამიტომაც კანონი აკისრებს სამართალდამრღვევს პასუხისმგებლობას საკუთარი მართლსაწინააღმდეგო ქმედებისა და ამ ქმედებით გამოწვეული შედეგებისათვის. ამაში მდგომარეობს პასუხისმგებლობის სოციალური შინაარსი – განიცადო პირადი ან ქონებრივი დანაკლისი ჩადენილი სამართალდარღვევისათვის. პასუხისმგებლობა წარმოიშობა სუბიექტური უფლების დარღვევის მომენტში ანუ, სხვა სიტყვებით, სხვისი სუბიექტური უფლების ყოველგვარი დარღვევა წარმოადგენს პასუხისმგებლობის საფუძველს.

“სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობა-ეს არის ისეთი ხასიათის სანქცია, რომელიც იწვევს განსაზღვრული სახის ქონებრივ თუ

¹¹⁷ გიორგი ნადარეიშვილი –ადამიანის პატივისა და დირსების დაცვა ქართული ფეოდალური სამართლის ძეგლებისა და სასამართლო პრაქტიკის გამოცდილების მიხედვით – ქართული სამართლის ისტორიის საკითხები. 2000 წელი, №14, საია, გვ. 57.

¹¹⁸ მზია დუნდუა “დელიქტური პასუხისმგებლობისა და სახელშეკრულებო პასუხისმგებლობის თანაფარდობა.” სამართლის ქურნალი, თხუ, №1, 2009 წელი, გვ. 52.

პირადი ხასიათის შეზღუდვებს.”¹¹⁹ პასუხისმგებლობას პირადი ქონებრივი და არაქონებრივი უფლებების სფეროში სამართალდარღვევისათვის, რამაც გამოიწვია მორალური ზიანის მიყენება, აქვს გარკვეული თავისებურებები. სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობის საკონკურსაციო (ადმდგენ) და პრევენციულ ფუნქციებთან ერთად მორალური ზიანის ფულადი ანაზღაურების შემთხვევაში ჩნდება ერთგვარი სადამსჯელო-ინკვიტიციური ფუნქციაც.¹²⁰ აქ სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობა უახლოვდება სისხლისსამართლებრივს, სადაც პასუხისმგებლობის საზომს მორალური ზიანის მიყენებისას წარმოადგენს არა მხოლოდ მორალური ზიანი, არამედ სამართალდამრღვევის ბრალის ხარისხი და გარდა ამისა პასუხისმგებლობის ოდენობის განსაზღვრისათვის საკმაო მნიშვნელობა აქვს დამნაშავე პირის მართლსაწინააღმდეგო ქმედების ხასიათს.¹²¹

§ 3.1. სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველი მორალური ზიანისათვის

მორალური ზიანის ანაზღაურების პრობლემის გამოკვლევა შეუძლებელია მისი მიყენებისათვის პასუხისმგებლობის წარმოშობის საფუძვლების და პირობების გაცნობის გარეშე.

საფუძველი – ეს არის იურიდიული ფაქტი, რომელიც წარმოშობს სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობის ზომების გამოყენების ვალდებულებას. სწორედ სამართალდარღვევა ანუ ქმედება, რომელიც აყენებს ზიანს, წარმოადგენს დელიქტური ვალდებულებისას პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველს.

პირობა – ეს “ის ნიშნებია, რომლებიც ახასიათებენ საფუძველს და რომელთა არსებობის გარეშეც მოვლენას არ შეუძლია წარმოშობა”.¹²²

¹¹⁹ მზია დუნდუა “დელიქტური პასუხისმგებლობისა და სახელშეკრულებო პასუხისმგებლობის თანაფარდობა.” სამართლის ქურნალი, თსუ, №1, 2009 წელი, გვ. 52.

¹²⁰ Малеина М.Н. “Личные неимущественные права граждан понятие осуществление защиты” М. 2001. гв. 102.

¹²¹ Эрделевский А.М. Моральный вред и компенсация за страдания. Москва, Издательство БЕК, 1998 г. გვ. 80.

¹²² Смирнов В.Т. Совчак А.А “Общее учение о деликтных обязательствах в современном гражданском праве” Л 1983г. ст. 56.

მიუხედავად იმისა, რომ ადამიანი საკმაოდ ხშირად განიცდის ფიზიკურ თუ ზნეობრივ ტანჯვას, ყოველთვის როდი წარმოქმობა მორალური ზიანის ანაზღაურების უფლება. მოცემული უფლება გულისხმობს კანონით გათვალისწინებული პირობების ან მორალური ზიანის მიყენებისათვის პასუხისმგებლობის საფუძვლების არსებობას. “იმ პირობათა ერთობლიობა, რომელიც აუცილებელია სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრებისათვის, ქმნის სამოქალაქო სამართალდარღვევის შემადგენლობას.”¹²³ მორალური ზიანის ანაზღაურების უფლება წარმოიშობა თუკი სახეზეა შემდეგი პირობები: 1. მორალური ზიანი – როგორც პირადი არაქონებრივი უფლებების ან სხვა არამატერიალური სიკეთეების ხელყოფის შედეგი; 2. არამართალზომიერი ქმედება, რომელიც არღვევს არაქონებრივ უფლებებს; 3. მიზეზობრივი კავშირი არამართალზომიერ ქმედებასა და მორალურ ზიანს შორის; 4. ზიანის მიყენებლის ბრალი.

ამრიგად, პასუხისმგებლობის ერთ-ერთ საფუძველს წარმოადგენს მორალური ზიანის (ფიზიკური ან ზნეობრივი ტანჯვის) არსებობა. “პიროვნების მიმართ ჩადენილი ნებისმიერი არამართალზომიერი ქმედება წარმოადგენს მორალური ზიანის მიყენების საფუძველს. აშკარაა, რომ ამ შემთხვევაში ხდება ადამიანის საყოველთაოდ აღიარებული უფლებების ხელყოფა, რაც სულ მცირე აუარესებს მის სოციალურ სტატუსს.”¹²⁴

მორალური ზიანის განცდა ძლიერადაა დამოკიდებული კონკრეტული პირის ფსიქიკის თავისებურებებზე და განისაზღვრება, როგორც ზიანის მიყენებლის ქცევის შედეგი. თითოეულ ადამიანს ყოველდღიურ ცხოვრებაში ხშირად უწევს სხვისთვის ნებით თუ უნებლიერ დროებითი უსიამოვნების მიყენება: მსუბუქი, წამიერი ფიზიკური თუ სულიერი ტკივილი, უმნიშვნელო მსუბუქი სულიერი აშლილობა (მაგ. საზოგადოებრივ ტრანსპორტში ფეხის დადგმა, გამავალი მანქანის მიერ ტალახის შესხმა და ა.შ.). მაგრამ ასეთი ობიექტურად შექმნილი გარემოებები ვერ იქნება ის “ბოროტება”, რომელიც მორალური ზიანის სახეს იღებს და არ იძლევა ანაზღაურების მოთხოვნის საფუძველს. როგორც ს.ა. ბელიაცკინი აღნიშნავდა “მხოლოდ ის ქმედებები, რომლებიც არსებითად ეხება პირად უფლებებს და პირად კეთილდღეობას ფართო გაგებით იწვევს ანაზღაურების ვალდებულებას”, რომელიც უნდა

¹²³ ქვევან ქოჩაშვილი “ბრალი, როგორც სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობის პირობა”. სამართლის უკრნალი, თხუ, №1, 2009 წელი, გვ. 81.

¹²⁴ შალვა ჩიგვაშვილი “მორალური ზიანი სამოქალაქო სამართალში”, თბ. 1998 წ, გვ. 98.

დაეკისროს “მხოლოდ ნამდვილი ტანჯვისა და ზიანისათვის, რომელიც იმსახურებს ყურადღებას და აღიარებას”.¹²⁵

მოსარჩელის განმარტებანი იმის თაობაზე, რომ მან ფიზიკური ან ზნეობრივი ტანჯვა განიცადა მორალური ზიანის მიყენების ფაქტის პირდაპირი მტკიცებაა, ზოგჯერ კი ერთადერთიც, ვინაიდან დაზარალებული ყოველთვის როდი მიმართავს ექიმს დახმარებისათვის, არამედ თავად მკურნალობს საკუთარ ფიზიკურ თუ სულიერ ტკივილს ან მხარდაჭერისათვის ახლობლებს და ნათესავებს მიმართავს. მოწინააღმდეგე მხარეს – ზიანის მიმყენებელს ხშირ შემთხვევაში არა აქვს საშუალება წარადგინოს ტანჯვის არარსებობის პირდაპირი მტკიცებულებები ზიანის მოცემული სახის სპეციფიურობის გამო, ვინაიდან ის მხოლოდ დაზარალებულის ცნობიერებაში აისახება. ანდა რა საჭიროა ამტკიცო ტანჯვის არსებობა მაგ. ერთადერთი შვილის სიკვდილის შემთხვევაში, როცა ყველას შეუძლია წარმოიდგინოს მშობლების განცდის სიმძიმე. მეორეს მხრივ სამართალდარღვევა ზნეობრივ ზიანს ყოველ ადამიანს ერთნაირად როდი აყენებს. ერთი ადვილად ნაწყენდებიან და მტკიცნეულად განიცდიან შეჭრას მათი არაქონებრივი უფლებების სფეროში, მეორენი კი “ვითომც არაფერი” მშვიდად რეაგირებენ მათი უფლებების და კეთიდდეობის შემლახავ მართლსაწინააღმდეგო ქმედებებზე. თუ მოსარჩელე უკანასკნელ კატეგორიას ეკუთვნის “სასამართლო ჩადის შეცდომას ანაზღაურებს რა ტანჯვას, რომელიც არ ყოფილა”.¹²⁶

ამ აზრთან დათანხმება ცოტა რთულია, ვინაიდან თითქმის შეუძლებელია ნახო ადამიანი, რომელიც გულგრილად შეხვდება თავისი უფლებების შელახვას. სხვა საქმეა, როცა ამას ყველა თავისებურად განიცდის და განცდის ხარისხი გავლენას ახდენს ანაზღაურების ოდენობაზე.

თავის მხრივ სამართალდარღვევის შედეგად პიროვნების სოციალური თვითშეფასების დაცემა საზოგადოების მიერ აღიარებულ უნდა იქნეს, როგორც მორალური ზიანის არსებობის მტკიცების საკმარისი საფუძველი.

შესაბამისად კანონმდებლობის განუყოფელ ნაწილს უნდა წარმოადგენდეს ნორმა მორალური ზიანის პრეზუმფციის შესახებ. სხვა სიტყვებით, პიროვნების მიმართ ნებისმიერი არამართლზომიერი ქმედების ჩადენისას უნდა მივიჩნიოთ, რომ მას მიადგა მორალური ზიანი. ერთადერთ გამონაკლისად შეიძლება ჩაითვალოს სიტუაცია, როცა ზიანის მიმყენებელი

¹²⁵ Беляцкин С.А.“Возмешение морального вреда” 1913 М. юр бюро ГОРОДЕЦ, 1996г, გვ. 47.

¹²⁶ იქვე , გვ. 47

დაამტკიცებს დაზარალებულის უუნარობას გააცნობიეროს მისი უფლებების შელახვა და შესაბამისად სამართალდარღვევის შედეგის არარსებობას ფიზიკური და ზნეობრივი ტანჯვის სახით. ამას ადგილი შეიძლება პქონდეს მაგალითად ფსიქიურად დავადებულ პირებთან დაკავშირებით.

მორალური ზიანის პრეზუმაცია, როგორც ვიცით, პირდაპირ არ არის გათვალისწინებული კანონმდებლობით. ოუმცა ზოგიერთი მკვლევარის აზრით, “პრაქტიკაში სასამართლოები ფაქტიურად იყენებენ მორალური ზიანის პრეზუმაციას, ადგენენ რა არამართალზომიერი ქმედების ფაქტს ვარაუდობენ ამ ქმედებით მიყენებულ მორალურ ზიანსაც და შემდგომ იხილავენ საკითხს ფულადი სახით მისი კომპენსაციის ოდენობის შესახებ, რაც სულაც არ არის მოკლებული კანონიერ საფუძველს და მოსარჩელის განცხადება იმის შესახებ, რომ მან განიცადა ფიზიკური ან მორალური ტანჯვა, წარმოადგენს მორალური ზიანის მიყენების ფაქტის პირდაპირ მტკიცებულებას, ხოლო ამ მტკიცებულების შეფასება სასამართლოს პრეროგატივას წარმოადგენს.”¹²⁷ სასარჩელო განცხადებაში ძირითადად მითითებული უნდა იყოს: ვინ, რა გარემოებაში, როგორი მოქმედებით და როდის მიაყენა მოსარჩელეს მორალური ზიანი, რა სახის ზნეობრივი ოუ ფიზიკური ტანჯვა განიცადა დაზარალებულმა, რა თანხას ითხოვს მოსარჩელე მორალური ზიანის ანაზღაურებისათვის, რა მტკიცებულებებით მტკიცდება მორალური ზიანის მიყენების ფაქტი. შესაბამისად საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანა უნდა მოხდეს სასამართლოს მიერ მისთვის კანონით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, მტკიცებულებების შეფასების შედეგად, რომელშიც გადამწყვეტი ოუ არა მნიშვნელოვანი ადგილი უნდა ეჭიროს დაზარალებულის ფსიქოლოგიურ ექსპერტიზას.¹²⁸

სასამართლო-ფსიქოლოგიური ექსპერტიზის ობიექტი არის ადამიანი, რომელსაც აქვს გარკვეული პროცესუალური სტატუსი. სასამართლო-ფსიქოლოგიური ექსპერტიზის სხვადასხვა სახეები საშუალებას იძლევიან გამოვლინდეს გარემოებები, რომელთა გათვალისწინება შესაძლოა მნიშვნელოვანი იყოს სამოქალაქო საქმეების გარკვეული კატეგორიების, მათ შორის მორალური ზიანის ანაზღაურების სწორი განხილვისა და გადაჭრისათვის.

¹²⁷ შალვა ჩიკვაშვილი “პასუხისმგებლობა მორალური ზიანისათვის,” თბილისი, 2003 წელი.
გვ. 83.

¹²⁸ Ерделевский А.М. Компенсация морального вреда 2-е изд. М. 2000, ст.83.

ე. ვ. სმირენსკაია თვლის, რომ მორალური ზიანისათვის კომპენსაციის ოდენობის განსაზღვრის მეთოდიკის შემოღება მართალია ორიგინალურია, მაგრამ შეუძლებელი. სხვებთან შედარებით იურიდიულად დასაბუთებული მეთოდიკა გახდავთ ფსიქოლოგიური ექსპერტიზის გამოყენება.¹²⁹

მორალური ზიანის მიყენებისათვის ანაზღაურების უფლების წარმოშობის ერთ-ერთ აუცილებელ პირობას წარმოადგენს ზიანის მიმყენებლის მართლსაწინააღმდეგო ქცევა, რაც ნიშნავს წინააღმდეგობას მოპასუხის ქმედებას და მოქმედი სამართლის ნორმებს შორის. “მართლსაწინააღმდეგობა წარმოადგენს პასუხისმგებელი პირის არასწორ ქმედებას, ქმედების შეუსაბამობას კანონთან, ხელშეკრულებასთან, ზნეობის საფუძვლებთან, რაც იწვევს სამართალურთიერობის მეორე მხარის ქონებრივი ან არაქონებრივი სიკეთების (უფლებების) და კანონიერი ინტერესების დარღვევას (დამცირებას, შეზღუდვას)”.¹³⁰

“აღნიშნული ნიშნავს წინააღმდეგობას სამართლისადმი. მისი არსი ისაა, რომ ქმედება აღღვევს სამართლის ნორმით გამოხატული მოქმედების ან უმოქმედობის ვალდებულებას.”¹³¹

არამატერიალური სიკეთების და არაქონებრივი უფლებების დამრღვევის მართლსაწინააღმდეგო ქცევა შეიძლება გამოიხატოს, როგორც ქმედებით (სახელის გამტები, სიმართლესთან შეუსაბამო ცნობების გავრცელება), ისე უმოქმედობით (დახმარების აღმოუჩენლობა, ადამიანის მიტოვება სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიშ გარემოში). ამიტომ ქმედება მართლსაწინააღმდეგოდ მიიჩნევა, თუ ის აკრძალულია კანონით ან სხვა ნორმატიული აქტებით. უმოქმედობა მართლსაწინააღმდეგოდ ჩაითვლება, თუკი პირმა არ შეასრულა მოქმედება რომელიც უნდა შეესრულებინა. აღსანიშნავია, რომ მე-18 მუხლის ძველი რედაქციის გავლენით როგორც სასამართლო პრაქტიკაში, ისე ლიტერატურაში გავრცელებულია, რომ პირადი უფლებების შელახვა, ხელყოფა წარმოებს ამ უფლებათა შემლახავი ცნობების გავრცელებით. ტერმინი “ცნობები” გავრცელდა და დამკვიდრდა ნორმის ადრინდელი დეფინიციიდან გამომდინარე, სადაც საუბარი იყო

¹²⁹ Смиренская, Елена Витальевна, Компенсация морального вреда как деликтное обязательство, Автoreферат, Волгоград , 2000.

¹³⁰ Ерделевский А.М Компенсация морального вреда 2-е изд. М. 2000. გვ. 84

¹³¹ Hens-Heinrich jescheck, Thomas Weogend, Lehrbuch des strafrechts. Allg. Teil. Berlin, 1996, 233.

მითითებულია სამართლის ურნალი, თსუ, №1, 2009 წელი, ქვევან ქოჩაშვილი “ბრალი, როგორც სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობის პირობა”. გვ. 82.

სწორედ უფლების შემლახავი ცნობების გავრცელებაზე და ამ ცნობების გამავრცელებლის მოვალეობაზე დაუმტკიცებინა მათი სინამდვილესთან შესაბამისობა. ცნობები მოიცავდა, როგორც არაქონებრივი უფლებების შემლახავ ფაქტებს, ისე აზრს. საკანონმდებლო თვალსაზრისით ცილისწამებასთან მიმართებაში ამჟამად ალბათ უფრო მიზანშეწონილი იქნება დავამკვიდროთ არა ცნობა, არამედ განცხადება, რომელიც წარმოადგენს სახელის გამტებ არსებითად მცდარი ფაქტის შემცველ და პირისათვის ზიანის მიმყენებელ ინფორმაციას და კონკრეტული საქმის თავისებურებების მიხედვით შეფასდეს საქმე გვაქვს ცილისწამების თაობაზე განცხადებასთან (ფაქტის მითითებით ინფორმაციის გავრცელებასთან), თუ აზრის გამოხატვასთან. თუმცა ვფიქრობთ, ტერმინის “ცნობის” გამოყენება იგივე დატვირთვის მატარებელია, იგი მოიცავს ინფორმაციას და მოსაზრებას და კანონის შინაარსთან აზრობრივ წინააღმდეგობაში არ მოდის. ამ დატვირთვით გამოიყენებდა მას სასამართლო პრაქტიკა.

ფიზიკური პირის პატივის, ღირსების, პირადი ცხოვრების საიდუმლოების, პირადი ხელშეუხებლობისა და საქმიანი რეპუტაციის, ხოლო იურიდიული პირის საქმიანი რეპუტაციის შემლახავი ცნობების გავრცელებად, რომლის თაობაზეც მითითებულია კანონმდებლობაში, უნდა მივიჩნიოთ ასეთი ცნობების გამოქვეყნება ბეჭდვით ორგანოში, რადიო და სატელევიზიო პროგრამებში ტრანსლაცია და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებებით გავრცელება, სამსახურებრივ დახასიათებაში, საჯარო გამოსვლებში, განცხადებებში ასახვა (გადმოცემა) ან შეტყობინება (გაცნობა) სხვა, მათ შორის, ზეპირი ფორმით რამდენიმე ან თუნდაც, ერთი პირისათვის (მესამე პირისათვის).¹³²

იმდენად, რამდენადაც კანონი არ შეიცავს ცნობების გავრცელების ფორმების ამომწურავ ჩამონათვალს, აქედან გამომდინარე, კანონმდებელი ხაზს უსვამს, რომ მას ცნობების გავრცელების სხვადასხვა ფორმისადმი ერთნაირი დამოკიდებულება აქვს. ამავე დროს, ხაზი ესმება იმას, რომ მნიშვნელოვანია თავად მათი გავრცელების ფაქტი. ცნობები გავრცელებულად ითვლება მხოლოდ იმ მომენტიდან, როცა ისინი მათი გამავრცელებლის ნებით ცნობილი გახდა თუნდაც ერთი პირისათვის. ამასთან, მხედველობაშია

¹³² Гацкий Михаил Анатольевич “Правовое регулирование и механизм определения размера компенсации морального вреда в гражданском праве” Москва. 2006, გვ. 51.

მისადები, რომ ასეთი ცნობების შეტყობინება იმ პირისათვის, რომელსაც ისინი ეხება, არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს ცნობების გავრცელებად.¹³³

სახელის გამტები ცნობების გავრცელების ტრადიციული ფორმებია ოფიციალური ან პირადი ხასიათის წერილები, საუბრები ნაცნობებთან, მათ შორის ტელეფონით. სსსკ-ის 102-ე მუხლის თანახმად, ცნობების გავრცელების ფაქტის მტკიცების ვალდებულება ეკისრება მოსარჩევეს.

სახელის გამტებია სინამდვილის შეუსაბამო ისეთი ცნობები, რომლებიც შეიცავს მტკიცებას ფიზიკური ან იურიდიული პირის მიერ მოქმედი კანონმდებლობის და მორალური პრინციპების დარღვევის შესახებ (შრომით კოლექტივში, ყოფა-ცხოვრებაში უპატიოსნო საქციელის, არასწორი მოქმედების ჩადენის შესახებ და სხვა ცნობები, რომლებიც ლახავენ საქმიანობას, საქმიან რეპუტაციას და ა.შ.), რომლებიც ლახავენ ფიზიკური პირის პატივსა და ღირსებას ან ფიზიკური და იურიდიული პირის საქმიან რეპუტაციას.

ამრიგად, სახელის გამტებ ცნობებს მიეკუთვნება ცნობები, რომლებიც შეიცავს საზოგადოების სამართლებრივი და მორალური თვალსაზრისით უარყოფითად შეფასებულ ინფორმაციას. თუ ცნობები ნეიტრალური ხასიათისაა, ე.ი. არ ლახავს პირის პატივს, ღირსებას ან საქმიან რეპუტაციას, მაშინ მათი უარყოფის მოთხოვნა სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლით დადგენილი წესით უსაფუძლო იქნება. ამასთან, სახელის გამტებ ცნობებში ასახული ინფორმაცია უნდა ეხებოდეს მოსარჩევის ქცევის კონკრეტულ ფაქტებს და მისი საქმიანობის ნებისმიერ სფეროს.

სინამდვილის შეუსაბამოა განცხადებები (ცნობები), რომლებიც შეიცავს ინფორმაციას იმ ფაქტებისა და გარემოებების შესახებ, რომელთაც საერთოდ არ ჰქონიათ ადგილი; ანდა, მათში მთლიანობაში, მართალია, ასახულია ისეთი მოვლენები, ფაქტები და გარემოებები, რომელთაც ჰქონდათ ადგილი, მაგრამ ისინი წარმოდგენილია ყალბი სახით; ანდა, სრულად და ზუსტად არის ასახული ინფორმაცია მოვლენებისა და გარემოებების შესახებ, მაგრამ მოცემულია მათი უარყოფითი შეფასება.¹³⁴

მორალური ზიანის მიუწებისათვის პასუხისმგებლობის წარმოშობის შემდეგ პირობას წარმოადგენს მართლსაწინააღმდეგო ქმედებასა და დამდგარ

¹³³ ქ. თოდეა, შ. ქურდაძე “ცალკეული კატეგორიის სამოქალაქო საქმეზე გადაწყვეტილებათა მიღების თავისებურებანი” თბილისი, 2005 წელი გვ. 65.

¹³⁴ იქნე, გვ. 65.

ზიანს შორის მიზეზობრივი კავშირის არსებობა. მიზეზობრივი კავშირი ფილოსოფიური კატეგორია, რომლის განსაზღვრაც ცივილისტებს ჯერ კიდევ მე-19 საუკუნის ბოლოს და მე-20 საუკუნის დასაწყისში აინტერესებდათ. როგორც პ.ნ. გუსაკოვსკი მიუთითებდა “ნებადაურთველი ქმედება იწვევს მხოლოდ იმ ზიანის ანაზღაურების ვალდებულებას, რომელიც მასთან მიზეზობრივ კავშირშია. ე.ი. წარმოადგენს მის შედეგს. ნებადაურთველი ქმედების ჩამდენმა პირმა შეიძლება პასუხი აგოს მხოლოდ იმ ზიანისათვის, რომელიც წარმოადგენს ჩადენილი ქმედების უახლოეს, უშუალო და აუცილებელ შედეგს”.¹³⁵ ამასთან “ზიანი მიიჩნევა უშუალოდ, როცა ის წარმოადგენს კანონსაწინააღმდეგო ქმედების ბუნებრივ და აუცილებელ შედეგს, ირიბია, როცა – წარმოიქმნა განსაკუთრებული გარემოებების თანხვედრისას, შემთხვევითი – როცა მისი მიზეზი მდგომარეობს ისეთ მოვლენებში, რომელთა არც გათვალისწინება შეეძლო ადამიანის გონებას და არც აღკვეთა ადამიანის ძალას”.¹³⁶ მიზეზობრივი კავშირი არსებობს მაშინ, როდესაც ქმედება წარმოადგენდა მართლსაწინააღმდეგო შედეგის ან კონკრეტული საფრთხის აუცილებელ პირობას, ურომლისოდაც ამჯერად ეს შედეგი არ განხორციელდებოდა ან ასეთი საფრთხე არ შეიქმნებოდა.¹³⁷

მართლსაწინააღმდეგო ქმედებას და მორალურ ზიანს შორის მიზეზობრივი კავშირის არსებობა გულისხმობს, რომ მართლსაწინააღმდეგო ქმედება უნდა იყოს ფიზიკური ან ზნეობრივი ტანჯვის სახით ნებატიური შედეგის დადგომის აუცილებელი პირობა. არამართლზომიერი ქმედება უნდა იყოს აუცილებელი მიზეზი, რომელიც გარდაუვლად იწვევს მორალური ზიანის მიერნებას. მიზეზობრივი კავშირი მორალურ ზიანსა და ჩადენილ სამართალდარღვევას შორის ყოველთვის არ არის ისეთი აშკარა, როგორც ეს ერთი შეხედვით შეიძლება ჩანდეს. სავარაუდოა, რომ ფაქტიურად ნებისმიერი მართლსაწინააღმდეგო ქმედებით დაზარალებულს ადგება მორალური ზიანი, უკანასკნელში უპირველესად იგულისხმება სულიერი ტანჯვა, რომელიც უშუალოდ სამართალდარღვევით იქნა მიერნებული. თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში ანაზღაურების ოდენობის შესახებ საკითხის გადაწყვეტისას შეიძლება წარმოიშვას საკითხი ე.წ. მეორადი მორალური ზიანის მიერნების შესახებ, რომლის არსებობამაც შეიძლება გავლენა მოახდინოს

¹³⁵ Гацкий Михаил Анатольевич “Правовое регулирование и механизм определения размера компенсации морального вреда в гражданском праве” Москва. 2006.

¹³⁶ Ерделевский А.М Компенсация морального вреда 2-е изд. М. 2000. გვ. 85.

¹³⁷ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, თბილისი, 1999 წელი, მუხლი 8.2.

დასაკისრებელი ფულადი თანხის გაზრდაზე. რომელია მტკიცება, რომ დავადება რომელიც წარმოქმნა დაზარალებულს და მასთან ერთად წარმოქმნილი ფიზიკური ტკივილი თუ ფსიქოლოგიური განცდები დაკავშირებულია სწორედ სამართალდარღვევით გამოწვეულ ზნეობრივ ტანჯვასთან. სავსებით დასაშვებია, რომ ასეთ შემთხვევაში საჭირო გახდეს სასამართლო-სამედიცინო, სასამართლო-ფსიქიატრიული თუ სასამართლო-ფსიქოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა. ამასთან დაკავშირებით განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს თანამედროვე გამოკვლევები ფსიქოლოგიაში ე.წ. პოსტტრამული სინდრომის შესწავლასთან დაკავშირებით. აღწერილია ფსიქოლოგიური დაავადებები, მათ შორის ისეთებიც, რომლებიც წარმოადგენენ ადამიანის ტრამვულ სიტუაციაში ჩავარდნის შედეგს. მოცემული მიმართულების უპირატესობა მდგომარეობს სამართალდარღვევასა და დაავადებას შორის კავშირის დამტკიცების გამარტივებაში, რამეთუ უკვე თვით პოსტტრამული სინდრომის დიაგნოზი იძლევა ასეთი კავშირის არსებობის მტკიცების საშუალებას.¹³⁸

მორალური ზიანის მიყენებისათვის პასუხისმგებლობის დადგომის კიდევ ერთ აუცილებელ პირობას წარმოადგენს ზიანის მიმყენებლის ბრალი. ხშირად, ზიანის მიმყენებლის ბრალის ხარისხი წარმოადგენს ანაზღაურების ოდენობის განსაზღვრის ერთ-ერთ კრიტერიუმს. სამოქალაქო კანონმდებლობაში ბრალის სახეების განსაზღვრისათვის შეიძლება გამოყენებულ იქნეს სისხლის სამართლის კანონმდებლობაში არსებული ბრალის ფორმების უფრო დეტალური კლასიფიკაცია. “მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსით განზრახვა და გაუფრთხილებლობა არ წარმოადგენს ბრალის ფორმებს, არამედ ისინი ქმედების სუბიექტური შემადგენლობის ელემენტებია. ეს ნიშნავს, რომ ქმედების შემადგენლობის დადგენის დროს განზრახვა და გაუფრთხილებლობა დგინდება ფაქტობრივი გარემოებების ცოდნისა და სურვილის სახით, ხოლო რაც შეეხება მართლწინააღმდეგობის შეგნებას, რომელიც ასევე განზრახვის კომპონენტია, დგინდება ბრალის ეტაპზე.”¹³⁹

ბრალი, ანუ ზიანის მიმყენებლის ფსიქიკური დამოკიდებულება მის მიერ ჩადენილ მართლსაწინააღმდეგო ქმედებასა და ამ ქმედებით გამოწვეული

¹³⁸ Хавжокова Залина Борисовна “Зашита чести, достоинства и деловой репутации: теория и практика гражданско-правового регулирования”, Москва .2009. www.dissercat.com.

¹³⁹ მერაბ ტურავა-სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, 2010 წელი, მერვე გამოცემა. თბილისი, გვ. 53.

შედეგებისადმი შეიძლება გამოიხატოს განზრახვისა და გაუფრთხილებლობის სახით. ამავე დროს სამოქალაქო კანონმდებლობაში არსებობს მთელი რიგი შემთხვევები, როცა მორალური ზიანის ანაზღაურება შესაძლებელია ზიანის მიმუჯნებლის ბრალის მიუხედავად. ბრალის სახეების შესახებ დეტალურად მითითებულია, ქვემოთ, ნაშრომის მექვევ თავში.

კანონმდებლობაში შეიძლება გამოიყოს მორალური ზიანისათვის ფულადი ანაზღაურების დაკისრების ორი განსაკუთრებული შემთხვევა: 1. ანაზღაურების დაკისრება მორალური ზიანის მიუჯნებისათვის ზიანის მიმუჯნებლის ბრალის მიუხედავად. 2. მორალური ზიანის მიუჯნებისათვის ანაზღაურების დაკისრება არა ზიანის მიმუჯნებულზე, არამედ პირებზე, რომლებიც მატერიალურად არიან პასუხისმგებელნი მიმუჯნებლის ქმედებისათვის. განვიხილოთ ორივე შემთხვევა დეტალურად: მორალური ზიანის ანაზღაურებას ადგილი შეიძლება პქონდეს ზიანის მიმუჯნებლის ბრალის მიუხედავად, როცა: ზიანი მიადგა ადამიანის სიცოცხლეს და ჯანმრთელობას მომეტებული საფრთხის წყაროთი; ზიანი მიადგა მოქალაქეს, მისი სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობაში უკანონო მიცემის, უკანონო დაკავების ან მის მიმართ ადმინისტრაციული სახდელების უკანონო შეფარდების შედეგად; ზიანი მიუჯნებულია პატივის, ღირსების და საქმიანი რეპუტაციის შემლახველი, სახელის გამტეხი ცნობების გავრცელების შედეგად; კანონით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

ზიანი მომეტებული საფრთხის წყაროთი მიუჯნებულად ითვლება, როდესაც წარმოიშვა იმ ფიზიკური თუ იურიდიული პირების ისეთი საქმიანობის შედეგად, რომელიც დაკავშირებულია გარშემომყოფთათვის მომეტებულ საფრთხესთან (სატრანსპორტო საშუალებების, მექანიზმების, მაღალი ძაბვის ელექტრო-ენერგიის, ატომური ენერგიის, ფერქებადი ნივთიერებების, ძლიერმოქმედი შხამების და ა.შ. გამოყენება). მომეტებული საფრთხის წყაროს მფლობელი ვალდებულია აანაზღაუროს მიუჯნებული ზიანი, თუკი ვერ დაამტკიცებს, რომ ზიანი მიუჯნებულ იქნა დაუძლეველი ძალის ან დაზარალებულის განზრახვის შედეგად.

ზიანის მიმუჯნებლის ბრალის გარეშე ხდება მორალური ზიანის ანაზღაურება როცა ზიანი მიუჯნებულია სამართალდამცავი ორგანოების უკანონო ქმედებით, კერძოდ, პირის სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებაში უკანონო მიცემით, ადმინისტრაციული სახდელების უკანონო შეფარდებით და ა.შ. დასახელებულ შემთხვევებში პიროვნებისათვის მორალური ტანჯვის

მიყენება დაკავშირებულია პიროვნების ისეთი ძირითადი უფლებების დარღვევასთან, როგორიცაა თავისუფლება და პირადი ხელშეუხებლობა.

“მორალური ზიანის მიყენებისათვის ზიანის ანაზღაურება ეკისრება არა თვით ზიანის მიმყენებელს, არამედ სხვა პირებს, რომლებიც კანონის ძალით მატერიალურად პასუხისმგებლები არიან ზიანის მიმყენებლის მიერ მიყენებულ ზიანზე. ასეთ სუბიექტებს წარმოადგენენ: ა) მცირებულოვანთა მშობლები (მშვილებლები) ან მეურვეები; ბ) საგანმანათლებლო, აღმზრდელობითი, სამკურნალო ან სხვა დაწესებულებები, რომლებიც ვალდებულნი არიან მეთვალყურეობა გაუწიონ მცირებულოვნებს, არასრულწლოვნებს ან იმ პირებს, რომლებიც საჭიროებენ მეთვალყურეობას, თუკი ეს პირები ზიანს მიაყენებენ ამ დაწესებულების მეთვალყურეობის ქვეშ ყოფნის დროს; გ) არასრულწლოვანის მშობლები (მშვილებლები) ან მზრუნველი, როცა მას არა აქვს საკმარისი ქონება ან შემოსავალი მიყენებული ზიანის ასანაზღაურებლად; დ) მეურვე ან ორგანიზაცია, რომელიც ვალდებულია მეთვალყურეობა გაუწიოს ქმედუუნაროდ ცნობილ პირს; ე) იურიდიული პირი ან მოქალაქე – მისი მუშაკის მიერ შრომითი მოვალეობის შესრულებისას მიყენებული მორალური ზიანისათვის; ვ) სახელმწიფო – სახელმწიფო მოსამსახურის უკანონო ქმედების შედეგად მოყენებული მორალური ზიანისათვის; ზ) მასობრივი ინფორმაციის საშუალებები – მათ მიერ სინამდვილეს შეუსაბამო ცნობების გავრცელებისას, რამაც შელახა მოქალაქის პატივი და ღირსება ან მიაყენა არამატერიალური ზიანი; თ) მომეტებული საფრთხის წყაროს მფლობელი, როცა ზიანი მიყენებულია მომეტებული საფრთხის წყაროთი, რომლის ექსპლუატაციასაც ახდენდა სხვა პირი მისი მფლობელის თანხმობით.”¹⁴⁰

§ 3.2. კომპენსაციის განსაზღვრის პრინციპები და პრობლემები კანონმდებლობასა და სასამართლო პრაქტიკაში

სამოქალაქო კოდექსის 413-ე მუხლი ადგენს, რომ „არაქონებრივი ზიანისათვის ფულადი ანაზღაურება შეიძლება მოთხოვნილ იქნეს მხოლოდ კანონით ზუსტად განსაზღვრულ შემთხვევებში“. ასეთი დანაწესის მიზანი

¹⁴⁰ Ерделевский А.М .Компенсация морального вреда 2-е изд. М. 2000, ст. 181.

უნდა იყოს სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობისა და წესრიგის უზრუნველყოფა, რითაც კანონმდებელმა ერთგვარი ზღვარი გაავლო ქონებრივ და არაქონებრივ ზიანს შორის და ერთმანეთისაგან გამიჯნა ისინი. კანონით ზუსტად განსაზღვრულ შემთხვევებში არ იგულისხმება მხოლოდ სამოქალაქო კოდექსით დადგენილი შემთხვევები, როგორიცაა სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლი (რომელზეც დეტალურად ქვემოთ გვექნება საუბარი) თუ სხვა. მხედველობაშია ასევე კერძო თუ საჯარო სამართლებრივი ხასიათის სხვა ნორმატიული აქტები (კანონები). მაგ: ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 47-ე მუხლი, (რომლის თანახმად პირს უფლება აქვს საჯარო დაწესებულების ან საჯარო მოსამსახურის გადაწყვეტილების გაუქმების ან შეცვლის მოთხოვნით მიმართოს სასამართლოს, აგრეთვე მოითხოვოს ქონებრივი და არაქონებრივი ზიანის ანაზღაურება ამ მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში) “საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ” საქართველოს კანონის 59-ე მუხლის მე-3 პუნქტი, (რომლის შესაბამისადაც საავტორო და მომიჯნავე უფლებების მქონე პირს შეუძლია მოითხოვოს ამ უფლებების დამრღვევისაგან არაქონებრივი ზიანის ანაზღაურება), საქართველოს კანონი “პაციენტთა უფლებების დაცვის შესახებ” (მუხლი 10), საქართველოს კანონი “რეკლამის შესახებ” (მუხლი 21), კანონი “საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ” (მუხლი 59.3), “კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ” საქართველოს კანონი (მე-17 მუხლი) და სხვა.

“მორალური ზიანის ანაზღაურების კოდექსის 413-ე მუხლით განსაზღვრულ საკანონმდებლო წესრიგში მოქცევა, შესაძლებლობას იძლევა თავი დავიზღვიოთ მისი მოქმედების ფარგლების დაუსაბუთებელი გაფართოებისაგან.”¹⁴¹ აქედან უკვე ჩანს, რომ ზიანის სრული ანაზღაურება უპირობოდ ეხება მარტოოდენ ქონებრივ ზიანს. “მორალური ზიანი შეიძლება რეალურად მართლაც დადგეს, მაგრამ, თუ კანონით არაა გათვალისწინებული მისი ანაზღაურება, იგი არ ანაზღაურდება. როცა გათვალისწინებულია, ცხადია, სრული ანაზღაურების დეფინიციაში შევა იგი. ვფიქრობთ, რომ სასამართლოებმა თავად უნდა ამოავსონ კანონის ხარვეზები და დასაბუთებული აუცილებლობისას, შექმნან მორალური ზიანის ანაზღაურების ახალი პრეცედენტები.”¹⁴²

¹⁴¹ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მესამე, თბ. 2001, გვ. 472.

¹⁴² იქვე, გვ. 473.

ქონებრივი ზიანის მიუენებისას სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობის არსი მდგომარეობს ერთი პირის (დაზარალებულის) ქონებრივი მდგომარეობის აღდგენაში მეორის (სამართალდამრღვევის) ქონების შემცირების ხარჯზე და პასუხისმგებლობის ზომა მიუენებული ზიანის პროპორციულია. მაგრამ თუკი სამართალდარღვევის უარყოფითი შედეგები დაზარალებულის სულიერ ტანჯვასა და განცდებში გამოიხატა, მაშინ სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობის არსი ვერ იქნება დაზარალებულის ქონებრივი სფეროს აღდგენა, რომელიც შესაძლოა არც კი იყოს დარღვეული. მართალია ამ შემთხვევაშიც ადგილი ექნება სამართალდამრღვევის ქონებრივი მდგომარეობის შემცირებას დაზარალებულის სულიერი თუ ზნეობრივი ტანჯვის კომპენსაციის ხარჯზე, მაგრამ პასუხისმგებლობის ზომა ამ შემთხვევაში ვერ იქნება ზიანის პროპორციული. ზიანის ზუსტი შეფასება შეუძლებლია, რადგან მას არა აქვს ფულადი ექვივალენტი. მორალური ზიანის ანაზღაურება, როგორც სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობის ერთ-ერთი სახე წარმოადგენს ფიზიკური და ზნეობრივი ტანჯვის შემცირებისა და დაზარალებულის სულიერი წონასწორობის, ემოციურ-ფსიქოლოგიური მდგომარეობის აღდგენის საშუალებას.¹⁴³ თუმცა ეს საკითხი საკმაო სირთულეებთან არის დაკავშირებული. კომპენსაცია მორალური ზიანისათვის არ ეკისრება მოპასუხეს, თუ მის მიერ მიუენებულმა ტკივილმა არ გამოიწვია ფიზიკური ან სულიერი ტანჯვა. მორალური ზიანის ანაზღაურების ოდენობა დამოკიდებულია მტკიცებულებებზე, კერძოდ, სამედიცინო დასკვნაზე.

მიუხედავად ამისა, ტკივილის და ტანჯვის სიმძიმის განსაზღვრა თითქმის წარმოუდგენელია. კონკრეტულ და ზუსტ კრიტერიუმს აღნიშნულ საკითხზე მოქმედი კანონმდებლობა არ იძლევა. მორალური ზიანისათვის კომპენსაციის ოდენობის განსაზღვრა სასამართლოს მიხედულებაზეა დამოკიდებული. კანონის დანაწესი რომელიც განსაზღვრულ იმპერატივს არ შეიცავს. ერთი მხრივ მოსამართლეს აძლევს უფლებას სამოსამართლო სამართლის პრინციპებზე დაყრდნობით არა მარტო კანონშემფარდებლის, არამედ გარკვეულწილად კანონშემოქმედის როლში მოგვევლინოს და კანონზე დაყრდნობით, შინაგანი რწმენითა და თავისი შეხედულებით, გონივრულად და სამართლიანად გადაწყვიტოს მორალური ზიანის ანაზღაურების საკითხი და კომპენსაციის ოდენობა, ხოლო მეორე მხრივ არასტაბილური და შედარებით

¹⁴³ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მესამე, თბ. 2001, გვ. 473.

მწირი სასამართლო პრაქტიკის პირობებში აკისრებს მას უდიდეს პასუხისმგებლობას და შეიცავს კანონიერი, მაგრამ არცთუ სახარბიელო და სასურველი “უსამართლო” გადაწყვეტილების გამოტანის საშიშროებას.

ქონებრივი ზიანის მიუენების შემთხვევაში, პასუხისმგებლობა განისაზღვრება ქონების დირებულების ეკვივალენტურობით. მორალური ზიანის მიუენების შემთხვევაში ეკვივალენტურობის პრინციპი არ მოქმედებს. პასუხისმგებლობას მორალური ზიანის ანაზღაურებისთვის აშკარად გამოხატული საკომპენსაციო ხასიათი გააჩნია. “მტკიცება არ სჭირდება იმას, რომ შეუძლებელია ტანჯვის შეფასება ფულადი ან სხვა მატერიალური ფორმით. მორალური ზიანისათვის მატერიალური კომპენსაცია მოწოდებულია გამოიწვიოს დადებითი ემოციები, რომლებიც ადამიანის ფსიქიკაში მაქსიმალურად შეამსუბუქებენ გადატანილი ტანჯვით გამოწვეულ ნეგატიურ ცვლილებებს. თუმცა ისიც გასაგებია, რომ მსგავს “შემსუბუქებას” საკმაოდ პირობითი ხასიათი ექნება, რაც გარდაუგალია მორალური ზიანის თავისებურებათა გამო”.¹⁴⁴ 6. მალეინის აზრით, “მორალური ზიანის მიუენების შემთხვევაში, საუბარი უნდა იყოს არა მისთვის განკუთვნილი ფულის ოდენობასა და მის ანაზღაურებაზე (რაც, რა თქმა უნდა, შეუძლებელია სრულად შეესაბამებოდეს მიუენებული ტანჯვისა და განცდის ხარისხს), არამედ მის შემსუბუქებაზე, ანუ დაზარალებულის ტანჯვისა და განცდის გარკვეულწილად მოხსნაზე, მის დახმარებაზე, დაკარგულ გარემომცველ სამყაროსთან კონტაქტის დამყარების შესაძლებლობის უზრუნველყოფაზე, თითოეული შემთხვევის კონკრეტულ გარემოებათა გათვალისწინებით.”¹⁴⁵ ა. შიჩანინი მიუთითებს, რომ, “არაფერია საკვირველი იმაში, რომ ადამიანს, რომელსაც სხვისი მიზეზით წაართვეს ცხოვრებისეული სიხარული და ბედნიერების განცდა, სურს მიიღოს ფულადი კომპენსაცია. სამართლიანია, რომ კანონმდებელი ზიანის მიმუენებლის ხარჯზე უზრუნველყოფს დაზარალებულს, ყურადღებას ამახვილებს მასზე და სრულ იგნორირებას უკეთებს იმას, თუ რამდენად ხელსაყრელია ეს ზიანის მიმუენებლისათვის, სწორედ ისე, როგორც ყოველთვის, მატერიალური ანაზღაურებისას უგულებელყოფილია დაზარალებულის გამორჩენა (სარგებელი) კანონდამრღვევისაგან.”¹⁴⁶

¹⁴⁴ Ерделевский А.М Компенсация морального вреда 2-е изд. М. 2000, გვ. 187.

¹⁴⁵ Малеин Н.С. “Возмещение вреда, причиненного личности” М. 1965.

¹⁴⁶ შ. ჩიკვაშვილი “პასუხისმგებლობა მორალური ზიანისათვის,” თბილისი, 2003 წელი, გვ. 105.

კანონი ავალებს დაზარალებულს სასარჩელო განცხადებაში მიუთითოს, თუ როგორ აფასებს მის მიერ გადატანილ ფიზიკურ და სულიერ ტანჯვას, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, რა თანხით უნდა განისაზღვროს მისთვის მიუენებული მორალური ზიანი, მაგრამ შეფასება არის სუბიექტური და სასამართლოსათვის არ არის სავალდებულო. სასამართლომ საქმის განხილვისას უნდა დაადგინოს, დაზარალებულის ინდივიდუალური თავისებურებების გათვალისწინებით სულიერი ტკივილის ხარისხი და სიმძიმე, ხანგრძლივობა, შეურაცხმყოფელი ცნობების (განცხადების) გავრცელების არეალი, დაზარალებულის და ზიანის მიმუენებლის მატერიალური მდგომარეობა, და საქმისთვის მნიშვნელობის მქონე სხვა გარემოებები, და ეს ყველაფერი უნდა დაუკავშიროს განცდილი სულიერი და ფიზიკური ტანჯვების სიმძიმეს, რაც არის სწორედ სამართლიანი ანაზღაურების დაკისრების ქვაკუთხედი და რაშიც მდგომარეობს სამოსამართლეო სამართლის სირთულე. რაც შეეხება დაზარალებულის ინდივიდუალურ თავისებურებებს, მათ გავლენა შეიძლება იქონიონ ტანჯვის სიღრმის შემცირებასა ან გაზრდაზე. ამიტომ მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული როგორც ეს “საშუალო” სიღრმე (პრეზუმირებული მორალი, როგორც მას უწოდებს ა.ერდელეგსკი),¹⁴⁷ ისე დაზარალებულის ინდივიდუალური თავისებურებებით განპირობებული სახე, რაც სასამართლოს მისცემს შესაძლებლობას გაითვალისწინოს ნამდვილი მორალური ზიანი და განსაზღვროს ანაზღაურების შესაბამისი ოდენობა.¹⁴⁸ ყოველივე ამან ასახვა უნდა ჰქოვოს სასამართლო გადაწყვეტილებაში, სადაც უნდა მიეთითოს, თუ რატომ დაკმაყოფილდა (თუ არ დაკმაყოფილდა, რატომ არ დაკმაყოფილდა) სასარჩელო მოთხოვნა და რატომ დაინიშნა სხვა მოცულობის კომპენსაცია.

საკასაციო სასამართლომ შეუსაბამოდ მიიჩნია მორალური ზიანისათვის ასანაზღაურებლად დაკისრებული თანხის ოდენობა და მნიშვნელოვნად შეამცირა იგი. გ. ჭ-მ გაზეთ “დილის გაზეთის” რედაქციის წინააღმდეგ სარჩელით მიმართა სასამართლოს. მოსარჩელემ მიუთითა, რომ მოპასუხებ გამოაქვეყნა სტატია “კუზიანს სამარე ასწორებს, გამოცდილ ბიზნესმენს კი”... მითითებულმა სტატიამ დანაშაულებრივად ხელყო მისი პატივი, დირსება და საქმიანი რეპუტაცია, შელახა კონსტიტუციით დაცული მისი ინტერესები. გაზეთი ცილს სწამებს ისეთ მძიმე დანაშაულის ჩადენაში, როგორიცაა

¹⁴⁷ Ерделевский А.М .Компенсация морального вреда 2-е изд. М. 2000, ст. 188.

¹⁴⁸ Э. Гаврилов, Как определить размер компенсаций морального вреда ж . Российская юстиция #6.2000, ст. 22.

დანაშაული, გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 74-ე მუხლით – თაღლითობა, სხეულის განზრას მძიმე ხარისხის დაზიანება, რასაც მოჰყვა ადამიანის სიკვდილი, კონტრაბანდა (40 სახარატო ჩარხის საქართველოდან თურქეთში უკანონო გატანა), ნარკოტიკების შენახვა და რეალიზაცია. აღნიშნულმა მონაჭორმა უარყოფითად იმოქმედა მოსარჩელის ლირსებაზე, რამაც გარკვეული უარყოფითი გამოხატულება პპოვა მის ურთიერთობებზე როგორც სანათესავო, სამეგობრო წრეში, ისე პარტნიორებთან, ვინაიდან არის ერთ-ერთი შპს-ს პარტნიორი და დირექტორი. ამან ხელი შეუშალა საქმიანი კონტრაქტების დადებაში, რის გამოც განიცადა როგორც მორალური, ისე მატერიალური ზარალი, რაც თანხობრივად გამოიხატა 80000 ლარში. მოსარჩელემ მოითხოვა მიუენებული ზიანის ანაზღაურება. საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ: გაზეთ „დილის გაზეთს“ დაევალა მის მიერ გამოქვეყნებული ცნობების უარყოფა, გაზეთს ასევე დაევალა გ. ჭ-ის სასარგებლოდ 3000 ლარის გადახდა.

საკასაციო სასამართლომ ნაწილობრივ დაკმაყოფილა გაზეთ „დილის გაზეთის“ საკასაციო საჩივარი და მიიჩნია, რომ გაზეთი „დილის გაზეთი“ ვერ იქნებოდა განთავისუფლებული მორალური ზიანის მიუენების გამო პასუხისმგებლობისაგან, ვინაიდან მან გაავრცელა გჭ-ის მიმართ არასწორი ინფორმაცია და ამ არასწორი ინფორმაციის გავრცელება გამოწვეული იყო მისი ბრალეული მოქმედებით. არც გაზეთის რედაქციას, არც უურნალისტს, რომელიც არის რედაქციის თანამშრომელი, არ შეუმოწმებია გ-ის პატივისა და ლირსების შემლახველი ცნობების უტყუარობა, თუმცა “პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებათა შესახებ კანონის 24-ე მუხლის „ე“ პუნქტის თანახმად უურნალისტი მოვალეა, პატივი სცეს მოქალაქეთა კონსტიტუციურ უფლებებს, ხოლო ამავე მუხლის „გ“ პუნქტით გათვალისწინებულია, რომ უურნალისტი მოვალეა, შეამოწმოს მის მიერ მოპოვებული ინფორმაციისუტყუარობა. საკასაციო სასამართლომ საფუძვლიანად ჩათვალა კასატორის პრეტენზია, რომ სააპელაციო სასამართლომ ვერ დაასაბუთა, თუ რატომ უნდა გადახდეს გაზეთს 3000 ლარი და მიიჩნია, რომ მორალური ზიანის კომპენსაციის ზომის განსაზღვრისას აუცილებელია მთელი რიგი გარემოებების გათვალისწინება. მათ შორის, გავრცელებული ცნობების ხასიათის საზოგადოებრივი შეფასება (სასამართლოს არ შეუძლია იხელმძღვანელოს დაზარალებულის სუბიექტური

ადქმით, რადგან ზეობრივი განცდის გამომწვევი ვითარებები ფასდება სხვადასხვანირად), ცნობების გავრცელების სფერო (არეალი) მოპასუხის ქონებრივი მდგომარეობა და ა.შ. მორალური ზიანის ანაზღაურების მოცულობას სასამართლო განსაზღვრავს მოსარჩევის მოთხოვნის საფუძველზე, მაგრამ ეს მოთხოვნა მოსარჩევის მხოლოდ მოსაზრებაა და ანაზღაურების მოცულობის გადაწყვეტა სასამართლოს შეხედულებითაა გადასაწყვეტი იმ პრინციპიდან გამომდინარე, რომ ფულადი კომპენსაცია უნდა განხორციელდეს გონივრული და სამართლიანი ანაზღაურების სახით. მორალური ზიანის ანაზღაურების გონივრულობა და სამართლიანობა უნდა გამოიხატოს იმ სოციალური ამოცანების განხორციელებით, რომელსაც მიზნად ისახავს დელიქტური ვალდებულების ეს სახე. გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ მორალური ზიანის ანაზღაურებას სიმბოლური ხასიათი აქვს, მაგრამ ფულადი სიმბოლური საზღაურით ხორციელდება დარღვეული პიროვნული უფლების აღიარება, ზემოქმედება პიროვნული უფლების ხელყოფაზე მის მიერ ჩადენილი ხელყოფის სიმბიმის მიხედვით. პრევენციული ფუნქციის გადამეტებამ შესაძლოა გამოიწვიოს ფულადი კომპენსაციის ოდენობის უზომოდ გაზრდა და პრესის თავისუფლების დაუსაბუთებელი შეზღუდვა. გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ გამოთქმული აზრის საჯაროდ უარყოფა და ზიანის მიმყენებლის გადახდის დაბალუნარიანობა ამცირებს ფულადი კომპენსაციის ოდენობას. ზიანის მოცულობის განსაზღვრისათვის ასევე საჭიროა იმის დადგენა, თუ რა სარგებელია მიღებული პიროვნული უფლებების ხელყოფის გზით.

ზემოთ მითითებული გარემოებების გათვალისწინებით საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში მორალური ზიანის საკომპენსაციოდ დაკისრებული თანხა – 3000 ლარი, არაადექვატურია ხელყოფის სიმბიმესთან მიმართებაში, მითუმეტეს იმ დროს, როცა ხელყოფს დაკისრებული აქვს პიროვნების პატივის და დირსების შემლახველი ცნობების უარყოფაც, რომელიც კანონიერ ძალაშია შესული. ამ გარემოებების გათვალისწინებით საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მორალური ზიანის სახით ასანაზღაურებელ თანხად გონივრული და სამართლიანი იქნება 100 ლარის დაკისრება.¹⁴⁹

¹⁴⁹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებაზე სამოქალაქო საქმეებზე, თბილისი, 3-783-02, 17.07.02.

კანონის მოთხოვნა ანაზღაურების ოდენობის გონივრულობის და სამართლიანობის შესახებ მოითხოვს სასამართლოსგან საქმის ინდივიდუალური თავისებურებების გათვალისწინებით მრავალი ასპექტის გათვალისწინებას. თუ რა ითვლება გონივრულ და სამართლიან ანაზღაურებად ფაქტის საკითხია და მისი დადგენა მოლიანად სასამართლოს შეხედულობაზეა დამოკიდებული.

საქართველოს უზენაესმა სასამართლომ სამოქალაქო საქმეებზე სახელმძღვანელო რეკომენდაციებში მორალური ზიანის ანაზღაურების საკითხზე განმარტა, რომ შეუძლებელია ანაზღაურების მიზანი იყოს ზიანის სრული კომპენსირება. ფულადი კომპენსაცია ამ შემთხვევაში უფრო უსიამოვნო განცხადების გაქარწყლებისკენაა მიმართული. ბუნებრივია, არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების ოდენობის განსაზღვრისას მხედველობაში უნდა იქნას მიღებული კონკრეტული პირის დამოკიდებულება თავისი უფლების ხელყოფისადმი, მაგრამ ამასთან, სასამართლომ მხედველობაში უნდა მიიღოს სხვა უფრო ობიექტური გარემოებები, როგორიცაა, მაგალითად, ყალბი და სახელის გამტეხი ცნობების სიმბიმე და მისი გავრცელების ფარგლები. შესაძლებელია პირს ერთი ქმედებით მიადგეს როგორც ქონებრივი, ისე არაქონებრივი ზიანი, კანონმდებლობა ორივე მათგანის ანაზღაურების შესაძლებლობას ითვალისწინებს. ამ საკითხთან დაკავშირებით საკასაციო პალატამ არაერთხელ განმარტა, რომ მორალური ზიანის ანაზღაურების მოცულობას განსაზღვრავს სასამართლო მოსარჩევის მოთხოვნის საფუძველზე. მოსარჩევე უფლებამოსილია სასარჩელო განცხადებაში მიუთითოს ფულადი თანხა, მიუენებული სულიერი თუ ფიზიკური ტკივილის კომპენსაციისათვის, მაგრამ ეს მოთხოვნა მოსარჩევის მხოლოდ მოსაზრებაა და ანაზღაურების მოცულობის განსაზღვრა სასამართლოს მიხედულობით უნდა გადაწყდეს. მორალური ზიანის ანაზღაურებას აკისრია სამი ფუნქცია: პირველი – დააკმაყოფილოს დაზარალებული; მეორე – ზემოქმედება მოახდინოს ზიანის მიმყენებელზე; მესამე – თავიდან აიცილოს პიროვნული უფლებების ხელყოფა სხვა პირების მიერ. მორალური ზიანის ანაზღაურების უმთავრეს მიზანს არ შეადგენს ხელყოფილი უფლებების რესტიტუცია, (რაც სრულიად შეუძლებელიცაა ქონებრივი ზიანისაგან განსხვავებით), რადგან მიყენებულ ზიანს ფულადი ეპივალენტი არ გააჩნია და შეუძლებელია მისი სრული კომპენსაცია. ძალიან ხშირად დამდგარი შედეგების გამოსწორება შეუქცევადი მოვლენაა და

როგორი დიდიც არ უნდა იყოს კომპენსაცია, იგი მაინც ვერ აღუდგენს დაზარალებულს სელიუფოამდე არსებულ სულიერ მდგომარეობას. კომპენსაციის მიზანია მოსარჩევის გამართლება საზოგადოების თვალში და მორალური ზიანით გამოწვეული ტკიფილის შემსუბუქება. კომპენსაცია მიმართულია უარყოფითი ემოციების გასაქარწყლებლად. მორალური ზიანის ანაზღაურების პრევენციული ფუნქციის განხორციელებისათვის მნიშვნელობა ენიჭება ისეთ ფაქტორს, როგორიცაა სამართალდარღვევის განმეორების საშიშროება ზიანის მიმყენებლის მიერ, მაგრამ პრევენციული ფუნქციის გადამეტებამ შესაძლოა გამოიწვიოს ფულადი კომპენსაციის უზომოდ გაზრდა და პრესის თავისუფლების დაუსაბუთებელი შეზღუდვა.

კომპენსაციის ოდენობა უსაშველოდ არ უნდა იყოს გაზრდილი და არ უნდა მოწყდეს რეალობას, მისი მიზანი არ უნდა იყოს მოპასუხის დასჯა, რის გამოც კომპენსაციის განსაზღვრის დროს გათვალისწინებული უნდა იყოს მოპასუხის ქონებრივი მდგომარეობაც.¹⁵⁰

საკასაციო სასამართლომ მნიშვნელოვნად შეამცირა სააპელაციო სასამართლოს მიერ განსაზღვრული მორალური ზიანის ოდენობა მოპასუხის ქონებრივი მდგომარეობის გათვალისწინებით.

თ. 6-მა სარჩევი აღძრა ჯ. ბ-ას წინააღმდეგ და მოითხოვა მოპასუხე ჯ. ბ-ას მიერ გაზეთი “ახალი თაობის” მეშვეობით გავრცელებული თ. 6-ის პატივისა და დირსების შემლახველი ცნობების უარყოფა იმავე გაზეთის მეშვეობით შემდეგი ფორმით: სიცრუეა, რომ თ. მა სოფ.რუხში უკანონო გარიგების შედეგად ბენზინის დიდ პარტიაში 25000 საბჭოური პასპორტი გაცვალა და სამაუწყებლო კომპანია “რუსთავი-2-ის” გადაცემა “დამის კურიერის” და გადაცემა ”პოსტ-სკრიპტუმის“ მეშვეობით გავრცელებული თ. 6-ის პატივისა და დირსების შემლახველი ცნობების უარყოფა იმავე გადაცემებში შემდეგი ფორმით: სიცრუეა, რომ დევნილების უბედურების ხარჯზე 6-ი გამდიდრდა; სიცრუეა, რომ 6-ი თბილისში დაკავებულია ფულის კეთებით; სიცრუეა, რომ 6-ი ჩართულია კორუბციაში; სიცრუეა, რომ ბაგებში მდებარე სამი სახლიდან ერთ-ერთი თ.6-ისაა და მის ნათესავებზეა გაფორმებული, მოსარჩევემ ასევე მოითხოვა მოპასუხე ჯ. ბ-ასათვის თ. -ის სასარგებლოდ 600000 ლარის გადახდა მიყენებული მორალური ზიანის ასანაზღაურებლად.

¹⁵⁰ [საქართველოს](#) უზენაესი სასამართლოს რეკომენდაციები სამოქალაქო სამართლის პრობლემატურ საკითხებზე. თბილისი, 25.07.2007 წელი. www.supremecourt.ge.

მორალური ზიანის ანაზღაურების უმთავრესი ფუნქციის, მოპასუხის ბრალის მისი ფინანსურუნარიანობის, დამდგარი ზიანის ოდენობისა და სკის 413-ე მუხლის 1-ლი პენქტით დადგენილი საზომების გათვალისწინებით თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო და სამეწარმეო საქმეთა სასამართლო კოლეგიამ მოპასუხე ჯ.პ.-ას დააკისრა 5.000 ლარი მოსარჩევის სასარგებლოდ. კოლეგიამ მოპასუხეს დააკისრა გავრცელებული ცნობების უარყოფა. საქართველოს უზენაესმა სასამართლომ თავისი გადაწყვეტილებით ნაწილობრივ დაკმაყოფილა ჯ. ბ-ას საკასაციო საჩივარი და მიუთითა შემდეგი: სიტყვის თავისუფლება, იმ სახით, რომელიც გარანტირებულია საქართველოს კონსტიტუციითა და შესაბამისი საერთაშორისო აქტებით, წარმოადგენს დემოკრატიული საზოგადოების არსებობის ერთ-ერთ საფუძველს, საზოგადოების პროგრესისა და თითოეული ინდივიდის თვითრეალიზაციის ერთ-ერთ პირობას. სიტყვის თავისუფლება არის დემოკრატიული საზოგადოების ის იარაღი, რომელიც მას შესაძლებლობას აძლევს, შეიტყოს პოლიტიკური ლიდერების საზოგადოებრივ პრობლემებთან დამოკიდებულება, ერთმანეთს შეადაროს მათი შეხედულებები და იდეები. პოლიტიკური დისკუსიის თავისუფლება წარმოადგენს დემოკრატიული საზოგადოების გულს. შესაბამისად, პოლიტიკური თანამდებობის პირთა კრიტიკის ფარგლები ფართოა, ვიდრე კერძო პირთა. პოლიტიკური თანამდებობის პირისათვის გარდაუგალია და ამგვარი თანამდებობის დაკავება თავისთავად ნიშნავს, რომ მისი ყოველი სიტყვა და მოქმედება იქნება დაუინებული ანალიზისა და კრიტიკის ობიექტი. შესაბამისად, პოლიტიკოსმა უნდა გამოავლინოს მოთმინების მაღალი დონე, განსაკუთრებით მაშინ, როცა ის ახორციელებს ისეთ მოქმედებას, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს მძაფრი კრიტიკა. სახელმწიფო მოხელეებმა, პრესისა და ტელევიზიის მეშვეობით გამართულ დებატებში, დასაშვებ ზღვარზე მეტი კრიტიკა უნდა ითმინონ.

ამასთან, კრიტიკა უნდა იყოს საქმიანი და იგი არ უნდა გადაიზარდოს კრიტიკაში, რომელიც აშკარად შეუსაბამოა კრიტიკისა და განსჯის საგანთან.

პოლიტიკური თანამდებობის პირების ქმედებათა მკვეთრი შეფასებები უნდა წარმოადგენდეს განცხადების ავტორის ხელთ არსებული ფაქტების აღეპვატურს.

საკასაციო პალატა თვლის, რომ ცნობების გავრცელება იმის შესახებ, რომ პირის მიერ დარღვეულია კანონი, სცილდება საქმიანი კრიტიკის ფარგლებს და იგი იწვევს ადრესატის პატივის ანუ საზოგადოებრივი

რეპუბლიკის დისკრედიტაციას. ასეთ შემთხვევაში, დაირღვა რა კრიტიკის დასაშვები ფარგლები, შესაბამისად, კრიტიკის მიმართ თმენის ვალდებულებაც შეწყდა.

დიფამაციური ცნობების შემდეგ მის გამავრცელებელს ეკისრება სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობა, ანუ იგი ვალდებულია დამტკიცოს მათი სინამდვილესთან შესაბამისობა.

მოპასუხებ ვერ შეძლო დაემტკიცებინა ამ ცნობების სინამდვილესთან შესაბამისობა. კოლეგიამ ვერ მიიჩნია გავრცელებული ცნობების სინამდვილესთან შესაბამისობის დამადასტურებელ გარემოებად, რომ თ.ნ-ის კორუფციულ დანაშაულში მონაწილეობის საკმარისი მტკიცებაა ის, რომ იგი თავისი უმოქმედობით ხელს უწყობს ა/რ ხელისუფლებაში არსებულ დანაშაულებებს და, ასევე, მოსარჩელის ქონებრივ დეკლარაციაში არსებული მონაცემები არ შეესაბამება მის რეალურ ქონებრივ მდგომარეობას. მოპასუხებ ვერ წარმოადგინა შესაბამისი მტკიცებულებები, რაც მოსარჩელის დანაშაულში მონაწილეობას დაადასტურებდა. აღნიშნულ შეფასებას ეთანხმება საკასაციო სასამართლოც.

სკ-ის მე-18 მუხლის მიხედვით არაქონებრივ უფლებათა დაცვის ფორმებად მიჩნეულია: არაქონებრივ უფლებათა აღიარება, ხელმყოფი მოქმედების შეწყვეტა ან მათზე უარის თქმა (გავრცელებული ცნობების უარყოფა). დაცვის ეს ფორმები უმთავრეს მიზნად ისახავს დაზარალებულის უფლებების აღდგენას და მათი განხორციელების მოთხოვნა ფიზიკურ პირს შეუძლია ხელყოფის ბრალეულობის მიუხედავად. თუ პირადი არაქონებრივი უფლების ხელყოფა ხორციელდება ვინმეს ბრალეული მოქმედებით, ფიზიკურ პირს უფლება აქვს მოითხოვოს მორალური ზიანის ანაზღაურება.

საკასაციო სასამართლო იზიარებს საოლქო სასამართლოს კოლეგიის მოსაზრებას, რომ წინდახედულობის ნორმით დაცული ქცევის წესის დარღვევა საკმარისია სამოქალაქო სამართლებრივი ბრალის არსებობისათვის, რასაც მოცემულ შემთხვევაში აქვს ადგილი.

საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ მართალია, მოსარჩელის პიროვნული უფლებების ხელყოფა სერიოზულია, მაგრამ ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის და მოპასუხის ქონებრივი მდგომარეობის გათვალისწინებით მოსარჩელის მოთხოვნა გაზრდილია და არ შეესაბამება რეალობას.

მოპასუხის ქონებრივი მდგომარეობის (იგი მიუთითებდა, რომ მისი ქონებრივი შესაძლებლობები არის საკმაოდ შეზღუდული და ეს გარემოება

არც მოწინააღმდეგე მხარეს გაუხდია სადაც), ასევე მორალური ზიანის ანაზღაურების სხვა ფუნქციების გათვალისწინებით საკასაციო სასამართლოს გონივრულ და სამართლიან ანაზღაურებად მიაჩნია მოპასუხისათვის 2500 ლარის დაკისრება.¹⁵¹

იმის გამო, რომ მორალური ზიანის ანაზღაურება არ გახდეს უსაფუძვლო გამდიდრების წყარო, პრაქტიკოს იურისტთა ნაწილის პოზიციაა, რომ მიუენებული ზიანის ანაზღაურებას მიეცეს სიმბოლური ხასიათი, ანუ სასამართლო პრაქტიკაში დაინერგოს მინიმალური თანხის დაკისრება, მიუხედავად იმისა, თუ რა ხარისხისაა მიუენებული მორალური ზიანი. თუმცა აღნიშნულ საკითხზეც არ არის ერთნაირი პოზიცია. ე. ვ. სმირნესკაია დაუშვებლად მიიჩნევს მორალური ზიანის სიმბოლური თანხით განსაზღვრას და თვლის, რომ სასამართლო მოვალეა თავისი შეხედულებით განსაზღვროს კომპენსაციის ოდენობა რფ-ის სსსკ-ის 195-ე მუხლის საფუძველზე.¹⁵²

სასამართლო პრაქტიკაში იყო შემთხვევა, როცა უურნალისტმა და გაზეთის რედაქციამ მოითხოვეს მორალური ზიანის ანაზღაურება ერთი ლარის ოდენობით. სააპელაციო სასამართლომ დააკმაყოფილა მოთხოვნა, მოგვიანებით უზენაესმა სასამართლომ სხვა საფუძვლით გააუქმა გადაწყვეტილება.¹⁵³

მიმაჩნია, რომ აღნიშნული პრინციპი შეიძლება გამოყენებულ იქნეს მაშინ როცა დაზარალებული თავად აუენებს მიუენებული ზიანის სიმბოლური თანხით კომპენსირების მოთხოვნას, ე.ო. იგი თავად მიიჩნევს, რომ თუნდაც სიმბოლური, როგორც წესი მინიმალური თანხით, მოპასუხისათვის ზიანის დაკისრების ფაქტი მისთვის მნიშვნელოვანია და გარკვეულწილად აკმაყოფილებს მის სოციალურ და საზოგადოებრივ ამბიციას რაც მიუენებული ქმედების გამო წარმოშობილმა სულიერმა ტკივილმა, სირცევილმა ან წყენამ განაპირობა. ასეთ შემთხვევაში სასამართლო შეზღუდულია კიდევ სამოქალაქო სამართლაწარმოების დისპოზიციურობის პრინციპით, ასევე სსსკ-ის 248-ე მუხლით მიიღოს სხვაგარი გადაწყვეტილება. სასამართლოს ინიციატივით სიმბოლური თანხის დაკისრება კი

¹⁵¹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სამოქალაქო საქმეებზე, თბილისი, უურნალი №9, 2003 წელი, გვ. 2423.

¹⁵² Смиренская, Елена Витальевна, Компенсация морального вреда как деликтное обязательство, Автореферат, Волгоград, 2000.

¹⁵³ საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სამოქალაქო საქმეებზე, თბილისი, უურნალი №2, 2003 წელი, გვ.267.

ეწინააღმდეგება არაქონებრივი უფლებების დაცვის სფეროში საქართველოს კანონმდებლობაში განმტკიცებულ პრინციპს მორალური ზიანის გონივრული და სამართლიანი ანაზღაურების შესახებ.

“გარემოებები, რომლებმაც წარმოშვეს სულიერი ტანჯვა, ხშირად სხვადასხვა ხასიათის შეიძლება იყოს. ამდენად დაზარალებულთა მიერ ერთნაირად ვერ აღიქმებიან და სწორედ სასამართლომ უნდა მისცეს მათ ობიექტური შეფასება.”¹⁵⁴ ისმის კითხვა? რა საშუალებები აქვს სასამართლოს თავად განსაზღვროს მიყენებული ზიანის ოდენობა. პირველ რიგში პროცესუალური ნორმები, რომლებიც განსახილველ საკითხზე რაიმე განსაკუთრებულ სკეციფიკას არ გვთავაზობს. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის თანახმად, სასამართლოსათვის არავითარ მტკიცებულებას არა აქვს წინასწარ დადგენილი ძალა. სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, რის შედეგადაც მას გამოაქვს დასკვნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ. მითითებული ნორმა მტკიცებულებათა შინაგანი რწმენით შეფასებაში გულისხმობს, არა მოსამართლის მიერ მტკიცებულების პიროვნულ, ინტუიციურ შეფასებას, არამედ შინაგანი რწმენა – ეს არის მტკიცებულებათა ყოველმხრივი, სრული და ობიექტური გამოკვლევის შედეგი. მხოლოდ ამგვარი შეფასებით მიიღება დასკვნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ. კანონის დანაწესი მტკიცებულებათა ყოველმხრივი, სრული და ობიექტური გამოკვლევის თაობაზე მოიაზრებს მტკიცებულებათა შემოწმებას ორი თვალსაზრისით: I. რა შინაარსისაა მტკიცებულება ანუ საქმისათვის მნიშვნელოვან რა ინფორმაციას გვაძლევს და II. რა იურიდიული ძალა აქვს ამ მტკიცებულებას, რამდენად დამაჯერებელია იგი.

მორალურ ზიანს (სულიერ და ფიზიკურ ტანჯვებს) შეიძლება ხანგრძლივი ხასიათი ჰქონდეს ან თავი იჩინოს როგორც სარჩელის წარდგენისას, ისე გადაწყვეტილების გამოტანის შემდეგ. აგზორთა ნაწილი ზიანის ოდენობის განსაზღვრისას სასამართლო პრაქტიკას სთავაზობს ანაზღაურებისა და ეკვივალენტურობის (თანასწორობის) პრინციპს. დიდ მორალურ ზიანს დიდი ოდენობით ანაზღაურება მოჰყვება და პირიქით. არის

¹⁵⁴ М.Н. Малеина “нематериальные блага и перспективы их развития,” закон, 1995, №10, გვ. 112.

მოსაზრება, რომ სისხლის სამართლის კოდექსის ნორმების მაქსიმალური სანქციების თანაფარდობა ყველაზე ობიექტურად ასახავს დაცულ ფასეულობათა საზოგადოებრივ მნიშვნელობას და მიზანშეწონილი იქნება ამ თანაფარდობათა გათვალისწინება პრეზუმირებული მორალური ზიანის ანაზღაურების ოდენობის განსაზღვრისათვის. ამასთან ზიანის შეფასების კრიტერიუმს შეიძლება წარმოადგენდეს მინიმალური ხელფასი, ქმედების სახეობისა და სიმძიმის ხარისხის გათვალისწინებით.¹⁵⁵ ა.ერდელევსკის მიერ წარმოდგენილ მოსაზრებას კანონდარღვევის სიმძიმის ხარისხიდან გამომდინარე მინიმალური ხელფასის კრიტერიუმის საშუალებით მორალური ზიანის კომპენსაციის თაობაზე განსაზღვრული შინაარსი აქვს და ზოგიერთი ავტორი მიზანშეწონილად მიიჩნევს სწორედ ეს მეთოდიკა იქნეს აღიარებული მორალური ზიანის ფულადი ანაზღაურების საფუძვლად. “შესაძლებელია შემუშავებულ იქნეს გარკვეული ორიენტირები რომლებიც ხელს შეუწყობენ სასამართლო ორგანოებს მიყენებული მორალური ზიანის ფულადი ანაზღაურების საქმეთა განხილვისას “გონივრული და სამართლიანი” ანაზღაურების დადგენაში. სასამართლომ მიყენებული მორალური ზიანის ფულადი ანაზღაურებისას მხედველობაში უნდა მიიღოს დაზარალებულის ინდივიდუალურ თავისებურებებთან დაკავშირებული ფიზიკური და ზნეობრივი განცდების მოცულობა და ხასიათი, ზიანის მიმეჯნებლის ბრალის ხარისხი, პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის შეურაცხმყოფელი ინფორმაციის გავრცელების არეალი, დაზარალებულისა და ზიანის მიმეჯნებლის მატერიალური მდგომარეობა და სხვა ყურადღების ღირსი პატივსადები გარემოები. ¹⁵⁶

სამოქალაქო კოდექსი მხოლოდ ზოგადად განსაზღვრავს მორალური ზიანის ანაზღაურების საფუძვლებსა და პრინციპებს. 413-ე მუხლის მიხედვით, მორალური ზიანი უნდა ანაზღაურდეს კანონით ზუსტად განსაზღვრულ შემთხვევებში გონივრული და სამართლიანი ანაზღაურების სახით. არსებითად გონივრული ანაზღაურება იმავდროულად სამართლიანი ანაზღაურებაა და პირიქით, სამართლიანი ანაზღაურება შეუძლებელია არ იყოს გონივრული. თვით შინაარსი ასეთი ანაზღაურებისა დგინდება სასამართლო პრაქტიკის საფუძველზე. როგორც ზემოთ მივუთითეთ ქართულ სასამართლო პრაქტიკაში არც თუ ხშირია მორალური ზიანის ანაზღაურების

¹⁵⁵ შ. ჩიკვაშვილი “პასუხისმგებლობა მორალური ზიანისათვის.” თბილისი, 2003 წელი, გვ. 118.

¹⁵⁶ შ. ჩიკვაშვილი “პასუხისმგებლობა მორალური ზიანისათვის.” თბილისი, 2003 წელი, გვ.122.

შემთხვევები, შესაბამისად სულიერი და ფიზიკური ტანჯვის და მისი ერთგვარი აღდგენის თანაფარდობის და შეწონილობის საკითხის დადგენაზე რაიმე საერთო კრიტერიუმების გამოკვეთა ჯერჯერობით ჭირს.

სასამართლო პრაქტიკასა და დოქტრინაში ანაზღაურების საფუძველს სწორედ რომ სამართლიანი ანაზღაურება წარმოადგენს. “ვინაიდან მორალური ზიანი თავისი ფორმით სპეციფიკური მოვლენაა, შეუძლებელია აქ ანაზღაურების მიზანი იყოს სრული კომპენსაცია. ძალიან ხშირად დამდგარი შედეგების გამოსწორება შეუქცევადი მოვლენაა და როგორი დიდიც არ უნდა იყოს კომპენსაცია, იგი მაინც ვერ დააბრუნებს დაზარალებულს წარსულში. კომპენსაციის მიზანია მორალური ზიანით გამოწვეული ტკივილების შემსუბუქება.”¹⁵⁷ უცხოური სასამართლო პრაქტიკაც იმას მოწმობს, რომ ფულადი კომპენსაცია უარყოფითი ემოციების გასაქარწყლებლადაა მიმართული. ამიტომაცაა, რომ მორალური ზიანის ოდენობის განსაზღვრისას, სასამართლომ მხედველობაში უნდა მიიღოს, როგორც დაზარალებულის სუბიექტური დამოკიდებულება ასეთი ზიანის სიმძიმის მიმართ, ისე ობიექტური გარემოებანი, რითაც შეიძლება მისი ამ კუთხით შეფასება, როგორიცაა: ხელყოფილი სიკეთის (სიცოცხლე, ჯანმრთელობა, პატივი და ლირსება, პირადი თავისუფლება, ბინის ხელშეუხებლობა, ნივთის ფასეულობა და ა.შ.) ცხოვრებისული მნიშვნელობა; სამართალდარღვევის შედეგთა სიმძიმე (ახლო ნათესავის მკვლელობა, სხეულის დაზიანება, დაზარალებულის დაინვალიდება, თავისუფლების აღკვეთა, სამუშაოს წართმევა და ა.შ.); ყალბი და სახელის გამტები ცნობების ხასიათი და მისი გავრცელების სფერო; დაზარალებულის ცხოვრების პირობები (სამსახურებრივი, საოჯახო, ყოფითი, მატერიალური, ჯანმრთელობის მდგომარეობა ასაკი და ა.შ.); ზიანის მიმუენებლის ბრალის ხარისხი, მისი ქონებრივი მდგომარეობა და სხვა პატივსადები გარემოებანი, როგორიცაა: დაზარალებულის მკურნალობის ხანგრძლივობა, სპეციფიკურ თვისებათა შენარჩუნების შესაძლებლობა და ა.შ.¹⁵⁸ ს.ხ. ბაკუნინი წინააღმდეგია კრიტერიუმებში მიეთითოს დამრღვევის ბრალის ხარისხი.¹⁵⁹

“413-ე მუხლის მოქმედება ეჭვს არ იწვევს არასახელმეტრულებო,

¹⁵⁷ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მესამე, თბ. 2001, გვ. 473.

¹⁵⁸ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მესამე, თბ. 2001, გვ. 474.

¹⁵⁹ Бакунин Сергей Николаевич “Гражданско-правовая защита жизни и здоровья гражданина” Краснодар, 2006 г. გვ.80.

კერძოდ, დელიქტური ურთიერთობების მიმართ. ვფიქრობთ, რომ იგი ზოგადი ნორმაა და შესაბამისად უნდა გავრცელდეს სახელშეკრულებო ურთიერთობებზედაც, ცხადია, თუკი კანონით განსაზღვრული იქნება მისი ანაზღაურება. უცხოური სამართალი გამონაკლისის სახით უშვებს მორალური ზიანის ანაზღაურებას იმ შემთხვევებში, როცა მხარეთა შორის სახელშეკრულებო ურთიერთობაა. ამასთან, უნდა ითქვას, რომ შეიძლება მხარეები ხელშეკრულებით იყვნენ ერთმანეთთან დაკავშირებულნი, მაგრამ მორალური ზიანის ანაზღაურება მივიჩნიოთ დელიქტურ პასუხისმგებლობად. ასე, მაგალითად, პაციენტსა და ექიმს შორის ურთიერთობას სამედიცინო მომსახურებაზე, მართალია, ხელშეკრულება უდევს საფუძვლად, მაგრამ აქედან წარმომდგარი ზიანი დელიქტური პასუხისმგებლობის ნორმებით ანაზღაურდება (1007-ე მუხლი).¹⁶⁰ მორალური ზიანი შეიძლება მიყენებულ იქნეს არა მხოლოდ მოქმედებით, არამედ ზიანის მიმყენებლის უმოქმედობითაც.

იმდენად, რამდენადაც მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა წარმოიშობა პირადი არაქონებრივი უფლებებიდან და სხვა არამატერიალური საკითხებიდან, სკ-ის 128-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, ამ მოთხოვნაზე სასარჩელო ხანდაზმულობის ვადა არ ვრცელდება. მაგრამ ამავე დროს, “არ შეიძლება დაკმაყოფილდეს მორალური ზიანის ანაზღაურების (კომპენსაციის) მოთხოვნა, თუ ის მიყენებულია იმ კანონის ამოქმედებამდე, რომელიც ასეთ შესაძლებლობას ითვალისწინებს. იმ შემთხვევაშიც კი, თუ დაზარალებული კვლავ განიცდის ფიზიკურ ან ზნეობრივ ტანჯვას, რამეთუ სამოქალაქო კოდექსის მე-6 მუხლის შესაბამისად, არ შეიძლება კანონს მიეცეს (ჰქონდეს) უკუკევითი ძალა, თუ იგი ზიანის მომტანია ან აუარესებს პირის მდგომარეობას (აძლიერებს პასუხისმგებლობას მართლსაწინააღმდეგო, ანუ კანონსაწინააღმდეგო მოქმედებათა ჩადენის დროს მოქმედ კანონთან შედარებით). თუმცა, თუ იმ კანონის ძალაში შესვლის (ამოქმედების) შემდეგ, რომელიც ადგენს პასუხისმგებლობას მორალური ზიანის მიყენებისათვის, ამ კანონის ამოქმედებამდე დაწყებული ზიანის მიყენებლის მოქმედები (უმოქმედობა) გრძელდება, მორალური ზიანი უნდა ანაზღაურდეს.”¹⁶¹ მართალია ასეთ შემთხვევებში მხარეთა შორის შესაბამისი ურთიერთობა

¹⁶⁰ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მესამე, თბ. 2001, გვ. 472.

¹⁶¹ მ. თოდუა, შ. ქურდაძე “ცალკეული კატეგორიის სამოქალაქო საქმეზე გადაწყვეტილებათა მიღების თავისებურებანი” თბილისი, 2005 წელი. გვ. 58.

წარმოიშობა მორალური ზიანის ანაზღაურების შესახებ კანონის ამოქმედებამდე, მაგრამ მოსარჩევის მოთხოვნის უფლება მოპასუხისადმი წარმოიშვა მას შემდეგ, რაც ეს კანონი ამოქმედდა. ასეთ შემთხვევებში საუბარია ხანგრძლივ (განგრძობად) ურთიერთობებზე, რომელთა შეწყვეტაც დაკავშირებულია სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანის მომენტთან (დავის არსებითად გადაწყვეტასთან).¹⁶²

მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა შეიძლება აღიძრას როგორც ზიანის ანაზღაურების შესახებ სხვა მოთხოვნებთან ერთად (ჯანმრთელობისათვის მიყენებულ ზიანთან, ქონებრივ ზიანთან ერთად და ა.შ.), ისე დამოუკიდებლადაც. მორალური ზიანის პრევენციული ფუნქციების განხორციელებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ისეთ ფაქტორებს, როგორიცაა სამართალდარღვევის განმეორების საშიშროება და მოგების მიღება ზიანის მიმყენებლის მიერ.

შესაძლებლობის ფარგლებში გამოანგარიშებულ უნდა იქნას ის მოგება, რომელიც მიღებულია პიროვნული უფლებების ხელყოფის გზით და ფულადი კომპენსაციის მეშვეობით მთლიანად უნდა მოხდეს მისი ამოღება. თუ მოხდება მხოლოდ ერთი ნაწილის ამოღება, იქმნება საშიშროება, ზიანის მიმყენებლის მხრივ, ასეთივე ხასიათის ქმედების განმეორებისა. ამ შემთხვევაში მორალური ზიანის მიყენება სამართალდამრღვევისათვის მომგებიან საქმედ რჩება და მიღწეული ვერ იქნება სასურველი პრევენცია.¹⁶³

თავი IV. სახელის, პატივის, დირსებისა და საქმიანი რეპუტაციის დაცვის შესახებ აღძრულ საქმეთა განხილვისა და მორალური ზიანისათვის კომპენსაციის დაკისრების თავისებურებანი.

სამოქალაქო კოდექსის პირველი მუხლის შესაბამისად, სამოქალაქო კანონმდებლობის მოწესრიგების საგანია: ქონებრივი, საქორწინო–საოჯახო და პირადი არაქონებრივი ურთიერთობები. პირადი არაქონებრივი სამართალურთიერთობები წარმოადგენს სამოქალაქო სამართლის

¹⁶² იქვე, გვ. 58.

¹⁶³ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი პირველი, თბ. 1999 წ. გვ. 78.

სუბიექტების ურთიერთობას არამატერიალური სიკეთეების გამო. ეს ურთიერთობები მოწესრიგებულია სამართლის შესაბამისი დარგის ნორმებით.

ჩვენ უკვე მივუთითეთ, რომ სხვა არამატერიალურ სიკეთეებთან ერთად სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლი ამ სიკეთეებს მიაკუთვნებს პიროვნების სახელს, ღირსებას, პატივს, საქმიან რეპუტაციას, პირადი ცხოვრების საიდუმლოებას, პირად ხელშეუხებლობას, უფლებას გამოსახულებაზე. “აღნიშნული ობიექტების თაობაზე შეიძლება ჩამოყალიბდეს წმინდა პირადი, არაქონებრივი ურთიერთობა, ვინაიდან იგი საქონელგაცვლის საგანი ვერ გახდება. ეს სიკეთეები განუყოფელია ადამიანის პიროვნებისაგან და ვერ გადაეცემა სხვა პირებს, ვერც შეწყდება რაიმე საფუძველზე.”¹⁶⁴

საინტერესო და ქართული სამართლებრივი სივრცისათვის განსხვავებული დამოკიდებულება აქვთ უცხოელ ავტორებს, როცა პირად არაქონებრივ არამატერიალურ სიკეთეებს პირადი ცხოვრების დეფინიციის ქვეშ აერთიანებენ.

ედვარდ ბლოუსტეინი თვლის, რომ ინდივიდის პირადი ცხოვრების ხელყოფა ანადგურებს ინდივიდის ღირსებას, ინდივიდუალურ თავისუფლებას და დამოუკიდებლობას. ადამიანი, რომელიც თავისი ცხოვრების ყოველ წუთს იძულებულია იცხოვროს გარემოში სადაც მისი მოთხოვნილები, აზრები, სურვილები საზოგადოებრივ კონტროლს ექვემდებარება მოკლებულია ინდივიდუალობას და ადამიანურ ღირსებას. ტიმ ფრეიზერი მიუთითებს, რომ პირად ცხოვრებაში შეჭრა არღვევს ადამიანის ღირსებას, მაგრამ ინდივიდის ღირსება შეიძლება “შეჭრის” გარეშეც შეილახოს. ასეთი მიდგომა პირადი ცხოვრებისადმი არ ითვალისწინებს მის კონფიდენციალურ ხასიათს. თომას კული იყო პირველი ვინც მარტივი ფრაზით გამოხატა პირადი ცხოვრება როგორც “უფლება მარტოობაზე” (right to be let alone) რუტ გავისონი მიიჩნევს, რომ ასეთი მარტივი განმარტება არ შეიძლება კონსტრუქციული იქოს. ასეთი ფართო ინტერპრეტაციით პირად ცხოვრებაში შეჭრად უნდა ჩავთვალოთ გადასახადების გადახდა, არმიაში სამსახური ან მკვლელობისთვის დასჯა.¹⁶⁵

¹⁶⁴ გულნაზ გალდავა “სამოქალაქო უფლებათა დაცეის ფორმები და საშუალებები საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით.” სამართლის ქურნალი, თხუ, №1, 2009 წელი, გვ. 122.

¹⁶⁵ R. Gavison in F D Schoeman (ed), *Philosophical Dimensions of Privacy: An (Civil Liability For Invasion Of Privacy, Sub-Committee On Privacy, The Law Reform Commision Of Hong kong.)*

ალან ვესტინი თვლის, რომ პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის ოთხი ძირითადი სფეროა: ა. გარტოობა. ბ. ინტიმურობა. გ. ანონიმურობა. დ. რეზერვი. იგი მიიჩნევს, რომ თავისუფალ საზოგადოებაში გამონაკლის შემთხვევებში საზოგადოების განსაკუთრებული ინტერესის გარდა პირადი ინფორმაცია შეიძლება მხოლოდ ამ პირის შეხედულებით გახდეს ცნობილი. ამდენად, იგი პირად ცხოვრებას განმარტავს, როგორც პირის ან პირთა ჯგუფის პრეტენზიას განსაზღვრონ მათზე არსებული პირადი ინფორმაცია როდის, როგორ და რა მოცულობით გახდეს ცნობილი სხვა პირთათვის.¹⁶⁶

რუტ გავისონი მომხრეა კონფიდენციალობის შეზღუდვის აღიარების, მაგრამ მეტისმეტად აფართოებს ამ სფეროს. კონფიდენციალობის შეზღუდვის გავისონისეული თეორიის კრიტიკოსების პოზიციით კონფიდენციალობის შეზღუდვის გაფართოებით იზღუდება ფიზიკურ პირზე ნებისმიერი ინფორმაციის მიღების შესაძლებლობა.¹⁶⁷

ნაშრომში ჩვენ არაერთხელ მივუთითეთ, რომ ხელყოფილი პირადი არაქონებრივი უფლებების სამოქალაქო—სამართლებრივი დაცვის ერთ—ერთი ქმედითი სამართლებრივი საშუალება ქონებრივ ზიანთან ერთად მორალური ზიანის ანაზღაურებაა. იმისათვის, რომ უფრო ღრმად გავაანალიზოთ მორალური ზიანისათვის პასუხისმგებლობის საფუძვლისა და კომპენსაციის დაკისრების პრობლემები, ბუნებრივია სასურველი და აუცილებელია განვიხილოთ სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის დისპოზიცია და დავახასიათოთ ამ ნორმით დაცული სიკეთეები. სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლმა არსებობის ხანმოკლე მანძილზე მნიშვნელოვანი ცვლილება განიცადა და საბოლოოდ შემდეგი სახით ჩამოყალიბდა:

1. ვისაც სახელის ტარების უფლებას შეეცილებიან, ან ვისი ინტერესებიც ილახება მისი სახელით უნებართვო სარგებლობით, მას უფლება აქვს ხელმყოფს მოსთხოვოს მოქმედების შეწყვეტა ან უარის თქმა მასზე.

2. პირს უფლება აქვს სასამართლოს მეშვეობით, კანონით დადგენილი წესით დაიცვას საკუთარი პატივი, ღირსება, პირადი ცხოვრების საიდუმლოება, პირადი ხელშეუხებლობა ან საქმიანი რეპუტაცია შელახვისაგან.

3. თუ პირის პატივის, ღირსების, საქმიანი რეპუტაციის ან პირადი

¹⁶⁶ A F Westin, *Privacy and Freedom* (New York: Atheneum, 1968), 31-32 (Civil Liability For Invasion Of Privacy, Sub-Committee On Privacy, The Law Reform Commission Of Hong kong.)

¹⁶⁷ Civil Liability For Invasion Of Privacy, Sub-Committee On Privacy, The Law Reform Commission Of Hong kong.)

ცხოვრების საიდუმლოების შემლახველი ცნობები გავრცელებულია მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით, მაშინ მათი უარყოფაც უნდა მოხდეს ამავე საშუალებებით. თუ ამგვარ მონაცემებს შეიცავს ორგანიზაციის მიერ გაცემული საბუთი, მაშინ ეს საბუთი უნდა შეიცვალოს და ამის შესახებ ეცნობოს დაინტერესებულ პირებს.

4. პირს, რომლის პატივისა და ღირსების შემლახველი ცნობებიც გამოქვეყნდა მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში, უფლება აქვს გამოაქვეყნოს საპასუხო ცნობები ინფორმაციის იმავე საშუალებებში.

5. ამ მუხლის პირველ და მე-2 ნაწილებში გათვალისწინებული მოთხოვნის უფლება აქვს პირს მაშინაც, როცა მისი გამოსახულება (ფოტოსურათი, კინოფილმი, ვიდეოფილმი და ა.შ.) გამოქვეყნდება მისი თანხმობის გარეშე. პირის თანხმობა არ არის საჭირო, როცა ფოტოგადაღება (ვიდეოგადაღება და ა.შ.) დაკავშირებულია მის საზოგადოებრივ აღიარებასთან, დაკავებულ თანამდებობასთან, მართლმსაჯულების ან პოლიციის მოთხოვნებთან, სამეცნიერო, სასწავლო ან კულტურულ მიზნებთან, ანდა ფოტოგადაღება (ვიდეოგადაღება და ა.შ.) მოხდა საზოგადო ვითარებაში, ანდა პირმა პოზირებისათვის მიიღო საზღაური.

6. ამ მუხლით გათვალისწინებული სიკეთის დაცვა ხორციელდება, მიუხედავად ხელმყოფის ბრალისა. ხოლო, თუ დარღვევა გამოწვეულია ბრალეული მოქმედებით, პირს შეუძლია მოითხოვოს ზიანის (ზარალის) ანაზღაურებაც. ზიანის ანაზღაურება შეიძლება მოთხოვილ იქნეს იმ მოგების სახით, რომელიც წარმოექმნა ხელმყოფს. ბრალეული ხელყოფის შემთხვევაში უფლებამოსილ პირს უფლება აქვს მოითხოვოს არაქონებრივი (მორალური) ზიანის ანაზღაურებაც. მორალური ზიანის ანაზღაურება შეიძლება ქონებრივი ზიანის ანაზღაურებისაგან დამოუკიდებლად.

როგორც ნორმის დანაწესი მიუთითებს კანონით დაცულ სიკეთებს მიეკუთვნება პირის სახელი, პატივი, ღირსება, პირადი ცხოვრების საიდუმლოება, პირადი ხელშეუხებლობა, საქმიანი რეპუტაცია და გამოსახულება.

იურიდიულ ლიტერატურაში არსებული მოსაზრების მიხედვით მნიშვნელოვანია მოსამართლე არ შეიზღუდოს იმ შემთხვევებით, რომლებშიც კანონი პირდაპირ მიუთითებს ამა თუ იმ პიროვნული უფლების ხელყოფის შემთხვევაში გათვალისწინებულ სამოქალაქო სამართლებრივ

პასუხისმგებლობაზე.¹⁶⁸ ასეთ შემთხვევაში სსკ-ის მე-18 მუხლი უფრონქციო იქნება, ვინაიდან შესაბამისი შედეგი დადგება უშუალოდ იმ კონკრეტული ნორმიდან გამომდინარე. უმჯობესია, პიროვნული უფლებების “კანონით დადგენილი წესით” დაცვა ჩაითვალოს მითითებად ამ უფლების დაცვის ფართო სპეციალურზე, რომელიც ასახულია, როგორც საქართველოს კონსტიტუციაში, ისე სხვა კანონებში. სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობა კი უნდა განისაზღვროს ცალკეულ შემთხვევაში, ან იმავე სსკ-ის მე-18 მუხლის სხვა ნაწილების (ანალოგით), ან დელიქტური ვალდებულების მომწერიგებელი, სსკ-ის 992-ე მუხლის გამოყენებით. სსკ-ის მე-18.2 მუხლი შეიძლება ჩაითვალოს სწორედ დამაკავშირებელ ხიდად შესაბამის კანონში დაცულ პიროვნულ უფლებებსა და მათ სამოქალაქოსამართლებრივ დაცვას შორის.¹⁶⁹

§ 4.1. სახელის დაცვის შესახებ საქმეთა განხილვისა და მორალური ზიანისათვის კომპენსაციის დაკისრების თავისებურებანი

ფიზიკური პირის სახელის ქვეშ, იგულისხმება¹⁷⁰ ადამიანის საკუთარი სახელი და გვარი. თანამედროვე ქართული სახელი ორწევრიანია. მ.ნ. მალეინა სახელის შენადგენელ კომპონენტად მიიჩნევს ხელმოწერასაც.¹⁷¹

“სახელის მეშვეობით ხორციელდება ადამიანის ინდივიდუალიზება ყოფით და სამართლებრივ ურთიერთობებში და ადამიანს უკავშირდება პიროვნული ღირებულებანი. სახელით ადამიანი ერთგვარად დაცულია სოციალური უგულებელყოფისაგან. სახელი პიროვნულობის განუყოფელი ელემენტია.”¹⁷²

სამოქალაქო სახელისაგან განსხვავდება იურიდიული პირის სახელი, რომელსაც სახელწოდებას (საფირმო სახელწოდებას) უწოდებენ და

¹⁶⁸ დაგით კერძესელიძე, “კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები,” გვ. 155.

¹⁶⁹ იქვე, გვ.156

¹⁷⁰ М.Н. Малеина Личные неимущественные права граждан понятие, осуществление, защита. М. 2001 ст. 111

¹⁷¹ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი პირველი, თბ. 1999 წ. გვ. 52.

¹⁷² ლ. ჭანტურია “შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში”, თბ. 1997, გვ. 167.

მოწესრიგებულია, როგორც სამოქალაქო კოდექსით, ისე კანონით “მეწარმეთა შესახებ.”

სამოქალაქო კოდექსი ფსევდონიმთან დაკავშირებულ ურთიერთობებს ცალკე არ აწესრიგებს. რომელიც პირის ინდივიდუალიზების მნიშვნელოვანი და გავრცელებული საშუალებაა. “აღიარებული შეხედულების თანახმად, ფსევდონიმიც ისეთივე სამოქალაქო სამართლებრივ დაცვას იმსახურებს, როგორც სამოქალაქო სახელი, თუკი კონკრეტული პიროვნების აღსანიშნავად იგი საზოგადოებაში აღიარებულია.”¹⁷³

სახელის, ისევე როგორც სხვა პირადი არაქონებრივი უფლებების ერთ-ერთი განმსაზღვრელი კრიტერიუმი ისაა, რომ შეუძლებელია მისი გადაცემა სხვა პირისათვის, ე.ი. იგი განეკუთვნება გადაცემაუუნარო უფლებათა კატეგორიას.

მე-18 მუხლის პირველი ნაწილი ერთმანეთისგან განასხვავებს ორ შემთხვევას, რომლებიც შესაძლოა საფუძვლად დაედოს სასარჩელო მოთხოვნებს სახელის უფლების დაცვის შესახებ. პირველი, როცა ფიზიკურ პირს სახელს ეცილებიან და მეორე, როცა ფიზიკური პირის სახელით სხვა უნებართვოდ სარგებლობს და ამით ფიზიკური პირის ინტერესები იღავით. მე-18 მუხლის პირველი ნაწილი ერთმანეთისგან განასხვავავს ორ შემთხვევას, რომლებიც შესაძლოა საფუძვლად დაედოს სასარჩელო მოთხოვნებს სახელის უფლების დაცვის შესახებ. პირველი, როცა ფიზიკურ პირს სახელს ეცილებიან და მეორე, როცა ფიზიკური პირის სახელით სხვა უნებართვოდ სარგებლობს და ამით ფიზიკური პირის ინტერესები იღავით.

“პირველ შემთხვევაში სასარჩელო მოთხოვნას აქვს ორი ფაქტობრივი წანამდღვარი: 1) სადაცო სახელი ეკუთვნის მოსარჩელეს; 2) მოპასუხე უარყოფს მოსარჩელესათვის სადაცო სახელის კუთვნილებას. დავა შეიძლება შეეხებოდეს როგორც სამოქალაქო სახელს, ისე ფსევდონიმს ან არაოფიციალურ სახელს. სასარჩელო მოთხოვნას მოცემულ შემთხვევაში შეადგენს მოპასუხის მიერ მოსარჩელის კუთვნილი სახელის აღიარება, კერძოდ, მოთხოვნა შესაფერის შემთხვევებში მოსარჩელე იხსენიებოდეს კუთვნილი სახელით.”¹⁷⁴ თუ დავის საგანი სამოქალაქო სახელია, მოსარჩელე მტკიცებულების სახით უნდა წარმოადგინოს მოქალაქეობრივი მდგომარეობის სააქტო ჩანაწერი ან სხვა დოკუმენტები, რომლებიც სახელის შეძენის კანონიერ ტიტულს ადასტურებენ. თუ დავა ეხება ფსევდონიმს, მოსარჩელემ უნდა დაამტკიცოს, რომ შესაბამის სფეროში მან ინდივიდუალობა შეიძინა. თუ სადაცო არაოფიციალური სახელი, მტკიცებულებად შეიძლება მოგვევლინოს მისი ტარება ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე.

¹⁷³ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი პირველი, თბ. 1999 წ. გვ. 58.

¹⁷⁴ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი პირველი, თბ. 1999 წ. გვ. 59.

“მეორე შემთხვევაში სარჩელს სამი ფაქტობრივი წანამდღვარი აქვს: 1) სახელი ეგუთვის მოსარჩელებ; 2) მოპასუხე უნებართვოდ სარგებლობს მოსარჩელის სახელით; 3) მოსარჩელის ინტერესები ილახება.”¹⁷⁵

პირველი ფაქტობრივი წანამდღვარი ჩვენს მიერ უკვე განხილული პირველი შემთხვევის წანამდღვარიცაა და მტკიცებულებანი იგივეა. მეორე წანამდღვარი ანუ სხვისი სახელით უნებართვოდ სარგებლობა, შეიძლება გამოვლინდეს სხვადასხვა ფორმით: სახელის მითვისებით, ლიტერატურული ნაწარმოების პერსონაჟისათვის მოსარჩელის სახელის შერჩევით ან საგნის თუ საქონლისათვის მოსარჩელის სახელის მიკუთვნებით.¹⁷⁶ ამასთან, საკმარისია, მოპასუხე სადაცო სახელით სარგებლობდეს ისე, რომ მესამე პირებმა სახელით მიღებული წარმოდგენა მოსარჩელის პიროვნებას დაუკავშირონ. პირველი შემთხვევისაგან მეორე არსებითად განსხვავდება იმით, რომ მეორე შემთხვევაში ილახება მოსარჩელის ქონებრივი ან არაქონებრივი ინტერესები. როგორც პირველ, ისე მეორე შემთხვევაში სასარჩელო მოთხოვნების საფუძვლიანობისათვის მნიშვნელობა არ აქვს მოპასუხის ბრალეულობას. თუ სახელის უფლება დაირღვა მოპასუხის განზრახვით ან უხეში გაუფრთხილებლობით, მოსარჩელეს დელიქტური სარჩელით უფლება აქვს მოითხოვოს ქონებრივი და მორალური ზიანის ანაზღაურება.

“სახელის პიროვნული უფლების ხელყოფად არ ითვლება სახელის “დასახელება” თუნდაც უფლებამოსილი პირისათვის არასასურველ ურთიერთკავშირში. მაგალითად, მისი მითითება გარკვეული საქონლის რეკლამისას, სატელეფონო წიგნში, პროფესიულ თუ დარგობრივ ჩამონათვალში და ა.შ. თუმცა ასეთი დასახელება შეიძლება გახდეს სხვა პიროვნული უფლების—პირის არასწორი საზოგადოებრივი სახის შექმნის ან თუნდაც პატივის ხელყოფის საფუძველი.¹⁷⁷

¹⁷⁵ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი პირველი, თბ. 1999 წ. გვ. 59.

¹⁷⁶ დავით კერესელიძე, “კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები,” გვ. 142.

¹⁷⁷ შალვა ჩიკვაშვილი “მორალური ზიანი სამოქალაქო სამართალში,” თბ. 1998 წ. გვ. 38.

§ 4.2. პატივის, დირსების, საქმიანი რეპუტაციის შესახებ აღმრულ საქმეთა განხილვისა და მორალური ზიანისათვის კომპენსაციის დაკისრების თავისებურებანი.1

მე-18 მუხლის მეორე ნაწილითპირს უფლება აქვს სასამართლოს მეშვეობით, კანონით დადგენილი წესით დაიცვას საკუთარი პატივი, დირსება, პირადი ცხოვრების საიდუმლოება, პირადი ხელშეუხებლობა ან საქმიანი რეპუტაცია შელახვისაგან. იგივე წესი გამოიყენება ფაქტობრივი მონაცემების არასრულად გამოქვეყნებისათვის, თუკი ამით იღაბება პირის პატივი, დირსება ან საქმიანი რეპუტაცია. ეს წესი ეხება ფიზიკური პირების შესაბამისი პირადი არაქონებრივი უფლებების დაცვას.

რაც შეეხება იურიდიულ პირებს, სამოქალაქო კოდექსის 27-ე მუხლის მე-5 ნაწილით დადგენილია, რომ იურიდიული პირის საქმიანი რეპუტაციის შელახვის შემთხვევაში გამოიყენება მე-18 მუხლის წესები. აღნიშნული მუხლით დაცული პირადი არაქონებრივი უფლებების სამოქალაქო-სამართლებრივით წესით დაცვის შესაძლებლობა არ არის დამოკიდებული ამ უფლებათა ხელმყოფელის ბრალზე.

“პატივი, დირსება და საქმიანი რეპუტაცია უპირველესად წარმოადგენს შეფასების კატეგორიებს, ინდივიდის შეფასების შედეგს, რომლის კრიტერიუმსაც წარმოადგენს საზოგადოებრივი მოთხოვნილებები. შეფასების პროცესში, რომელიც ხდება გონებაში, ადამიანებს საქმე აქვთ, არა საგნებთან და მოვლენებთან, არამედ ინფორმაციასთან მათ შესახებ. ამიტომ მოცემულ შემთხვევაში ინფორმაცია ინდივიდის შესახებ უპირისპირდება, ინფორმაციას საზოგადოებრივი მოთხოვნილების, საზოგადოებაში ჩამოყალიბებული აზრის შესახებ.”¹⁷⁸

წარმოდგენა პიროვნების პატივისა და დირსების შესახებ ყოველთვის დამოკიდებული იყო საზოგადოებრივი ურთიერთობის ხასიათზე, რომლის საფუძველსაც წარმოადგენს საზოგადოების ცხოვრების მატერიალური პირობები. თითოეული საზოგადოებრივი ფორმაცია გამოიმუშავებდა პატივისა და დირსების თავისებურ სტანდარტს. მაგალითად, ძველი საბერძნეთის და ძველი რომის მონათმფლობელები არ აღიარებდნენ მონის როგორც ნივთის, პატივსა და დირსებას. ფეოდალურ საზოგადოებაში პატივსა და დირსებას წარჩინებულთა და თავადაზნაურთა უპირატესობად მიიჩნევდნენ, ხოლო

¹⁷⁸ რომან შენგალია “მოქალაქის პატივისა და დირსების სამართლებრივი დაცვა” 1989 წელი, გვ. 3.

პიროვნების ფასეულობას მისი წარმოშობით განსაზღვრავდნენ. პატივისა და დირსების ცნება იმდენად ახლოა ერთმანეთთან, რომ ხშირად შეცდომით ერთი და იგივე აზრითაც გამოიყენებენ. ზოგი დირსებას მთლიანად პატივის ცნებაში აერთიანებს. ეს ცნებები იმდენად მჭიდროდ არიან დაკავშირებული, რომ თითქმის წარმოუდგენელია თითოეული მათგანის დამოუკიდებელი არსებობა, თუმცა ეს სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ ისინი უნდა გავაიგივოთ. პატივსა და დირსებას დამოუკიდებელი, სპეციფიკური, თუმცა საერთო ზნეობრივ კრიტერიუმებზე დაფუძნებული შინაარსი აქვთ.¹⁷⁹

პატივის, დირსების და საქმიანი რეპუტაციის ცნებათა ზუსტ განსაზღვრას, თითქმის არცერთი ქვეყნის კანონმდებლობა არ შეიცავს. სამართლებრივ ლიტერატურაში პატივის, დირსების და საქმიანი რეპუტაციის არაერთი განმარტება არსებობს. ტერმინები “პატივი” და “დირსება” გამოიყენება, როგორც ლიტერატურაში, ისე ყოველდღიურ ცხოვრებაში სხვადასხვა მნიშვნელობით, უფრო ხშირად “ამ ტერმინით აღნიშნავენ საზოგადოებაში პიროვნების ქცევის შეფასებას, აგრეთვე მისი ქცევის შინაგან მოტივებს და ცხოვრების წესს. ამასთან თუკი წარმოდგენა პიროვნების დირსების შესახებ გამომდინარეობს, მორალურ საზოგადოებაში, ყველა ადამიანის თანასწორობის პრინციპიდან, მაშინ პატივის ცნება, პირიქით, დიფერენცირებულად ახასიათებს ადამიანებს, რაც ასახვას ჰქოვებს მათ რეპუტაციაში.”¹⁸⁰

“პატივის დაცვა გულისხმობს ადამიანის უფლებას, უსამართლოდ არ იქნეს წარმოდგენილი საზოგადოებაში უარყოფით ჭრილში. პატივის პიროვნული უფლების ხელყოფის უმნიშვნელოვანების კომპონენტია “უსამართლობა.” პირი ასეთ შეფასებას ობიექტურად არ უნდა იმსახურებდეს, ანუ საპირისპირო სურათი არ უნდა დასტურდებოდეს. შესაბამისად, გადამწყვეტია ამ უფლების მიმართება გამოხატვის თავისუფლებასა და იმ ზღვარს შორის, რომელიც ამ უკანასკნელს უწესდება “უსამართლობის” (თუ საპირისპირო ჭრილში “სამართლიანობის”) კრიტერიუმით.”¹⁸¹

თითოეულ ადამიანს უფლება აქვს მოითხოვოს რომ მის შესახებ გარშემომყოფთა აზრი ეფუძნებოდეს ობიექტურ მონაცემებს მისი ქცევის შესახებ, რაშიც საზოგადოებაც უნდა იყოს დაინტერესებული. ვინაიდან ასეთი შეფასებითი კატეგორიების თვით არსებობის ფაქტიც კი, როგორიცაა პატივი,

¹⁷⁹ შალვა ჩიკვაშვილი “მორალური ზიანი სამოქალაქო სამართლში,” თბ. 1998 წ. გვ. 39.

¹⁸⁰ დავით კერესელიძე, “კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები,” გვ. 146.

¹⁸¹ Larenz/Wolf, AT des Burgerlichen Rechts, 2004, &8.

დირსება და საქმიანი რეპუტაცია საბოლოო ჯამში ემსახურება ადამიანთა ცხოვრების მოთხოვნილებებს. ამიტომ საზოგადოება უნდა ზრუნავდეს იმაზე, რომ მის ნებისმიერ წევრს ჰქონდეს თავისი პატივის, დირსების და საქმიანი რეპუტაციის დაცვის რეალური შესაძლებლობა, როცა მას მიაწერენ ისეთ საქციელს, რომელიც ლახავს მის პატივს, დირსებას და საქმიან რეპუტაციას სხვათა თვალში. ამისთვის აუცილებელია დამუშავებული საკანონმდებლო ბაზა, რაც სამართლებრივი ინტერესის დაცვის ეფექტურობის აუცილებელი პირობაა.

”პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლებიდან გამომდინარეობს ის, რომ პირი თავად წყვეტს, რა სახით წარდგეს მესამე პირებისა თუ საზოგადოების წინაშე. ასევე მისი გადასაწყვეტია, თუ რამდენად ხელმისაწვდომი იქნება მისი პიროვნების შესახებ მონაცემები საზოგადოებისათვის. მასვე უკავშირდება ცალკეულ შემთხვევაში ანონიმურობის დაცვის უფლებაც.”¹⁸²

§ 4.3. ცნობილი ადამიანების არაქონებრივი უფლებების დაცვა

პატივისა და ღირსების დაცვის საკითხი განსაკუთრებული სპეციფიკით ხასიათდება როცა საქმე ეხება პოლიტიკოსების, სახელმწიფო—პოლიტიკური თანამდებობის პირების ან საზოგადოებისთვის ცნობილი საჯარო მოხელეების დავას არაქონებრივი უფლებების დასაცავად. მართალია კანონი რაიმე განსაკუთრებულ დათქმას ამ სუბიექტთა პატივისა და ღირსების დაცვასთან მიმართებაში არ შეიცავს, მაგრამ სასამართლო პრაქტიკაში ევროპის ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სასამართლო პრეცედენტების გათვალისწინებით გამოიკვეთა ერთგვაროვანი ტენდენცია მსგავსი დავების გადასაწყვეტად.

საკასაციო სასამართლომ არ დააკმაყოფილა სარჩელი, იმ საფუძვლით, რომ ადგილი ჰქონდა საჯარო პოლემიკას და მიიჩნია, რომ მოსარჩელე ვალდებულია ითმინოს მოპასუხისმარე შეურაცხმყოფელი გამონათქვამები. სასამართლომ შემდეგნაირად დაასაბუთა თავისი პოზიცია.

¹⁸² საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სამოქალაქო საქმეებზე, 2004 წელი, №9, გვ. 2108

პოლიტიკოსების და მათთან გათანაბრებული საზოგადო მოღვაწეების შესახებ პრესას შეუძლია ინფორმაციებისა და მონაცემების გამოქვეყნება, რასაც მნიშვნელობა აქვს მათი პიროვნების საზოგადოებრივი შეფასებისათვის, ასევე დაიშვება მათი თავისუფალი კრიტიკა.

საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ მხარეთა შორის ადგილი ჰქონდა საჯარო პოლემიკას მასმედიის საშუალებებით, რა დროსაც მხარეები გამოხატავდნენ მოსაზრებებს ერთმანეთის საჯარო საქმიანობასთან დაკავშირებით აფხაზეთის საკითხთან მიმართებაში. სააპელაციო სასამართლომ ჩათვალა, რომ აღნიშნული პოლემიკისას მხარეები არ შეხებიან და არ შეულახავთ ერთმანეთის პირადი ცხოვრების საიდუმლოების საკითხები და უმწვავესი შეფასებები განეკუთვნებოდა მათი საჯარო საქმიანობის სფეროს, ანუ საჯარო ფუნქციის განხორციელების საკითხს, როგორც ბეჭდვით, ისე სატელევიზიო მედიაში გამოთქმული ზემოთ დასახელებული ფრაზები არის შეფასებითი მსჯელობები მხარეთა საჯარო საქმიანობის შესახებ, რამდენადაც დადგენილია, რომ მოსარჩევე ჭ. გ-ია არის დეპუტატი, ხოლო მოპასუხე თ. ნ-შვილი იყო აფხაზეთის ა/რ ხელმძღვანელი. ამდენად, პოლემიკისას გამოთქმული მწვავე შეფასებები (თუნდაც უტაქტო და არაკორექტული) თავსდება საქართველოს კონსტიტუციის 24-ე მუხლით გათვალისწინებულ აზრის გამოთქმისა და გავრცელების თავისუფლების ფარგლებში.

ადამიანის უფლებათა უკროპის სასამართლომ, საქმეზე „ლინგენსი ავსტრიის წინააღმდეგ“ განმარტა, რომ „პოლიტიკური მოღვაწის მიმართ დასაშვები კრიტიკის ფარგლები უფრო ფართოა, ვიდრე ჩვეულებრივი ინდივიდის მიმართ“. „პოლიტიკური მოღვაწე, ჩვეულებრივი ინდივიდისაგან განსხვავებით, წინასწარ შეცნობილად და აუცილებლად უქვემდებარებს თავის ქმედებებს და უესტებს მასობრივი ინფორმაციის საშუალებების და საზოგადოების კონტროლს“. აქედან გამომდინარე, პოლიტიკური თანამდებობის პირებმა და სახელმწიფო მოხელეებმა პრესისა და ტელევიზიის მეშვეობით გამართულ დებატებში დასაშვებ ზღვარზე მეტი კრიტიკა უნდა ითმინონ, თუ ეს კრიტიკა უხეშად არ ხელყოფს მათ პირად ცხოვრებას და ხელშეუხებლობას.

პალატამ არ გაიზიარა კასატორის მოსაზრება, რომ თ. ნ-შვილის ინტერვიუებში ადგილი აქვს ჭ. გ-იას მიმართ პატივისა და დირსების შემლახველი ცნობების გამოქვეყნებას (დიფამაცია), ვინაიდან პოლიტიკური

და საჯარო სამსახურის მოხელეთა მიერ ერთმანეთის მიმართ გამოთქმული კრიტიკული შეფასებები, ე.ო. „დასაშვები კრიტიკის ფარგლები“, შეიძლება უფრო ფართო იყოს, ვიდრე ჩვეულებრივი ინდივიდის (მოქალაქის) მიმართ. ამ შემთხვევაში დაცული უნდა იქნეს გამოხატვისა და ინფორმაციის თავისუფლების უფლება, რაც აღიარებულია საქართველოს კონსტიტუციის მე-18 და „ადამიანის უფლებათა შესახებ ევროპის კონვენციის“ მე-10 მუხლებით. კონვენციის მე-10 მუხლი ადგენს, რომ უფლება გამოხატვის თავისუფლებაზე „მოიცავს პიროვნების თავისუფლებას პქონდეს მოსაზრებანი და მიიღოს, გასცეს ინფორმაცია და იდეები“. ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლომ ამ ნორმის საფუძველზე, საქმე „კასტელსი ესპანეთის წინააღმდეგ“ მიღებულ გადაწყვეტილებაში მიუთითა, რომ ხელისუფლების წარმომადგენლებისა და რიგითი მოქალაქეების მიმართ შეურაცხყოფის ფაქტების შეფასებისას გამოყენებული უნდა იქნეს განსახილველი სტანდარტები. კერძოდ, განმარტა, რომ „დასაშვები კრიტიკის ფარგლები“ მთავრობის მიმართ უფრო ფართოა, ვიდრე რიგითი მოქალაქის მიმართ. აქედან გამომდინარე, პოლიტიკური თანამდებობის პირებმა და სახელმწიფო მოხელეებმა პრესისა და ტელევიზიის მეშვეობით გამართულ დებატებში დასაშვებ ზღვარზე მეტი კრიტიკა უნდა ითმინონ, თუ ეს კრიტიკა უხეშად არ ხელყოფს მათ პირად ცხოვრებას და ხელშეუხებლობას. ამ შემთხვევაში რეპუტაციის (პატივის, ღირსების) ინტერესი წონასწორდება საზოგადოების ინტერესთან – თავისუფლად განიხილოს და მიიღოს საჭირო ინფორმაცია ქვეყნის პოლიტიკურ-ეკონომიკურ და სოციალურ საკითხებზე.

სასამართლომ ასევე მიუთითა, რომ პირადი არაქონებრივი უფლების აღმდგენი სარჩელის განხილვისას სასამართლომ უნდა მისცეს შეფასება იმ გარემოებას, თუ რა ფონზე განვითარდა პოლემიკა. მხარეთა საპასუხო პუბლიკაციებში შესაძლებელია დაცული არ იყოს მაქსიმალური ტაქტი, ამავე დროს, პასუხი შეიძლება იყოს არაობიექტური, გადაჭარბებული და წარმოადგენდეს ემოციურ „თავდასხმასაც“ კი, მაგრამ მოსარჩელე ვალდებულია ითმინოს მოპასუხისგან შეურაცხყოფელი გამონათქვამები.¹⁸³

პირად არაქონებრივ უფლებათა დაცვის საქმეში მნიშვნელოვანი სამართლებრივი დოკუმენტია „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს 2004 წლის 24 ივნისის კანონი, რომლითაც

¹⁸³ ზურაბ ბექაია, „საქართველოს კანონი სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“, ჟურნალი ქართული სამართლის მიმოხილვა, 7 №2-3(1) 2004, გვ. 438.

ძალადაკარგულად იქნა ცნობილი საქართველოს კანონი “პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების შესახებ.” ახალმა კანონმა განსხვავებულად მოაწესრიგა ბევრი როგორც მატერიალურ-სამართლებრივი, ისე პროცესუალური საკითხი პირის მიმართ ცილისწამების, უხამსობის გავრცელების შემთხვევაში, განმარტა და დაზუსტა სიტყვისა და გამოხატვასთან დაკავშირებული ბევრი ტერმინი, მოახდინა აზრის, განცხადების, გამოხატვის საგნის, ცილისწამების, სახელმწიფო, პირადი და კომერციული საიდუმლოების, აბსოლუტური და კვალიფიციური პრივილეგიის დეფინიციება.

“კანონი უზრუნველყოფს პოლიტიკური სიტყვისა და დებატების თავისუფლებას, ნებისმიერი ინფორმაციის მოძიების, მიღებისა და გავრცელების უფლებას, ცენზურის დაუშვებლობას, სწავლის, ხელოვნების, შემოქმედების თავისუფლებას, განსაზღვრულია ყველა ის შემთხვევა როცა დასაშვებია სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა, ეს, პირველ რიგში, გამომდინარეობს სახელმწიფოს დემოკრატიული წყობის მდგრადობის ინტერესებიდან. თუ გარკვეული განცხადებით ან მოწოდებით შესაძლებელია, რომ საფრთხე შეექმნას სახელმწიფოს უშიშროებას, საზოგადოებრივ უსაფრთხოებას, ტერიტორიულ მთლიანობას, შეილახოს სხვათა უფლებები და დირსება, თუ ეს ეხება, მაგალითად, ცილისწამებას, შეურაცხყოფას, მუქარას, სახელმწიფო, კომერციულ და პროფესიულ საიდუმლოებისა და მისი წყაროს დაცვას და განსაზღვრავს პასუხისმგებლობას საიდუმლოების გამხელისათვის.”¹⁸⁴

ნორმატიული აქტების შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-8 ნაწილის თანახმად თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებს შორის წინააღმდეგობის შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება უფრო გვიან მიღებულ ნორმატიულ აქტს. გამომდინარე აღნიშნულიდან სამოქალაქო კოდექსსა და “სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ” საქართველოს კანონს წინააღმდეგობისას, ვფიქრობთ, უპირატესობა ამ უკანასკნელს უნდა მიენიჭოს.

სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის შესაბამისად, სამოქალაქო საქმეთა აღმდეგას ახასიათებს რიგი თავისებურებანი, რომლებიც, პირველ ყოვლისა, დაკავშირებულია დასაცავი უფლების სპეციფიკურობასთან; მეორე

¹⁸⁴ მხია თოდუა, შალვა ქურდაძე “ცალკეული კატეგორიის სამოქალაქო საქმეზე გადაწყვეტილებათა მიღების თავისებურებანი.” თბილისი, 2005 წელი, გვ. 49.

– დაკავშირებულია იმასთან, რომ ამგვარ საქმეებზე არ ვრცელდება სასარჩელო ხანდაზმულობის ვადა, თუმცა აღსანიშნავია “სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ” კანონი, რომლის მე-19 მუხლით, ცილისწამების შესახებ სარჩელი სასამართლოს უნდა წარუდგინოს 100 დღის განმავლობაში მას შემდეგ, რაც პირი გაეცნო ან შეეძლო, რომ გაცნობოდა განცხადებას; მესამე – თავისებურებებით ხასიათდება ამ უფლების სუბიექტი.

“ტრადიციული გაგებით, ღირსება სხვადასხვა თვისებების ერთობლობაა, თავად პირის მიერ ამ თვისებათა პატივისცემაა, ე.ი. ინდივიდის მიერ საკუთარი შესაძლებლობების, თვისებების (ღირსებათა) და ნაკლის, თავისი საზოგადოებრივი მნიშვნელობის თვითშეფასებაა (შინაგანი შეფასება).

თავის მხრივ, პატივი პიროვნების თვისებათა ღირსეული პატივისცემაა, უმწიკვლო რეპუტაცია, კარგი სახელია, ე.ი. საზოგადოების, გარშემომყოფი ადამიანების მიერ ინდივიდის სოციალური შეფასებაა (გარეგანი შეფასება).

რეპუტაციის ცნება (ლათინური სიტყვიდან „რეპუტატინ“ – მოფიქრება, განსჯა) მისი გარეგანი ობიექტური მნიშვნელობით ერთგვარად ემთხვევა პატივის ცნებას, როგორც ადამიანის ქცევის მორალურ შეფასებას სხვა ადამიანების მიერ.”¹⁸⁵ ადამიანის რეპუტაცია გარკვეულწილად თვით მასზეა დამოკიდებული, რადგანაც ყალიბდება მისი ქცევის და საზოგადოების, სახელმწიფოსა და სხვა პირთა ინტერესების დამოკიდებულებების საფუძველზე. ე.ი. რამდენად უფრთხილდება ადამიანი თავის რეპუტაციას შეიძლება მისი ქცევით ვიმსჯელოთ.

“რეპუტაცია, მოპოვებული საზოგადოებრივი შეფასებაა, შექმნილი საერთო აზრია ვინმეს ან რაიმეს თვისებების, ღირსებათა და ნაკლის შესახებ, რომელიც ყალიბდება ობიექტის შესახებ არსებული ინფორმაციის საფუძველზე, რა თქმა უნდა, რეპუტაცია შეიძლება იყოს, როგორც კარგი, ისე ცუდი, შესაფასებელი ობიექტის დადებით და უარყოფით თვისებათა (ღირსებათა) პროპორციის მიხედვით.

ფიზიკური პირის საქმიანი რეპუტაცია არის საქმიანი ბრუნვის სფეროში კონკრეტული ფიზიკური პირის საქმიანი თვისებების (ღირსებათა და ნაკლის) შესახებ შექმნილი (ჩამოყალიბებული) აზრი, ეს აზრიც აგრეთვე საზოგადოებაში, სოციუმში ყალიბდება.”¹⁸⁶

¹⁸⁵ მზია თოდება, შალვა ქურდაძე “ცალკეული კატეგორიის სამოქალაქო საქმეზე გადაწყვეტილებათა მიღების თავისებურებანი.” თბილისი, 2005 წელი, გვ. 50.

¹⁸⁶ მზია თოდება, შალვა ქურდაძე “ცალკეული კატეგორიის სამოქალაქო საქმეზე გადაწყვეტილებათა მიღების თავისებურებანი.” თბილისი, 2005 წელი, გვ. 50.

ყოველ ადამიანს აქვს ესა თუ ის თვითშეფასება, ასე თუ ისე წარმოუდგენია თავისი ადგილი, მდგომარეობა საზოგადოებაში. მას აქვს საკუთარი წარმოდგენა იმის შესახებ, თუ როგორი რეპუტაციით სარგებლობს, ამასთან, თავისებურად ესმის თავისი დირსებები და ნაკლი და ის, თუ როგორ შეიძლება შეფასდეს ეს დირსებები და ნაკლი სხვა ადამიანების, საზოგადოების მიერ. ეს არის სწორედ ადამიანის დირსება, ე.ო. საკუთარი თვისებების (დირსების) შინაგანი თვითშეფასება.

“ადამიანის გარეგანი შეფასება გარშემომყოფთა მიერ კი ყოველთვის როდი შეიძლება დაემთხვეს ადამიანის მიერ თავისი დირსებების და ნაკლის შინაგან შეფასებას. საზოგადოებაში ყალიბდება შეხედულება ამა თუ იმ სიკეთის, ფასეულობის, მათი მნიშვნელობის შესახებ, შესაბამისად, ყალიბდება წარმოდგენა კონკრეტული ინდივიდის დირსებების (ნაკლის) შესახებ, რომელიც ყოველთვის როდია ადამიანის საკუთარი წარმოდგენის (შეფასების) ადეკვატური. საზოგადოება ინდივიდის ამა თუ იმ ნაკლს შეიძლება მოეკიდოს უფრო კეთილგანწყობილად. მაშინ, როცა თავად ამ ადამიანმა შეიძლება ეს ნაკლი თავისებურად შეაფასოს.

საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის ანალიზიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ სამართლისათვის მნიშვნელობა არა აქვს იმას, რას ფიქრობს ადამიანი საკუთარ თავზე, როგორ აფასებს საკუთარ თავს, ვიდრე არ დადგინდება საზოგადოების შეფასებასთან თვითშეფასების შესაბამისობა. სამართლისათვის მნიშვნელობა აქვს ინდივიდის იმ თვითშეფასებას, რომელიც ასე თუ ისე ემთხვევა მის საზოგადოებრივ შეფასებას. სწორედ თანხვედრის ეს ხარისხი ექვემდებარება დაცვას, მათ შორის, სასამართლო წესით დაცვას.

ფაქტობრივად, გამოდის, რომ ინდივიდის სოციალური (გარეგანი) შეფასება დაცვას ექვემდებარება სრული მოცულობით, შინაგანი შეფასების დაცვა კი ხდება იმ დოზით (იმ ხარისხით), რითაც ის ემთხვევა გარეგან შეფასებას, რადგან მისი დაცვა ხდება მხოლოდ იმდენად, რამდენადაც სწორედ ასევე აფასებს ადამიანის თვისებებს (დირსებას) საზოგადოება.”¹⁸⁷

პატივის, დირსების, საქმიანი რეპუტაციის შელახვის ქვეშ იგულისხმება ფიზიკური ან იურიდიული პირის შესახებ ისეთი ცნობების (განცხადების)

¹⁸⁷ მზია თოდუა, შალვა ქურდაძე “ცალკეული კატეგორიის სამოქალაქო საქმეზე გადაწყვეტილებათა მიღების თავისებურებანი.” თბილისი, 2005 წელი, გვ. 51.

გავრცელება, რომლებიც შეიცავენ მტკიცებას მათ მიერ კანონის ან მორალის ნორმების დარღვევის, უღირსი საქციელის ჩადენის შესახებ.

ფიზიკურ და იურიდიულ პირთა პატივის, ღირსების და საქმიანი რეპუტაციის დაცვა ეს, პირველ ყოვლისა, მათი უფლებების დაცვაა, რათა ცნობები მათი ქცევის, საქმიანობის შესახებ, რაც გავლენას ახლენს გარშემომყოფთა მიერ მათ შეფასებაზე, სინამდვილეს შეესაბამებოდეს.

მე-18 მუხლით გათვალისწინებული წესით პირის პატივი, ღირსება, საქმიანი რეპუტაცია სასამართლოს მეშვეობით შესაბამის დაცვას ექვემდებარება, თუ სახეზეა შემდეგი გარემოებანი: შელახულია ფიზიკური ან იურიდიული პირის პატივი, ღირსება ან საქმიანი რეპუტაცია; პატივის, ღირსების, საქმიანი რეპუტაციის შემლახველი ცნობები გავრცელებულია; გავრცელებული ცნობები სინამდვილეს არ შეესაბამება ან გავრცელებული ინფორმაცია შეესაბამება სინამდვილეს, მაგრამ შელახულია მითითებული სიკეთეები და პირს აქვს სამართლიანი მოლოდინი და ინტერესი, რომ ასეთი ინფორმაციის გავრცელება არ უნდა მოხდეს. “სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ” საქართველოს კანონის პირველი მუხლის მიხედვით განცხადება არის ინფორმაცია, რომელიც განმცხადებელმა საჯაროდ გაავრცელა ან მესამე პირს გაანდო, აზრი—შეფასებითი მსჯელობა, თვალსაზრისი, კომენტარი, აგრეთვე ნებისმიერი სახით ისეთი შეხედულების გამოხატვაა, რომელიც ასახავს რომელიმე პიროვნების, მოვლენის ან საგნის მიმართ დამოკიდებულებას და არ შეიცავს დადასტურებად ან უარყოფად ფაქტს.

კანონის პირველი ნაწილის “ე” პუნქტი იძლევა ცილისწამების დეფინიციას. ცილისწამება არსებითად მცდარი ფაქტის შემცველი და პირისთვის ზიანის მიმყენებელი, მისი სახელის გამტეხი განცხადებაა, უხამსობა კი ისეთი განცხადება, რომელსაც არა აქვს პოლიტიკური, კულტურული, საგანმანათლებლო ან სამეცნიერო ღირებულება და რომელიც უხეშად ლახავს საზოგადოებაში საყოველთაოდ დამკვიდრებულ ეთიკურ ნორმებს.

“პატივის, ღირსების, პირადი ცხოვრების საიდუმლოების, პირადი ხელშეუხებლობის ან საქმიანი რეპუტაციის შელახვას ადგილი აქვს მაშინ, როცა გავრცელებულია ცნობები რომელიც ხელყოფს პირის მითითებულ არაქონებრივ სიკეთეთაგან ერთ-ერთს ან რამდენიმეს. ცნობების გავრცელების ქვეშ იგულისხმება ასეთი ცნობების გამოქვეყნება პრესაში,

ტელევიზიონით, რადიოთი, მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებებით, მათ შორის ინტერნეტით, ცნობების გადმოცემა საჯარო განცხადებებში, გამოსვლებში; სიტყვიერად თუ ზეპირად მათი მიწოდება დაწესებულებისა და ორგანიზაციებისათვის, ერთი ან რამდენიმე პირისათვის.”¹⁸⁸

§ 4.4. სიტყვის, აზრის და გამოხატვის თავისუფლება

საქართველოს კონსტიტუციის მე-19.1 მუხლით უშუალოდ დაცული ადამიანის უფლებაა “სიტყვის თავისუფლება”, კონსტიტუციის 24-ე მუხლში კი საუბარია ადამიანის უფლებაზე “გაავრცელოს ინფორმაცია”.

“სიტყვისა და აზრის თავისუფლება დემოკრატიული საზოგადოების ერთ-ერთი არსებითი საფუძველი და დემოკრატიული საზოგადოების პროგრესისა და ცალკეული ადამიანის განვითარების ერთ-ერთი ძირითადი პირობაა. კონვენციის მე-10.2 მუხლითს გათვალისწინებით, ეს უფლება შეეხება არა მარტო ისეთ “ინფორმაციას” ან “იდეას”, რომელსაც სახელმწიფო კეთილგანწყობილ პირებს, არამედ ისეთსაც, რომელიც მიუდებელია ხელისუფლების ან მოსახლეობის ნაწილისათვის. ამას მოითხოვს პლურალიზმის, ლიბერალიზმისა და ტოლერანტობის პრინციპები, რომელთა გარეშე არ არსებობს დემოკრატიული საზოგადოება.”¹⁸⁹

ადამიანის პიროვნული უფლებაა აზრისა თუ შეხედულების ფორმირებისა და მისი გამოხატვის (მათ შორის, გავრცელების) უფლება. ინდივიდი თავისუფალია იმის განსაზღვრისას, თუ რა ინფორმაციისა და გარემოებების გათვალისწინებით ჩამოაყალიბებს თავის აზრს. ინდივიდის აზრის გამოხატვის პიროვნული უფლება ვრცელდება გამოხატვის ნებისმიერ “არასიტყვიერ” ფორმაზეც. (მაგ. ნახატით, ქანდაკებით თუ მუსიკით). შესაბამისად, გამოხატვის ეს ფორმებიც იმსახურებს ანალოგიურ დაცვას. დაუშვებელია მათი უნებართვოდ მოპოვება და ავტორის თანხმობის გარეშე მესამე პირებისთვის გაცნობა.”¹⁹⁰

¹⁸⁸ Handyside v. United Kingdom, 1976.07.12. მითითებულია, კონსტანტინე კორკელია, ირინე ქურდაძე “ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მიხედვით.” 2004 წელი, გვ. 200.

¹⁸⁹ Warren/Brandeis, The Right to Privacy, Harvard Law Review, 1891 (4). 193, 200. მითითებულია დავით კერქევლიძე, „კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები“, თბილისი, 2009 წელი, გვ. 152.

¹⁹⁰ იქვე, გვ. 150.

შესაბამისად, გამოხატვის (ინფორმაციის გავრცელებისა თუ სიტყვის) თავისუფლებასა და სხვა დაცულ პიროვნულ უფლებებს შორის კონფლიქტის შემთხვევაში აუცილებელია ადეკვატური თანაფარდობის დაცვა.¹⁹¹

მიზანშეწონილია გამოხატვის თავისუფლების სხვა პიროვნული უფლებების სასარგებლოდ შეზღუდვის პირობად ჭეშმარიტების კრიტერიუმის გამოყენება. ინდივიდის აზრის ფორმირებისთვის მნიშვნელოვანია და, შესაბამისად, სამართლებრივი დაცვის დირსია სწორი ინფორმაციის გავრცელება.

ამასთან, შესაძლებელია ჭეშმარიტების კრიტერიუმის ხელყოფის შემთხვევაში მკაცრი ასუხისმგებლობის დაწესება გახდეს მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა ფუნქციების განხორციელების ბარიერი.¹⁹² ამ დროს მიზანშეწონილია მოხდეს ხელმყოფის პასუხისმგებლობის სახის დიფერენციაცია. კერძოდ, თუ ხდება “დაუზუსტებელი” თუ “დამახინჯებული” ინფორმაციის არაპრალეული გავრცელება, პირს, რომლის უფლებაც ხელყოფილია, წარმოეშობა მცდარი მონაცემების შემდგომი გავრცელებისაგან თავის შეკავებისა და საპასუხო ცნობების გამოქვეყნების მოთხოვნის უფლებები. იმ შემთხვევაში, თუ გავრცელებულია “ინფორმაცია, რომელსაც წინაშარი განზრახვით შეცდომაში შეჰვავს საზოგადოება”, ასევე გაუფრთხილებლობის შემთხვევაში, სსკ-ის მე-18.6 მუხლით დადგება ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებაც.

ევროპის ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო სასამართლომ უკრნალისტ გ-შვილის საქმეზე მიიჩნია, რომ დიფამაციის თაობაზე სასამართლო განხილვამ უსამართლოდ შეზღუდა უკრნალისტის თავისუფლება და მიუთითა, რომ თვითგამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის საჭიროება სათანადოდ უნდა იყოს განსაზღვრული. როდესაც საქმე ეხება მედიას, დისკრეციის ეროვნული ზღვარი განპირობებულია დემოკრატიული საზოგადოების ინტერესით, უზრუნველყოს და შეინაჩუნოს თავისუფალი პრესა. შეფასებისას ასეთმა ინტერესმა უნდა გადაწონოს, თუ რამდენად პროპორციული იყო შეზღუდვა როგორც ეს კონვენციის მე-10 მუხლშია განსაზღვრული.

¹⁹¹ Warren/Brandeis, The Right to Privacy, Harvard Law Review, 1891 (4). 193, 200. მითითებულია დავით კერქეველიძე, „კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები“, თბილისი, 2009 წელი, გვ. 152.

¹⁹² ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განჩინებათა კრებული საქართველოს საქმეებზე. ობ. 2010 წელი, გვ. 84.

პროფესიით ჟურნალისტმა განმცხადებელმა გ-შვილმა გამოაქვეყნა სტატია გაზეთში „მერიდიანი 44“, სადაც გაკრიტიკებული იყო მთავრობის წარმომადგენელი, იმ დროისათვის პარლამენტის წევრი ბატონი გ. ლ-აძე. სტატია იწყებოდა გაზეთის პირველ გვერდზე, რომელზეც მოთავსებული იყო პარლამენტარის საზაფხულო აგარაკის ფოტო და აღწერილი იყო ბატონი ლ-ძის ქონება. პუბლიკაციაში აქცენტი გაკეთდა იყო იმაზე, რომ მას სიძის დახმარებით პქონდა ქონება შეძენილი. ბატონმა ლ-აძემ სარჩელი შეიტანა სასამართლოში ჟურნალისტისა და გაზეთის რედაქტორის წინააღმდეგ. იგი აცხადებდა, რომ სტატიაში მოყვანილი ფაქტები სიმართლეს არ შეესაბამებოდა, რაზედაც წარმოადგინა შესაბამისი დოკუმენტაცია (შევსებული ქონებრივი დეკლარაცია) და მოითხოვა მის წინააღმდეგ გამოქვეყნებული ცილისმრავებლური ფაქტების საჯაროდ უარყოფა. ეროვნული სასამართლოების ყველა ინსტანციაში დაკმაყოფილდა ბატონი ლ-აძის მოთხოვნა. განმცხადებელ გ-შვილის განმარტებით დიფამაციის თაობაზე სასამართლო განხილვამ უსამართლოდ შეზღუდა ჟურნალისტის თვისუფლება, რაც კონვენციის მე-10 მუხლის დარღვევას წარმოადგენს.

სასამართლოს ამოცანაა დაადგინოს საჭირო იყო თუ არა ამგვარი ჩარეგა დემოკრატიული საზოგადოების პირობებში. ზოგადი პრინციპის მიხედვით თვითგამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის საჭიროება სათანადოდ უნდა იყოს განსაზღვრული. როდესაც საქმე ეხება მედიას, დისკრეციის ეროვნული ზღვარი განპირობებულია დემოკრატიული საზოგადოების ინტერესით, უზრუნველყოს და შეინაჩუნოს თავისუფალი პრესა. შეფასებისას ასეთმა ინტერესმა უნდა გადაწონოს, თუ რამდენად პროპორციული იყო შეზღუდვა როგორც ეს კონვენციის მე-10 მუხლშია განსაზღვრული. რაც შეეხება განმცხადებლის, როგორც ჟურნალისტის დამოკიდებულებას, სასამართლო განმეორებით აცხადებს, რომ დემოკრატიულ საზოგადოებაში პრესა უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს. მიუხედავად იმისა, რომ პრესა არ უნდა გასცდეს გარკვეულ ფარგლებს, მისი ვალია გადასცეს ინფორმაცია და მოსაზრება იმ საკითხებზე, რომლებიც წარმოადგენს საჯარო ინტერესს.

სასამართლომ აღნიშნა, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ დადგენილი ჩარეგის მასშტაბი ვრცელდებოდა არა მთლიან პუბლიკაციაზე, არამედ მასში მოყვანილ ორ ფრაზაზე: „...სიძე დაეხმარა სიმამრს; სხვაგვარად ეს უკანასკნელი ვერ შეძლებდა საზაფხულო აგარაკის

მშენებლობის დასრულებას...“ და „შეიძლება მხოლოდ ვიკითხოთ, ლ-ამე და მისნაირი ადამიანები მხოლოდ ჰაერით ხომ არ იკვებებიან და ამიტომაც ხელფასის დახარჯვა აღარ უწევთ; სხვაგვარად როგორ შეიძლება ამდენის დაზოგვა?!“

აღნიშნული გამონათქვამები უზენაესი სასამართლოს მიერ მიჩნეულია როგორც ცილისმწამებლური, ვინაიდან, ისინი სიმართლეს არ შეესაბამებოდა. საკითხის შესწავლის გარეშე (წარმოადგენდა თუ არა აღნიშნული ფრაზები სუბიექტურ შეფასებას), უზენაესმა სასამართლომ დაასკვნა, რომ აღნიშნული გამონათქვამები წარმოადგენდა ფაქტის კონსტატაციას. სარჩელის შემოტანისას, საქართველოს კანონი ცილისწამების შესახებ არ იძლეოდა სრული ანალიზის ჩატარების საშუალებას. აღსანიშნავია, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლი არ გამოყოფს სუბიექტური აზრისა და ფაქტის კონსტატაციის ცნებებს, და ადგენს მხოლოდ ერთ ცნებას - „ცნობები“, და ითხოვს ასეთი ცნობების სისწორის დამტკიცებას. მტკიცების ტვირთი მოპასუხეს ეკისრება. სიტყვის შეფასების მსგავსი მიღვომა, სასამართლოს აზრით, შეუთავსებელია აზრის გამოთქმის თავისუფლების უფლებასთან, რაც კონვენციის მე-10 მუხლის ფუნდამენტურ ელემენტს წარმოადგენს.

სასამართლომ მიიჩნია, რომ ამ კონკრეტულ შემთხვევაში გამონათქვამები, რომლებიც არ მოიწონა უზენაესმა სასამართლომ წარმოადგენს მოსაზრებას, რომელიც წარმოთქმულია პროვოკაციულ ტონში. სასამართლოს მიერ სარკასტულად და ცინიკურად მიჩნეული განმცხადებლის ფრაზები არ ისახავდა მიზნად პირად თავდასხმას პარლამენტარზე, ვინაიდან გამონათქვამები არ იყო მოკლებული ფაქტობრივ საფუძველს. სასამართლომ დაასკვნა, რომ უზენაესი სასამართლოს მიერ გამოყენებული სტანდარტები შეუთავსებელია კონვენციის მე-10 მუხლის დებულებებთან, რადგან არ შეიცავს სათანადო და საკმარის მიზეზებს რომლებიც გაამართლებდა საჯარო ინტერესის საკითხებზე განმცხადებლის ინფორმაციისა და მოსაზრებების გადაცემის თავისუფლების უფლებაში ჩარევას.

ამდენად, სასამართლომ მიიჩნია რომ ჩარევა არ იყო აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში. შესაბამისად, ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-10 მუხლის დარღვევას და საქართველოს სახელმწიფოს განმცხადებლისათვის

მიუენებული მორალური ზიანის ასანაზდაურებლად დააკისრა 1500 (ათას ხუთასი) ევროს გადახდა.¹⁹³

კანონი “სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ”, იძლევა მთელ რიგ საკანონმდებლო გარანტიებს, რომ პიროვნების თავისუფლების, პირადი არაქონებრივი უფლებების დაცვის ინტერესებმა გაუმართლებლად არ შეზღუდოს გამოხატვის (აზრის, განცხადების გავრცელების) თავისუფლება.

საინტერესო უზენაესი სასამართლოს განჩინება, რომლითაც არ დაკმაყოფილდა სარჩელი პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის შემლახველი ცნობების უარყოფისა და მორალური ზიანის ანაზდაურების შესახებ იმ მოტივაციით, რომ როდესაც მოსარჩელე ჟურნალისტურ შეფასებებს პატივისა და ღირსების შემლახველად მიიჩნევს, მან უნდა მიუთითოს, რომ ეს შეფასებები არ წარმოადგენენ იმ ფაქტების შესაბამისს, რომელიც ჟურნალისტურ გამოძიებაშია გამოყენებული, ან ფაქტობრივი მონაცემები, რომელიც ჟურნალისტის მიერ არ არის მოტანილი, არ შეესაბამება სინამდვილეს. განჩინება საყურადღებოა გამოხატვის თავისუფლებისა და საზოგადოებრივ ინტერესს შორის კონფლიქტის შემთხვევაში აუცილებელი ადეკვატური ბალანსის დაცვის თვალსაზრისით.

მოსარჩელეებმა სარჩელი აღძრეს ჟურნალისტისა და გაზეთ “რეზონანსის” წინააღმდეგ პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის შემლახველი ცნობების უარყოფისა და მორალური ზიანის ანაზდაურების შესახებ, იმ საფუძვლით, რომ გაზეთ “რეზონანსში” გრიფით “ჟურნალისტური გამოძიება” გამოქვეყნდა ჟურნალისტ ე. ჩ-ძის პუბლიკაცია სათაურით: “დინამო” შვიდი პოლიციელის საკუთრება, “სუპერაფიორა,” პუბლიკაციაში გატარებულია აზრი, რომ მოსარჩელეებმა მოტყუებით და ძალით ხელში ჩაიგდეს და მიისაკუთრეს საფეხბურთო კლუბი „თბილისის დინამო“ და ამასთან, აპირებენ „თბილისის დინამოზე“ მიმართული სახელმწიფო სახსრების პირადი ინტერესებისათვის გამოყენებას. სტატიაში აღნიშნულია, რომ უხეშმა ძალამ „დინამო“ წაართვა საქართველოს, ხალხს, ფეხბურთელებს და გახადა შპს „თ-ძე და კომპანიის“ საკუთრება. ის, რომ ამ შვიდ კაცში მოსარჩელეები იგულისხმებიან, პუბლიკაციაშივე აღნიშნული. მასში ნათქვამია, რომ ეს შვიდი ადამიანი აფუძნებს შპს-ს. ეს აზრი ამა თუ იმ

¹⁹³ საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებაზე სამოქალაქო საქმეებზე, თბილისი, გადაწყვეტილება, 4.07.02. 3-390-02. 2001 წელი, №1.

სახით მრავალგზის არის გატარებული. ყოველივე მომხდარს ჟურნალისტი აფიორას უწოდებს.

უზენაესმა სასამართლომ გადაწყვეტილებით არ დააკმაყოფილა სარჩელი შემდეგი დასაბუთებით:

დემოკრატიულ საზოგადოებაში პრესის მისიაა, გაავრცელოს ინფორმაცია და იდეები პოლიტიკურ საკითხებთან და იმ პრობლემებთან დაკავშირებით, რომელიც საყოველთაო ინტერესის საგანს წარმოადგენს. სიტყვის თავისუფლება არის დემოკრატიული საზოგადოების ის იარაღი, რომელიც მას შესაძლებლობას აძლევს, შეიტყოს პოლიტიკური ლიდერების საზოგადოებრივ პრობლემებთან დამოკიდებულება, ერთმანეთს შეადაროს მათი შეხედულებები და იდეები.

„ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის შესახებ“ ევროპის კონვენციის მე-10 მუხლით გარანტირებულია არა მხოლოდ პრესის თავისუფლება, რომ ინფორმაცია მიაწოდოს საზოგადოებას, არამედ საზოგადოების უფლებაც – იყოს სათანადო დონეზე ინფორმირებული.

პოლიტიკური დისკუსიის თავისუფლება წარმოადგენს დემოკრატიული საზოგადოების გულს. შესაბამისად, პოლიტიკური თანამდებობის პირთა კრიტიკის ფარგლები ფართოა, ვიდრე კერძო პირთა. პოლიტიკური თანამდებობის დაკავება თავისთავად ნიშნავს, რომ მისი ყოველი სიტყვა და მოქმედება იქნება ჟურნალისტთა მუდმივი და დაუინებული ანალიზისა და კრიტიკის ობიექტი. პოლიტიკოსმა, შესაბამისად, უნდა გამოავლინოს მოთმინების მაღალი დონე, განსაკუთრებით მაშინ, როცა ის ახორციელებს ისეთ მოქმედებას, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს მძაფრი კრიტიკა. სახელმწიფო მოხელეებმა პრესისა და ტელევიზიის მეშვეობით გამართულ დებატებში დასაშვებ ზღვარზე მეტი კრიტიკა უნდა ითმინონ. ამასთან, კრიტიკა უნდა იყო საქმიანი და იგი არ უნდა გადაიზარდოს დვარძლიან კრიტიკაში, რომელიც აშკარად შეუსაბამოა კრიტიკისა და განსჯის საგანთან.

საკასაციო პალატა თვლის, რომ, რაც უფრო დიდია პოლიტიკური თანამდებობის პირის პასუხისმგებლობა სახელმწიფოსა და საზოგადოების წინაშე, მის მიმართ დასაშვები კრიტიკის ფარგლები უფრო ფართოა, მისი მისამართით გამოთქმულ საფუძვლიან კრიტიკას მეტი დატვირთვა აქვს საზოგადოებრივი, სახელმწიფო და თითოეული მოქალაქის ინტერესების დაცვის თვალსაზრისით.

პოლიტიკოსები, რა თქმა უნდა, აქვს მისი რეპუტაციის დაცვის უფლება, მაგრამ ამგვარი დაცვის მოთხოვნის საპირისპირო და გამაწონასწორებელ გარემოებას წარმოადგენს საზოგადოების მოთხოვნები და ინტერესები პოლიტიკურ საკითხებზე დია დისკუსიის მიმართ.

პოლიტიკური თანამდებობის პირების ქმედებათა მკვეთრი შეფასებები, რომლებიც არსებული ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარეობენ, არ შეიძლება იყოს ურნალისტის პასუხისმგებლობის საფუძველი. ურნალისტური შეფასებები უნდა წარმოადგენდეს მის ხელთ არსებული ფაქტების აღეკვატურს.

სასამართლო თვლის, რომ გაზეთ „რეზონანსში“ მითითებული პუბლიკაციის გამოქვეყნებამ ხელი შეუწყო იმ პრობლემების საჯარო განხილვას, რომელიც საყოველთაო ინტერესის საგანს წარმოადგენდა.

როდესაც საგაზეთო პუბლიკაცია ეხება შინაგან საქმეთა სამინისტროს მაღალი თანამდებობის პირების მიერ განხორციელებულ უკანონო მოქმედებას, რომლებიც თვითონ არიან პასუხისმგებელნი ქვეყანაში კანონიერების დაცვაზე და ამ დარღვევების არსებობის უარყოფა არ ხდება, ამ შემთხვევაში კრიტიკის ფარგლები ფართოა. ამ შემთხვევაში პრესის ფუნქციაა, შეასრულოს „ნაგაზის“ როლი საზოგადოებაში და გაავრცელოს ინფორმაცია პოლიტიკური ლიდერის შესახებ, რათა ხალხმა შეაფასოს ლიდერთა საქმიანობა. პოლიტიკოსი, რომელიც ახორციელებს ასეთ სარისკო მოქმედებებს, თვითონ ხდის თავის თავს ურნალისტებისა და საზოგადოების მხრიდან მკვეთრი რეაქციის საგნად.

როდესაც უდავოა ფაქტების სინამდვილე, რომელსაც შეფასებითი განსჯა უფუძნება და თვით ეს შეფასებებიც გამოტანილია სხვა პოლიტიკოსთა და სპეციალისტთა მოსაზრებებიდან, მოთხოვნა ურნალისტის მხრიდან ამგვარი ცნობების უარყოფის შესახებ ეწინააღმდეგება სიტყვის თავისუფლების პრინციპებს.

სასამართლომ ჩათვალა, რომ მოცემულ შემთხვევაში ურნალისტი და რედაქცია არ გასცდებიან პოლიტიკური თანამდებობის პირების კრიტიკის კანონმდებლობით დადგენილ ფარგლებს.

პალატამ „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპის კონვენციის“ მე-10 მუხლის დებულებათა განმარტებისას გაითვალისწინა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს შემდეგი გადაწყვეტილებები:

„ლინგენსი ავსტრიის წინააღმდეგ“, „ობერლშიკი ავსტრიის წინააღმდეგ“, „სანდი თაიმსი“ გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ“.¹⁹⁴

ვეთანხმებით ავტორს, რომელიც მიიჩნევს, რომ დაზუსტებას მოითხოვს წრე, რომლის მიმართაც სასამართლო აფართოებს “დასაშვები კრიტიკის ფარგლებს”. კერძოდ ბუნდოვანია, თუ ვინ ჩაითვლება, “პოლიტიკოსთან გათანაბრებულ საზოგადო მოღვაწედ და თანამდებობის პირად”. სასურველია მან მოიცვას როგორც პოლიტიკოსი, ისე ნებისმიერი სხვა პირი, რომლის მიმართაც ობიექტურად შეიძლება არსებობდეს საზოგადოების განსაკუთრებული ინტერესი. სწორედ ეს ინტერესი განაპირობებს ასეთი პირების მიმართ “დასაშვები კრიტიკის ფარგლების” გაფართოებას”.¹⁹⁵

მე-18 მუხლით გათვალისწინებული წესით დაცვას არ ექვემდებარება ცნობები, რომლებსაც ფიზიკური თუ იურიდიული პირის შესახებ შეიცავენ სასამართლო გადაწყვეტილებები, საგამოძიებო ორგანოთა დადგენილებები, რადგან ამ დოკუმენტების განხილვა ექვემდებარება საპროცესო კანონმდებლობით დადგენილ წესს. ამასთან, პატივის, დირსების, საქმიანი რეპუტაციის დაცვის სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული წესი შესაძლოა გავრცელდეს ფიზიკური თუ ოფიციალური პირების იმ დახასიათებებსა თუ განცხადებებზე, რომლებიც მათ მიაწოდეს აღნიშნულ ორგანოებს კონკრეტული პირების შესახებ. “სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ” კანონის მე-6 მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, ცილისწამების თაობაზე სასამართლო დავის საგანი არ შეიძლება იყოს ისეთი განცხადება, რომელიც ეხება პირთა განუსაზღვრელ ჯგუფს ან/და რომელშიც მოსარჩელე არ არის ერთმნიშვნელოვნად იდენტიფიცირებული.

სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლი ითვალისწინებს პატივის, დირსების, საქმიანი რეპუტაციის შელახვის შემთხვევებში მოსარჩელის უფლებათა დაცვის ისეთ ფორმებს, როგორიცაა: ა) გავრცელებული ცნობების უარყოფა; ბ) გავრცელებული არასრული ცნობების შევსება ისეთი ცნობებით, რომლებიც სინამდვილეს შეესაბამებიან და ამასთან ერთად, აქარწყლებენ გავრცელებულ არასრულ, პატივის, დირსების, საქმიანი რეპუტაციის შემლახავ ცნობებს; გ) გავრცელებული ცნობების უარყოფა მედიის იმავე საშუალებით, რომლითაც ისინი გავრცელდა; დ) იმ საბუთის შეცვლა,

¹⁹⁴ დავით კერესელიძე, “გამოხატვის თავისუფლება”, ჟურნალი “ქართული სამართლის მიმოხილვა”, 2002(5), 620.

¹⁹⁵ დავით კერესელიძე, „პერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები“, თბილისი, 2009 წელი. გვ. 156.

რომელიც სინამდვილის შეუსაბამო ცნობებს შეიცავდა და გავრცელდა არა ფიზიკური პირის, არამედ ორგანიზაციის მიერ.

როცა პირის პატივის, ღირსების, საქმიანი რეპუტაციის შემლახველი ცნობები გამოქვეყნებულია პრესაში, სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე ამ ცნობების უარყოფა უნდა მოხდეს ბეჭდვითი სიტყვის იმავე საშუალებით, რომელმაც გამაწბილებელი ცნობები გაავრცელა. ამასთან, უთუოდ ანგარიშგასაწევია მოსარჩელის მოთხოვნა, თუ იგი უარყოფის გამოქვეყნებას გაზეთის იმავე გვერდზე და ისეთივე შრიფტით ითხოვს, როგორც ხელმყოფი ცნობების პუბლიკაცია მოხდა.

სასამართლო უფლებამოსილია თავისი გადაწყვეტილებით განსაზღვროს უარყოფით გამოქვეყნების ადექვატური შესაძლებლობანი. თუ პიროვნების გამაწბილებელ ცნობებს შეიცავს ამა თუ იმ ორგანიზაციის მიერ გაცემული დოკუმენტი და ისინი სინამდვილეს არ შეესაბამებიან, სასამართლო უფლებამოსილია ორგანიზაციას დააკისროს დოკუმენტის შეცვლა, რომელიც უნდა დაეგზავნოს ყველა იმ დაინტერესებულ პირს, ვისაც თავდაპირველი დოკუმენტი მიეწოდა.

სამოქალაქო კოდექსის მე-18.4 მუხლი მედიის საშუალებებით საპასუხო ცნობების გამოქვეყნების უფლებას აძლევს პირს მისი პატივისა და ღირსების შელახვის შემთხვევაში, თუმცა არ ითვალისწინებს შესაბამის უფლებას, მაგალითად, საქმიანი რეპუტაციის ხელყოფის შემთხვევაში.

სამოქალაქო კოდექსის მე-18.5 მუხლის თანახმად, პირს, მისი გამოსახულების უფლების ხელყოფის შემთხვევაში, ენიჭება იმავე მუხლის I და II ნაწილებში გათვალისწინებული მოთხოვნის უფლება. ეს, ერთი მხრივ, მითითებაა მოქმედების მოქმედების შეწყვეტისა და შემდგომში ასეთი მოქმედებისაგან თავის შეკავების მოთხოვნაზე. ”ამავე დროს, II ნაწილზე მითითებით, კანონმდებელი ავრცელებს ”კანონით დადგენილი წესით” დაცის პრინციპს გამოსახულების უფლების ხელყოფაზე. ეს კი შესაძლებელია ნიშნავდეს სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაწესებას გამოსახულების უფლების ნებისმიერი სახის ხელყოფის ნებისმიერ კანონში მოწესრიგების შემთხვევაში.”¹⁹⁶

სამოქალაქო კოდექსის მე-18.6 მუხლის მიხედვით პიროვნული უფლებების დაცვა ხორციელდება ხელმყოფის ბრალის მიუხედავად.

¹⁹⁶ დავით კერესელიძე, „კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები“, თბილისი, 2009 წელი. გვ. 158.

ბრალეული მოქმედებისას წარმოიშობა ასევე ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება. ამავე მუხლის თანახმად, ქონებრივი ზიანისაგან დამოუკიდებლად შესაძლებელია არაქონებრივი, ანუ ”მორალური”, ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა.

ზიანისათვის არაფულადი ანაზღაურება, ცხადია, თეორიულად შეიძლება გამომდინარეობდეს სკ-ის 408-ე მუხლის დებულებიდან, თუმცა პიროვნული უფლებების ხელყოფის შემთხვევაში ნაკლებად სავარაუდოა შემთხვევა, როდესაც შესაძლებელი იქნება ხელყოფამდე არსებული ”მდგომარეობის აღდგენა”, თუ, არ არის საკმარისი საპასუხო ინფორმაციის გამოქვეყნება. შესაბამისად, დგება სწორედ ფულადი ანაზღაურების საკითხი. ეს შედეგი შეესაბამება ასევე სკ-ის 409-ე მუხლით გათვალისწინებულ პრინციპსაც.¹⁹⁷

საინტერესოა სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლითაც მიუხედავად იმისა, რომ მოსარჩელის მოთხოვნა სამუშაოზე აღდგენის შესახებ (მირითადი მოთხოვნა) ხანდაზმულად ჩათვალა და არ დაკმაყოფილა, მორალური ზიანის ანაზღაურება დააკისრა მოპასუხეს.

o.b-შვილი ხელშეკრუკლების საფუძველზე მუშაობდა სს ”საქართველოს მიკროსაფინანსო ბანკში” მთავარი მოლარის თანამდებობაზე. იგი 2009 წ. 13 სექტემბერს ბანკის დირექტორთა საბჭომ გაათავისუფლა თანამდებობიდან ბანკის შინაგანაწესის დარღვევის, სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენების, უპასუხისმგებლობისა და ფულადი სახსრების გაფლანგვისათვის.

o. ხ-შვილმა სარჩელით მიმართა სასამართლოს მოპასუხე სს ”საქართველოს მიკროსაფინანსო ბანკის” მიმართ და მოითხოვა მისი სამუშაოდან დათხოვნის შესახებ გადაწყვეტილების უკანონოდ ცნობა, დაკავებულ თანამდებობაზე აღდგენა, იძულებითი განაცდურის ანაზღაურება, პატივისა და ლირსების დაცვა, ასევე მის სასარგებლოდ მოპასუხისათვის მორალური ზიანის 50000 აშშ დოლარის დაკისრება.

სასამართლოს გადაწყვეტილებით უარი ეთქვა o. ხ-შვილის სარჩელს სს ”საქართველოს მიკროსაფინანსო ბანკის” მიმართ სამუშაოზე აღდგენის, იძულებითი განაცდურის ანაზღაურების თაობაზე, ხოლო სასარჩელო მოთხოვნა მორალური ზიანის ანაზღაურების თაობაზე დაკმაყოფილდა ნაწილობრივი: სს ”საქართველოს მიკროსაფინანსო ბანკის” ადმინისტრაციას

¹⁹⁷ საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სამოქალაქო საქმეებზე, თბილისი, 3კ-804-02 25 სექტემბერი, 2002 წ.

დაევალა ახალი შიდა ბრძანების გამოცემა, რომელშიც აღნიშნული იქნებოდა შემდეგი: იმავე ბანკის ადმინისტრაციის მიერ გამოცემულ შიდა ბრძანებაში გამოქვეყნებული შემდეგი შეფასებები: “სამსახურებრივი მოვალეობის ბოროტად გამოყენება და ”ფულადი რესურსების გაფლანგვა“ არ ეხება ი. ხ-შვილს; სს ”საქართველოს მიკროსაფინანსო ბანკს“დაეკისრა ი. ხ-შვილის სასარგებლოდ არაქონებრივი (მორალური) ზიანის ასანაზღაურებლად **1000** ლარის გადახდა. სასამართლომ ჩათვალა, რომ მოპასუხე ორგანიზაციის შიდა ბრძანებით მოხდა ი.ხ-შვილის პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის შემლახავი ინფორმაციის გავრცელება, რომელიც ეცნობა რამდენიმე პირს. ამიტომ მისი საქმიანი რეპუტაციის, პატივისა და ღირსების შემლახავი გამონათქვამების უარყოფა უნდა მოხდეს მოპასუხე ორგანიზაციის ადმინისტრაციის მიერვე ბრძანების გამოქვეყნებით. სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელის პატივი და ღირსება მოპასუხემ დაარღვია ბრალეულად, ამიტომ დააკისრა მას ი.ხ-შვილის სასარგებლოდ მორალური ზიანის – 1000 ლარის ანაზღაურება. სასამართლომ აღნიშნული თანხა დააკისრა მოპასუხეს გონივრული ანაზღაურების ფარგლებში. ¹⁹⁸

პირი, რომლის შესახებაც მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში მისი პიროვნების პატივის, ღირსების, საქმიანი რეპუტაციის შემლახელი ცნობები გამოქვეყნდა, უფლებამოსილია სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე, მასობრივი ინფორმაციის იმავე საშუალებებით გამოაქვეყნოს თავისი პასუხი. თუ რედაქციამ გამაწილებელი პუბლიკაციის პასუხი არ გამოაქვეყნა, პირი უფლებამოსილია გამოქვეყნების იძულების მოთხოვნით, მიმართოს სასამართლოს.

¹⁹⁸ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი პირველი, თბ. 1999 გვ. 64.

თავი V. პირადი ცხოვრების საიდუმლოების, პირადი
ხელშეუხებლობის დაცვის შესახებ აღმრულ საქმეთა
განხილვისა და მორალური ზიანისათვის კომპენსაციის
დაკისრების თავისებურებანი, არაქონებრივ უფლებათა დაცვა
გარდაცვალების შემდეგ და დაზარალებულთა ახლობელთათვის
და იურიდიული პირისათვის მორალური ზიანის
კომპენსაციის საკითხი

§ 5.1. პირადი ცხოვრების საიდუმლოების დაცვა.

პატივის, დირსების, საქმიანი რეპუტაციის დაცვასთან ერთად სკ-ის მე-
18 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებში მითითებულია აგრეთვე ისეთი
არამატერიალური სიკეთეების დაცვაზე, როგორიცაა პირადი ცხოვრების
საიდუმლოება და პირადი ხელშეუხებლობა.

“სოციოლოგიურ და იურიდიულ ლიტერატურაში გავრცელებული
განმარტების თანახმად „პირადი ცხოვრების საიდუმლოების“ ქვეშ უნდა
იგულისხმებოდეს ინფორმაცია, რომელიც არ შეეხება პიროვნების
საზოგადოებრივ ცხოვრებას და გამიზნულია პირთა განსაზღვრული
წრისათვის, ან მისი ვინმესთვის განდობა საერთოდ არ შეადგენს პირის
ინტერესს. თუ პატივის, დირსების, საქმიანი რეპუტაციის დაცვის დროს
კანონი იცავს პიროვნების ცხოვრების საზოგადოებრივ მხარეებს,
სინამდვილის შეუსაბამო ცნობების გახმაურების უარყოფით, პირადი
ცხოვრების საიდუმლოების დაცვისას, საქმე ეხება სრულიად საპირისპირო
მოვლენას. პირადი ცხოვრების საიდუმლოების ამსახველი ცნობები როგორც
წესი სინამდვილეს შეესაბამება, მაგრამ პიროვნება დაინტერესებულია მათი
გახმაურებისაგან დაცვით.”¹⁹⁹

პირადი ცხოვრება სამართლითა და მორალით მოწესრიგებული
ადამიანის ცხოვრების სფეროა, რომლის მიზანია საზოგადოებისგან

¹⁹⁹ Головкин Роман Борисович ,Правовое и моральное регулирование частной жизни в
современной России ,Нижний Новгород, 2005. www.dissercat.com

პიროვნების შეფარდებითი ავტონომიზაცია, რაც სახელმწიფოსა და თვით პიროვნების მიერაა უზრუნველყოფილი. ²⁰⁰

“ინტიმური სფეროს დაცვაში მოიაზრება განდობილი აზრებისა და განცდების მესამე პირისათვის გადაცემის აკრძალვა. აუცილებელი წინაპირობაა, რომ უნდა არსებობდეს მათი საიდუმლოდ შენახვის ინტერესი. ინტიმური სფეროს დაცვაში ექცევა მაგალითად, გერმანიის სასამართლო პრაქტიკით, ადამიანის ჯანმრთელობის მდგომარეობა ან სექსუალური ცხოვრება, ასევე ავტორის სურვილის გარეშე საიდუმლო წერილების ან დღიურის ჩანაწერების გამოქვეყნება.

პირადი სფეროს დაცვაში იგულისხმება ინდივიდის ცხოვრების წარმართვის ავტონომიური სფეროს აღიარება, რომელშიც იგი საკუთარ თავთან რჩება და საკუთარ ინდივიდუალობას ავითარებს სხვათა მონაწილეობის გარეშე. ამერიკულ და გერმანულ სამართალში “საკუთარ თავთან დარჩენის უფლება” პირადი სფეროს დაცვის უფლების კონსტრუქციის გამოვლინებაა. ამასთან, ამერიკულ სამართალში იგი სიცოცხლის უფლების “სიცოცხლით ტკბობის უფლებად” განმარტების საფუძველზე ჩამოყალიბდა.”²⁰¹

გარდა კანონით გათვალისწინებული გამონაკლისი შემთხვევებისა, უზრუნველყოფილი უნდა იქნეს პიროვნულობის ამ სფეროს დაცვა საჯარობისაგან. ამიტომაც, სამოქალაქო კოდექსმა, სრულიად სამართლიანად პირადი ცხოვრების საიდუმლოების დაცვა აღიარა როგორც პირადი არაქონებრივი უფლება. სასამართლომ უნდა უზრუნველყოს „პირადი ცხოვრების საიდუმლოების“ დაცვის მოთხოვნით წარდგენილი სარჩელების განხილვა და ამ უფლების დაცვა ისეთი სამოქალაქო სამართლებრივი საშუალებებით, როგორიცაა უფლების აღიარება, უფლების შემდახავი მოქმედების აღკვეთა, უფლების დარღვევამდე არსებული მდგომარეობის აღდგენა, ქონებრივი თუ მორალური ზიანის ანაზღაურება. ²⁰²

“სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ” საქართველოს კანონის პირველი მუხლის “ნ” პუნქტის მიხედვით, პირადი საიდუმლოებაა პირადი ფასეულობის მქონე ინფორმაცია, რომლის საიდუმლოობის დაცვასაც

²⁰⁰ დავით კერძსელიძე, „პერმო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნობები“, თბილისი, 2009 წელი. გვ. 148.

²⁰¹ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი პირველი, თბ. 1999 გვ. 64.

²⁰² Головкин Роман Борисович, “Правовое и моральное регулирование частной жизни в современной России”, Нижний Новгород, 2005 . гв. 57. www.dissercat.com

მოითხოვს კანონი, აგრეთვე ყველა ის ინფორმაცია და გარემოება, რომელთან დაკავშირებითაც ადამიანს აქვს კერძო ცხოვრების ხელშეუხებლობის გონივრული მოლოდინი. ამავე კანონის მე-12 მუხლის მესამე ნაწილით კერძო ცხოვრების ხელშეუხებლობისა და პირადი საიდუმლოების დაცვის მოტივით არ შეიძლება შეიზღუდოს გამოხატვის თავისუფლება იმ მოვლენასთან დაკავშირებით, რომლის ცოდნაც აუცილებელია ადამიანისათვის დემოკრატიულ სახელმწიფოში საზოგადოებრივი თვითმმართველობის განსახორციელებლად.

პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება წარმოადგენს სახელმწიფოს მხრიდან ინდივიდის, როგორც სამართლის სუბიექტის პრიორიტეტის აღიარებას.

მოქმედ იურიდიულ მეცნიერებაში, ისევე როგორც მოქმედ კანონმდებლობაში არ არსებობს პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების ერთიანი ცნება. სპეციალისტთა ერთი ნაწილი თვლის, რომ პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება პირდაპირ არის დაკავშირებული აზროვნების, სინდისის, რელიგიის, საკუთარი აზრის გამოთქმის, ოჯახის შექმნის თავისუფლებასთან. სხვები ამ უფლებაში აერთიანებენ პირადი ცხოვრების და კორესპოდენციის საიდუმლოს დაცვის უფლებას.

პიროვნების ცხოვრების ხელშეუხებლობა უზრუნველყოფს საზოგადოებაში პიროვნების ავტონომიას, მისი ინდივიდუალობის შენარჩუნებას. პირადი ცხოვრება სხვადასხვა სახით ვლინდება. პირადი ცხოვრების ზოგიერთი ასპექტი საერთოდ არ რეგულირდება კანონმდებლობით, (მაგ. მეგობრობა, პატივისცემა, სიყვარული) მაგრამ პირადი ცხოვრების საიდუმლო ექვემდებარება დაცვას. იურიდიულ ლიტერატურაში გამოითქვა მოსაზრება, რომ პირადი ცხოვრების სფერო განიმარტოს, როგორც პირის, ისეთი ურთიერთობების და ქმედებების წრე, რომელიც მიმართულია ინდივიდუალური მოთხოვნილებების დაქმაყოფილებისაკენ იმ საშუალებებით რომლებიც უშუალოდ არ წარმოადგენს სოციალურად მნიშვნელოვანს. უფრო სწორი იქნება თუ ვიტყვით რომ პირადი ცხოვრების საიდუმლოს წარმოადგენს ცნობები განსაზღვრული პირის შესახებ, რომლებიც დაკავშირებული არ არის მის პროფესიულ ან საზოგადოებრივ საქმიანობასთან და იძლევა შეფასებას მისი სასიათის, გარეგანი სახის, ჯანმრთელობის, მატერიალური და ოჯახური მდგომარეობის, ცხოვრების

წესის, ბიოგრაფიის ცალკეული ფაქტების, ნათესავებთან, მეგობრებთან ურთიერთობის და ა.შ. შესახებ.²⁰³

პირადი ცხოვრება კომპლექსურად სამართლითა და მორალით რეგულირდება. პირადი ცხოვრების საიდუმლოების რეგულირებას ორმხრივი დანიშნულება აქვს. ერთი მხრივ, იგი გულისხმობს იმ თანამდებობის პირებზე და მოქალაქებზე ზემოქმედებას, რომლებიც ფლობენ ინფორმაციას ინდივიდის პირადი ცხოვრების შესახებ და მეორე მხრივ, იცავენ მიყენებული ზიანისგან ინდივიდს და საზოგადოების ზნეობას. პირადი ცხოვრების ელემენტებს სამართალი და მორალი განსხვავებულად არეგულირებს, მაგ. მეგობრობა, რომელიც პირადი ცხოვრების ნაწილია მორალური ნორმებით რეგულირდება, სიყვარულის და სექსუალური ცხოვრების წესის დაცვის დროს სამართალი უპირატეს როლს თამაშობს, მორალი კი-რეგულატორია. რელიგიასთან მიმართებაში სამართლისა და მორალის ნორმები ზოგჯერ შეიძლება რელიგიის ნაწილად მოგვევლინოს, ზოგჯერ იზრდება საკუთრივ რელიგიური მორალის ზემოქმედება, რომელიც პოტენციურად ზრდის პირადი ცხოვრების სფეროში სამართალდარღვევის შესაძლებლობას.²⁰⁴

პირადი არაქონებრივი უფლებების დაცვასთან მიმართებაში, ზოგიერთი მკვლევარი გამოჰყოფს ორ დამოუკიდებელ ჯგუფს: პირადი ცხოვრების საიდუმლოს, რომელშიც ის აერთიანებს, სამედიცინო საიდუმლოს, საადვოკატო, საბანკო საიდუმლოს უფლებას და პირადი ცხოვრების საიდუმლოს უფლების სხვა ასპექტებს. ასევე პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობას, რომელშიც აერთიანებს საცხოვრებელი ადგილის დოკუმენტების, სატელეფონო და სხვა სახის ზარის, სახელმწიფო შეტყობინების ხელშეუხებლობას.²⁰⁵

იმის გათვალისწინებით რომ ადამიანის თავისუფლების ესა თუ ის ასპექტი, საბოლოო ჯამში წარმოადგენს საკუთარი შინაგანი სამყაროს გამიჯვნას გარეგანი ჩარევისაგან, არ შეიძლება დავეთანხმოთ ასეთ კლასიფიკაციას. თითოეული ამ უფლებათაგან წარმოადგენს დამოუკიდებელ სუბიექტურ უფლებას, რომელსაც გააჩნია კონკრეტული მიზანი, თავისი სტრუქტურა და შინაარსი. თითოეულ დამოუკიდებელ უფლებას შეესაბამება გამიჯვნის საკუთარი პრინციპი. მიგვაჩნია, რომ თანამედროვე

²⁰³ Головкин Роман Борисович, “Правовое и моральное регулирование частной жизни в современной России”, Нижний Новгород, 2005 . გვ.59. www.dissercat.com

²⁰⁴ М.Н. Малеина “нематериальные блага и перспективы их развития,” закон, 1995, #10

²⁰⁵ საქართველოს კანონი “პაციენტის უფლებების დაცვის შესახებ”, 2000 წელი, მუხლი 10.

იურისპუდენციის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ამოცანას სწორედ ის წარმოადგენს, რომ არ მოხდეს ამ ცნებების აღრევა, გამოვლინდეს სუბიექტური უფლების გამიჯვნის კრიტერიუმები, მიეცეს დახასიათება თითოეულ უფლებას.

პირადი ცხოვრების სპეციფიკის გათვალისწინებით უფრო სწორი იქნება ვისაუბროთ პირადი ცხოვრების საიდუმლოზე, როგორც რთულ სუბიექტურ უფლებაზე. მას მიეკუთვნება ინფორმაცია პირის საოჯახო, ინტიმური ცხოვრების შესახებ, გარკვეული ინფორმაცია, ცნობები, საიდუმლო, რომელიც პირის შესახებ არსებობს სხვა პირთან ან ორგანოში. ასეთია საექიმო, სააღვოკატო, სანოტარო, საბანკო, შვილად აყვანის საიდუმლო.

“პაციენტის უფლებების დაცვის შესახებ” საქართველოს კანონის თანახმად პაციენტს ან მის კანონიერ წარმომადგენელს უფლება აქვს მიმართოს სასამართლოს და მოითხოვოს: კომპენსაცია ქონებრივი და არაქონებრივი ზიანისა, რომლებიც გამოწვეულია: ა) პაციენტის უფლებების დარღვევით; ბ) მცდარი სამედიცინო ქმედებით; გ) სამედიცინო დაწესებულების ფუნქციონირების სხვა ხარვეზებით; დ) სახელმწიფოს მიერ არასწორად განხორციელებული ზედამხედველობითა და რეგულირებით;²⁰⁶

ცნობები შეიძლება მიღებულ იქნეს გამოკვლევისა და მკურნალობისას, როგორც პაციენტის სიტყვებიდან ან ავადმყოფობის ისტორიიდან ან სხვა დოკუმენტიდან, ისე სამედიცინო პერსონალიდან. ზოგიერთი სამედიცინო ცნობის გახმაურებამ შეიძლება მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენოს იმ ადამიანს ვისაც ისინი ეხება.

ისტორიულად დამკვიდრებულია ტერმინი “საექიმო საიდუმლო,” თუმცა უფრო ხშირად სწორად მიაჩნიათ “სამედიცინო საიდუმლოს” ტერმინის გამოყენება. თუკი პირს დახმარებას უწევს სამკურნალო დაწესებულება, მაშინ საიდუმლოს დაცვაც ამ დაწესებულებამ უნდა განახორციელოს. გარდა ამისა შეიძლება სამედიცინო დახმარება ავადმყოფს გაუწიოს არა ექიმმა, არამედ სხვა სამედიცინო მუშაკმა.²⁰⁷

იბადება კითხვა საექიმო საიდუმლოს შენახვის შესახებ პირის გარდაცვალების შემდეგ. მიგვაჩნია, რომ მისი დაცვა უნდა მოხდეს პირის გარდაცვალების შემდეგაც. თუმცა შესაძლებელია ცალკეული ცნობების გახმაურება, თუკი ეს გამონაკლისია გარდაცვლილის ნათესავების, ახლობლების, მემკვიდრეობის ინტერესებით.

²⁰⁶ М.Н. Малеина Личные неимущественные права граждан понятие осуществление защиты М 2001, ст. 92.

²⁰⁷ საქართველოს კანონი “კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ”, მუხლი 17.

საექიმო საიდუმლოს შენახვის ერთ-ერთ პირობას წარმოადგენს ექიმის შესაძლებლობა დაუმაღლოს პაციენტს დიაგნოზი. თუმცა საექიმო საიდუმლოს ამგვარი გაგება წინააღმდეგობაშია პაციენტის უფლებასთან მიიღოს ინფორმაცია თავისი ჯანმრთელობის შესახებ. როცა საქმე ეხება ონკოლოგიურ და ისეთ დაავადებებს, რომელთაც მოჰყვებათ ლეტალური დასასრული, ეთიკური ნორმებიდან გამომდინარე ცალკეული პაციენტის ფსიქოლოგიური თავისებურებების გათვალისწინებით მიზანშეწონილად მიგვაჩნია, ექიმმა თავი შეიკავოს ასეთი დიაგნოზის პაციენტისათვის შეტყობინებისაგან, თუმცა ექიმს ვერც შეტყობინებისათვის მოთხოვ პასუხს. ექიმმა, ყოველ კონკრეტულ შემთვევაში, კონკრეტული პაციენტის ფსიქიკური მდგომარეობის შეფასებით უნდა გადაწყვიტოს, შეატყობინოს თუ არა ასეთი დიაგნოზი პაციენტს.

ცნობები, რომლებიც შეადგეს საექიმო საიდუმლოს, შეიძლება ცალკეულ შემთხვევაში გახმაურდეს გამოძიების და პროკურატურის ორგანოების, სასამართლოს მიერ გამოძიების ჩატარებისა და სასამართლო განხილვასთან დაკავშირებით.

გარდა ამისა აუცილებელია, რომ კანონმდებლობა პირდაპირ არეგულირებდეს ისეთ შემთხვევებს, როცა საექიმო საიდუმლოს შემცველი ინფორმაციის გავრცელება, შესაძლებელია პაციენტის თანხმობის გარეშე.

პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის კიდევ ერთ უფლებას წარმოადგენს საბანკო საიდუმლოს უფლება, რაც გულისხმობს, რომ ნებისმიერი საკრედიტო დაწესებულება და ბანკი იძლევა კლიენტების საბანკო ოპერაციების, შენატანების, ანაბრების და სხვა მონაცემების შესახებ ცნობების საიდუმლოს შენახვის გარანტიას. ასეთ ცნობებს მიეკუთვნება თვით კლიენტის ბანკისათვის მიმართვის ფაქტი, ის მონაცემები, რომლებიც ბანკისათვის ცნობილი გახდა ანგარიშის გახსნისას (მისამართი, ტელეფონი, საპასპორტო მონაცემები ამ პირის მიერ წარმოებული საბანკო ოპერაციების შესახებ და სხვა.)

კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ საქართველოს კანონით რეგლამენტირებულია საბანკო საიდუმლოება. ცნობები ფიზიკური და იურიდიული პირის ანგარიშების, ამ ანგარიშებიდან განხორციელებული ოპერაციებისა და ანგარიშებზე არსებული ნაშთების შესახებ შეიძლება მიეცეს შესაბამისი ანგარიშების მფლობელებს და მათ წარმომადგენლებს, აგრეთვე საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში

ფინანსური მონიტორინგის სამსახურს და იმ პირებს, რომლებიც უფლებამოსილი არიან აღასრულონ “საადსრულებო წარმოებათა შესახებ” საქართველოს კანონით აღსრულებას დაქვემდებარებული აქტები, მათი აღსრულების პროცესში. “არავის არა აქვს უფლება, დაუშვას ვინმე კონფიდენციალურ ინფორმაციასთან, გათქვას და გაავრცელოს ასეთი ინფორმაცია ან გამოიყენოს პირადი სარგებლობისათვის. ასეთი ინფორმაცია შეიძლება მიეწოდოს მხოლოდ ეროვნულ ბანკს, მისი კომპეტენციის ფარგლებში.

სასამართლო და საგამომმიებლო ორგანოებს, აგრეთვე საგადასახადო სამსახურებს ეკრძალებათ სასამართლოს განაჩენის გამოტანამდე ინფორმაციის გადაცემა სხვა ორგანოებისათვის მასობრივი ინფორმაციის საშუალებების ჩათვლით, აგრეთვე ამ ინფორმაციების გამოყენება საჯარო გამოსვლებში.

ბანკს უფლება აქვს პირის წერილობითი თანხმობის საფუძველზე მიიღოს ამ პირის პერსონალური მონაცემების შესახებ ინფორმაცია სამოქალაქო რეესტრის სააგენტოდან.

ბანკი ვალდებულია არ დაუშვას სამოქალაქო რეესტრის სააგენტოდან მიღებული პირის პერსონალური მონაცემების შესახებ ინფორმაციის გადაცემა მესამე პირისთვის, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევისა.”²⁰⁸ საბანკო საიდუმლოს სუბიექტს წარმოადგენს ბანკის ყველა მომსახურე პერსონალი, მიუხედავად იმისა რა სახის საქმიანობით არის დაკავებული და რა გარემოებაში გაეცნო ცნობებს, რომლებიც შეადგენს საბანკო საიდუმლოს. საბანკო საიდუმლოს თავისებურებებს წარმოადგენს ის, რომ მის დაცვაში დაინტერესებულია არა მარტო კლიენტი, არამედ თვით საბანკო დაწესებულებაც, რამდენადაც კლიენტის ნდობაზე არის დამყარებული კონკრეტული ბანკის ფინანსური კეთილდღეობა. თუმცა გამონაკლისის აქაც არსებობს, იმ პირთა სახით, რომელთაც უფლება აქვთ გაეცნონ ცნობებს, საბანკო ოპერაციების შესახებ. ესენია: სასამართლო, კონტროლის პალატა, საგადასახადო სამსახურები, საბანკო სამსახური, ნოტარიუსი, გამოძიების ორგანოები კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში. საბანკო საიდუმლოს დარღვევა მდგომარეობს, შესაბამისი ინფორმაციის გავრცელებაში ან მესამე პირთა ინტერესების გამოყენებაში უფლებამისილი პირის თანხმობის გარეშე. სხვა შემთხვევაში ბანკის მიერ იმ ცნობების გახმაურების შემთხვევაში,

²⁰⁸ საქართველოს კანონი “აღვოკატთა შესახებ” 2001 წელი. მუხლი 7.

რომელიც შეადგენს საბანკო საიდუმლოს, კლიენტს, ვისი უფლებებიც დაირღვა, უფლება აქვს მითხოვოს მიყენებული ზიანის (როგორც ქონებრივი ისე არაქონებრივი) ანაზღაურება.

საქართველოს კონსტიტუციის შესაბამისად თითოეულ ადამიანს აქვს კვალიფიციური იურიდიული დახმარების უფლება. როდესაც პიროვნება დახმარებისთვის მიმართავს ადვოკატს, აწვდის მას გარკვეული სახის ინფორმაციას, რომლის გახმაურებაშიც ის შეიძლება დაინტერესებული არ იყოს. სწორედ მოქალაქის ინტერესების დაცვას და მისი პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უზრუნველყოფას ემსახურება მთელი რიგი სამართლებრივი ნორმები, რომლებიც ერთიანობაში ქმნიან საადვოკატო საიდუმლოს. ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის თანახმად ადვოკატი ვალდებულია დაიცვას პროფესიული საიდუმლოება, გასული დროის მიუხედავად. კლიენტის თანხმობის გარეშე არ გაავრცელოს საადვოკატო საქმიანობის განხორციელების პროცესში მისგან მიღებული ინფორმაცია.²⁰⁹

მიგვაჩნია, რომ საადვოკატო საიდუმლო შენახვის ვალდებულება, ადვოკატების გარდა ეკისრება იმ პირსაც, რომელიც შეიძლება არც იყოს ადვოკატი, მაგრამ მონაწილეობდეს სასამართლო სხდომაზე, როგორც წარმომადგებელი. ერთია საადვოკატო საიდუმლო, რომელიც გამომდინარეობს კანონიდან ადვოკატთა შესახებ და ინფორმაციის დაცვა იმ პირის მიერ, რომელიც ახორციელებს სასამართლო წარმომადგენლობას. მიუხედავად მთელ რიგ საკითხებში მსგავსებისა, მაინც არსებითად განსხვავდებიან.

საადვოკატო საიდუმლოს შინაარსი უფრო ფართოა, ვიდრე წარმომადგენლის საიდუმლო. პირველი, შეიძლება წარმოიშვას ადვოკატისათვის, კონსულტაციის მისაღებად მიმართვისას, ხოლო მეორე, შესაბამისი რწმუნებულების გაფორმების მომენტიდან.

მოთხოვნა იმ ცნობების გახმაურების აკრძალვის შესახებ, რომლებიც ცნობილი გახდა მათვის შესაბამისი საქმის წარმოების შედეგად, ორიგე სუბიექტზე ერთნაირად ვრცელდება.

სანოტარო საიდუმლოს დაცვის მოთხოვნა პირდაპირ კანონიდან გამომდინარეობს. სანოტარო საიდუმლო – ეს ის ცნობებია, რომლებიც ნოტარიუსისათვის ცნობილი გახდა მისი პროფესიული საქმიანობის განხორციელებასთან დაკავშირებით. ნოტარიატის შესახებ საქართველოს

²⁰⁹ საქართველოს კანონი “ნოტარიატის შესახებ” 2009 წელი. მუხლი 8.

კანონის თანახმად ნოტარიუსი ვალდებულია საიდუმლოდ შეინახოს ცნობები, რომლებიც მისთვის ცნობილი გახდა სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით. ეს ვალდებულება ძალაშია ნოტარიუსის თანამდებობიდან გათავისუფლების შემდეგაც.

ნოტარიუსი სანოტარო მოქმედების შესახებ ცნობებს აძლევს მხოლოდ იმ ფიზიკურ ან იურიდიულ პირს, რომლის თხოვნითაც ან რომლის მიმართაც შესრულდა სანოტარო მოქმედება, ან მის წარმომადგენელს. საგამოძიებო ორგანოს ან სასამართლოს მოთხოვნით ნოტარიუსი გასცემს ცნობებს სანოტარო მოქმედების შესახებ იმ სისხლის სამართლის და სამოქალაქო სამართლის საქმეებზე, რომლებიც საგამოძიებო ორგანოს ან სასამართლოს წარმოებაშია. ნოტარიუსი ვალდებულია, სათანადო მოთხოვნის შემთხვევაში, საგადასახადო ორგანოს წარუდგინოს ცნობა იმ ქონების ღირებულების შესახებ, რომელიც პირის საკუთრებაში გადავიდა. საგადასახადო ორგანოს ეკრძალება სასამართლოს გადაწყვეტილების გამოტანამდე ინფორმაციის გადაცემა სხვა პირებისათვის, მასობრივი ინფორმაციის საშუალებების ჩათვლით, აგრეთვე ამ ინფორმაციის გამოქვეყნება საჯარო გამოსვლებში. ნოტარიუსს შეუძლია ცნობა ანდერძის არსებობის ან შინაარსის შესახებ გაამხილოს მხოლოდ მოანდერძის გარდაცვალების შემდეგ.

პირს, რომლის თხოვნითაც შესრულდა სანოტარო მოქმედება, ან მის უფლებამონაცვლეს ან წარმომადგენელს შეუძლია წერილობითი თანხმობის საფუძველზე გაათავისუფლოს ნოტარიუსი სანოტარო მოქმედების საიდუმლოების დაცვის ვალდებულებისაგან. თუ პირი გარდაიცვალა და მას უფლებამონაცვლე არ ჰყავს ან უფლებამონაცვლესთან დაკავშირება შეუძლებელია, ნოტარიუსი სანოტარო მოქმედების საიდუმლოების დაცვის ვალდებულებისაგან შეიძლება გაათავისუფლოს სასამართლომ. სასამართლოს შეუძლია ნოტარიუსი გაათავისუფლოს სანოტარო მოქმედების საიდუმლოების დაცვის ვალდებულებისაგან აგრეთვე სხვა საპატიო მიზეზებით.

ნოტარიუსი სანოტარო მოქმედების შესახებ ცნობებს „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ადგენტის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული გარიგებების თაობაზე აწვდის საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურს აღნიშნული კანონითა და შესაბამისი ნორმატიული აქტებით დადგენილი წესით.

სანოტარო მოქმედების შესრულებისას, ნოტარიუსისათვის ცნობილი ხდება მრავალი ფაქტი, ადამიანის პირადი ცხოვრებიდან. პირი, სანოტარო

მოქმედების შესასრულებლად ხშირად წარადგენს დოკუმენტებს, რომლებიც თავის მხრივ შეიძლება შეიცავდეს საექიმო, საბანკო საიდუმლოს ან ისეთ ცნობებს, რომელთა გახმაურებაც კლიენტს უბრალოდ არ სურს. სანოტარო საიდუმლოს სუბიექტებს წარმოადგენენ: ნოტარიუსი, ნოტარიუსის შემცვლელი, თანაშემწევი, სტაჟიორი ან სანოტარო ბიუროს სხვა თანამშრომელი, რომლებზეც ასევე ვრცელდება საიდუმლოს დაცვის მოთხოვნა. ხშირ შემთხვევაში ცნობები, რომლებიც შეადგენენ სანოტარო საიდუმლოს, შეიძლება ცნობილი გახდეს ექსპერტისათვის, თარჯიმნისათვის, მოწმისათვის ან სხვა პირისათვის, რომლებმაც საჭიროების შემთხვევაში შეიძლება მონაწილეობა მიიღონ სანოტარო მოქმედებაში და რომლებიც ასევე უნდა ჩაითვალონ ამ ურთიერთობის სუბიექტებად, თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში კანონი პირდაპირ მიუთითებს ასეთ პირთა ვალდებულებას არ გაახმაურონ ცნობები, რომლებიც მათთვის ცნობილი გახდა სანოტარო მოქმედების შესრულებისას (მაგ. ანდერძის მოწმეები).

მიმოწერის, პირადი ჩანაწერის, სატელეფონო საუბრების, საიდუმლო საქართველოს კონსტიტუციის მე-20 მუხლით გათვალისწინებული მნიშვნელოვანი უფლებაა. სატელეფონო საუბრის ქვეშ იგულისხმება აბონენტთა საუბარი, საქალაქო, საერთაშორისო, საქალაქოშორისო სატელეფონო კავშირის, აგრეთვე რადიოტელეფონების, მობილური კავშირების გამოყენება. საფოსტო კავშირი გულისხმობს ტექნიკური და სხვა საშუალებების ერთობლიობას, რომელიც უზრუნველყოფს საფოსტო გზავნილების მიღებას, დამუშავებას, გადაზიდვას, მიტანას, აგრეთვე ფულადი თანხების საფოსტო გადარიცხვებს. კავშირგაბმულობის ყველა ოპერატორი, ანუ ყველა თანამდებობის პირი, რომელსაც უფლება აქვს განახორციელოს საფოსტო ან ელექტრონული კავშირი, ვალდებული არიან, უზრუნველყონ საიდუმლოს დაცვა.

შვილად აყვანა (შვილობა) ერთ-ერთი საშუალებაა, როგორც უშვილო ოჯახისათვის, უშვილობის პრობლემის გადაჭრისათვის, ისე ბავშვის კეთილდღეობისათვის. უდედმამო ბავშვი იძენს ოჯახს და ბუნებრივია ამ საიდუმლოს მოულოდნელმა გამჟღავნებამ შეიძლება არააღექვატურად იმოქმედოს როგორც ბავშვის ფსიქიკაზე, ისე მშვილებლებზეც. ამიტომაც, შვილად აყვანის საიდუმლოს დაცვა, პირდაპირ არის გათვალისწინებული სისხლის სამართლის კოდექსის 175-ე მუხლში. (შვილად აყვანის საიდუმლოების გამჟღავნება)

„შვილად აყვანის და მინდობით აღზრდის შესახებ” საქართველოს კანონის მიხედვით დაცულია შვილად აყვანის საიდუმლოება.

მოსამართლე, რომელმაც გამოიტანა შვილად აყვანის შესახებ გადაწყვეტილება, ბიოლოგიური მშობელი, მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს წარმომადგენელი, სამოქალაქო აქტების რეგისტრაციიც ორგანოს თანამშრომელი და შვილად აყვანის პროცედურებში მონაწილე ნებისმიერი პირი ვალდებული არიან საიდუმლოდ შეინახონ შვილად აყვანის პროცედურის განხორციელების ნებისმიერ ეტაპზე მიღებული ინფორმაცია. შვილად აყვანის საიდუმლოების გამჟღავნება ბიოლოგიური მშობლის, მშვილებლისა და სრულწლოვანი ნაშვილების თანხმობის გარეშე აკრძალულია.²¹⁰

შვილად აყვანის საიდუმლოს დარღვევა შესაძლებელია ამ ფაქტის, როგორც თვით ნაშვილებისათვის, ისე მესამე პირისათვის, ნებისმიერი სახით შეტყობინების გზით, რაც დაზარალებულს აძლევს კანონით გათვალისწინებული საშუალებების გამოიყენების უფლებას, უპირველესად კი მორალური ზიანის ანაზღაურების უფლებას. ვინაიდან არანაირ ეჭვს არ იწვევს ის აზრი, რომ შვილად აყვანის საიდუმლოს დაცვა უპირველეს ყოვლისა სწორედ მორალურ ზიანს აყენებს, როგორც მშობელს, ისე ნაშვილებს.

მიგვაჩნია, რომ აღსარების საიდუმლოება ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პირადი საიდუმლოა, რომელიც პირადი ცხოვრების ნაწილია და მისი გამჟღავნება სწორედ, რომ ხელყოფს ადამიანის სულიერ სამყაროს და შეიძლება მორალური ზიანის ანაზღაურების საფუძველი გახდეს. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 129-ე მუხლის “გ” პუნქტის თანახმად, არ შეიძლება ახსნა-განმარტების მიღება სასულიერო პირისაგან ისეთ გარემოებათა შესახებ, რომლებიც მას გაანდვეს აღსარების დროს. მხარის მიერ აღსარების დროს ამა თუ იმ ფაქტის განდობა და მისი მონანიება დაკარგავდა ყოველგვარ აზრს, თუ შესაძლებელი და დასაშვები იქნებოდა მისი გახმაურება.²¹¹ იგი არ შეიძლება ასეთი ფაქტების შესახებ მოწმედაც დაიკითხოს. (სსსკ-ის 141-ე მუხლი). სასულიერო პირის მიმართ კანონმდებლის ასეთი აკრძალვის მიზანი გახლავთ როგორც სასულიერო პირის დაცვა

²¹⁰ საქართველოს კანონი „შვილად აყვანის და მინდობით აღზრდის შესახებ”, 2009 წელი, მუხლი 25.

²¹¹ თენგიზ ლილუაშვილი, ვალერი ხრუსტალი “საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი,” თბილისი, 2004 წელი, გვ. 234.

ადსარების საიდუმლოს გამჟღავნებისაგან, რაც ნებისმიერი დფთისმსახურისათვის უდირსი და არაქრისტიანული საქციელია, ასევე პირის დაცვა, რომელმაც მოინანია და გულწრფელად მისცა ადსარება. სასულიერო პირს გაანდო მის ცხოვრებასთან დაკავშირებული ცნობილი თუ უცნობი ფაქტები და გარემოებები და ბუნებრივია აქვს მოლოდინი, რომ საიდუმლო არ გამჟღავნდება.

კომპიუტერული ტექნიკით მოქალაქეთა პირადი ცხოვრების შესახებ მონაცემების შეგროვების და გადამუშავების მზარდი შესაძლებლობები იძლევა მათი შენახვისა და მათში მოთავსებული პირადი ხასიათის მონაცემების არასანქცირებული გავრცელების შესაძლებლობას. ბევრ ქვეყანაში, უკვე მიღებულია სამართლებრივი აქტები, რომლებიც ადგენენ პერსონალური ინფორმაციის დაცვის მექანიზმებს, რომლის თანახმადაც კომპიუტერული ინფორმაციის დამუშავებაზე კონტროლი ეკისრებათ ამ პროცესით დაკავებულ პირებს. კომპიუტერული და სატელეკომუნიკაციო ტექნოლოგიების მძაფრმა განვითარებამ გამოიწვია პრინციპულად ახალი ფაქტორების ფორმირებაც, რომლებიც შეიცავენ მოქალაქეთა პირად ცხოვრებაში ჩარევის საშიშროებას. “პირადი ცხოვრების ხელყოფის ობიექტად იქცა, კომპიუტერული და სხვა ელექტრონული საშუალებებით დამუშავებული პერსონალური ინფორმაცია – “პერსონალური მონაცემები”. უცხოეთის ქვეყნების უმრავლესობა პერსონალურ მონაცემებს ყოფს სამ კატეგორიად:

1. “ჩვეულებრივი” პერსონალური მონაცემები, მათი შექრება დამუშავება, გამოყენება და გადაცემა შესაძლებელია სპეციალური ნებართვის გარეშე.
2. “მგრძნობიარე” პერსონალური მონაცემები – მათი შექრება, დამუშავება, გამოყენება და გადაცემა საჭიროებს დაცვის და უსაფრთხოების განსაკუთრებულ ზომებს.
3. “განსაკუთრებით მგრძნობიარე” პერსონალური მონაცემები – მათი შეგროვება, დამუშავება, გამოყენება და გადაცემა ან საერთოდ აკრძალულია ან დაშვებულია მხოლოდ გამონაკლის შემთხვევაში დაცვის და უსაფრთხოების სპეც. ზომების გამოყენებით.”²¹²

კომპიუტერული ტექნოლოგიების ფართო გავრცელება, დღის წესრიგში აუენებს მონაცემების შეგროვების, დამუშავების და გამოყენებასთან

²¹² Глобальная кампания по свободам в Интернет. Международное исследование законодательства и практики в области защиты частной жизни. //<<http://privacy.hro.org/docs/laws/world/research.php>>.

დაკავშირებით, კერძო ცხოვრების და პირადი თავისუფლების დაცვის საბაზო სამართლებრივი პრინციპების შემუშავებასა და გამოყენების საჭიროებას.

ამ ფონზე, მკაფიოდ ვლინდება კომპიუტერული მონაცემების ეფექტურად დაცვის მექანიზმის შემუშავების ანუ კომპიუტერული ტექნიკის მიერ შეგროვებული ინფორმაციის დაცვის საკითხების სახელმწიფო რეგულირების აუცილებლობა. ეს აუცილებლობა უკვე აღიარებული და განმტკიცებულია მრავალი ქვეყნის კანონმდებლობით. ინფორმაციის, როგორც საჯარო, ისე კერძო სექტორში კომპიუტერული ინფორმაციის ეფექტურად დაცვის სქემის დამუშავებისა და მიგნების გარეშე, კომპიუტერში დაცული ინფორმაციის გავრცელება ყოველთვის იქნება ის ფაქტორი, რომელიც ხელს შეუწყობს მოქალაქეთა პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების სრულყოფილ განხორციელებას.

§ 5.2. პერსონალური მონაცემების დაცვა

აღსანიშნავი და საყურადღებოა, რომ სამოქალაქო კოდექსმა პერსონალური მონაცემები პირის შესახებ მიაკუთვნა რა პირად საიდუმლოებას საკანონმდებლო წესით განამტკიცა მისი მიღების უფლება. სკ–ის 19 (I)–ის მიხედვით: პირს უფლება აქვს, გაეცნოს მასზე არსებულ პერსონალურ მონაცემებს და ჩანაწერებს, რომლებიც დაკავშირებულია მის ფინანსურ/ქონებრივ მდგომარეობასთან ან სხვა კერძო საკითხებთან, და მიიღოს ამ მონაცემების ასლები, გარდა საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული შემთხვევებისა. პირს არ შეიძლება უარი ეთქვას იმ ინფორმაციის გაცემაზე, რომელიც მოიცავს პერსონალურ მონაცემებს ან ჩანაწერებს მის შესახებ. ნებისმიერი პირი ვალდებულია, წერილობითი თხოვნის საფუძველზე სხვა პირს გადასცეს მასთან დაცული პერსონალური მონაცემები და ჩანაწერები, თუ იგი წარუდგენს იმ პირის წერილობით თანხმობას, რომლის პერსონალურ მონაცემებსაც წარმოადგენს შესაბამისი ინფორმაცია. ასეთ შემთხვევაში პირი ვალდებულია დაიცვას აღნიშნული მონაცემების, ინფორმაციის საიდუმლოება. სზაპ–ის 44-ე მუხლით დაცულია პერსონალური მონაცემების საიდუმლოება. საჯარო დაწესებულება ვალდებულია არ გაახმაუროს პირად საიდუმლოებას მიკუთვნებული ინფორმაცია თვით ამ პირის თანხმობის ან კანონით გათვალისწინებულ

შემთხვევებში – სასამართლოს დასაბუთებული გადაწყვეტილების გარეშე, თანამდებობის პირთა (აგრეთვე თანამდებობაზე წარდგენილ კანდიდატთა) პერსონალური მონაცემების გარდა. პირს უფლება აქვს პერსონალური მონაცემების ხელმისაწვდომობაზე უარის თქმის შესახებ საჯარო დაწესებულების გადაწყვეტილება გაასაჩივროს ერთი თვის ვადაში. სასამართლო უფლებამოსილია გამოიტანოს გადაწყვეტილება პერსონალური მონაცემების განსაიდუმლოების შესახებ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შეუძლებელია სხვა მტკიცებულებებით საქმეზე ჭეშმარიტების დადგენა და ამოიწურა სხვა წყაროდან ამ ინფორმაციის მიღების ყველა სხვა შესაძლებლობა. პერსონალური ინფორმაცია დაცულიაა იმ თვალსაზრისითაც, რომ იგი შეიძლება ხელმისაწვდომი იყოს სამეცნიერო კვლევების ჩასატარებლად მხოლოდ პირის იდენტიფიკაციის გამომრიცხავი ფორმით. პირს უფლება აქვს მოითხოვოს მონაცემებში შესწორების შეტანა ან უპარატულობის მონაცემების განადგურება.²¹³

მნიშვნელოვანია, რომ პირს საჯარო დაწესებულების ან საჯარო მოსამსახურის გადაწყვეტილების გაუქმების ან შეცვლის მოთხოვნით არა მარტო შეუძლია მიმართოს სასამართლოს, არამედ მოითხოვოს ქონებრივი და არაქონებრივი ზიანის ანაზღაურება. ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება აქვს შემდეგ შემთხვევებში:

- ა) საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის, კოლეგიური საჯარო დაწესებულების სხდომის სრული ან ნაწილობრივი დახურვის, აგრეთვე საჯარო ინფორმაციის გასაიდუმლოებისას;
- ბ) არასწორი საჯარო ინფორმაციის შექმნისა და დამუშავებისათვის;
- გ) პერსონალური მონაცემების უპარატულობის, დამუშავების, შენახვისა და გავრცელებისას, აგრეთვე მათი სხვა პირისა ან საჯარო დაწესებულებისათვის უპარატულობის გადაცემისას;
- დ) საჯარო დაწესებულების ან საჯარო მოსამსახურის მიერ ამ თავის სხვა მოთხოვნათა დარღვევისას.

მტკიცების ტვირთი ეკისრება მოპასუხე საჯარო დაწესებულებას ან საჯარო მოსამსახურეს.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 27(І) მუხლით (პირადი საიდუმლოება) რეგლამენტირებულია, რომ პერსონალური

²¹³ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, თბ. 1999 წელი. 45-ე, 46-ე მუხლები.

მონაცემების პირად საიდუმლოებად მიჩნევის საკითხს, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა, წყვეტს პირი, რომლის შესახებაც არსებობს ეს ინფორმაცია. თავის მხრივ საჯარო ინფორმაცია, რომელიც პირის იდენტიფიკაციის შესაძლებლობას იძლევა, იწოდება პირის პერსონალურ მონაცემების. (სზადკ-ის 27-ე მუხლის “თ” პუნქტი). აქვე კანონით დაწესებულია გარკვეული კატეგორიის პერსონალური მონაცემების ავტომატური გასაიდუმლოების ვალდებულება. მაგ. საქართველოს კანონი “პაციენტის უფლებების შესახებ”, რომლის თანახმადაც საიდუმლოდ ცხადდება სამედიცინო დოკუმენტაციაში არსებული მონაცემები პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ.²¹⁴

“სზად-ის 27(I)-ე, 37.II-ე, 43-ე “თ” და 44-ე მუხლების ანალიზის საფუძველზე შესაძლებელია ითქვას, რომ პერსონალური მონაცემების პირად საიდუმლოებად მიჩნევის საკითხს წყვეტს პირი ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, რაც აისახება მის მიერ საჯარო დაწესებულებაში განცხადების შემტანზე სანოტარო წესით ან ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დამოწმებული თანხმობის გაცემაში. ხოლო იმ შემთხვევაში, როცა განმცხადებელი არ ან ვერ წარადგენს ასეთ თანხმობას, ეს არ შეიძლება გახდეს ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის საფუძველი. ამ დროს საჯარო დაწესებულება ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს შესაბამის პირს მისი პერსონალური მონაცემების მოთხოვნის შესახებ და დაადგინოს მისი ნება. თუ პირი არ მოითხოვს მისი პერსონალური მონაცემების გასაიდუმლოებას, ის დიად და ხელმისაწვდომი ხდება ამ ინფორმაციის მომთხოვნი პირისათვის. ინფორმაცია, რომელიც პირის მოთხოვნის საფუძველზე იძენს საიდუმლოების სატატუსს, შეიძლება გაიცეს მხოლოდ თვით ამ პირის თანხმობით ან სასამართლოს გადაწყვეტილებით. ეს წესი არ ვრცელდება თანამდებობის პირებზე და თანამდებობაზე წარდგენილ კანდიდატებზე. ამ პირთა პირად საიდუმლოებას მიკუთვნებული ინფორმაცია არის ღია.”²¹⁵

სასამართლოს მხარის შუამდგომლობით უფლება აქვს გამოითხოვოს და განიხილოს გასაიდუმლოებული საჯარო ინფორმაცია მისი მთლიანი ან

²¹⁴ პაატა ტურავა, ნათია წერებულის, “ადმინისტრაციული სამართლის დამხმარე სახელმძღვანელო,” თბილისი, 2005 წელი, გვ. 120.

²¹⁵ პაატა ტურავა, ნათია წერებულის, “ადმინისტრაციული სამართლის დამხმარე სახელმძღვანელო,” თბილისი, 2005 წელი, გვ. 121.

ნაწილობრივი გასაიდუმლოების კანონიერების შესწავლის მიზნით. სასამართლოს უფლება აქვს ეს განხილვა აწარმოოს დახურულ სხდომაზე.

§ 5.3. პირადი ხელშეუხებლობის დაცვა

დაცვის იმავე პრინციპებს ექვემდებარება სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლით გათვალისწინებული ისეთი არამატერიალური სიკეთე, როგორიცაა პირადი ხელშეუხებლობა. აღნიშნული კონსტიტუციური თავისუფლება მიცავს ისეთ პიროვნულ დირებულებებს, როგორიცაა: მიწერ-მოწერის, პირადი წერილების, დღიურების, კერძო დოკუმენტაციის დაცვა, რომელთა უზრუნველყოფა ეფექტურია „პირადი ცხოვრების საიდუმლოების“ განხილვისას მითითებული სამოქალაქო-სამართლებრივი საშუალებებით.

საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლი პირდაპირ მიუთითებს, რომ ადამიანის თავისუფლება ხელშეუვალია. პირისთვის თავისუფლების აღკვეთა დაუშვებელია სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე. სსკ-ის მე-18 მუხლი სხვა არამატერიალურ სიკეთეებთან ერთად არეგულირებს პირად ხელშეუხებლობასაც, ისე რომ არ მიუთითებს რა იგულისხმება პირადი ხელშეუხებლობის ცნებაში. ამისათვის ალბათ ისევ კონსტიტუციას უნდა მივმართოთ, რომელიც ადამიანის პირად ხელშეუხებლობაში გულისხმობს, როგორც თავისუფლების ხელშეუხებლობას, ისე თავისუფლების აღკვეთის ან თავისუფლების სხვაგვარად შეზღუდვის დაუშვებლობასაც. ზოგიერთი მეცნიერის აზრით, ფიზიკურ ხელშეუხებლობაში შედის აგრეთვე მოქალაქის უფლებამოსილება დამოუკიდებლად გამოიყენოს საკუთარი სხეული, ცალკეული ორგანოები და ქსოვილები.²¹⁶

ადამიანისათვის თავისუფლების უკანონო აღკვეთა რა თქმა უნდა წარმოადგენს პირადი არაქონებრივი უფლებების ერთ-ერთ სერიოზულ ხელყოფას და შემთხვევითი არ არის რომ სისხლის სამართლის კანონმდებლობა ითვალისწინებს მთელ რიგ ნორმებს, მიმართულს ამ კონსტიტუციური უფლების დასაცავად. სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულია პასუხისმგებლობა ადამიანის მოტაცებისათვის, პირის თავისუფლების უკანონო აღკვეთისათვის (სსკ-ის 143-ე მუხლი),

²¹⁶ М.Н. Малеина, Личные неимущественные права граждан: понятие, осуществление, защита. М. 2001. ст 89.

ტრეფიკინგისთვის (სსკ-ის 143 (I) მუხლი), მძევლად ხელში ჩაგდებისთვის (სსკ-ის 144-ე მუხლი), წამებისთვის (144 (II)), დამამცირებელი ან არაადამიანური მოპყრობისათვის (სსკ-ის 144(3)), ფსიქიატრიულ დაწესებულებაში უკანონო მოთავსებისათვის (სსკ-ის 149-ე მუხლი). თუკი ადამიანს უკანონოდ აღეკვეთა თავისუფლება დაზარალებულს უფლება აქვს მოითხოვოს დარღვეული უფლების აღდგნა, სამოქალაქო სამართალწარმოების წესით. ხოლო თუ ამასთან დამნაშავე სახელმწიფო ორგანოების თანამდებობის პირია, პასუხისმგებლობა ეკისრება სახელმწიფოსაც.

პირადი თავისუფლების უკანონო შეზღუდვა ყოველთვის იწვევს დაზარალებულის სულიერ განცდებს და ფიზიკურ ტკივილს, რაც სხვა არაფერია თუ არა მორალური ზიანი, რაც საბოლოოდ წარმოშობს მისი ანაზღაურების უფლებას სკ-ის მე-18 და 413-ე მუხლების მიხედვით.

კანონმდებლისა და სასამართლოს უპირველეს ამოცანას უნდა წარმოადგენდეს ისეთი ნორმებისა და სასამართლო განაჩენის (განჩინების) გამოტანა რომელიც მაქსიმალურად გამორიცხავს პიროვნების უკანონო ან დაუსაბუთებელ დაკავებას. და თუ ასეთ ფაქტს მაინც ექნება ადგილი, და ითვალისწინებდეს დაზარალებულისათვის მიყენებულ ქონებრივი ან მორალური ზიანის ანაზღაურების შესაძლებლობას.

§ 5.4. გამოსახულების დაცვა

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის მიხედვით უფლება საქუთარ გამოსახულებაზე ფიზიკური პირის დამოუკიდებელი არაქონებრივი უფლებაა.

კანონის ტექსტის მიხედვით ნათელია პრინციპი: ინდივიდის გამოსახულების გამოქვეყნება, როგორც წესი, მისი თანხმობით შეიძლება. ზოგადი წესიდან კანონი ითვალისწინებს გამონაკლის შემთხვევებს, როცა გამოსახულების უფლება შეზღუდულია და გამოქვეყნებისათვის ინდივიდის თანხმობა საჭირო არ არის.²¹⁷

გამოსახულების ქვეშ იგულისხმება მხატვრული პორტრეტი, ფოტოსურათი, ინდივიდის გამოსახულება კინოფილმში, ტელეგადაცემაში თუ

²¹⁷ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი პირველი, თბ. 1999 წ. გვ. 65.

ვიდეოფილმში, სადაც მისი გარეგნული იერის შეცნობა შეიძლება. საგულისხმოა, რომ ძველი სამოქალაქო კანონმდებლობა ითვალისწინებდა მხოლოდ სახვითი ხელოვნების ნაწარმოებში გამოსახული პირის ინტერესს. საკუთარი გამოსახულების უფლების ობიექტია ინდივიდის თავისუფლება და არა მხატვრული ტილო ან ფოტოსურათი თუ კინოდენტი, როგორც ფიზიკური საგანი. ინდივიდის თავისუფლება – მისი გამოსახულება გამოტანილი იქნეს საჯაროდ ან ეჩვენოს საზოგადოებას მისთვის სასურველი ფორმით, პიროვნულობის განუყოფელი ნაწილია.²¹⁸

“ზოგიერთი ავტორის აზრით, სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის მეხუთე ნაწილით მოცემული ჩამონათვალი უმრავლეს შემთხვევაში შემდგომ დაზუსტებას საჭიროებს. კერძოდ, პირის გამოსახულების წინასწარი ნებართვის გარეშე ჩვენება, თუ ის “დაკავშირებულია მის საზოგადოებრივ აღიარებასთან” ან “დაკავებულ თანამდებობასთან”, შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ მის მიმართ არსებობს ადეკვატური საზოგადოებრივი ინტერესი. ამასთან, ეს ინტერესი უნდა აჭარბებდეს თავად ამ პირის საკუთარი გამოსახულების ჩვენების აღკვეთის შემსვედრ ინტერესს. რაც უფრო დიდია კონკრეტულ გარემოებებთან მიმართებით საზოგადოების ინფორმირებულობის ინტერესი, მით უფრო დიდია გამოსახული პირის თმენის ვალდებულება.”²¹⁹

“გამოქვეყნება გულისხმობს ინდივიდის გამოსახულების საჯაროდ გამოტანას. საკმარისია, გამოქვეყნება მოხდეს მარტოოდენ პუბლიკაციის ავტორის ნებით, საქმე გვაქვს გამოსახულებაზე აღბეჭდილი ინდივიდის პიროვნულობის ექსპლუატაციასთან. პიროვნულობის ამგვარი ექსპლუატაცია შესაძლოა მიზნად ისახავდეს როგორც გამოსახულებაზე აღბეჭდილი პირის დისკრედიტაციას, ისე მისი გამოსახულების გამოყენებას რეკლამის მიზნით, ამა თუ იმ პოლიტიკური, სოციალური თუ სხვა იდეების სასარგებლოდ. გამოქვეყნება არ ნიშნავს გამოსახულების გაცნობას ადამიანთა უსათუოდ ფართო წრისათვის. სამართლებრივ რეაქციას იმსახურებს თავისთავად საჯაროობის ფაქტი.”²²⁰

თანხმობა პუბლიკაციაზე შეიძლება იყოს, როგორც ცალმხრივი ნებართვის, ისე ხელშეკრულების ელემენტის სახით. როცა პირი, ვინმეს

²¹⁸ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი პირგელი, თბ. 1999 წ. გვ. 66

²¹⁹ დავით კერესელიძე, „კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები“, თბილისი, 2009 წელი. გვ. 148.

²²⁰ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი პირგელი, თბ. 1999 წ. გვ. 67.

შემხვედრი მოვალეობის გარეშე, თანახმაა გამოსახულება გამოქვეყნდეს, საქმე გვაქვს თანხმობის ცალმხრივ განცხადებასთან ანუ ნებართვასთან. როცა პირი თანახმაა გამოსახულება გამოქვეყნდეს ვინმეს შემხვედრი მოვალეობის შესრულების პირობით, თანხმობას ეძლევა ხელშეკრულების სახე. ასეთი ხელშეკრულებები გავრცელებულია პროფესიული ფოტომოდელების პრაქტიკაში.

როცა საქმე გვაქვს თანხმობის ცალმხრივ განცხადებასთან, იმის გარკვევისას, იყო თუ არა თანხმობა, უნდა გამოვიდეთ პრაქტიკაში დამკვიდრებული თანხმობის ფორმებიდან. თუ თანხმობის ამგვარი დამკვიდრებული ფორმები არ არსებობს, საჭიროა გაირკვეს, შეეძლო თუ არა თანხმობის მიმღებს პირის მოქმედება ან საქციელი თანხმობად ჩაეთვალა.²²¹ მაგალითად, თუ პირი ითვალისწინებს, რომ ფილმის გადაღებისას იგი კადრში შეიძლება მოხვდეს, ეს ჯერ კიდევ არ გულისხმობს მის კონკლუდენტურ მოქმედებას. თანხმობის ფარლები შეიძლება დადგინდეს ყოველ ცალკეულ შემთხვევაში არსებულ გარემოებათა გათვალისწინებით. ჩვეულებრივ, გამოყენება პრინციპი – თანხმობა იმ მოცულობისაა, რა ფარგლებისთვისაც არის გამიზნული. თუ პირი თანახმაა გამოქვეყნდეს მისი ფოტოსურათი, რადგან იგი იმ საქმის მესვეურია, რომლის შესახებაც მოთხრობილია პუბლიკაციაში, ინდივიდის თანხმობის მიზანს სწორედ ეს პუბლიკაცია წარმოადგენს. თანხმობა ძალადაკარგული იქნება მას შემდეგ, რაც პირი კარგა ხანია აღნიშნულ საქმეს ჩამოშორდა და მის შესახებ ქვეყნდება მასალა, რომელსაც არავითარი კავშირი არა აქვს ძველ გარემოებებთან.²²²

თანხმობა, როგორც ნების გამოვლინება, შეიძლება გაპროტესტებული იქნას. ეს იმ შემთხვევებს ეხება, როცა პიროვნება მოტყუების გზით შეცდომაში შეიყვანეს. ამგვარ მოქმედებასთან გვაქვს საქმე, როცა კორესპონდენტი ინდივიდს, რომლისგანაც ინტერვიუს იღებს, ყალბ ცნობებს აძლევს ამ ინტერვიუს გამოყენების მიზნის ან დაგეგმილი კორესპონდენციის შინაარსის შესახებ.

ერთხელ მიცემული თანხმობა ბოჭავს მის განმცხადებელს. ეს პრინციპი ისეთ შემთხვევებს ეხება, როცა თანხმობა ცალმხრივადაა განცხადებული. საინფორმაციო საშუალებებში კორესპონდენციის გამოქვეყნებაზე თანხმობა ინდივიდმა შეიძლება „უკან წაიღოს“, თუ გარემოებები ისე რადიკალურად

²²¹ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი პირველი, თბ. 1999 წ. 67.

²²² საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი პირველი, თბ. 1999 წ. გვ. 68.

შეიცვალა, რომ აღნიშნულმა კორესპონდენციამ შესაძლოა დაარღვიოს მისი პიროვნული უფლებები.²²³ თანხმობის გაუქმება დასაშვებია, როდესაც განსაზღვრულ მომენტში პირი თანახმაა გამოქვეყნდეს მისი პოლიტიკური ან მსოფლმხედველობრივი მოსაზრებები, მაგრამ მოგვიანებით მისი პოზიციები პრინციპულად იცვლება.

რაც შეეხება თანხმობას, როგორც ხელშეკრულების ელემენტს, ფოტომოდელი უფლებამოსილია გააპროტესტოს თანხმობა, თუ გამოსახულებაში მისმა ავტორმა დაამახინჯა ფოტომოდელის პიროვნულობა ან გამოსახულება გამოიყენა ხელშეკრულების პირობებისაგან განსხვავებული მიზნით.²²⁴

ინდივიდის უფლება საკუთარ გამოსახულებაზე, კანონის ტექსტის მიხედვით, არ წარმოადგენს უსაზღვრო თავისუფლებას. თუ გამოსახულება „დაკავშირებულია ინდივიდის საზოგადოებრივ აღიარებასთან, დაკავებულ თანამდებობასთან, მართლმსაჯულების ან პოლიციის მოთხოვნებთან, სამეცნიერო სასწავლო ან კულტურულ მიზნებთან, ანდა ფოტოგადაღება (ვიდეოგადაღება და ა.შ.) მოხდა საზოგადო ვითარებაში, ანდა პირმა პოზირებისათვის საზღაური მიიღო, ინდივიდის თანხმობა გამოსახულების პუბლიკაციისათვის საჭირო არ არის.

“ის გარემოება, რომ “პირმა პოზირებისთვის მიიღო საზღაური”, არ ნიშნავს მისი გამოსახულების ნებისმიერი სახით გამოყენებაზე თანხმობას. ეს გარემოება წარმოშობს მხოლოდ ვარაუდს, რომ პირმა თანხმობა განაცხადა თავისი გამოსახულების კონკრეტული, ხელშეკრულებით პირდაპირ გათვალისწინებული ან მისგან უშუალოდ გამომდინარე სახით გამოყენებაზე”²²⁵.

გამოსახულების გამოქვეყნების მართლზომიერების საკითხის გადაწყვეტისას საქმე გვაქვს ინდივიდუალური და საზოგადოებრივი ინტერესების კოლიზიასთან. ერთი მხრივ, სახეზეა ინდივიდის ინტერესი – დაუპირისპირდეს თავისი გამოსახულების საჯაროდ გამოტანას, მეორე მხრივ – საზოგადოების ინტერესი, მიიღოს ინფორმაცია საზოგადოებრივი მოვლენების შესახებ. “თუ გამოსახულებაში აღბეჭდილი მოვლენა თავისი მნიშვნელობით სციდება კერძო ცხოვრების ფარგლებს და შეადგენს

²²³ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი პირველი, თბ. 1999 წ გვ. 69.

²²⁴ იქვე, გვ. 69.

²²⁵ დავით კერესელიძე, „კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები“, თბილისი, 2009 წელი. გვ. 144-145.

საზოგადოებრივი ცხოვრების ნაწილს, „ეწერება აქტუალობისა და თანამედროვეობის“ შინაარსში, საზოგადოების ინფორმირების საყოველოათ ინტერესი სჭარბობს ინდივიდის ინტერესს – დაუპირისპირდეს საკუთარი გამოსახულების პუბლიკაციას. ²²⁶

ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლომ დ-თ გ-ძის საქმეზე მიიჩნია, რომ აპლიკანტის მიმართ დაირღვა კონვენციის მე-8 მუხლი (პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცულობის უფლება) და მე-13 მუხლი (ქმედითი სამართლებრივი მისაგებლის უფლება) გაზეთ „ახალი თაობის“ მეშვეობით ინფორმაციისა და მისი ფოტოების, ასევე სასამართლო გადაწყვეტილებების გამოქვეყნებით.

დ-თ გ-ძემ 199.. წელს გასაყიდად გამოიტანა ცნობილი ქართველი მწერლის კონსტანტინე გამსახურდიას ხელნაწერი. ქ-ნი მ. ა-ძე-გ-ია (მწერლის რძალი და საქართველოს აწ გარდაცვლილი ექს-პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას მეუღლე) აპლიკანტს შეუთანხმდა შეხვედრაზე, რომელიც ჩატარდა გაზეთ „ახალი თაობის“ უურნალისტთა თანდასწრებით. შეხვედრას წინ უძღვოდა სტატიებისა და ინტერვიუების სერია აპლიკანტის ფოტოებთან ერთად, სადაც მ. ა-ძე-გ-ია ბრალად სდებდა მას ხელნაწერების მოპარვას საეჭვო ვითარებაში.

აპლიკანტი ჩივის, რომ გაზეთ „ახალი თაობის“ მეშვეობით ამ ინფორმაციისა და მისი ფოტოების, ასევე სასამართლო გადაწყვეტილებების გამოქვეყნება, ხელყოფს მისი პირადი ცხოვრების დაცულობის უფლებას. აპლიკანტს მიაჩნია, რომ მის მიმართ დაირღვა კონვენციის მე-8 მუხლი (პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცულობის უფლება) და მე-13 მუხლი (ქმედითი სამართლებრივი მისაგებლის უფლება).

სასამართლომ აღნიშნა, რომ განმცხადებელი ჩივის არა სახელმწიფოს უშუალო ჩარევაზე, არამედ სახელმწიფოს მიერ მისი პირადი ცხოვრების დაცვის არასაქმარისობაზე. თუ მე-8 მუხლი ძირითადად მიზნად ისახავს დაიცვას პირი სახელმწიფოს უკანონო ჩარევისაგან, იგი არ კმაყოფილდება სახელმწიფოსათვის ამგვარი ჩაურევლობის ვალდებულების დაკისრებით. ამგვარ ნეგატიურ ვალდებულებებს შეიძლება დაემატოს პირადი და საოჯახო ცხოვრების ეფექტური დაცვისათვის დამახასიათებელი პოზიტიური ვალდებულებები. მათ შეიძლება აუცილებელი გახადონ პირადი ცხოვრების უფლების დასაცავად გარკვეული ზომების მიღება მაშინაც კი, როცა

²²⁶ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი პირველი, თბ. 1999 წ. გვ. 69.

ურთიერთობა ეხება ქერძო პირებს პიროვნების პატივისცემის უფლების შელახვის ჩათვლით.

ამასთან დაკავშირებით სასამართლომ აღნიშნა, რომ ვინაიდან განმცხადებელი არ იყო საზოგადოებისათვის ცნობილი პიროვნება, გამოხატვის თავისუფლება არ მოითხოვდა ფართოდ განმარტებას და დასაშვები კრიტიკის ფარგლები არ შეიძლება ყოფილიყო მის მიმართ ისეთივე ფართო, როგორიც საჯარო პიროვნების მიმართ, რომელიც უდავოდ და შეგნებულად აყენებს მის ქმედებებს განსაკუთრებული კონტროლის ქვეშ და რომელმაც უნდა გამოავლინოს მნიშვნელოვანი მოთმინება. გაზეთ „ახალ თაობაში“ გამოქვეყნებული სტატიების შინაარსის მხედველობაში მიღებით სასამართლოს მიაჩნია, რომ მას უარყოფითი გავლენა უნდა მოეხდინა განმცხადებლის პიროვნებაზე, მის მეგობრებთან და ოჯახთან ურთიერთობაზე, ასევე მის კოლეგებთან და სტუდენტებთან წლების განმავლობაში არსებულ კავშირზე. მართალია, კონვენცია არ იცავს პატივისა და რეპუტაციის პატივისცემის უფლებას, მაგრამ ის ნებას არ რთავს, რომ ზიანი მიადგეს როგორც პირის „ინტიმურ“ სფეროს, სადაც მან თავისუფლად უნდა შეძლოს მისი პიროვნულობის განვითარება და განხორციელება, ასევე „გარეგან“ სფეროს, სადაც მან უნდა შეძლოს ჩარევის გარეშე კავშირი დამყაროს და განავითაროს ურთიერთობები მის მსგავს არსებებთან თუ გარესამყაროსთან, პროფესიული და კომერციული ურთიერთობების ჩათვლით. რაც შეეხება სადაც რეპორტაჟებით გამოქვეყნებულ განმცხადებლის სურათებს, სასამართლოს პრეცედენტული სამართლის შესაბამისად, სურათების გამოქვეყნება წარმოადგენს პირადი ცხოვრების შემადგენელ ნაწილს თუმცა, საჭიროა შეფასდეს წარმოადგენდა თუ არა აღნიშნული ფოტოსურათი განმცხადებლის პირად ცხოვრებაში ჩარევას, იგი მიეკუთვნებოდა საჯარო თუ კერძო სფეროს, განკუთვნილი იყო შეზღუდული გამოყენებისათვის, თუ არსებობდა საზოგადოებისათვის ფართო ხელმისაწვდომობის რისკი. სასამართლომ მიუთითა, რომ თუ გამოხატვის თავისუფლება ვრცელდება სურათების გამოქვეყნებაზე, საქმე ეხება იმ სფეროს, სადაც სხვათა უფლებებისა და რეპუტაციის დაცვას მნიშვნელოვანი როლი ენიჭება.

განსახილველ შემთხვევაში განმცხადებლის ფოტოსურათი ხელმისაწვდომი იყო ფართო საზოგადოებისათვის მისი თანხმობის გარეშე. სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად,

განმცხადებლის თანხმობა აუცილებელი იყო, ვინაიდან სურათის გადაღება არ მომხდარა პოლიციის მოთხოვნების შესაბამისად. „ახალი თაობის” ფოტოგრაფის, განმცხადებლის წოდებით „პაპარაცის”, მიერ გადაღებული სურათი გამოქვეყნდა ჟურნალისტ გ. ბ-ძის სადაცო სტატიისთან ერთად.

სასამართლოს განმარტებით პირადი ცხოვრების უფლებასა და გამოხატვის თავისუფლებას შორის წონასწორობის დამყარებისას მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს იმ ფატს, თუ რა წვლილი შეიტანა სურათის გამოქვეყნებამ საზოგადოებრივი ინტერესის მქონე საკითხზე კამათისას ამ შემთხვევაში, სურათი უჩვენებდა განმცხადებლის სახეს, რომელიც გამოქვეყნებული იყო ქ-ნ გ. ბ-ძის ერთ-ერთ სადაცო ინტერვიუსთან ერთად. განმცხადებლის გვარი და სახელი მკვეთრად იყო რა მოხსენიებული, ახლობლების, კოლეგების და სტუდენტების მიერ შესაძლებელი იყო მისი ცნობა. სასამართლოს აზრით, არ შეიძლება იმ კონტექსტის გაუთვალისწინებლობა, სადაც სურათები გამოქვეყნდა – ინტერვიუების მთელი სერია, რომელიც შეიცავდა განმცხადებლის შეურაცხმყოფელ სიტყვებს და ქმნიდა განგრძობად გამაღიზიანებელ კლიმატს. კერძოდ, ინტერვიუში აღნიშნულია, რომ განმცხადებელი არის „საშინელი ათეისტი“, „მისთვის ქურდობა, ძარცვა არაფერს ნიშნავს“, რომ იცოდნენ რომელი ორგანიზაციის წევრიც იყო მისი მამა და რომ იგი „აგრძელებდა მის საქმიანობას“, რომ „ამგვარი პიროვნება უნდა განკიცხულიყო“, რომ „მან ჩაიდინა დანაშაული ერის წინაშე“ და რომ ის „იპარავდა არქივებს სახლებში.“

სასამართლომ ვერ დაინახა ვერც სტატიაში და ვერც მხარეთა შეხედულებებში ვერანაირი ელემენტი, რომელსაც შეუძლია ახსნას ის საზოგადოებრივი ინტერესი, რისთვისაც გაზეოთმა გადაწყვიტა სურათების გამოქვეყნება. არაფერი ტოვებს საფუძველს ვარაუდისთვის, რომ სურათს ჰქონდა ინფორმაციის მნიშვნელობა. პირიქით, ჩანს რომ სურათი განკუთვნილი იყო მხოლოდ იმ მიზნისათვის, რომ ეჩვენებინათ პიროვნება, რომელზედაც იყო საუბარი.

ამ პირობებში, განმცხადებლის სურათის გამოქვეყნება ვერ მიიჩნევა საზოგადოებისათვის საინტერესო საკითხების განხილვაში წვლილის შემტანად, მიუხედავად იმ ინტერესის ხარისხისა, რაც არსებობდა მწერლის სახლის გადაწყვის მიმართ. ამას გარდა, არც ერთმა შიდა სასამართლომ არ იმსჯელა განმცხადებლის სურათების გამოქვეყნებასთან დაკავშირებულ მოთხოვნაზე. შესაბამისად, არ განხორციელდა წონასწორობა, რაც უნდა

არსებულიყო განმცხადებლის უფლებასა და საზოგადოების ინტერესს შორის. ინტერესთა ეს შეუფასებლობა არ შეესაბამება კონვენციის მე-8 მუხლით დაკისრებულ პოზიტიურ ვალდებულებებს. სასამართლომ მიიჩნია, რომ სადაცო ინფორმაციისა და სურათის გამოქვეყნებასთან დაკავშირებით, საქართველოს სასამართლოებმა არ დაიცვეს ბალანსი სადაცო ინტერესებს შორის. საქმის განხილვის ფორმამ ვერ უზრუნველყო განმცხადებლის პირადი ცხოვრების ეფექტური და საკმარისი დაცვა. სასამართლომ დაადგინა რა კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევა მოპასუხე სახელმწიფოს დააკისრა განმცხადებელისათვის მორალური ზიანისათვის 4 000 ევროს (ოთხი ათასი ევრო) და 2 116 (ორიათას ას თექსმეტი ევრო) დამატებითი ხარჯებისათვის გადახდა.²²⁷

საზოგადოებრივად აღიარებული პიროვნება, პოლიტიკური მოღვაწე ან თანამდებობის პირი ინტეგრირებულია თანამედროვეობის ამსახველ მოვლენებში და მათი გამოსახულება საზოგადოებრივი ინფორმაციის შემადგენელი ნაწილია.

ამასთან, პიროვნების სპეციფიკური ინტერესების დაცვა ზოგიერთ შემთხვევაში, შესაძლოა გახდეს თანამედროვეობის პროცესებში ინტეგრირებული პირის გამოსახულების პუბლიკაციის აკრძალვის საფუძველი. ეს ისეთი შემთხვევებია, როცა გამოსახულებაზე აღბეჭდილი მოვლენა არ აღადგენს „თანამედროვეობის ისტორიას“, განეკუთვნება პირადი ცხოვრების სფეროს. „თანამედროვე ისტორიას“, ზემოაღნიშნული გაგებით, არ შეიძლება განეკუთვნებოდეს ეპიზოდი, როცა „თანამედროვე ისტორიული პიროვნება“ განმარტოვებულია და აშკარაა, რომ მარტო ყოფნა სურს და როდესაც იგი კონკრეტულ სიტუაციაში, თავის მარტობაში დარწმუნებული, ისე იქცევა, როგორც არ მოიქცეოდა ფართო საზოგადოებაში ყოფნისას. ამ კატეგორიის ეპიზოდების გამომხატველ გამოსახულებათა გამოქვეყნება ექვემდებარება ზოგადი წესით განსაზღვრულ დაცულობას.”²²⁸

„საზოგადო კითარებას“ განეკუთვნება მოვლენები, რომლებიც საზოგადოების ლეგიტიმურ ინტერესს იწვევს. ამგვარ კითარებაში წარმოდგენილი პიროვნება უნდა იყოს ასახული მოვლენის მიზეზი, მონაწილე ან მსხვერპლი. სხვა შემთხვევაში გამოსახულების გამოქვეყნებას არავითარი

²²⁷ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განჩინებათა კრებული საქართველოს საქმეებზე. თბ. 2010 წელი, გვ. 71.

²²⁸ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი პირველი, თბ. 1999 წ. გვ. 69.

კავშირი არ აქვს მომხდარი მოვლენის შეცნობასთან. ასეთ შემთხვევაში პუბლიკაცია არ თავსდება „თანამედროვეობის ისტორიის“ ჩარჩოებში.

დანაშაულის ფაქტებთან დაკავშირებულ პირთა გამოსახულებების პუბლიკაცია დაკავშირებულია საზოგადოებრივი უშიშროების ინტერესებთან. ერთმანეთისაგან განასხვავებენ ძებნილ და დამნაშავე პირთა გამოსახულებების პუბლიკაციას. როცა დამნაშავეს პოლიცია ეძებს, მისი გამოსახულების პუბლიკაციას კანონიერ საფუძველს აძლევს საზოგადოებრივი ინტერესი. ეს აადვილებს დამნაშავის ძებნას. სიტუაცია იცვლება იმ პირთა მიმართ, რომლებიც გვევლინებიან დაკავებულებად.

§ 5.5. არაქონებრივ უფლებათა დაცვა გარდაცვალების შემდეგ და მორალური ზიანის ანაზღაურების საკითხი დაზარალებულთა ახლობელთათვის

ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ სამოქალაქო კოდექსი ითვალისწინებს ფიზიკურ პირთა პირადი უფლებების დაცვის შესაძლებლობას, არა მხოლოდ სიცოცხლეში, არამედ გარდაცვალების შემდეგაც. სამოქალაქო კოდექსის მე-19 მუხლის თანახმად, დაინტერესებულ პირთა მოთხოვნით დაიშვება სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლში აღნიშნულ პირად უფლებათა დაცვა ფიზიკური პირის გარდაცვალების შემდეგ.

ამასთან, კანონი პირთა დაინტერესებულობას გარდაცვლილის პირადი უფლებების დაცვის საკითხში, არ უკავშირებს გარდაცვლილ პირთან დაინტერესებულ პირთა ნათესაურ ურთიერთობებს. აქედან გამომდინარე, ასეთი სარჩელით სასამართლოს შეუძლია მიმართოს არა მხოლოდ გარდაცვლილის ნათესავებმა, არამედ მისმა ახლობლებმაც, რომლებიც მისი ნათესავები არ არიან, მაგრამ საამისოდ აქვს დაცვის დირსი ინტერესი. განმცხადებელი დაინტერესებული უნდა იყოს იმ გაგებით, რომ ისეთი ცნობების გავრცელება, რომლებიც არ შეესაბამება სინამდვილეს და ლახავს გარდაცვლილის პატივსა და დირსებას, გარდაცვლილთან ახლო ურთიერთობაში მყოფ, თვით ამ განმცხადებლებსაც უტეს სახელს.²²⁹

²²⁹ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი პირველი, თბ. 1999 წ. გვ. 78.

სამოქალაქო კოდექსის მე-19 მუხლით დადგენილი წესით, სამოქალაქო საქმის აღსაძღვრელად საკმარისია ვარაუდის არსებობა იმის შესახებ, რომ მოცემული ცნობები ლახავს დაინტერესებული განმცხადებლის პატივსა და დირსებას. ამასთან, არ შეიძლება არ აღინიშნოს სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ კანონი, როგორც ახალი კანონი, რომელიც მნიშვნელოვნად ცვლის სამოქალაქო კოდექსის ზემოაღნიშნულ წესს და რომლის თანახმადაც (მუხლი მე-6), ცილისწამების თაობაზე სასამართლო დავა არ შეიძლება ეხებოდეს გარდაცვლილი პირის პირადი არაქონებრივი უფლებების დაცვას.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მე-18 მუხლში მითითებული უფლებები “სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ” კანონით დადგენილი დანაწესის გარდა, შეუძლია გამოიყენოს იმ პირმაც, რომელიც, თუმცა თვითონ არ არის სახელის ან პირადი დირსების უფლების მატარებელი, მაგრამ სამისოდ აქვს დაცვის ღირსი ინტერესი. მას შეუძლია ისეთი არაქონებრივი უფლებების დაცვის მოთხოვნის განხორციელება, რომელიც არ არის დაკავშირებული ცილისწამებასთან. სახელის, პატივის, დირსების ან საქმიანი რეპუტაციის შელახვისათვის მორალური ზიანის ქონებრივი ანაზღაურების მოთხოვნა სიკვდილის შემდეგ დაუშვებელია.

“გარდაცვალებით ადამიანი ქრება როგორც პირი, სამართლებრივ ურთიერთობათა სუბიექტი. მაგრამ ადამიანი, როგორც პიროვნება, როგორც განსაკუთრებული სულიერი ღირებულება არ ქრება, გრძელდება მისი სოციალური ზემოქმედება. იგი რჩება ადამიანთა ცნობიერებაში და სიკვდილის შემდეგაც ინარჩუნებს ღირებულებას საზოგადოებისათვის. კანონი იცავს პიროვნებას, ვიდრე არ შეწყდება მისი სოციალური ზემოქმედება.”²³⁰

ამიტომაც, მიგვაჩნია, რომ კანონში იმპერატიულად მითითება, ცილისწამების თაობაზე გარდაცვლილი პირის პირადი არაქონებრივი უფლებების დაცვის შესახებ დავის დაუშვებლობის შესახებ არ არის სამართლიანი და სწორი, არა მარტო გარდაცვლილის პატივისა და დირსების, არამედ დაინტერესებული პირების ინტერესების დაცვის თვალსაზრისიდან გამომდინარე. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-19 მუხლი იძლევა გარდაცვლილის პიროვნულ უფლებათა დაცვის გარანტიებს ანუ იცავს ადამიანის პიროვნულობის ცალკეულ გამოვლინებებს მისი სიკვდილის

²³⁰ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომიტარი, წიგნი პირველი, თბ. 1999 წ. გვ. 79.

შემდეგ. უნდა ვიგულისხმოთ, რომ ამ მუხლით დაცულია უფლებათა ისეთი ხელყოფა, რომლებიც არ არის დაკავშირებული ცილისწამებასთან.

გარდაცვლილის პიროვნების დაცვით ხორციელდება არა მხოლოდ გარდაცვლილის ახლობლების, არამედ მთელი საზოგადოების ინტერესი. “ადამიანები უფრო ზნეობრივად იქცევიან როცა მათი რეპუტაცია არა მარტო სიცოცხლეში, არამედ სიკვდილის შემდეგაც კანონის დაცვის ქვეშ იმყოფება. ამიტომ საქმე, გარდაცვლილთა რეპუტაციის დაცვის შესახებ, შეიძლება აღიძრას არა მარტო მისი ნათესავების, არამედ, სხვა დაინტერესებული პირის ინიციატივითაც. გარდა ამისა დაცვის უფლება ცალკეულ შემთხვევაში სახელმწიფოსაც უნდა მიენიჭოს, როცა საქმე ეხება იმ პირთა პატივსა და დირსებას ან საქმიან რეპუტაციას, რომლის ხსოვნაც ხალხის მონაპოვარია და რომელსაც შეიძლება არც გააჩნდეს ნათესავები ან ახლობლები.”²³¹ სამოქალაქო კოდექსში განსაზღვრული არ არის იმ კონკრეტული პირების ჩამონათვალი, ვისაც შეუძლია გარდაცვლილის პიროვნული უფლებების დაცვის მოთხოვნა დააყენოს. ამგვარი მოთხოვნის უფლება აქვს, როგორც გარდაცვლილის მემკვიდრეებს, ისე სხვა პირებს, ვისთვისაც გარდაცვლილის პიროვნება მნიშვნელოვანია. მემკვიდრეებს არ გააჩნიათ გარდაცვლილის პიროვნული ულებების დაცვის მონოპოლია.²³² პირი და პიროვნება ერთი არსების ორი მხარეა – სუბიექტური და ობიექტური. ეს ერთიანობა გარდაცვალებით ირღვევა. გარდაცვლილი ადარ შეიძლება იყოს უფლებებისა და მოვალეობების სუბიექტი. მას ადარ შეუძლია საკუთარი ინტერესების დაცვა. ამიტომაც კანონი პირის სიკვდილის შემდეგ სხვა პირებს ანიჭებს გარდაცვლილის ინტერესების დაცვის შესაძლებლობას.²³³

სამოქალაქო კოდექსი შესაძლებლად მიიჩნევს იმ სულიერ სიკეთეთა დაცვას, რომლებიც პიროვნულობის განმსაზღვრულია. ამგვარ სიკეთეებს, უპირველეს ყოვლისა, გარდაცვლილის შემოქმედებითი მემკვიდრეობა განეკუთვნება. მისი დაცვა საავტორო სამართლის საგანია. მე-19 მუხლის მიხედვით დაცვას ექვემდებარება გარდაცვლილის პიროვნულობის ისეთი ელემენტები, როგორიცაა: სახელი, რეპუტაცია, პირადი ცხოვრების საიდუმლოება, საკუთარი გამოსახულების უფლება, საავტორო უფლებები.

საზოგადოებრივი ფუნქციის შესაბამისად, გარდაცვლილის სახელი ადარ შეიძლება შეიცვალოს, ცოცხალი მშობლის მიერ სახელის შეცვლა

²³¹ Сергеев А.П. права на защиту репутаций, Л. Знания 1989г. გვ. 10

²³² საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი პირველი, თბ. 1999 წ. გვ. 80.

²³³ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი პირველი, თბ. 1999 წ. გვ. 81.

ადარ იწვევს ცვლილებების შეტანას გარდაცვლილი შვილის ან მუდლის სააქტო ჩანაწერებში. გარდაცვლილის სახელის უფლების დარღვევად ჩაითვლება მისი უგულვებელყოფა, შეცვლა, დამახინჯება.

გარდაცვლილის მემკვიდრეებს, განსაზღვრული სოციალური ფუნქციებიდან გამომდინარე, უფლება არა აქვთ გაახმაურონ საიდუმლოებანი, რომლებიც გარდაცვლილის პიროვნების შეურაცხმყოფელია, თუ ასეთი ცნობების გახმაურების შესახებ თავისი ნება არ გამოუთქვამს მას, ვისაც საიდუმლოება ეხება. ამასთან, საიდუმლოების დაცვის მოთხოვნა, გამოსახულების ან ფონოჩანაწერის გამოქვეყნების აკრძალვა არ ვრცელდება იმ მონაცემებზე, რომლებიც გარდაცვლილის საზოგადოებრივ მოღვაწეობას შეეხება, არ ვრცელდება ცნობებზე, რომლებიც მის მიერ საჯაროდ გამოითქა. საზოგადოებას უფლება აქვს გაეცნოს ასეთ მასალებს. პირად საიდუმლოებად არ ჩაითვლება პოლიტიკოსის საზოგადოებრივი პოზიცია, მეცნიერის თეორია, მწერლის შემოქმედებითი კრედო. ამგვარი ცნობების გამოქვეყნება ამდიდრებს ისტორიოგრაფიას, მეცნიერულ თუ მხატვრულ ანალიზს. საიდუმლოების დაცვის საკითხის გადაწყვეტის დროს საჭიროა გაიმიჯნოს პირადი და საზოგადოებრივი ინტერესი.²³⁴

პირადი არაქონებრივი უფლებები მემკვიდრეობით არ გადაიცემა. ზემოთ აღნიშნულ შემთხვევებში მემკვიდრეების მიერ ხორციელდება გარდაცვლილის პიროვნული უფლებების და არა გარდაცვლილისაგან მემკვიდრეობით მიღებული უფლებების დაცვა. მორალური ზიანი პიროვნული უფლებების ხელყოფით გამოწვეული ზიანია, რომლის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება აქვს მხოლოდ ამ უფლებათა სუბიექტს, სხვა პირი ანაზღაურების მოთხოვნის საფუძველს მოკლებულია. ამასთან, უსაფუძვლოდ არ უნდა ჩაითვალოს ანაზღაურება მორალური ზიანისა, რომლის მოთხოვნით დაზარალებულმა სასამართლოს მიმართა, მაგრამ გადაწყვეტილების გამოტანამდე იგი გარდაიცვალა. მორალური ზიანის ფულადი საზღაური ასეთ შემთხვევაში სამკვიდრო მასის შემადგენელი ნაწილია.²³⁵

არანაკლებ საკამათოა საკითხი გარდაცვლილთა ახლობლებისათვის გარდაცვალებით მიყენებული ტანჯვისათვის მორალური ზიანის ანაზღაურების შესახებ. როგორც წესი პატივი და ლირსება პირის პირადი,

²³⁴ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი პირველი, თბ. 1999 წ. გვ. 81.

²³⁵ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი პირველი, თბ. 1999 წ გვ. 81.

განუყოფელი და განუსხვისებელი უფლებებია, რომელთა მესამე პირთათვის ნებისმიერი სახით გადაცემაც დაუშვებელია. უდავოა, რომ მშობლების, შვილების და ახლობლების სახელი და ავტორიტეტი გაფლენას ახდენს პირის რეპუტაციაზე. ამიტომ მათი არაქონებრივი უფლებების დაცვით იგი არა მარტო ვალს იხდის გარდაცვლილის წინაშე, არამედ იცავს თავის ინტერესებსაც. ამასთან სახელის აღდგენის მიზნით არაქონებრივი უფლებების დაცვა და მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა ერთი და იგივე როდია. როგორც წესი მორალური ზიანის ანაზღაურებისათვის სასამართლოსათვის მიმართვისას პირი ხელმძღვანელობს საკუთარი ინტერესებით. მაშინაც კი, როცა პირის გარდაცვალების შემდეგ მისი ახლობლები მიმართავენ სასამართლოს არაქონებრივი უფლებების დასაცავად, მორალური ზიანის ანაზღაურებისას შეფასდება სწორედ ამ პირთა ზნეობრივი თუ ფიზიკური ტანჯვის ხარისხი რადგან “მორალური ზიანი შეიძლება მდგომარეობდეს ზნეობრივ განცდაში ნათესავის დაკარგვასთან დაკავშირებით”. ანუ ახლობელი ადამიანის სიკვდილის შემთხვევაში მორალური ზიანის ანაზღაურების უფლება ენიჭება პირთა განსაზღვრულ წრეს. კანონმდებლობა არ შეიცავს ოჯახის და მით უმეტეს ნათესავების ცნებას. მისი შემუშავება საკმაოდ რთულია, ვინაიდან სამართლის თითოეული დარგი, სამართლის ცალკეული ინსტიტუტიც კი სხვადასხვა მიზანს ისახავს ამ საკითხის გადაწყვეტისას და სხვადასხვანაირად განსაზღვრავს ასეთ პირთა წრეს. თუმცა არც ერთი მათგანი არ შეიძლება იქნეს გამოყენებული ყველა სახის სამოქალაქო სამართალურთიერთობს და მათ შორის მორალური ზიანის ანაზღაურების ვალდებულების მიმართ.

“რუსეთის კანონმდებლობა პირდაპირ არ აღგენს გარდაცვალებულის ოჯახის წევრების უფლებას მოითხოვონ მისი სიკვდილით გამოწვეული მორალური ზიანის ანაზღაურება, მაგრამ სასამართლო ანაზღაურებს ამ პირებისთვის მიყენებულ მორალურ ზიანს. ა. ერდელეგსკი უთითებს, რომ კანონმდებლობით დაშვებულია ასეთი შემთხვევაში არაქონებრივი ზიანის ანაზღაურება და ასაბუთებს, რომ ოჯახის წევრის სიცოცხლის მოსპობის შემთხვევაში ზიანი აღგება არამატერიალურ სიკეთეს, რომელსაც შეიძლება გუწოდოთ ოჯახური კავშირები ავტორი აღნიშნავს, რომ არ შეიძლება ითქვას რომ ასეთი არამატერიალური სიკეთე არ არსებობს, რადგან კონსტიტუციის 38-ე მუხლი ადგენს, რომ ოჯახი იმყოფება სახელმწიფო დაცვის ქვეშ. ე.ი. იმ დროს როდესაც კანონმდებლობა არ შეიცავს არაქონებრივ უფლებათა

პირდაპირ და ზუსტ ჩამონათვალს სასამართლოს ყოველთვის შეუძლია სხვადასხა ნორმატიული აქტების ანალიზიდან გამომდინარე აღიაროს ახალი ან უკვე ცნობილი არაქონებრივი უფლების დარღვევა და აანაზღაუროს მორალური ზიანი.”²³⁶

გერმანულ სამართალში აღიარებულია სახელმწიფოს ვალდებულება დაიცვას გარდაცვლილის პიროვნება თუ ღირსება ხელყოფისაგან, ისევე როგორც მის “უახლოეს პირს” წარმოეშობა გარდაცვლილის ინტერესების საზიანო ინფორმაციის უარყოფის ან მისი გავრცელებისგან თავის შეკავების მოთხოვნის უფლება. ²³⁷

ამასთან “უახლოესი პირის” კატეგორიის ფორმირება ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ შესაბამისი მოთხოვნის არსებობა არ არის დამოკიდებული მემკვიდრეობასა ან სხვაგვარ უფლებამონაცვლეობაზე.²³⁸

გერმანულ სამართალში აღიარებულია ანდერძით სათანადო მითითების არარსებობის პირობებში სწორედ ამ “უახლოესი პირის” უფლება, განახორციელოს გარდაცვლილის უფლებების დაცვა. ამასთან, დაუშვებლად ითვლება ხელყოფის შემთხვევაში მატერიალური კომპენსაციის (ზიანის ანაზღაურების) მოთხოვნის წარმოშობა, რადგან ამით შესაძლებელია ბიძგი მიეცეს პიროვნული უფლებების “კომერციალიზაციას”.²³⁹

ლიტერატურაში პრობლემურია საკითხი იმის თაობაზე უნდა აუნაზღაურდეთ თუ არა მორალური ზიანი დაზარალებულის ახლობლებს. ზოგადად ერთი პირის არაქონებრივი უფლებების და არამატერიალური სიკეთების დარღვევა არ აძლევს სხვა პირს მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას, რამდენადაც ეს ზიანი მიადგა სწორედ იმ პირს ვისი უფლებებიც დაირღვა და მხოლოდ მას შეუძლია შეიტანოს სარჩელი ასეთი მოთხოვნით. თუმცა არც თუ იშვიათად შეიძლება დაზარალებულის ახლობლებმა უფრო მეტი ფიზიკური თუ მორალური ზიანი გაანიცადონ, ვიდრე თვით დაზარალებულმა, რაც დღის წესრიგში აყენებს მათ მიერ მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის მიზანშეწონილობის საკითხს. ზოგიერთი მეცნიერის აზრით, აღნიშნული გარემოება არ აძლევს დაზარალებულის ახლობლებს ასეთი მოთხოვნის უფლებას, რადგანაც ასეთ

²³⁶ ლევან დოდონაძე “მორალური ზიანის ანაზღაურება”, 2010 წელი, გვ. 177.

²³⁷ Larenz/Wolf, AT des Burgerlichen Rechts, 2004, §8, RdNr. 46 f.

²³⁸ Palandt/Sprau, BGB, 2008, §823, დავით კერესელიძე, „კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნობები“, თბილისი, 2009 წელი, გვ. 160.

²³⁹ Larenz/Wolf, AT des Burgerlichen Rechts, 2004, §8, RdNr. 90 f.

შემთხვევაში “მორალური ზიანის ანაზღაურების უფლების მქონე სუბიექტთა წრე იმდენად გაფართოვდება, რომ პრინციპული მნიშვნელობა მორალური ზიანის კომპენსაციის დანიშნულებისა აზრს დაკარგავს”.²⁴⁰

სხვები კი თვლიან, რომ მსგავს შემთხვევაში მორალური ზიანის ანაზღაურების უფლება აქვთ დაზარალებულის ახლობლებსაც. ვინაიდან, ახლობელი ადამიანის ჯანმრთელობისათვის ზიანის მიუენებამ მათში შეიძლება გამოიწვიოს არანაკლები ზნეობრივი განცდები, რაც საბოლოოდ სხვა არაფერია თუ არა მათი არაქონებრივი სიკეთების და უფლებების შელახვა.²⁴¹

მიგვაჩნია, რომ დაზარალებულის ახლობლებს დაზარალებულისგან დამოუკიდებლად, ხოლო გარდაცვლილის ახლობლებს საქმის ინდივიდუალური თავისებურებების გათვალისწინებით უნდა წარმოეშვაო მორალური ზიანის ანაზღაურების უფლება, თუნდაც იმის გათვალისწინებით, რომ ხშირად ახლობელთა განცდის ხარისხი შეიძლება გაცილებით დიდი იყოს, ვიდრე დაზარალებულის და სარჩელის წარდგენით ისინი სწორედაც რომ საკუთარ ინტერესებს იცავენ. ცალკეულ შემთხვევებში ახლობელი ადამიანის ჯანმრთელობისათვის ზიანის მიუენება მართლაც შეიძლება გახდეს მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის საფუძველი, თუმცა საკითხის გადაწყვეტა მთელი რიგი გარემოებების გათვალისწინებით მაინც სასამართლოს პრეროგატივაა. კფიქრობთ ქართულმა სასამართლოებმა უფრო გაბედულად უნდა მიიღონ გადაწყვეტილებები აღნიშნულ საკითხზე ფრანგული სამართლის მსგავსად.

სასამართლომ გააუქმა ქვემდგომი სასამართლოების გადაწყვეტილება მორალური ზიანის ანაზღაურების შესახებ, იმ საფუძვლით, რომ სამოქალაქო კოდექსის მე-19 მუხლის შესაბამისად სიკვდილის შემდეგ მორალური ზიანის ანაზღაურება დაუშვებელია.

6. ბ-შვილმა სარჩელი აღმრა რაიონულ სასამართლოში ზ. ბ-შვილის წინააღმდეგ და მოითხოვა მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურება.

სასარჩელო განცხადებაში მოსარჩელემ მიუთითა, რომ 200 წლის 15 თებერვალს მოპასუხებ საქართველოს მინაგან საქმეთა სამინისტროს დაცის პოლიციის დეპარტამენტის კულტურის ძეგლებისა და მუზეუმების დაცის

²⁴⁰ შალვა ჩიკვაშვილი “მორალური ზიანი სამოქალაქო სამართალში,” თბ. 1998 წ. გვ. 28.

²⁴¹ К.И Голубев, С. В Нарижний “Компенсация морального вреда, как способ защиты неимущественных благ личност”, გვ. 146.

ლეგიონის უფროსმა სერგანტმა ზ. ბ-შვილმა, მასზე რიცხული ცეცხლსასროლი იარაღით მოკლა მოსარჩელის მეუღლე პ. ხ-ელი.

აღნიშნულის გამო ზ. ბ-შვილი მიცემულ იქნა პაუხისგებაში სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით და მიესაჯა 9 წლით თავისუფლების აღკვეთა.

მოსარჩელემ მიიჩნია, რომ მას დანაშაულის შედეგად მიადგა როგორც მატერიალური, ისე მორალური ზიანი და მოითხოვა მოპასუხეს მის სასარგებლოდ დაკისრებოდა 2000 ლარი მატერიალური ზიანისა (დაკრძალვის ხარჯები, ჩასასვენებელი, წასვენება, დაკრძალავა და სასაფლაოს მოწყობა) და მორალური ზიანისათვის 15.000 ლარის ანაზღაურება.

რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებით ნაწილობრივ დაკმაყოფილდა 6. ბ-შვილის სასარჩელო მოთხოვნა და ზ. ბ-შვილს მის სასარგებლოდ დაეკისრა მატერიალური ზიანისათვის 1.000 ლარისა და მორალური ზიანისათვის 5.000 ლარის ანაზღაურება.

6. ბ-შვილმა საპელაციო საჩივრით გაასაჩივრა რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება მორალური ზიანის სრულად ანაზღაურებაზე უარის თქმის ნაწილში, იმ საფუძვლით, რომ ზ. ბ-შვილის მიერ მისი ქმრის მკვლელობის შედეგად, როგორც მას, ასევე მის ოჯახის წევრებს მიადგათ ძლიერი სულიერი ტკივილი. კერძოდ, შვილის მკვლელობას ვერ გაუძლო მამამ და გარდაიცვალა. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აპელანტმა მიიჩნია, რომ მოპასუხება მიერ მათოვის მიუენებული მორალური ზიანი განუსაზღვრელია, მაგრამ მის მიერ სარჩელში მითითებული თანხა გონივრული და სამართლიანი იყო.

საპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოპასუხებისათვის მორალური ზიანის – 5.000 ლარის დაკისრება გონივრული და სამართლიანი იყო. გადაწყვეტილება საკასაციო საჩივრით მოპასუხება გაასაჩივრა. უზენაესი სასამართლოს საკასაციო პალატამ დააკმაყოფილა საკასაციო საჩივარი და გადაწყვეტილებით უარი უთხრა მოსარჩელეს მორალური ზიანის ანაზღაურებაზე შემდეგი დასაბუთებით.

სამოქალაქო კოდექსის 413-ე მუხლის პირველი ნაწილით არაქონებრივი ზიანისათვის ფულადი ანაზღაურება შეიძლება მოთხოვნილ იქნეს მხოლოდ კანონით ზუსტად განსაზღვრულ შემთხვევებში (აქ იგულისხმება როგორც სამოქალაქო კოდექსით, ისე, სხვა კერძო თუ საჯარო სამართლებრივი ხასიათის ნორმატიული აქტები), ე.ო. ეს ნორმა გამორიცხავს არაქონებრივი

ზიანის ანაზღაურების შესაძლებლობას იმ შემთხვევაში, თუ იგი კანონით არ არის დადგენილი. მოქმედი კანონმდებლობა (სამოქალაქო კოდექსი, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, კანონი “რეკლამის შესახებ” და სხვ), მართალია, ითვალისწინებს არაქონებრივი (მორალური) ზიანის ანაზღაურებას სხვადასხვა შემთხვევაში, მათ შორის, სხეულის დაზიანების ან ჯანმრთელობისათვის გნების მიუენებისას, მაგრამ არა სიცოცხლის ხელყოფის დროს. სასამართლო მიუთითებს, რომ ბევრ შემთხვევაში – სახელშეკრულებო თუ დელიქტური ურთიერთობის დროს (მით უმეტეს პირის გარდაცვალებისას), შეიძლება რეალურად მართლაც დადგეს მორალური ზიანი, მაგრამ თუ კანონით არაა გათვალისწინებული მისი ანაზღაურება, იგი არ ანაზღაურდება. დაზარალებულის გარდაცვალების შემთხვევაში ანაზღაურდება მხოლოდ მატერიალური ზიანი (სამოქალაქო კოდექსის 1006-ე მუხლით) პალატამ ჩათვალა, რომ მორალური (არაქონებრივი) ზიანი პიროვნული უფლებების ხელყოფით გამოწვეული ზიანია, რომლის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება აქვს მხოლოდ ამ უფლებათა სუბიექტს, სხვა პირი ანაზღაურების მოთხოვნის საფუძველს მოკლებულია.

აღნიშნულიდან გამომდინარე საკასაციო სასამართლომ მიუთითა, რომ მორალური ზიანის ქონებრივი ანაზღაურების მოთხოვნა სიკვდილის შემდეგ დაუშვებელია. ეს კონცეფცია ეფუძნება სამოქალაქო კოდექსის მე-19 მუხლით დადგენილ წესს. აღნიშნული ნორმა აწესებს გარდაცვალების შემდეგ პირადი უფლებების დაცვის შესაძლებლობას, მაგრამ ამავე მუხლით აკრძალულია გარდაცვალების შემდეგ მორალური ზიანის ქონებრივი ანაზღაურების მოთხოვნა.

მოცემულ შემთხვევაში სასამართლომ გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა, რის გამოც გადაწყვეტილება მორალური ზიანის ანაზღაურების ნაწილში უნდა გაუქმდეს და ნ. ბ-შვილს სარჩელის ამ ნაწილში უარი უნდა ეთქვას უსაფუძვლობის გამო. ²⁴²

ზემოთ განვითარებული მოსაზრების შემდეგ განსაკუთრებით საინტერესოდ მიგვაჩნია საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის გადაწყვეტილება, რომლითაც მოქმედი სამართლის ნორმათა განსხვავებული განმარტების

²⁴² საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სამოქალაქო საქმეებზე, 24.04.02. 3-1218-01.

საფუძველზე დაფიქსირდა პოზიცია ახლო ნათესავის გარდაცვალების შემთხვევაში მორალური ზიანის ანაზღაურების შესაძლებლობაზე.

ე. მ-შვილ-მა და ნ. ხ-შვილმა სარჩელით მიმართეს თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა კოლეგიას და მოითხოვეს მიყენებული ზიანის ანაზღაურება, იმ საფუძვლით, რომ მათი შვილი გ. ხ-შვილი 25.10.1992 წ. მოხალისედ წავიდა აფხაზეთში – საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის საომარ მოქმედებებში მონაწილეობის მისაღებად, სადაც 02.11.1992 წ. დაჭრილი ჩავარდა ტყვედ. ტყვეობიდან თავის დაღწევის შემდეგ გადაყვანილ იქნა პოსპიტალში, 04.11.1992 წ. იგი დაპატიმრებული იქნა უკანონოდ, ხოლო 10.11.1992 წ. დახვრეტილი იქნა საქართველოს რეპუბლიკის აფხაზეთის რეგიონში იმ ხანად მოქმედი სამხედრო-საველე სასამართლოს 09.11.1992 წ. განაჩენით, სამშობლოს დალატისათვის. მოსარჩელებმა აღნიშნეს, რომ სამხედრო-საველე სასამართლო შექმნილი იყო უკანონოდ, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს თანამშრომლების მიერ ხელისუფლების ბოროტად გამოყენებისა და ხელისუფლების გადამეტების საფუძველზე, ვინაიდან “საქართველოს რესპუბლიკაში სასამართლო წყობილების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონის სამოქმედოდ შემოღების თაობაზე“ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის 28.12.1990 წ. დადგენილებით განსაზღვრულ სახეობებში არ იყო გათვალისწინებული. ამასთან, მოსარჩელეთა განმარტებით მათი შვილი გასამართლებული და დახვრეტილი იქნა ყოველგვარი გამოძიებისა და მტკიცებულებების მოპოვების გარეშე, მას არ მიეცა საშუალება სამართლებრივი გზით მის მიმართ გამოტანილი განაჩენის გასაჩივრებისა, რადგან მეორე დღესვე განაჩენი მოყვანილი იქნა სისრულეში. გ. ხ-შვილი თბილისის რეგიონალური სამხედრო პროკურატურის 04.04.2002 წ. დადგენილებით ცნობილი იქნა რეაბილიტირებულად. მოსარჩელები მიიჩნევენ, რომ შვილის უკანონოდ დახვრეტით მათ განიცადეს მორალური ზიანი, აღნიშნული ფაქტი მათვის ცნობილი გახდა მასმედიის საშუალებით, რის შემდეგაც ორჯერ ჩავიდნენ ქ. სოხუმში შვილის ცხედრის მოსაძებნად და ქ. თბილისში გადმოსასვენებლად. მიუხედავად ხანგრძლივი ძებნისა, შვილის ცხედარი ვერ მოიძიეს. შვილის სამშობლოს მოდალატედ გამოცხადების შემდეგ, ე. მ-შვილი განთავისუფლებული იქნა სამუშაოდან.

მოსარჩელებმა მოითხოვეს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს და თავდაცვის სამინისტროსათვის სოლიდარულად სახელმწიფო

მოსამსახურის განზრახი ქმედებით მათთვის მიყენებული მატერიალური ზიანის – 20 000 აშშ დოლარის, მორალური ზიანის 1 000 000 ლარის დაკისრება, წერილობითი ფორმით ბოდიშის მოხდა მასმედიის საშუალებით. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა, ე.მ.-შვილს და ნ. ხ.-შვილს უარი ეთქვათ მოპასუხებისათვის მორალური და მატერიალური ზიანის დაკისრებაზე. აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მოსარჩელებმა და მოითხოვეს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით მათი სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილება. სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვისას მოსარჩელებმა დააზუსტეს სარჩელის მოთხოვნა და მოპასუხე მხარისათვის მატერიალური ზიანის – 17 000 აშშ დოლარის და მორალური ზიანის – 250 000 ლარის დაკისრება მოითხოვეს.

თბილისის სააპელაციოს სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის გადაწყვეტილებით სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებით მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ე. მ-შვილის და ნ. ხ-შვილის სასარგებლოდ დაეკისრა 20 000 ლარის ოდენობით მატერიალური ზიანის ანაზღაურება, ხოლო მორალური ზიანის ანაზღაურების ნაწილში გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩა უცვლელი. სააპელაციო სასამართლომ სკ-ის 1005-ე მუხლის თანახმად, მოსარჩელეთა მოთხოვნა მატერიალური ზიანის – 20 000 ლარის ანაზღაურების თაობაზე, საფუძვლიანად მიიჩნია. რაც შეეხება მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნას, სააპელაციო სასამართლო ამ ნაწილში დაეთანხმა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებას და მიიჩნია, რომ არ არსებობდა ამ ნაწილში გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი. სააპელაციო სასამართლომ დამატებით მიუთითა სკ-ის 413-ე მუხლზე და აღნიშნა, რომ არაქონებრივი ზიანისათვის ფულადი ანაზღაურება შეიძლება მოთხოვილ იქნეს მხოლოდ კანონით ზუსტად განსაზღვრულ შემთხვევაში. მართალია კანონი, ადგენს არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების სხვადასხვა შემთხვევას, მაგრამ არა სიცოცხლის ხელყოფის დროს. დაზარალებულის გარდაცვალების დროს შესაძლოა ანაზღაურდეს მხოლოდ მატერიალური ზიანი. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 30.5 მუხლზე მითითებით სააპელაციო

სასამართლომ განმარტა, რომ დანაშაულით მიყენებული ზიანისათვის მორალური ზიანის ანაზღაურება ფულადი და სხვა ქონებრივი გამოხატულებით შესაძლებელია მხოლოდ იმ პირის მიმართ, რომელსაც დანაშაულის შედეგად უშუალოდ მიადგა ზიანი. სააპელაციო სასამართლომ ასევე მიუთითა სკის მე-19 მუხლზე, კერძოდ გარდაცვალების შემდეგ პირადი უფლებების დასაცავად მორალური ზიანის ქონებრივი ანაზღაურების მოთხოვნის დაუშვებლობაზე. გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა ორივე მხარემ.

საკასაციო სასამართლომ გასაჩივრებული გადაწყვეტილება მატერიალური ზიანის ანაზღაურების ნაწილში უცვლელი დატოვა, ხოლო მორალური ზიანის დაკისრებაზე უარის თქმის ნაწილში გააუქმა და ამ ნაწილში ხელახლი განხილვისათვის დაუბრუნა სააპელაციო სასამართლოს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმის მასალებით დასტურდება, რომ აფხაზეთის რეგიონის ჯარების მთავარი შტაბის უფროსმა პოლკოვნიკმა პ. დათუაშვილმა უფლებამოსილების გადამეტებით 26.10.1992 წ. №10 ბრძანებით, ერთპიროვნულად, ყოველგვარი სამართლებრივი საფუძვლის გარეშე შექმნა სამხედრო-საველე სასამართლო. 04.11.1992წ. გ.ხ-შვილი დაპატიმრებულ იქნა სამშობლოს დალატის ბრალდებით. გ. ხ-შვილს აფხაზეთის რეგიონში მოქმედმა უკანონოდ შექმნილმა სამხედრო-საველე სასამართლომ 09.11.1992 წ. განაჩენით სამშობლოს დალატისათვის მიუსაჯა სიკვდილით დასჯა, რაც მეორე დღესვე, 10 ნოემბერს მოყვანილი იქნა სისრულეში სოხუმის აეროპორტის მიდამოებში. თბილისის რეგიონალური სამხედრო პროკურორის 04.04.2002 წ. დადგენილებით გ. ხ-შვილი ცნობილ იქნა რეაბილიტირებულად. საკასაციო პალატა ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ იმ ფაქტობრივ გარემოებებს, რომ მოსარჩელეთა შვილის – გ. ხ-შვილის მიმართ უკანონოდ შექმნილი სამხედრო-საველე სასამართლოს მიერ განაჩენის დადგენა და სისრულეში მოყვანა მოხდა უკანონოდ, იმუამად მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ნორმათა სრული უგულებელყოფით. გ. ხ-შვილის უდანაშაულობა და სამხედრო-საველე სასამართლოს მიერ უკანონოდ დახვრეტის განაჩენის გამოტანა დადასტურებულია საგამოძიებო ორგანოს კანონიერ ძალაში შესული დადგენილებით პირის რეაბილიტაციის შესახებ, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 219-ე მუხლის მიხედვით რეაბილიტაციის ერთ-ერთი საფუძველია გამომმიებლის ან პროკურორის

დადგენილება რეაბილიტაციის შესახებ. საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ მოსარჩელებს უფლება აქვთ სასამართლოს გზით მოითხოვონ მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენით მიყენებული ზიანის ანაზღაურება, ვინაიდან გ.ხ.-შვილისათვის განაჩენი არ გამოუტანია კანონის საფუძველზე შექმნილ სასამართლოს, დადგენილი იურიდიული პროცედურების დაცვით, გ.ხ.-შვილს განაჩენი გამოუტანა არალეგიტიმურმა ორგანომ. გ. საჩირაშვილის მიმართ განაჩენის დადგენა და სისრულეში მოყვანა მართლსაწინააღმდეგო ქმედებას წარმოდგენს, ე.წ. „განაჩენი“ გამოტანილი იყო არამართლმსაჯულების განმახორციელებელი სასამართლოს, არამედ უკანონოდ შექმნილი ე.წ. სამხედრო-საველე სასამართლოს მიერ. მოცემულ შემთხვევაში სახეზეა ზიანისათვის პასუხისმგებლობის განსაკუთრებული შემთხვევა, კერძოდ უკანონოდ შექმნილი სამხედრო-საველე სასამართლოს მიერ უკანონო განაჩენის საფუძველზე გ. ხ.-შვილის მჯავრდება-დახვრეტა. ამდენად, სახეზეა მართლსაწინააღმდეგობა, რომელიც ზიანის ანაზღაურების სავალდებულო წინაპირობას წარმოადგენს.

საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილება მორალური ზიანის ანაზღაურებაზე უარის თქმის ნაწილში არ არის საკმარისად იურიდიულად დასაბუთებული, გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაში მითითება სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 30-ე, 33-ე და სამოქალაქო კოდექსის მე-19 მუხლზე არ ქმნის მორალური ზიანის ანაზღაურების დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საკმარის საფუძველს. საბასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 68-ე მუხლის მიხედვით, დაზარალებულის სიკვდილის შემთხვევაში დაზარალებულის უფლებამონაცვლედ ჩაერთვება მისი ახლო ნათესავი, კანონმდებლობა არ ითვალისწინებს დაზარალებულის უფლებამონაცვლისათვის მორალური ზიანის ფულადი კომპენსაციის ანაზღაურებას. მორალური ზიანი ანაზღაურდება მხოლოდ კანონით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევაში, გონივრული და სამართლიანი ანაზღაურების სახით. ანაზღაურებას ექვემდებარება არა ყოველგვარი მორალური ზიანი (სულიერი ტანჯგა), თუნდაც ეჭვს არ იწვევდეს მისი ანაზღაურება, არამედ მხოლოდ ისეთი, რომლის ანაზღაურებასაც პირდაპირ ითვალისწინებს მოქმედი კანონმდებლობა. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 30-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, მორალური ზიანი ანაზღაურდება ფულადი და სხვა ქონებრივი გამოხატულებით, დაზარალებულისათვის დანაშაულის შედეგად

მიუენებული ზიანისათვის, მათ შორის, დასახიჩრების, დამახინჯების, ბიოლოგიური და ფსიქიკური ფუნქციების მოშლისა თუ დაქვეითებისათვის, აგრეთვე სხვა სახის ფიზიკური თუ მორალური ზიანით გამოწვეული განცდებისათვის. ამდენად, ზემოაღნიშნული სისხლის სამართლის საპროცესო ნორმა არ ითვალისწინებს შვილის ან სხვა ახლობლის სიცოცხლის ხელყოფის გამო მიუენებული მორალური ზიანის ანაზღაურებას, მორალური ზიანი, რომელიც არ ატარებს რესტიტუციის მნიშვნელობას, ფულადი კომპენსაციით შეიძლება აუნაზღაურდეს მხოლოდ დაზარალებულს და არა მის უფლებამონაცვლებს. აღნიშნული არ გამორიცხავს გარდაცვლილის მშობლებისათვის მორალური ზიანის ანაზღაურებას, უკეთუ მათ დანაშაულით უშუალოდ მიადგათ ზიანი. საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ მოსარჩევები პირველი და საპელაციო სასამართლო ინსტანციებში მორალური ზიანის ანაზღაურების საფუძვლად უთითებდნენ არა მხოლოდ შვილის გარდაცვალებას, არამედ აგრეთვე სამხედრო-საველე სასამართლოს უკანონო შექმნითა და საქმიანობის შედეგად მათვის მიუენებულ უშუალო ზიანის მიუენებას. მოსარჩევები აღნიშნავდნენ, რომ შვილის სამშობლოს მოღალატედ გამოცხადება მათვის პირვენულად დამთრგუნველი იყო, შეიცვალა მათ მიმართ თანამშრომლებისა და მეზობლების დამოკიდებულება, სამშობლოს დალატისათვის შვილის დახვრეტის შემდგომ ე. მ-შვილი არაპირდაპირი მიზეზით გათავისუფლდა სკოლიდან, სადაც მუშაობდა პედაგოგად, ხოლო ნ. ხ-შვილი ერიდებოდა საზოგადოებაში გამოჩენას, რის გამოც მოუხდა სამსახურისათვის თავის დანებება. საომარი მოქმედებების დროს, გარდაცვლილი შვილის ცხედრის მოსაძებნად და გადმოსასვენებლად, ე. მოთიაშვილს ორჯერ მოუხდა აფხაზეთის ტერიტორიაზე ჩასვლა, რაც დიდ რისკთან იყო დაკავშირებული, შვილის ცხედრის მოძებნის მიზნით, სამხედრო-საველე სასამართლოს თავჯდომარის მიერ მითითებულ ადგილას გათხარეს საფლავი, სადაც ნახეს თავმოჭრილი გვამი, რომელიც არ აღმოჩნდა მისი შვილი. სააპელაციო პალატას არ უმსჯელია მოსარჩევეთა იმ არგუმენტებზე, რომლებიც ეხებოდა დანაშაულის შედეგად უშუალოდ მათ მიმართ მორალური ზიანის მიუენებას. ამდენად, საკასაციო პალატა თვლის, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 30-ე, სამოქალაქო კოდექსის მე-19 მუხლებზე მითითება არ ადასტურებს მოთხოვნის ამ ნაწილის უსაფუძვლობას. არაქონებრივი ზიანისათვის ფულადი ანაზღაურების მოთხოვნა მხოლოდ კანონით ზუსტად

განსაზღვრულ შემთხვევაში, არ გულისხმობს მხოლოდ სამოქალაქო კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებს. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 30-ე მუხლი 1-ლი ნაწილის თანახმად, პირს, რომელსაც უშუალოდ დანაშაულის შედეგად მიადგა ქონებრივი, ფიზიკური ან მორალური ზიანი, უფლება აქვს სისხლის სამართლის საქმის წარმოებისას მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება და ამ მიზნით წარადგინოს სარჩელი. ამავე კოდექსის 33-ე მუხლი ანიჭებს უფლებას პირს, რომელსაც არ წარუდგენია სარჩელი სისხლის სამართლის საქმეზე ან რომლის სარჩელიც განუხილველი დარჩა, წარადგინოს იგი შემდგომში. ამდენად, ზემოაღნიშნულ ნორმათა საფუძველზე ანაზღაურებას ექვედებარება მართლსაწინააღმდეგო ქმედებით მიყენებული ზიანი, მათ შორის მორალურიც.

ვინაიდან ზიანი ანაზღაურდება რეალურად არსებული, დამდგარი საზიანო შედეგისათვის, აუცილებელია პირდაპირი ზიანის არსებობის კონკრეტულ ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირის არსებობის დადგენა ანუ ქმედება უშუალო წინაპირობას უნდა წარმოადგენდეს დამდგარი შედეგისათვის. საქმის ხელახალი განხილვისას უნდა დადგინდეს სამხედრო პირთა მიერ მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენით დამდგარმა შედეგმა გამოიწვია თუ არა მოსარჩელეთა სამსახურიდან გათავისუფლება, ჯანმრთელობის მოშლა, სამყაროსთან კონტაქტის დაკარგვა, მათ ჩვეულ გარემოში ადაპტირების შეუძლებლობა.²⁴³

მიგვაჩნია, რომ ზოგადი ნორმის შემუშავება უნდა მოხდეს იმ თვალსაზრისით, რომ სასამართლოს ჰქონდეს უფლება საქმის ინდივიდუალური გარემოებების გათვალისწინებით შესაძლებელი გახდეს გარდაცვლილისა და დაზარალებულის ახლობლებისთვის მორალური ზიანის ანაზღაურება. თუკი სამართლებრივი ნორმების დამცავი და მაკომპენსირებელი ფუნქციის მიზანი პირის უფლებების მაქსიმალური უზრუნველყოფაა, ხოლო მორალური ზიანი მართლსაწინააღმდეგო ქმედების შედეგად მიყენებული სულიერი და ფიზიკური ტანჯვაა, რატომ უნდა შეზღუდოს კანონმა პირისათვის ზიანის ანაზღაურების შესაძლებლობა იმ დროს როცა მან რეალურად მიიღო ეს ზიანი. როგორ შეიძლება განვასხვაოთ ერთმანეთისგან ერთი მხრივ, ცილისწამების გავრცელებისას დაზარალებულის, ხოლო მეორე მხრივ შვილის ან დანიშნულის მოკვლით

²⁴³ საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა, №ს-1521-1478 (2_08) 5 აგვისტო, 2009წ.

გამოწვეული სულიერი ტანჯვა. პირველ შემთხვევაში მივცეთ მას იურიდიული საშუალება მოითხოვოს მიყენებული მორალური ზიანის ანაზღაურება, ხოლო მეორე შემთხვევაში-არა. მეტად სუსტი საწინააღმდეგო არგუმენტია მოსარჩევეთა წრის გაფართოება ან მოთხოვნის “კომერციალიზაცია.” ამ უკანასკნელი პრობლემისგან არც სხვა მოთხოვნების დროს ვართ დაზღვეულნი. მთავარია, რომ ნორმის გამოყენების ფარგლების ასეთი შეზღუდვით ნორმას ეკარგება სამართლიანობის დამკვიდრების პრეტენზია, ხოლო ურთიერთობა რჩება მოწესრიგების გარეთ და პირი დაუცველი.

§ 5.6 იურიდიული პირისათვის მორალური ზიანის კომპენსაციის საკითხი.

ფიზიკური პირების მსგავსად, საკუთარი საქმიანი რეპუტაციის დაცვის უფლება აქვთ იურიდიულ პირებსაც (სსკ-ის 27.5 მუხლი), თუ ისინი თვლიან, რომ მათ შესახებ გავრცელებულია სახელის გამტეხი ცნობები, რომლებიც სინამდვილეს არ შეესაბამება. იურიდიული პირის საქმიანი რეპუტაციის დასაცავად სარჩელი შეიძლება შეიტანოს მისმა ორგანომ, რომელიც მოქმედებს კანონით, წესდებით ან დებულებით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, ან მათმა წარმომადგენლებმა, რომელთა უფლებამოსილებაც განისაზღვრება ორგანიზაციის ხელმძღვანელის მიერ და დასტურდება მინდობილობით (სსსკ-ის 93-ე მუხლი და 96-ე მუხლის მე-2 ნაწილი).

ლიტერატურაში სადაცო გახდა საკითხი იმის თაობაზე იურიდიულ პირს აქვს თუ არა უფლება მოითხოვოს პატივისა და დირსების ხელყოფის გამო მორალური ზიანის ანაზღაურება. ავტორთა ნაწილი თვლის, რომ იურიდიულ პირს სავსებით შესაძლებელია გააჩნდეს პატივი და დირსება და მათი ხელყოფის შემთხვევაში აქვს დაცვის დირსი ინტერესი. ²⁴⁴ ავტორთა მეორე ჯგუფი, რომელსაც ჩვენც ვეთანხმებით მიიჩნევს, რომ იურიდიული პირის პირადი არაქონებრივი უფლებების ხელყოფისას მორალური ზიანის ანაზღაურების საკითხი არ დგება.

²⁴⁴ შ. ჩიქვაშვილი, პასუხისმგებლობა მორალური ზიანისათვის, თბილისი, 2003 წელი, გვ. 173.

“მორალური ზიანის დახასიათებიდან შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ მორალური ზიანის მიყენება მხოლოდ ფიზიკური პირისთვის შეიძლება, ვინაიდან ფიზიკური და ზნეობრივი ტანჯვის განცდა მხოლოდ ფსიქო-ფიზიკურ პირს შეუძლია და არა ისეთ სოციალურ ერთობლიობას, როგორიც იურიდიული პირია”.²⁴⁵ იურიდიული პირის საქმიანი რეპუტაცია თავის თავში აერთიანებს პატივსა და ღირსებას იმ გაგებით, როგორც არის განმარტებული ფიზიკური პირების შემთხვევაში, ამიტომ არის, რომ ხაზი ესმება ანაზღაურების საკითხების გადაწყვეტის შესაძლებლობას მხოლოდ საქმიანი რეპუტაციის შეღახვის შემთხვევაში. ”მორალური ზიანის კომპენსაციის შესახებ მოთხოვნის წამოყენება შეუძლიათ მხოლოდ კონკრეტულ მოქალაქეებს, რადგან იურიდიული პირები ფიზიკურ ან ზნეობრივ ტანჯვას არ განიცდიან. ”²⁴⁶

”შესაძლებელია პიროვნული უფლებების გავრცელება იურიდიულ პირებზეც, თუ ეს არ ეწინააღმდეგება კონკრეტული უფლების არსს. კერძოდ, თუ შესაბამისი უფლება უშუალოდ ადამიანის თვისებებიდან არ გამომდინარეობს. მაგალითად, ”ადამიანის ღირსება” განუყოფელი კატეგორიაა. ადამიანს სწორედ იმიტომ აქვს ღირსება, რომ ის ადამიანია. ასევე შეუძლებელია მის გარდა სხვას, თუნდაც იურიდიულ პირს ჰქონდეს ღირსება. საყურადღებოა, რომ გერმანიის ფედერალურმა სასამართლომ აღიარა იურიდიული პირის პატივი და, შესაბამისად, დასაშვებად მიიჩნია მისი სამართლებრივი დაცვა.”²⁴⁷

საკასაციო სასამართლომ ქვემოთ მითითებულ გადაწყვეტილებაში განმარტა, რომ მორალური ზიანი არ შეიძლება მიადგეს იურიდიულ პირს.

შპს ავიაკომპანია „საქართველოს ა-მა“ სარჩელი აღმრა შპს „ა-ნა-საქართველოს ავიახაზების“ წინააღმდეგ მორალური ზიანის –1 000 000 ლარის ანაზღაურების შესახებ. სარჩელის საფუძვლად აღნიშნულია, რომ შპს „ა-ნა-საქართველოს ავიახაზების“ მიერ ინტერნეტის მეშვეობით ერთი წლის განმავლობაში კრცელდებოდა შპს ავიაკომპანია „საქართველოს ა-ბის“ საქმიანი რეპუტაციის შემდახველი ცნობები, „კავკას-პრესის“ მეშვეობით გავრცელდა სინამდვილესთან შეუსაბამო ინფორმაცია, რომ „საქართველოს ა-

²⁴⁵ Гражданское право, часть 1, Учебник под ред. Сергеева А.П. Толстого Ю, 1997, с. 309.

²⁴⁶ გულაზ გალდავა „სამოქალაქო უფლებათა დაცვის ფორმები და საშუალებები საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით.“ სამართლის ქურნალი, თსუ, №1, 2009 წელი, გვ. 129.

²⁴⁷ დავით კერძელიძე, „კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები,” გვ. 132.

ების“ მიერ ფრენების განახლების შესახებ განცხადებებს აკეთებენ იქ მომუშავე არაკომპეტენტური, არაპროფესიონალი და ავიაციის სფეროსაგან შორს მდგომი პირები“ „ ესენი არიან ავიაციაში შემთხვევით მოხვედრილი ხალხი”, შპს „ა-ნა-საქართველოს ავიახაზების“ დირექტორმა თ. გ-შვილმა “რუსთავი-2”-ის საინფორმაციო პროგრამა “კურიერი 9 საათზე” “საქართველოს ა-ბის” კოლექტივი კრიმინალებად მოიხსენია.

მოსარჩევები სარჩევის სამართლებრივ საფუძვლად მიუთითა სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის მე-2 ნაწილზე, 413-ე მუხლის პირველ ნაწილზე, 992-993-ე მუხლებსა და „რეკლამის შესახებ“ საქართველოს კანონზე.

თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო და სამეწარმეო საქმეთა კოლეგიის გადაწყვეტილებით სარჩევი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა და შპს „ა-ნა-საქართველოს ავიახაზებს“ შპს ავიაკომპანია “საქართველოს ა-ის“ სასარგებლოდ დაეკისრა 500 000 ლარის გადახდა.

საკასაციო სასამართლომ გააუქმა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება და არ დააკმაყოფილა სარჩევი შემდეგი დასაბუთებით: შპს ავიაკომპანია „საქართველოს ა-ბის“ სარჩევით მორალური ზიანის ანაზღაურების ერთ-ერთ საფუძველს წარმოადგენს ინტერნეტის მეშვეობით არასათანადო რეკლამის გავრცელება. საკასაციო სასამართლომ მიუთითა, რომ არასათანადო რეკლამის განთავსება და გავრცელება არ წარმოადგენს მორალური ზიანის ანაზღაურების კანონით გათვალისწინებულ საფუძველს. კერძოდ, სამოქალაქო კოდექსის 413-ე მუხლის პირველი ნაწილით არაქონებრივი ზიანისათვის ფულადი ანაზღაურება შეიძლება მოთხოვნილ იქნეს მხოლოდ კანონით ზუსტად განსაზღვრულ შემთხვევებში. ასეთ შემთხვევად საოლქო სასამართლომ არასწორად მიიჩნია „რეკლამის შესახებ“ კანონის მე-4 მუხლის მე-6 და 21-ე მუხლის მე-3 პუნქტები. აღნიშნული კანონის მე-4 მუხლის მე-6 პუნქტი ადგენს არასათანადო რეკლამის განთავსებისა და გავრცელებისათვის პასუხისმგებლობის ზოგად წესს, ხოლო 21-ე მუხლის მე-3 პუნქტში კონკრეტულადაა მითითებული, თუ რა სახის პასუხისმგებლობა დგება არასათანადო რეკლამის გავრცელებისათვის. აღნიშნულ ნორმაში მითითებულია, რომ პირებს, რომელთა უფლებები და ინტერესები დარღვეულია არასათანადო რეკლამის შედეგად, უფლება აქვთ დადგენილი წესით სარჩევით მიმართონ სასამართლოს ჯანმრთელობისა და ქონებისათვის, სახელის, ლირსებისა და საქმიანი რეპუტაციისათვის

მიუენებული ზიანის კომპენსაციის თაობაზე და მოითხოვონ არასათანადო რეკლამის საჯაროდ უარყოფა ე.ი. მიუენებული ზიანის კომპენსაცია ხდება არასათანადო რეკლამის საჯაროდ უარყოფით. ამდენად, აღნიშნული ნორმა ადგენს არასათანადო რეკლამის საჯაროდ უარყოფის და არა არაქონებრივი ზიანისათვის ფულადი ანაზღაურების წესს, რასაც ითვალისწინებს სამოქალაქო კოდექსის 413-ე მუხლის პირველი ნაწილი. სამოქალაქო კოდექსის აღნიშნული ნორმა განამტკიცებს, თუ რა შემთხვევაში უნდა იქნეს მოთხოვნილი არაქონებრივი (მორალური) ზიანისათვის ფულადი ანაზღაურება, სხვა შემთხვევაში იგი იურიდიულად უსაფუძვლოა და ასეთი მოთხოვნა არ უნდა დაგმაყოფილდეს. რაც შეეხება სარჩელის სხვა საფუძველს - პრესისა და ტელევიზიის საშუალებით მოსარჩელის პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის შემლახავი ცნობების გავრცელებისათვის მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნას, პალატა მას არ იზიარებს შემდეგი გარემოების გამო:

სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის მიხედვით არაქონებრივ უფლებათა დაცვის ფორმებად მიჩნეულია: არაქონებრივ უფლებათა ხელმყოფი მოქმედების შეწყვეტა (მე-18 მუხლის მეორე ნაწილის მეორე წინადადება), ან მათზე უარის თქმა, რაც ხორციელდება გავრცელებული ცნობების უარყოფით (მე-18 მუხლის მეორე ნაწილის პირველი წინადადება), ანდა პირადი არაქონებრივი უფლების ბრალეული მოქმედებით ხელყოფის შედეგად მიუენებული ქონებრივი ან მორალური ზიანის ანაზღაურებით (ანდა ორივე ერთად – მე-18 მუხლის მე-6 ნაწილი). მართალია, აღნიშნული ნორმა არეგულირებს, როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირის არაქონებრივი უფლებების დაცვას (სამოქალაქო კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილით, იურიდიული პირის პატივის, ღირსების ან საქმიანი რეპუტაციის შელახვის შემთხვევაში გამოიყენება მე-18 მუხლის წესები), მაგრამ ამ მუხლით გათვალისწინებული ყველა მოთხოვნა, თავისი შინაარსიდან გამომდინარე, იურიდიულ პირს არ გააჩნია. კერძოდ, იურიდიულ პირს არ გააჩნია მე-18 მუხლით დაცული ისეთი სიკეთე, როგორიცაა პირადი ხელშეუხებლობა, პირადი ცხოვრების საიდუმლოება, ასევე, მორალურ განცდებთან დაკავშირებით მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება. საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ მორალური ზიანი არ შეიძლება მიადგეს იურიდიულ პირს, რადგან მორალური ზიანის შინაარსში იგულისხმება სამართლებრივად დაცული იმ არაქონებრივი ინტერესის

ხელყოფა, რომელსაც ქონებრივი ეპივალენტი არ გააჩნია (სულიერი ან ფიზიკური ტკიფილი, განცდა, და სხვა). ამდენად, იურიდიული პირის მოთხოვნა მორალური ზიანის ანაზღაურების შესახებ იურიდიულად უსაფუძვლოა.²⁴⁸

მიგვაჩნია, რომ სასამართლომ არასწორად განმარტა რეკლამის შესახებ კანონის 21.3 მუხლი. ნორმის შინაარსის მიხედვით დაზარალებულს შეუძლია როგორც არასათანადო რეკლამის საჯაროდ უარყოფა, ისე მიყენებული ზიანის, მათ შორის, მორალური ზიანის ანაზღაურება.

პოლემიკას იურიდიული პირისათვის პატივის, დირსებისა და საქმიანი რეპუტაციის შელახვისას მორალური ზიანის ანაზღაურების თაობაზე ვფიქრობთ, ნაწილობრივ წერტილი დაუსვა საკანონმდებლო ცვლილებამ, სამოქალაქო კოდექსის 27.5-ე მუხლში, რომლითაც იურიდიულ პირზე სკის მე-18 მუხლით გათვალისწინებული წესები ვრცელდება მხოლოდ საქმიანი რეპუტაციის შელახვის შემთხვევაში. თუმცა მიგვაჩნია, რომ საქმიანი რეპუტაციის შელახვის შემთხვევაშიც იურიდიული პირისათვის მორალური ზიანის ანაზღაურება საფუძველსმოკლებულია.

თავი VI დელიქტური ვალდებულებებიდან წარმოშობილი მორალური ზიანისათვის კომპენსაციის დაკისრების თავისებურებანი კანონმდებლობისა და სასამართლო პრაქტიკის მიხედვით

უკანონო ქმედების ჩადენა მესამე პირის მიმართ არასახელშეკრულებო სამოქალაქო პასუხისმგებლობის ყველაზე გავრცელებული საფუძველია. დღესდღეობით სამართლებრივი სისტემების უმეტესობა ორ მოსაზრებაზე თანხმდება: მათ ერთი მხრივ, ჩამოაყალიბეს დელიქტური ვალდებულების შესახებ ერთი ზოგადი წესი და, მეორე მხრივ, შემოიღეს კონკრეტული წესები უკანონო მოქმედებათა კონკრეტული სახეობებისათვის, რომლებიც სამოქალაქო პასუხისმგებლობას იწვევენ.²⁴⁹

²⁴⁸ საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სამოქალაქო საქმეებზე, თბილისი, ქურნალი №7, 2003 წელი, გვ. 1848.

²⁴⁹ მხია თოდუა, პუებ ვილემსი, “ვალდებულებითი სამართალი”, თბილისი, საია, 2006 წელი, გვ. 97.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლის შესაბამისად პირი, რომელიც სხვა პირს მართლსაწინააღმდეგო, განზრახი ან გაუფრთხილებელი მოქმედებით მიაყენებს ზიანს, ვალდებულია აუნაზღაუროს მას ეს ზიანი. სამართალში სამართალდარღვევა დელიქტად იწოდება, შესაბამისად სამართალდარღვევის შედეგად წარმოშობილ ვალდებულებას დელიქტურ ვალდებულებას უწოდებენ. სკ-ის 317-ე მუხლი განსაზღვრავს ვალდებულების წარმოშობის საფუძვლებს. ესენია: ხელშეკრულება, ზიანის მიყენება (დელიქტი), უსაფუძვლო გამდიდრება ან კანონით გათვალისწინებული სხვა საფუძვლები.

„ზიანი“ სამოქალაქო სამართალში არის ფიზიკური და იურიდიული პირის უფლების ან კეთილდღეობის დამცირება, განადგურება, ინტერესების ხელყოფა.

ჩვენ ზემოთ ვისაუბრეთ სახელშეკრულებო და არასახელშეკრულებო ზიანზე და მას ადარ გავიმეორებთ. მხოლოდ დაგსძენთ, რომ „არასახელშეკრულებო“ ზიანი წარმოიქმნება უშუალოდ სამართალდარღვევიდან (დელიქტი), რომელსაც დელიქტურ ვალდებულებასთან ერთად ხშირად „სამართალდარღვევიდან წარმოშობილ ვალდებულებას“, ან „უნებართვო ქმედებისაგან წარმოშობილ ვალდებულებას“ უწოდებენ.

“დელიქტური სამართალი ვრცელდება შემთხვევებზე, როცა ინდივიდის ინტერესთა ზიანი მდგომარეობს არა იმდენად მიცემული სიტყვის მიმართ მოსარჩელის ნდობის გაცრუებაში სახელშეკრულებო ვალდებულებათა შეუსრულებლობით პასუხისმგებლობის დარღვევის გზით, არამედ მისი სხვა მრავალრიცხოვანი ინტერესის შელახვაში, როგორიცაა ჯანმრთელობის დაზიანება ან რეპუტაციის შელახვა, მისი მოძრავი ან უძრავი ქონების დაზიანება ან სხვა. დელიქტური სამართლის ფუნქციაა ზიანის მიყენების აურაცხელი შემთხვევებიდან ამოირჩიოს ისეთი, როდესაც დაზარალებულს შეუძლია მიყენებული ზიანის სიმძიმე სხვა პირს დააკისროს.”²⁵⁰

დელიქტი ფართო გაგებით სამართალდარღვევაა რომელსაც ზიანი მოჰყვა. ამ გაგებით სკ-ის მე-18 მუხლით გათვალისწინებული პირადი არაქონებრივი უფლებების შემლახავი ქმედებები დელიქტურია, რომელიც შესაბამისი ვალდებულების წარმოშობის გამო პასუხისმგებლობას იწვევს.

²⁵⁰ კონრად ცეაიგერტი, პაინ კოტცი “შედარებითი სამართალმცოდნეობის შესავალი კერძო სამართლის სფეროში,” ტომი II, თბ. 2001, გვ. 287.

თვით ზიანის მიყენების ფაქტი (კანონში მითითებული პირობების ერთობლიობით), სამართლის სპეციალური ნორმების საფუძველზე წარმოშობს მხარეებს შორის (დაზარალებული და ზიანის მიმყენებელი) სამართლებრივ ურთიერთობას. დაზარალებული გვევლინება როგორც კრედიტორი (მას აქვს მოთხოვნის უფლება), ხოლო ზიანის მიმყენებელი – მოვალეა (ვალდებული პირი). კრედიტორი შეიძლება იყოს ყოველი ფიზიკური და იურიდიული პირი, მოვალეა კი მხოლოდ დელიქტუნარიანი პირი, ე.ი. პირი, რომელიც პასუხს აგებს თავისი ქმედებისათვის. დელიქტის დროს, თვით ზიანის მიყენების ფაქტი წარმოადგენს ვალდებულების წარმოშობის საფუძველს, რომელი ვალდებულების ძალითაც დაზარალებულს უფლება აქვს მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება ზიანის მიმყენებლისაგან.

ს.6. ბაკუნინი პიროვნების სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვის სამართლებრივი დაცვის ერთ-ერთ საშუალებად მიიჩნევს დელიქტური ვალდებულების მხარეთა შორის ზიანის ანაზღაურების თაობაზე ნებაყოფლობით შეთანხმებას (ხელშეკრულების გაფორმებას.) იმ დათქმით, რომ დაზარალებული არაა ვალდებული დაადასტუროს ხელშეკრულებაში მითითებული თანხის ოდენობა და არა აქვს უფლება მომავალში მოითხოვოს მხარეთა შორის შეთანხმებულზე მეტი თანხა. ასეთი მოთხოვნის დათმობა მესამე პირებისთვის არ შეიძლება და ხელშეკრულების გაფორმება არ დაიშვება სახელმწიფო მოსამსახურების მიერ ზიანის მიყენების დროს. ²⁵¹

“სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლი სამსაფეხურიან მუხლის შემადგენლობას ითვალისწინებს, ეს საფეხურებია: შემადგენლობის შესრულება, მართლწინააღმდეგობა და ბრალეულობა. შემადგენლობის შესრულების საფეხურზე უნდა გაირკვეს, იყო თუ არა ზიანის მიმყენებლის ქცევა ადეკვატურმიზეზობრივად დაკავშირებული სამოქალაქო კოდექსის 992 მუხლით დაცული სამართლებრივი სიკეთის დაზიანებასთან, იყო თუ არა აღნიშნული ქცევა ობიექტურად მისთვის შერაცხადი და ასევე გამოიწვია თუ არა მან ადეკვატურმიზეზობრივად ზიანი. თუ აღნიშნული წინაპირობანი შესრულდა, მაშინ სახეზე გვაქვს მართლწინააღმდეგობაც. აქვე უნდა შემოწმდეს, ხომ არ არსებობს გამამართლებელი გარემოებანი.”²⁵²

²⁵¹ Бакунин Сергей Николаевич “Гражданско-правовая защита жизни и здоровья гражданина,” Краснодар, 2006 г.

²⁵² Dirk Looschelders, SBT, Carl Heymanns Verlag, 2. Auflage, 2008, S. 371. მითითებულია, გიორგი მარიამიძე “დელიქტური ვალდებულებანი” თბილისი, 20011 წელი. გვ. 7.

მართალია, სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლში მოქმედებით მიყენებულ ზიანზეა მითითებული, მაგრამ ზიანი შეიძლება უმოქმედობითაც იყო გამოწვეული. განსხვავებით მოქმედებისაგან, უმოქმედობა მართლსაწინააღმდეგოდ ითვლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შესაბამისი მოქმედების განხორციელება შედიოდა ზიანის მიმყენებლის ვალდებულებაში. უმოქმედობა გამოხატული არასათანადო აღზრდაში ან ზედამხედველობის განუხორციელებლობა მშობლების ან მეთვალყურეობაზე ვალდებული პირების მხრიდან საფუძველია მათთვის ზიანის ანაზღაურების დაკისრებისა არასრულწლოვანი და სულით ავადმყოფის მიმართ მიყენებული ზიანისათვის.

სამოქალაქო კოდექსის მე-18 და 993-ე მუხლების შინაარსის მიხედვით პირადი არაქონებრივი უფლებების ხელყოფა შეიძლება განხორციელდეს სამი სხვადასხვა შინაარსის მართლსაწინააღმდეგო მოქმედებით; ქონებრივი ზიანის მომტანი ფაქტების გავრცელებით, ამგვარი ზიანის მომტანი ფაქტების გახმაურებით, ფიზიკური პირის თანხმობის გარეშე მისი გამოსახულების გამოქვეყნებით. რადგან 993-ე მუხლი ითვალისწინებს ზიანის ანაზღაურების ვალდებულებას ქონებრივი ზიანის მომტანი ფაქტების გავრცელების ან გახმაურებისათვის, უნდა ვიგულისხმოთ, რომ პირადი გამოსახულების უნებართვო გამოქვეყნებით მიყენებული ქონებრივი ზიანის ანაზღაურების ვალდებულებისათვის გამოიყენება ქონებრივი ზიანის ანაზღაურების ზოგადი, 992-ე მუხლით გათვალისწინებული წესები. „გახმაურების“ ქვეშ, ამ სიტყვის ლექსიკოლოგიური მნიშვნელობის შესაბამისად, ძირითადად ისეთი ცნობების გავრცელება იგულისხმება, რომლებიც პირადი ცხოვრების საიდუმლოებას ასახავს და უმეტესწილად, სინამდვილეს შეესაბამება. „გავრცელება“ უნდა გულისხმობდეს პატივის, ღირსების, საქმიანი რეპუტაციის შემლახველი ცნობების გავრცელებას.²⁵³

სამოქალაქო კოდექსის 993-ე მუხლი ითვალისწინებს ორ მნიშვნელოვან ფაქტობრივ გარემოებას, რომლებიც არაქონებრივ უფლებათა ხელყოფით მიყენებული ქონებრივი ზიანის ანაზღაურების აუცილებელ პირობებს განეკუთვნება. პირველი: ქონებრივი ზიანის ანაზღაურების ვალდებულება წარმოიშვება, თუ გავრცელებული ან გახმაურებული ცნობები აშკარად არ შეესაბამება სინამდვილეს. მეორე თუ გავრცელებული ან გახმაურებული ცნობები ნაწილობრივ სწორია, პირს, ვისაც ამ ცნობების გავრცელებით ან

²⁵³ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეოთხე, ტომი II, თბ. 2001 წ., გვ. 383.

გახმაურებით ქონებრივი ზიანი მიადგა, არ გააჩნია მისი ანაზღაურების მოთხოვნის კანონიერი საფუძველი. ანაზღაურებას არ ექვემდებარება ქონებრივი ზიანი, რომელიც ფიზიკურ პირს მიადგა იმ ცნობების გავრცელებით ან გახმაურებით, რომლებსაც საზოგადოებრივი მნიშვნელობა აქვთ. სხვაგვარად რომ ითქვას, მართლსაწინააღმდეგო ქმედებად არ ჩაითვლება სინამდვილის შესაბამისი ისეთი ცნობების გავრცელება ან გახმაურება, რომლებსაც მნიშვნელობა აქვს მართლმსაჯულების, საზოგადოებრივი უსაფრთხოების ან კანონით დაცული სხვა საზოგადოებრივი ინტერესისათვის.²⁵⁴

§ 6.1. დელიქტური ვალდებულებებიდან წარმოშობილი მორალური ზიანისათვის კომპენსაციის დაკისრების საფუძველი

დელიქტური პასუხისმგებლობის დროს პირს ზიანის ანაზღაურება დაეკისრება, ზიანის მიყენებისათვის პასუხისმგებლობის დაკისრების საერთო პირობების არსებობის შემთხვევაში. კერძოდ, თუ სახეზეა ზიანი, ზიანი მიყენებულია მართლსაწინააღმდეგო მოქმედებით. მართლსაწინააღმდეგო მოქმედებასა და ზიანს შორის არსებობს მიზეზობრივი კავშირი და ზიანის მიმყენებელს მიუძღვის ბრალი. ამ პირობების ერთობლიობა წარმოადგენს იურიდიულ შემადგენლობას („გენერალურ დელიქტს“).²⁵⁵

“სამოქალაქო სამართალში მართლწინააღმდეგობად მიიჩნევა სხვა პირთა დაცული ინტერესის ხელყოფა, რომელსაც კიცხავს ეს სამართალი, მართლწინააღმდეგობა მოიცავს როგორც კანონით დადგენილი წესების, ისე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დარღვევას”.²⁵⁶

“სახელშეკრულებო სამართალდარღვევა უმეტესად მართლსაწინააღმდეგო უმოქმედობით ხორციელდება, ხოლო დელიქტური არამართლზომიერი მოქმედებით. ამ უკანასკნელ შემთხვევაში ქმედების მართლწინააღმდეგობის

²⁵⁴ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეოთხე, ტომი II, თბ. 2001 წ. გვ. 381.

²⁵⁵ იქვე, გვ.381.

²⁵⁶ Lowish Manfred in Staundinger (2004) , \$276. მითითებულია ქეთევან ქოჩაშვილი “ბრალი, როგორც სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობის პირობა”. სამართლის უკრნალი, თსუ, №1, 2009 წელი, გვ. 82.

კრიტერიუმია კანონი, ხოლო სახელშეკრულებო ვალდებულების დარღვევის ხასიათი ხელშეკრულების მიხედვით განისაზღვრება.”²⁵⁷

მართლწინააღმდეგობა სამართალდარღვევის ობიექტური ნიშანია და მისი არსებობა არ არის დამოკიდებული მოვალის ცნობიერების ხასიათზე, ანუ იმაზე, აცნობიერებდა თუ არა ის თავისი მოქმედების სამართლებრივ ხასიათს.²⁵⁸

კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში ზიანის მიმყენებელს შეიძლება დაეკისროს ვალდებულება აანაზღაუროს ზიანი „გენერალური დელიქტის“ არარსებობის შემთხვევაშიც, კერძოდ კი, მის მოქმედებაში ბრალის და მართლწინააღმდეგობის უქონლობის დროსაც.

თუ არ არსებობს ზიანი, მაშინ საერთოდ არ არსებობს დელიქტური ვალდებულება, რადგან, თუ ზიანი მიყენებული უნდა იყოს მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული მოქმედებით. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მართლზომიერი მოქმედებით მიყენებული ზიანი არ ააზღაურდება (მაგალითად, აუცილებელი მოგერიების ფარგლებში განხორციელებული მოქმედების შედეგად ზიანი არ ააზღაურდება, რადგანაც ასეთი ქმედება ითვლება მართლზომიერად. სკ-ის 116-ე მუხლი) სამოქალაქო კოდექსი ითვალისწინებს გამონაკლისს, როცა ზიანის ააზღაურების საკითხი შეიძლება დადგეს მართლზომიერი მოქმედებით მიყენებული ზიანის არსებობის დროსაც – კერძოდ, უკიდურესი აუცილებლობით (იმ საფრთხის თავიდან ასაცილებლად მიყენებული ზიანი, რომელიც მოცემულ გარემოში არ შეიძლებოდა თავიდან აცდენილი ყოფილიყო სხვა საშუალებით და, თუ მიყენებული ზიანი აცდენილ ზიანზე ნაკლებ მნიშვნელოვანია (სამოქალაქო კოდექსის 117-ე მუხლი) გამოწვეული ზიანის დროს. სისხლის სამართლის კანონისაგან განსხვავებით, რომელიც გამორიცხავს პასუხისმგებლობას უკიდურესი აუცილებლობის მდგომარეობაში ჩადენილი ქმედებისათვის, სამოქალაქო კანონი, როგორც წესი, ზიანის ააზღაურებას აკისრებს იმას, ვინც მოქმედებდა უკიდურესად აუცილებლობის მდგომარეობაში. საკითხის ასეთნაირად გადაწყვეტისას კანონი ითვალისწინებს იმას, რომ უკიდურესი აუცილებლობის დროს ინტერესების დაცვა, რომელსაც საფრთხე ემუქრება, მიიღწევა იმ პირის ინტერესების შელახვის ხარჯზე, რომელსაც არ შეუქმნია

²⁵⁷ ქეთევან ქოჩაშვილი “ბრალი, როგორც სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობის პირობა”. სამართლის უკრნალი, თსუ, №1, 2009 წელი, გვ. 82.

²⁵⁸ იქვე, გვ. 82.

საფრთხე. ამიტომ არ იქნებოდა სამართლიანი ასეთი პირისათვის ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების წარმევა. ზოგჯერ პირი ზიანის მიეებისას მოქმედებს არა თავის, არამედ სხვის ინტერესებში.²⁵⁹ ამიტომ, კანონით დადგენილია, რომ ფაქტობრივ გარემოებათა გათვალისწინებით, რომლებშიც მიეენებული იყო ზიანი, მისი ანაზღაურება შეიძლება დაეკისროს მესამე პირს, რომლის ინტერესებისთვისაც ზიანის მიმუენებელი მოქმედებდა ანდა მთლიანად ან ნაწილობრივ განთავისუფლდეს ანაზღაურებისაგან, როგორც მესამე პირი, ისე ზიანის მიმუენებელიც (სამოქალაქო კოდექსის 117-ე მუხლი). ზიანის მიეენების აუცილებლობა შეიძლება დადგეს ეპიდემიასთან ბრძოლის ან სხვა საგანგაშო პირობების არსებობისას. ყველა ამ შემთხვევაში საუბარია ზიანის მიეენების უფლებამოსილებაზე. ამასთან, ასეთი უფლებამოსილება ზიანის მიეენებაზე დაიშვება უკიდურესი აუცილებლობის შემთხვევაში და განსხვავებით უკიდურესი აუცილებლობის მდგომარეობაში ჩადენილი ზიანისათვის პასუხისმგებლობის საერთო რეჟიმისა, მთლიანად ათავისუფლებს ზიანის ანაზღაურების ვალდებულებისაგან.

“არის კიდევ ერთი შემთხვევა, როცა ზიანის მიმუენებლის ქმედება მართლსაწინააღმდეგოდ არ ჩაითვლება და არ იწვევს მის პასუხისმგებლობას ზიანისათვის. საუბარია ზიანის მიეენებაზე დაზარალებულის თხოვნით ან მისი თანხმობით, იმ პირობით, თუ ზიანის მიმუენებლის ქმედება არ არღვევს საზოგადოების ზნეობრივ პრინციპებს. მაგალითად, დაიშვება ადამიანის ორგანოების ან ქსოვილების ტრანსპლანტაცია მისივე თანხმობით (იძულება არ დაიშვება).”²⁶⁰ თუმცა, ეჭვს არ იწვევს, რომ ისეთი ორგანოების ამოღება, როგორიცაა გული და ა.შ., გამოიწვევს დონორის სიკვდილს და არ შეიძლება ჩაითვალოს მართლზომიერად და ზიანის ანაზღაურების ვალდებულებისგან გათავისუფლების საფუძვლად. გადანერგვის მიზნით გარდაცვლილის ორგანოს აღება, როდესაც არ არსებობს სიცოცხლეში განცხადებული თანხმობა ან უარის დამადასტურებელი წერილობითი საბუთი, შეიძლება, თუ: ა) არსებობს იმის დამადასტურებელი ფაქტები, რომ ორგანოს აღება არ ეწინააღმდეგება გარდაცვლილის რელიგიურ რწმენას, მის ეთიკურ პრინციპებს; ბ) კანონში ჩამოთვლილ პირთაგან მოცემული რიგითობის მიხედვით უპირატესი უფლების მქონე პირი თანახმაა გარდაცვლილის ორგანოს აღებაზე. გარდაცვლილის ორგანოს აღებაზე თანხმობის ან უარის

²⁵⁹ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეოთხე, ტომი II, თბ. 2001 წ. გვ. 382.

²⁶⁰ იქვე, გვ. 383.

განცხადების უფლება აქვთ შემდეგ ქმედუნარიან პირებს: а) მეუღლეს; ბ) შვილს; გ) მშობელს; დ) შვილიშვილს, შვილიშვილიშვილს; ე) მმას, დას; ვ) ძმისწულს; ზ) ბებიას, პაპას; თ) ბიძას, დეიდას, მამიდას; ი) ბიძაშვილს, დეიდაშვილს, მამიდაშვილს. თანაბარი უფლების მქონე რამდენიმე ნათესავის არსებობისას, თუნდაც ერთის მიერ უარის განცხადების შემთხვევაში, გარდაცვლილის ორგანოს აღება დაუშვებელია. დასახელებულ პირებს ორგანოს ადების შესახებ გადაწყვეტილების მიღების უფლება აქვთ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ რიგით წინამავალი პირი (პირები) ცოცხალი არ არის ან მისგან გადაწყვეტილების მიღება გადანერგვისათვის დასაშვები დროის განმავლობაში შეუძლებელია.

ამასთანავე, „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს 1997 წლის 10 დეკემბრის (ძალაშია 1997 წლის 31 დეკემბრიდან) კანონის 151-ე მუხლის თანახმად, სამედიცინო პერსონალს, აგრეთვე ნებისმიერ პირს, ეკრძალება ევთანაზიის განხორციელება ან ამ უკანასკნელში მონაწილეობის მიღება. აღნიშნული კანონის მე-3 მუხლის „ვ“ პუნქტით „ევთანაზია“ განმარტებულია, როგორც ავადმყოფისათვის მისივე თხოვნით დახმარების გაწევა სიცოცხლის შესაწყვეტად. ე.ი. ავადმყოფის სიკვდილის დაჩქარება მისივე თხოვნით ნებისმიერი ქმედებით ან საშუალებით, მათ შორის ხელოვნური საშუალებების გამორთვა, რომელიც უნარჩუნებს პირს სიცოცხლეს, აკრძალულია, არა მხოლოდ სამედიცინო პერსონალის, არამედ ასევე ნებისმიერი პირის მხრიდანაც. ასეთი ქმედება ჩაითვლება კანონსაწინააღმდეგოდ, მკვლელობა მსხვერპლის დაუინებული თხოვნით და მისი ნამდვილი ნების შესაბამისად, ჩადენილი მომაკვდავის ძლიერი ფიზიკური ტკივილისაგან განთავისუფლების მიზნით ისჯება სისხლის სამართლის წესით. გარდა სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობისა უვთანაზიის განმახორციელებელს დაეკისრება ზიანის ანაზღაურების ვალდებულებაც. მაგალითად, სარჩოს მიცემა იმ პირებისათვის, რომელთა რჩენაც დაზარალებულს ევალებოდა. ამასთან, ეს ვალდებულება ძალაშია, ვიდრე დაზარალებული ვალდებული იქნებოდა ეხადა სარჩო. სარჩოს სანაცვლოდ დაზარალებულს შეუძლია მოითხოვოს ერთჯერადი ანაზღაურებაც, თუკი არსებობს ამის მნიშვნელოვანი საფუძველი. ²⁶¹

²⁶¹ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეოთხე, ტომი II, თბ. 2001 წ. გვ. 385.

ზიანის მიმუნებლის მართლსაწინააღმდეგო ქმედებასა და დამდგარ ზიანს შორის მიზეზობრივი კავშირი წარმოადგენს სავალდებულო პირობას დელიქტური პასუხისმგებლობის დადგომისათვის და გამოიხატება იმაში, რომ:
ა) პირველი უსწრებს მეორეს დროში; ბ) პირველი წარმოშობს მეორეს.
პასუხისმგებლობა დგება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ზიანი იყო პირდაპირი (და არა ირიბი) და გარდაუვალი (არა შემთხვევითი) შედეგი ზიანის მიმუნებლის მოქმედებისა (უმოქმედობისა).

დღესდღეობით დამკვიდრებულია ადეკვატური მიზეზობრიობის თეორია, რომელმაც შეცვალა ეკვივალენტური ანუ პირობათა ტოლფასოვნების თეორია, თუ ამ უკანასკნელის მიხედვით შედეგის საერთო მიზეზი პირობათა ერთობლიობაა, თითოეული პირობა კი კერძო მიზეზი, რომელთაც შედეგის დადგომაში თანაბარი მნიშვნელობა აქვთ, ადეკვატური მიზეზობრიობის თეორიით შედეგის მიზეზად ერთ-ერთი პირობაც საკმარისია, თუ ის ქმნის შედეგის დადგომის ობიექტურ შესაძლებლობას.²⁶² ამგვარად, ანაზღაურებას ექვემდებარება მხოლოდ ის ზიანი, რომელიც მისი გამომწვევი ქმედების უშუალო, აუცილებელი, პირდაპირი შედეგია.²⁶³

ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ ზოგადად ზიანის მიყენებისას პასუხისმგებლობის საფუძველს წარმოადგენს ბრალის არსებობა. რაც ბუნებრივია დელიქტური პასუხისმგებლობის საფუძველიცაა.

“ბრალი არის ნებაუნარიანი პირის მიერ კანონით ან ხელშეკრულებით განსაზღვრული გალდებულების დარღვევა სხვა პირისათვის უარყოფითი შედეგის დადგომის გაცნობიერებით და სურვილით ან სურვილის გარეშე, სამოქალაქო ბრუნვის მონაწილისათვის საჭირო გულმოდგინების ან წინდახედულობიდ დაუცველად.”²⁶⁴

გერმანულ სამართალში პასუხისმგებლობის დაკისრებისთვის მთავარი ობიექტური სამართლის ნორმის დარღვევაა, რომელიც გულისხმობს ბრალის არსებობას, ანუ გამორიცხავს ბრალის არარსებობას.²⁶⁵

სწორედ ქმედების სუბიექტური შეფასება განსაზღვრავს ბრალის ფორმებს: განზრახვას და გაუფრთხილებლობას. არც ძველად მოქმედი და არც დღეს მოქმედი სამოქალაქო კანონმდებლობა არ განსაზღვრავს ბრალის

²⁶² Dertmann P. Recht der Schuldverhältnisse, I, 1928. 50.

²⁶³ ქოთევან ქოჩაშვილი “ბრალი, როგორც სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობის პირობა”. სამართლის ჟურნალი, თსუ, №1, 2009 წელი, გვ. 83.

²⁶⁴ იქვე, გვ. 113.

²⁶⁵ Semler in MunchkommAKtG (2004), 116. Rn. 507.

თითოეული ფორმის შინაარსს. ამ შემთხვევაში, შესაძლებლობა გვეძლევა ვისარგებლოთ სისხლის სამართლის კანონმდებლობაში არსებული განსაზღვრებით: განზრახია ქმედება, რომელიც ჩადენილია პირდაპირი ან არაპირდაპირი განზრახვით. ქმედება პირდაპირი განზრახვითაა ჩადენილი, თუ პირს გაცნობიერებული ჰქონდა თავისი ქმედების მართლწინააღმდეგობა, ითვალისწინებდა მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობას და სურდა ეს შედეგი, ანდა ითვალისწინებდა ასეთი შედეგის განხორციელების გარდაუვალობას. სამოქალაქო სამართალში განზრახვა არის მართლსაწინააღმდეგო შედეგის ცოდნა და სურვილი, ანუ შედეგის ცოდნა და სურვილი მართლსაწინააღმდეგო შეგნებით.²⁶⁶ ქმედება არაპირდაპირი განზრახვითაა ჩადენილი, თუ პირს გაცნობიერებული ჰქონდა თავისი ქმედების მარალწინააღმდეგობა, ითვალისწინებდა მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობას და არ სურდა ეს შედეგი, მაგრამ შეგნებულად უშებდა ან გულგრილად ეკიდებოდა მის დადგომას.²⁶⁷

გაუფრთხილებლობა ბრალის ყველაზე გავრცელებული ფორმაა სამოქალაქო სამართალში. სამოქალაქო კოდექსი არც გაუფრთხილებლობის დეფინიციას იძლევა. “სამოქალაქო სამართალში გაუფრთხილებლობად ითვლება მოქმედება, რომლითაც ირღვევა სამოქალაქო ბრუნვისათვის დამახასიათებელი აუცილებელი ყურადღებიანობის მოთხოვნები. გაუფრთხილებლობის ცნება არ არის დამოკიდებული ყურადღებიანობის იმ ხარისხზე, რომელიც შეიძლება გამოიჩინოს ინდივიდუალურად ბრალეულმა პირმა. გაუფრთხილებლობა სამოქალაქო სამართალში განისაზღვრება მოთხოვნის ობიექტური მასშტაბებით”²⁶⁸, ე.ი გამოიყენება მსგავს სიტუაციაში გონიერი და კეთილსინდისიერი ადამიანის მოქმედების პრეზუმაცია. თუ დაზარალდა საქმიანი წრის გარკვეული ჯგუფის ან გარკვეული პროფესიის წარმომადგენელი, სასამართლომ უნდა გაარკვიოს, მოპასუხემ გამოიჩინა თუ არა წინდახედულება იმ მოცულობით, რომელიც სჩვევია შესაბამისი პროფესიის ან საქმიანი წრის “საშუალო წარმომადგენელს”.²⁶⁹

²⁶⁶ Fikentscher W., Schuldrect, 8, Auflage, Berlin-New-York, 1992, 312.

²⁶⁷ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, თბილისი, 1999 წელი, მუხლი 8.

²⁶⁸ Dieter Medicus, Schuldrecht, Allgemeiner Teil, 149.

²⁶⁹ კონრად ცვაიგერტი, ჰაინ კოტი “შედარებითი სამართალმცოდნეობის შესავალი კერძო სამართლის სფეროში,” ტომი II, თბ. 2001. გვ. 290.

“გაუფრთხილებლობა სამოქალაქო სამართალში იყოფა უხეშ და მარტივ (უბრალო) გაუფრთხილებლობად. უხეში გაუფრთხილებლობით მოქმედებს ის, ვინც თავისი მოქმედებით აუცილებელი ყურადღებიანობის მოთხოვნებს არღვევს უწვევულოდ მაღალი ხარისხით. მარტივი გაუფრთხილებლობით მოქმედებს ის, ვინც აუცილებელი ყურადღებიანობის მოთხოვნებს არღვევს შედარებით დაბალი დონით. განსხვავება გაუფრთხილებლობის ფორმებს შორის აუცილებელი ყურადღებიანობის დარღვევის ხარისხშია.”²⁷⁰

“გაუფრთხილებლობის ქვეშ კანონი გულისხმობს სამოქალაქო ურთიერთობაში აუცილებელი ზრუნვის გამოუჩენლობას. ზოგადი წესით მოვალე პასუხს აგებს ნებისმიერი, ოუნდაც მცირე გაუფრთხილებლობისათვის. შესაბამისად, განსხვავება გაუფრთხილებლობის სხვადასხვა ხარისხს შორის (მარტივი, საშუალო, უხეში გაუფრთხილებლობა), როგორც წესი არ ასრულებს მნიშვნელოვან როლს. უხეში გაუფრთხილებლობაა სახეზე როცა სამოქალაქო ურთიერთობაში აუცილებელი ზრუნვის გამოუჩენლობას აქვს ადგილი განსაკუთრებით მძიმე მასშტაბით. ბრალის შერაცხვისათვის გამოიყენება მოვალის ინდივიდუალური ჩვეულებრივი ქცევის წესები. განსხვავება განზრახვასა და გაუფრთხილებლობას შორის სამოქალაქო სამართლისათვის არ არის მნიშვნელოვანი, რადგან მოვალე განზრახვასა და გაუფრთხილებლობასთვის ერთნაირად აგებს პასუხს.”²⁷¹

განზრახ ან გაუფრთხილებელი ქმედებით მიყენებული ზიანი ექვემდებარება ანაზღაურებას. კანონი ითვალისწინებს ბრალის გარეშე პასუხისმგებლობის შემთხვევებსაც.

სამოქალაქოსამართლებრივ პასუხისმგებლობას ახასიათებს მისთვის დამახასიათებელი ზიანის მიმყენებლის ბრალეულობის პრეზუმუციის პრინციპი. ზიანის მიმყენებელი მიიჩნევა ბრალეულად. თუ არ დაამტკიცებს მისი ბრალის არარსებობის ფაქტს. ამის შესაბამისადვე ხდება მტკიცების ტვირთის განაწილება დაზარალებულსა და ზიანის მიმყენებელს შორის: დაზარალებული, მიმართავს რა სასამართლოს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით, ვალდებულია დაამტკიცოს მისთვის ზიანის არსებობის ფაქტი, ასევე მიზეზობრივი კავშირის არსებობა ზიანის მიმყენებლის ქმედებასა და

²⁷⁰ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მესამე, თბ. 2001 წელი, გვ. 386.

²⁷¹ ზურაბ ჭავჭავაძე, „სახელშეკრულებო სამართალი,“ თბილისი, 2008 წელი, გვ. 184-185.

დამდგარ ზიანს შორის. ზიანის მიმყენებელმა, თავის მხრივ, უნდა დამტკიცოს მის ქმედებაში მართლწინააღმდეგობის და ბრალის არარსებობა.

ზიანის ანაზღაურების მოვალეობა შეიძლება გამოიწვიოს დანაშაულმა ან ადმინისტრაციულმა გადაცდომამ. სამოქალაქო–სამართლებრივი პასუხისმგებლობა მაშინაც დგება, როცა ჩადენილია დანაშაული და მაშინაც, როცა ქმედება დანაშაულის ნიშნებს არ შეიცავს. ამიტომ, სისხლის სამართლის საქმეზე გამამართლებელი განაჩენის გამოტანა ყოველთვის არ არის სამოქალაქო–სამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლების საფუძველი. თუ ზიანი მიყენებულია ისეთი ქმედებით, რომელიც დანაშაულის ნიშნებს შეიცავს, მაშინ დამნაშავეს ერთდროულად დაეკისრება სისხლის სამართლის და სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობა.

ბრალის ფორმასა და ხარისხს სამოქალაქო–სამართლებრივი პასუხისმგებლობისათვის მნიშვნელობა აქვს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა დაზარალებულის ბრალმა ხელი შეუწყო ზიანის წარმოშობას ან გაზრდას. მხედველობაში მიიღება დაზარალებულის განზრახვა ან გაუფრთხილებლობა. ასეთ შემთხვევაში ზიანის ანაზღაურების საკითხი შერეული ბრალის წესებით უნდა გადაწყდეს.²⁷²

დაზარალებულის განზრახვა, მიმართული ზიანის წარმოშობისაკენ გამორიცხავს ზიანის მიმყენებლის ვალდებულებას აანაზღაუროს ზიანი. უხეში გაუფრთხილებლობისას ზიანის ოდენობა უნდა შემცირდეს ან შეიძლება დაზარალებულს უარი ეთქვას ზიანის ანაზღაურების დაკმაყოფილებაზე.

უხეში გაუფრთხილებლობის ცნების დეფინიცია, მიუხედავად მისი არა მარტო დელიქტურ, არამედ სახელშეკრულებო პასუხისმგებლობის ფარგლებში გამოყენებისა, სამოქალაქო სამართალში არ არის. არ შეიძლება მისი სისხლის სამართლის კანონმდებლობაში დადგენილი გაუფრთხილებლობის (თვითმედოვნება ან დაუდევრობა) რომელიმე ფორმასთან გაიგოვებაც.

“შედარებით მისაღებია ის კრიტერიუმი, რომელიც გამოყენებულია რომის სამართალში: „გაუგებრობა იმისა, რაც ყველას ესმის“. ყველას ესმის, რომ არ შეიძლება ქუჩის გადაჭრა, როცა არსებობს მიწისქვეშა გადასასვლელი და ა.შ. ამ მოთხოვნების დარღვევა, ცხადია, იქნება უხეში

²⁷² საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეოთხე, ტომი II, თბ. 2001 წ. გვ. 387.

გაუფრთხილებლობა. ამასთან, ბუნებრივია, რომ დაზარალებულის მიერ ჩადენილი გაუფრთხილებლობისას გათვალისწინებული უნდა იქნას კონკრეტული გარემოებები. მაგალითად, უხეში გაუფრთხილებლობაა დაზარალებულის არაფხიზელ მდგომარეობაში ყოფნა, რომელმაც ხელი შეუწყო ზიანის დადგომას ან მის გაზრდას.”²⁷³

არსებობს ზოგადი წესი, რომლის მიხედვითაც, ზიანი სრულად უნდა აანაზღაუროს ზიანის მიმყენებელმა. იმ პირმა, რომელიც ვალდებულია აანაზღაუროს ზიანი, უნდა აღადგინოს ის მდგომარეობა, რომელიც იარსებებდა, რომ არ დამდგარიყო აანაზღაურების მავალდებულებელი გარემოება (სამოქალაქო კოდექსის 408-ე მუხლი). აღნიშნული ნორმიდან გამომდინარეობს, რომ ზიანი უნდა აანაზღაურდეს ნატურით. კერძოდ, განადგურებული ნივთის სანაცვლოდ დაზარალებულს უნდა გადაეცეს იმავე გვარისა და ხარისხის ნივთი, ან ზიანის მიმყენებლის მიერ აღდგენილი უნდა იქნას დაზიანებული ნივთი და ა.შ. თუ პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა შეუძლებელია, დაზარალებულს მიეცემა ფულადი აანაზღაურება.”²⁷⁴

“სახელშეკრულებო ურთიერთობებში, ხშირად შეუძლებელია ან არაგონივრულია პირვანდელი მდგომარეობის სრულად ნატურით აღდგენა, რა დროსაც ნატურით რესტიტუციის ადგილს ფულადი აანაზღაურება იკავებს. ჰიპოთეტურ და რეალურ მდგომარეობას შორის სხვაობა ფულადი ერთეულით ივსება. თუ კანონიდან ან საქმის გარემოებებიდან სხვა რამ არ გამომდინარეობს, დაზიანებული სიკეთის დირებულება საბაზრო დირებულებით განისაზღვრება, არაქონებრივი ზიანის შემთხვევაში კი აბსტრაქტული ზიანის შესაბამისი აანაზღაურება ხდება.”²⁷⁵

მორალური ზიანის აანაზღაურების პირობებზე საკმაოდ ვრცლად ვისაუბრეთ და მას აღარ გავიმეორებთ. საყურადღებო და განხილვის ღირსია რომელი დელიქტური ვალდებულებების წარმოშობის დროს დგება მორალური ზიანის აანაზღაურების საკითხი და როგორია ამ შემთხვევაში პასუხისმგებისა და კომპენსაციის სპეციფიკა.

ზოგადი წესისა და დელიქტის ბუნებიდან გამომდინარე ჩვენს მიერ ზემოთ განხილული პირადი არაქონებრივი უფლებების შელახვიდან

²⁷³ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეოთხე, ტომი II, ობ. 2001 წ. გვ. 388.

²⁷⁴ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეოთხე, ტომი II, ობ. 2001 წ. გვ. 389.

²⁷⁵ გიორგი ვაშაგიძე „სამოქალაქო კოდექსის გართულებულ ვალდებულებათა სისტემა“, თბილისი, 2010 წელი, გვ. 195.

წარმოშობილი ვალდებულებები ზოგადად დელიქტურ ვალდებულებათა ჯგუფს უნდა მივაკუთვნოთ. უცხოური კანონმდებლობისა და სასამართლო პრაქტიკის ანალიზი გვარწმუნებს, რომ დელიქტი ურთიერთობათა საკმაოდ ვრცელ საექტრს მოიცავს და დელიქტური ვალდებულების შემთხვევაში მორალური ზიანის კომპენსაციის შესაძლებლობა თითქმის შეზღუდული არ არის, თუ სახეზეა ზოგადად ასეთი ზიანის არსებობის ზემოთ არაერთხელ მითითებული პირობები. აღნიშნულს ვერ ვიტყვით ქართულ სინამდვილეზე. გარდა კანონით პირდაპირ მითითებული შემთხვევებისა, მოქმედი კანონმდებლობით, მორალური ზიანი ანაზღაურდება, მხოლოდ მაშინ თუ პირის სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას ზიანი მიადგა. (სკ-ის 413-ე მუხლი.) აღნიშნული ნორმის პირველი ნაწილით არაქონებრივი ზიანისათვის ფულადი ანაზღაურება მხოლოდ კანონით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევებში გონივრული და სამართლიანი ანაზღაურების სახით ხდება. რაც შეეხება ნატურით რესტიტუციას, იგი არაქონებრივი ზიანის შემთხვევაშიც შეუზღუდავად გამოიყენება, თუ ეს ზიანის ხასიათიდან გამომდინარე შესაძლებელია.²⁷⁶

“მთელი რიგი პირადი არაქონებრივი უფლებები დაცულია სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლით (მაგ; სახელის უფლება (სკ-ის მე-17 მუხლი), პატივი, ღირსება, პირადი ცხოვრების საიდუმლოება, პირადი ხელშეუხებლობა ან საქმიანი რეპუტაცია (სკ-ის მე-18 მუხლი.)) ამ შემთხვევაში ქონებრივი თუ არაქონებრივი ზიანის ანაზღაურება სკ-ის 992 და 18.6 მუხლების ერთობლიობით უნდა მოხდეს.”²⁷⁷

სამოქალაქო კოდექსის დელიქტური ვალდებულებების კარი ითვალისწინებს არასრულწლოვანის მიერ (994-ე მუხლი), სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას (997-ე მუხლი), სატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციის შედეგად დამდგარი (999-ე მუხლი), მომეტებული საფრთხით ნაგებობიდან გამომდინარე (მე-1000 მუხლი), ცხოველის მიერ (1003-ე მუხლი), სახელმწიფო მოსამსახურის მიერ (1005-ე მუხლი), დაზარალებულის გარდაცვალებისას (1006-ე მუხლი), სამედიცინო დაწესებულების მიერ (1007-ე მუხლი), უხარისხო პროდუქტით (1009–1016-ე მუხლები) გამოწვეული ზიანის ანაზღაურების შესაძლებლობას. მითითებულ შემთხვევებში მართლსაწინააღმდეგო ქმედებით მიყენებული მატერიალური ზიანი უპირობოდ

²⁷⁶ გიორგი ვაშაკიძე „სამოქალაქო კოდექსის გართულებულ ვალდებულებათა სისტემა“. თბილისი, 2010 წელი, გვ. 195.

²⁷⁷ გიორგი მარიამიძე „დელიქტური ვალდებულებანი“ თბილისი, 20011 წელი. გვ. 57.

ექვემდებარება ანაზღაურებას, რასაც ვერ ვიტყვით მორალური ზიანის ანაზღაურებაზე. მატერიალური ზიანის არსებობის შემთხვევაში მორალური ზიანი ანაზღაურდება მხოლოდ მაშინ, თუ მას სხეულის დაზიანება ან ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენება მოპყვა შედეგად. ზიანი შეიძლება მიადგეს პიროვნების სიცოცხლესა და ჯანმრთელობას ან პირის ქონებას. მართალია ჩვენი კვლევის საგანს არ წარმოადგენს უშუალოდ პირადი არაქონებრივი უფლებები, მაგრამ ვინაიდან მორალური ზიანისათვის პასუხისმგებლობის საკითხი უპირველეს ყოვლისა სწორედ მათი ხელყოფისას დგება სასურველია მოკლედ მიმოვისილოთ ხელყოფის ისეთი ობიექტები როგორიცაა სიცოცხლე და ჯანმრთელობა.

§ 6.2. პასუხისმგებლობა სიცოცხლის ხელყოფის შემთხვევაში

დელიქტური ქმედებების განხორციელების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სამიზნე სწორედ სიცოცხლე და ჯანმრთელობა. აღნიშნული ხელყოფა კი მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის საფუძველია.

“ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში მითითებულია, რომ სიცოცხლისა და ჯანმრთელობის უფლება ადამიანის აბსოლუტური უფლებებია, რომელთაც უპირატესობა აქვთ რელატიურ უფლებებთან მიმართებით. ამიტომ მათი დაცვა და ზიანის ანაზღაურება ხორციელდება დელიქტური სამართლის ნორმებით. თუნდაც ურთიერთობას ხელშეკრულება ედოს საფუძვლად. ცალსახად არ შეიძლება იმის თქმა, რომ სახელშეკრულებო და დელიქტური პასუხისმგებლობის ნორმათა კუმულაციის (კონკურენციის) დროს გამოიყენება ეს უკანასკნელი.”²⁷⁸ შესაბამისად მნიშვნელოვანია ამ ორი სახის პასუხისმგებლობის მიმართების გარკვევა. ფრანგი ცივილისტი ჟ.მორანდიერი იმ აზრს ავითარებს, რომ არ შეიძლება ამ ორი სახის პასუხისმგებლობა გავაიგივეოთ.²⁷⁹ ალბათ უფრო უპრიანი იქნება აღინიშნოს, რომ საქმის გადაწყვეტა მოხდება კონკრეტული სიტუაციის შესაბამისად და ეს, ძირითადად ხდება კრედიტორის ინტერესების გათვალისწინებით.²⁸⁰

²⁷⁸ მზია დუნდუა “დელიქტური პასუხისმგებლობისა და სახელშეკრულებო პასუხისმგებლობის თანაფარდობა.” სამართლის ქურნალი, თსუ, №1, 2009 წელი, გვ. 54.

²⁷⁹ Гражданское право Франций, Л. Жюлио, Д. Л. Морандье, т. 2, М. 1960 г. გვ. 465.

²⁸⁰ მზია დუნდუა, დასახელებული სტატია, გვ. 55.

ბუნებრივია საზოგადოებრივად საშიში ქმედება თუ იგი ხელყოფს ადამიანის სიცოცხლეს ან/და ჯანმრთელობას სისხლის სამართლის დანაშაულია და ისჯება სისხლის სამართლის წესით.

სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობა სიცოცხლისა და ჯანმრთელობის ხელყოფის შემთხვევაში დგება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან დამოუკიდებლად. სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული ადამიანის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის (სისხლის სამართლის კოდექსი, კარი მეშვიდე) ჩადენის შემთხვევაში, თუ მას მოჰყვა სხეულის დაზიანება ან ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენება დაზარალებულს უფლება აქვს დელიქტური პასუხისმგებლობის ნორმების საფუძველზე მოითხოვოს მიყენებული მორალური ზიანის ანაზღაურება.

სიცოცხლის უფლება წარმოადგენს ადამიანის ერთ-ერთ ძირითად ბუნებრივ უფლებას. სიცოცხლე სამართლის თვალსაზრისით უმაღლესი ფასეულობაა, რამაც ასახვა პპოვა საქართველოს კონსტიტუციაში (მუხლი 15), ევროკონფენციის მე-2 მუხლის თანახმად ყოველი ადამიანის სიცოცხლის უფლება კანონით არის დაცული. იმისათვის, რომ განვსაზღვროთ სიცოცხლის, როგორც უმაღლესი სიკეთის (ლირებულების) ცნება, პირველ რიგში უნდა გავარკვიოთ მისი იურიდიული საზღვრები (მისი დაწყების და შეწყვეტის მომენტი).

ადამიანის სიცოცხლის დაწყების და შეწყვეტის მომენტის განსაზღვრას უდიდესი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს, რადგანაც სწორედ ამით განისაზღვრება შესაბამისი სამართლებრივი ნორმების მოქმედების მომენტის დაწყება და მოსპობა კონკრეტული ადამიანის მიმართ.

სსქ-ის მე-11 მუხლის თანახმად ფიზიკური პირის უნარი ჰქონდეს სამოქალაქო უფლებები და მოვალეობები წარმოიშობა დაბადების მომენტიდან. “უფლებაუნარიანობა წარმოიშობა იმ მომენტიდან, როცა ნაყოფი გამოეყოფა დედის საშოს და აკმაყოფილებს ყველა იმ ნიშანს, რასაც თანამედროვე მედიცინა ცოცხალი ბავშვის დაბადებას უწოდებს.”²⁸¹

თუმცა ეს საკითხი არც ისე მარტივად დგას, როგორც ერთი შეხედვით შეიძლება მოგვეჩენოს, არსებობს მოსაზრება, რომ ადამიანის უფლებაუნარიანობა უნდა წარმოიშვას არა დაბადების, არამედ მისი ჩასახვის

²⁸¹ ლ. ჭანტურია “შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში”, თბ. 1997, გვ. 132.

მომენტიდან. რადგან ჩასახულ ემბრიონს დაბადებამდე უკვე გააჩნია გარკვეული (მაგ. მემკვიდრედ ყოფნის) უფლებები. (სპ-ის 11.2 მუხლი.)

ვეთანხმებით გავრცელებულ მოსაზრებას, რომ ზოგადად უფლებაუნარიანობის წარმოშობა ჩასახვისთანავე დაუშვებელია სამოქალაქო უფლებათა იურიდიული ბუნების გათვალისწინებით.

აღნიშნული საკითხის გადაწყვეტაზე დამოკიდებულია ისეთი მნიშვნელოვანი პრობლემების გადაჭრა, როგორიცაა ორსულობის ხელოვნურად შეწყვეტის აკრძალვა ან ლეგალიზება. აბორტის ლეგალიზების მომხრეები, ორსულობის ხელოვნური შეწყვეტის აკრძალვას ქალის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დარღვევად მიიჩნევენ, ვინაიდან მათი მტკიცებით ბავშვის გაჩენა განსაკუთრებით პირადი საკითხია თითოეული ადამიანისათვის და მხოლოდ ქალმა უნდა გადაწყვიტოს საკითხი ორსულობის ხელოვნურად შეწყვეტის შესახებ. ქალის ეს უფლება არ უნდა შეიზღუდოს მამაკაცის – პოტენციური ბიოლოგიური მამის უფლების დაცვის მიზნითაც კი. რადგან თვლიან, რომ სწორედ ქალი წარმოადგენს დაინტერესებულ სუბიექტს. ორსულობა ეს ის მდგომარეობაა, რომელიც მხოლოდ ქალისთვისაა დამახასიათებელი და ვინაიდან ორსულობას შეუძლია მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს მომავალი დედის ჯანმრთელობაზე და ზოგჯერ შეიძლება ქალის სიკვდილიც კი მოჰყვეს, ამიტომ მამაკაცი მოკლებულია უფლებას მოთხოვოს შვილის გაჩენა. ²⁸²

აღნიშნულ საკითხს ერთმნიშვნელოვნად წყვეტს მართმადიდებლური ეკლესია, რომელიც თვლის, რომ ადამიანის არსებობა იწყება მისი ჩასახის მომენტიდან და ამდენად ორსულობის ხელოვნური შეწყვეტა მის ნებისმიერ სტადიაზე უნდა ჩაითვალოს მკვლელობად, რაც იმის საფუძველს გვაძლევს, რომ არა მარტო რელიგიურ, არამედ საკანონმდებლო დონეზეც აიკრძალოს ორსულობის ხელოვნური შეწყვეტა და მისი ჩადენის შემთხვევაში მას მიეცეს მკვლელობის კვალიფიკაცია.

რაც შეეხება ადამიანის ფიზიკურ არსებობის მეორე ზღვარს – სიკვდილის მომენტს სსკ-ის მე-11 მუხლი განმარტავს, როგორც თავის ტვინის ფუნქციონირების შეწყვეტას. თუმცა მედიკოს მეცნიერთა ერთი ნაწილი სიკვდილის მომენტად გულის მუშაობის შეწყვეტას მიიჩნევს. ზოგიერთ სიტუაციაში სიკვდილის დადგომის მომენტის გარკვევა ძალზე რთულია.

²⁸² Бакунин Сергей Николаевич “Гражданско-правовая защита жизни и здоровья гражданина” Краснодар, 2006 г. www.dissercat.com

განასხვავებენ კლინიკურ და ბიოლოგიურ სიკვდილს. კლინიკური სიკვდილი შექცევადია, რადგანაც უშვებს სიცოცხლისუნარიანობის აღდგენას, კლინიკური სიკვდილის მდგომარეობაში ადამიანი წარმოადგენს სამართლის სუბიექტს. ბიოლოგიური სიკვდილი შეუქცევადია და არანაირი სამედიცინო მანიპულაციებით არ შეიძლება ადამიანის გაცოცხლება. არსებობს სიცოცხლის განსხვავებული განმარტება ფილოსოფიის, რელიგიის, ბიოლოგიის, ქიმიის, ფიზიკის და სხვა მეცნიერებების თვალსაზრისით. ფილოსოფოსები სიცოცხლეს განმარტავენ, როგორც მატერიის არსებობის ფორმას, რომელიც განვითარების პროცესში, გარკვეულ პირობებში, კანონზომიერად წარმოშობა. განმარტებით ლექსიკონში სიცოცხლე განმარტებულია, როგორც ადამიანის ფიზიოლოგიური არსებობა.

არანაკლებ მნიშვნელოვანია სიცოცხლის დეფინიცია სამართლის პოზიციიდან. ადამიანის დაბადება და სიკვდილი წარმოადგენს იურიდიულ ფაქტებს, რომელსაც უკავშირდება გარკვეული (სიცოცხლის, ქონებრივი, არაქონებრივი) უფლებების წარმოშობა. სიცოცხლე შეიძლება დავახასიათოთ, როგორც უმაღლესი არამატერიალური სიკეთე.

იმ შემთხვევაში, როცა ადამიანის სიცოცხლეს საფრთხე ემუქრება იგი რა თქმა უნდა განიცდის ზნეობრივ ტანჯვას. ამრიგად, მსგავსი სამართლდარღვევის დროს დაზარალებულს აქვს მისთვის მიყენებული მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება. სიცოცხლის, როგორც ადამიანის ერთ-ერთი უდიდესი ფასეულობის დაცვა ხორციელდება სისხლის სამართლის კანონმდებლობითაც.

§ 6.3. პასუხისმგებლობა ჯანმრთელობის ხელყოფის შემთხვევაში

კონსტიტუციით აღიარებული უფლებებიდან დიდი მნიშვნელობა ენიჭება ჯანმრთელობის უფლებას. ჯანმრთელობა ეს არის სრული ფიზიკური, სულიერი და სოციალური კეთილდღობის მდგომარეობა. ჯანმრთელობის უფლება აბსოლუტური ხასიათისაა, რადგან პირის ამ უფლებას შექსაბამება სხვა დანარჩენ პირთა მოვალეობა თავი შეიკავონ ამ უფლების დარღვევისაგან.

ჯანმრთელობის ხელყოფის შედეგად მიყენებული მორალური ზიანი შეიძლება მდგომარეობდეს ზნეობრივ ან ფიზიკურ ტანჯვაში, რაც პირმა

განიცადა შრომის უნარიანობის მთლიანად ან ნაწილობრივ დაკარგვის, აქტიური ცხოვრების წესის გაგრძელების შეუძლებლობის, რაიმე უფლების შეზღუდვის და დაკარგვის, ფიზიკური ტკივილების განცდის და ა.შ. გამო, რაც გამოიწვია მისი ჯანმრთელობის შერყევამ, მის მიმართ განხორციელებული არამართლზომიერი ქმედების ან გადატანილი განცდების შედეგად.

ავტორთა ნაწილი თვლის, რომ მსგავს შემთხვევაში მორალური ზიანის ანაზღაურების უფლება აქვთ დაზარალებულის ახლობლებსაც. ვინაიდან, ახლობელი ადამიანის ჯანმრთელობისათვის ზიანის მიყენებამ მათში შეიძლება გამოიწვიოს არანაკლები ზნეობრივი განცდები, რაც საბოლოოდ სხვა არაფერია თუ არა მათი არაქონებრივი სიკეთების და უფლებების შელახვა.²⁸³

“აღნიშნული მოსაზრება ნამდვილად არ არის მოკლებული ჭეშმარიტებას, თუმცა მისი არც ცალსახად და ერთმნიშვნელოვნად გადაწყვეტაა სწორი. ცალკეულ შემთხვევებში ახლობელი ადამიანის ჯანმრთელობისათვის ზიანის მიყენება მართლაც შეიძლება გახდეს მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის საფუძველი, თუმცა საკითხის გადაწყვეტა მთელი რიგი გარემოებების გათვალისწინებით მაინც სასამართლოს პრეროგატივა.”²⁸⁴ დაზარალებულს ჯანმრთელობის დანაშაულებრივი ხელყოფის შემთხვევაშიც, შეუძლია მოითხოვოს მიყენებული მორალური ზიანის ანაზღაურება. რაც შეეხება, ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანის ხარისხს, ეს გარემოება სასამართლომ მხედველობაში უნდა მიიღოს ანაზღაურების ოდენობის განსაზღვრისას.

ადამიანის უპირველესი უფლებების სიცოცხლისა და ჯანმრთელობის ხელყოფისას დაცვის უმნიშვნელოვანების საშუალებაა მორალური ზიანის ანაზღაურება. ამ მხრივ განსაკუთრებით საინტერესოა სტრასბურგის საერთაშორისო სასამართლოს პრაქტიკა საქართველოს საქმეებზე.

ევროსასამართლომ დ. დ-იას საქმეზე მიიჩნია, რომ განმცხადებელი წინასწარი დაკავების დროს წამების მსხვერპლი გახდა. საგამოძიებო მოქმედებათა არარსებობის პირობებში ადგილი პქონდა ევროპული კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევას.

²⁸³ К.И. Голубев, С. В Нарижний Компенсация морального вреда как способ защиты неимущественных благ личности, ст. 140.

²⁸⁴ შალვა ჩიქვაშვილი “პასუხისმგებლობა მორალური ზიანისათვის,” თბილისი, 2003 წელი. გვ. 110.

განმცხადებელი დ. დ-ია მუშაობდა დაკავებულთა და მსჯავრდებულთა ზედამხედველად საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასჯელადსრულებითი დეპარტამენტის სამედიცინო დაწესებულებაში (ციხის ცენტრალური საავადმყოფო). განმცხადებლის მიერ სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულების დროს, თორმეტმა მსჯავრდებულმა, ერთ-ერთი მათგანის საკანში გათხრილი გვირაბის საშუალებით, ორგანიზებული გაქცევა განახორციელეს.

აღიძრა სისხლის სამართლის საქმე. იმავე დღეს განმცხადებელი მოწმის სახით დაიკითხა. შეაღამისას იგი დააკავეს როგორც ეჭვმიტანილი და მოათავსეს შინაგან საქმეთა სამინისტროს დროებითი დაკავების იზოლატორში. მას ბრალი დაედო სამსახურეობრივ გულგრილობაში, რამაც მიმე შედეგი გამოიწვია. (სისხლის სამართლის კოდექსის 342(2) მუხლი).

ადვოკატან შეხვედრისას დ. დ-იამ აღნიშნა, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა ბრალის აღიარების მიზნით, მის მიმართ ძალადობა განახორციელებს. ბატონმა დ-იამ განაცხადა, რომ ელექტროშოკით წამებისას პოლიციელები მისგან პატიმრების გაქცევაში მისი მონაწილეობის აღიარებას მოითხოვდნენ. დ-იას უნდა ეთქვა, რომ იგი დაეხმარა მსჯავრდებულებს ციხის ტერიტორიის დატოვებაში, სანაცვლოდ კი მნიშვნელოვანი თანხა აიღო. წინასწარი გამოძიების სტადიაზე ადვოკატმა განცხადებით მიმართა საგამოძიებო ნაწილის უფროსის მოადგილეს და აცნობა მისი კლიენტის ელექტროშოკით წამების ფაქტის შესახებ. ადვოკატმა მოითხოვა, პატიმრის საკანში დამოუკიდებელი ექსპერტების შეშვება.

გენერალური პროკურატურის გამომძიებელმა უარყო დამოუკიდებელი ექსპერტების მოწვევის მოთხოვნა. სამაგიეროდ, მან დანიშნა სახელმწიფო სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა, რომელსაც პასუხი უნდა გაეცა ადვოკატის მიერ დასმული შეკითხვებისათვის. ექსპერტიზის ჩატარება დაევალა ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს სასამართლო სამედიცინო კვლევის ცენტრს.

განმცხადებლის წამებას გამოხმაურება მოჰყვა ტელევიზიასა და პრესაში. მასალების გამოქვეყნების შემდეგ, განმცხადებელი ინახულეს ადამიანის უფლებათა საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარემ და სახალხო დამცველის წარმომადგენელმა. მათ დაადასტურეს, რომ ბრალდებულის ხელის მტევნებზე და თითებზე მართლაც შეიმჩნეოდა ნაჩხვლეტების კვალი და მუქი ყავისფერი ლაქები. მოგვიანებით, საპარლამენტო კომიტეტის

თავმჯდომარე საგაზეთო ინტერვიუში ამტკიცებდა, რომ „დ-თ დ-ია დანაშაულის აღიარების მიზნით მართლაც აწამეს.“

თბილისის საოლქო სასამართლომ განმცხადებელი დამნაშავედ სცნო სისხლის სამართლის კოდექსის 342-ე (2) მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში და სასჯელის სახით განესაზღვრა ორი წლით თავისუფლების აღკვეთა საერთო რეჟიმის სასჯელადსრულებით დაწესებულებაში მოხდით, რაც შეეცვალა პირობითი მსჯავრით და გამოსაცდელი ვადად სამი წელი დაუდგინდა. აღნიშნული განაჩენი უცვლელად იქნა დატოვებული საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის განჩინებით. განმცხადებელი ჩივის, რომ ის წინასწარი დაკავების დროს წამების მსხვერპლი გახდა. თუმცა, ჭეშმარიტების დადგენის მიზნით ხელისუფლების შესაბამისი ორგანოების წარმომადგენლებმა მას დამოუკიდებელი ექსპერტიზის ჩატარების ნება არ დართეს.

სასამართლომ აღნიშნა, რომ კონვენციის მე-3 მუხლით დაცული უფლება წარმოადგენს დემოკრატიული საზოგადოების ერთ-ერთ ფუნდამენტურ ღირებულებას. აღნიშნული კი ავალდებულებს წევრ სახელმწიფოებს ყველა პატიმრისათვის ადამიანური ღირსების პატივისცემის შესაფერისი პირობების უზრუნველყოფას, რათა შეფარდებული სასჯელის ზომამ არ ჩააგდოს იგი იმაზე მეტ განსაცდელში და არ დათრგუნოს იმ ინტენსივობით, რომელიც აღემატება პატიმრობისათვის დამახასიათებელი შინაგანი ტანჯვის ჩვეულ დონეს და, რომ პრაქტიკაში არსებულ პატიმრობის პირობებისათვის აუცილებელ მოთხოვნათა შესაბამისად, დაპატიმრებულის ჯანმრთელობის მდგომარეობა და მისი კეთილდღეობა ადეკვატურად უნდა იქნას უზრუნველყოფილი. სათანადო მტკიცებულების, კერძოდ, დამოუკიდებელი ექსპერტიზის დასკვნის არაარსებობის გამო სასამართლომ ვერ დაასკვნა დაირდვა თუ არა კონვენციის მე-3 მუხლი დაკავებისას არასათანადო მოპყრობის გამო. ხელისუფლების წარმომადგენელთა მხრიდან განმცხადებლის მიმართ მიუქნებული არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის შესახებ გაცხადებული პრეტენზის მიუხედავად, შესაბამისმა ორგანოებმა არ განახორციელეს რაიმე სხვა საპროცესო მოქმედება. საგამოძიებო მოქმედებათა არარსებობის პირობებში ევროპული სასამართლო ადგენს, რომ ადგილი პქონდა ევროპული კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევას მის პროცედურულ ნაწილთან მიმართებით. აღნიშნულიდან გამომდინარე

ევროპულმა სასამართლომ მიყენებული მორალური ზიანისათვის მოპასუხე საქართველოს დაკისრა 3 თვის გადაში 3.000 ევროს (სამი ათასი ევრო) გადახდა.²⁸⁵

პირადი უფლებების დაცვის უმნიშვნელოვანები საშუალება ქონებრივთან ერთად მორალური ზიანის ანაზღაურებაა. როგორც ზემოთ არაერთგზის აღვნიშნეთ მორალური ზიანის ანაზღაურებას ითვალისწინებს სამოქალაქო კოდექსის მე-18 და 413-ე მუხლები. ამ უკანასკნელი ნორმის მიხედვით არაქონებრივი ზიანისათვის ფულადი ანაზღაურება შეიძლება მოთხოვილ იქნეს მხოლოდ კანონით ზუსტად განსაზღვრულ შემთხვევებში გონივრული და სამართლიანი ანაზღაურების სახით. სხეულის დაზიანების ან ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შემთხვევებში დაზარალებულს შეუძლია მოითხოვოს ანაზღაურება არაქონებრივი ზიანისთვისაც. თუ მორალური ზიანი მიყენებულია ქონებრივ ზიანთან ერთად, მაშინ ორივე უნდა ანაზღაურდეს, ხოლო, თუ მხოლოდ მორალური ზიანია მიყენებული, მაშინ მისი ანაზღაურება მოხდება ქონებრივი ზიანის არარსებობის მიუხედავად.

“წარმოშობის წყაროების მიხედვით, მატერიალური და მორალური ზიანი არ განსხვავდება ერთმანეთისგან. სიკეთე, რომლის ვნებასაც ქონებრივი ზიანი მოჰყვა, შეიძლება ქონება არ იყოს, ამ ტერმინის იურიდიული გაგებით. შესაძლებელია, რომ მორალური სიკეთის ხელყოფამ გამოიწვიოს ქონებრივი ზიანი (მაგალითად, ჯანმრთელობის დაზიანების შედეგად შრომისუნარიანობის დაქვეითება და შრომითი შემოსავლების შემცირება) ან პირიქით, მატერიალური სიკეთის ხელყოფას მორალური ზიანის დადგომა მოჰყვეს (მაგალითად, ინდივიდუალურად განსაზღვრული ნივთის დაზიანებით ან დაღუპვით გამოწვეული გულისტკივილი). შესაძლებელია ისეთი შემთხვევაც, როდესაც სახეზეა მორალური ზიანი, დამოუკიდებლად მატერიალური ზიანისაგან.”²⁸⁶

უზენაესმა სასამართლომ ქვემოთ მითითებულ შემთხვევაში დელიქტური გალდებულების საფუძველზე ნაგებობიდან გამომდინარე საფრთხის წყაროთი მიყენებული ზიანის ანაზღაურებასთან ერთად სკ-ის 413-ე მეორე ნაწილით არასრულწლოვან დაზარალებულს ჯანმრთელობის დაზიანების გამო მორალური ზიანიც აუნაზღაურა.

²⁸⁵ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განჩინებათა კრებული. თბილისი, 2010 წელი, გვ. 65

²⁸⁶ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეოთხე, ტომი II, თბ. 2001 წ., გვ. 381.

ნ-ძემ სარჩელი ადმრა სასამართლოში ს.ს. „სინათლის“ წინააღმდეგ მისი არასრულწლოვანი შვილის უფლებისა და ინტერესის დასაცავად. მან მიუთითა შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე: 200 წლის 17 ივნისს, მისი 8 წლის მარიამი მრავალბინიანი სახლის ეზოში თამაშის დროს შევიდა სატრანსფორმატორო ქვესადგურის მაღალი ძაბვის სათავსოს დია კარებზი, სადაც ელექტროდენის ზემოქმედების გამო მიიღო სიცოცხლისათვის საშიში სხეულის დახიანება. კერძოდ, მეოთხე ხარისხის ელექტროტექნიკური დამწვრობა, რომლის გამოც აუცილებელი გახდა მარჯვენა ხელის ამპუტაცია. მარცხენა ხელის მტევანი აღარ ფუნქციონირებს, ტანზე და სახეზე დარჩა დასახიჩრების წარუშლელი კვალი (ეს ფაქტები დადგენილია 200 წლის 20 ივნისის გადაწყვეტილებით).

უდიდესმა ფიზიკურმა ტკივილმა და სხეულის დასახიჩრებამ ბავშვში გამოიწვია ნეგატიური ფსიქიკური ცვლილებები. შიში გახდა მისი ცხოვრების მუდმივი თანამგზავრი. დამწვრობის ცენტრის რეანიმაციულ განყოფილებაში მან გადაიტანა სიკვდილის შიში, ერთ-ერთი ოპერაციის შემდეგ ხელის დაკარგვა კი, მისთვის უზარმაზარი შოკი იყო. ყოველი ოპერაციის წინ დედას უხდებოდა მისი დარწმუნება, რომ არ მოხდებოდა მარცხენა ხელის ამპუტაცია.

დაზარალებულის ნორმალური ფსიქიკური განვითარებისათვის აუცილებელი და ჩვეული გარემო: ოჯახი, თანატოლები და სკოლა, შეიცვალა უცხო, მიუღებელი გარემოთი. იგი გულჩათხრობილი გახდა, გაუჭირდა თანატოლებთან ურთიერთობა არა მარტო იმიტომ, რომ გაუჩნდა არასრულფასოვნების კომპლექსი და მისთვის სარპეში ყოველი ჩახედვა აუტანელი სულიერი ტკივილის მომტანია, არამედ იმიტომაც, რომ თავისი ფიზიკური ნაკლის გამო ის მოკლებულია ისეთ უწყინარ და ბავშვისათვის აუცილებელი საქმიანობის შესრულებას, როგორიცაა თამაში, აქტიური დასვენება.

აღნიშნული გარემოებების საფუძველზე მოსარჩელე მოითხოვა არამატერიალური (მორალური) ზიანის კომპენსაციის მიზნით მოპასუხებ გადაუხადოს 700 000 ლარი, ხოლო შრომის უნარის დაკარგვის გამო კი, ყოველთვიურად უხადოს 1000 ლარი. მოსარჩელე თავისი მოთხოვნების დასადასტურებლად ეყრდნობა დაზარალებულის მიმართ გაწეულ და მომავალში გასაწევ მკურნალობის სარჯების შესახებ წერილობით

დოკუმენტებს, მედიცინის, ფსიქოლოგიისა და ფსიქიატრიის დარგის საეციალისტების დასკვნებს (ექსპერტიზის დასკვნებს).

დადგენილია, რომ უდიდესმა ფიზიკურმა ტკივილმა და სხეულის დასახიჩრებამ დაზარალებულში, რომელიც ამჟამად 13 წლისაა, გამოიწვია ნეგატიური ფსიქიკური ცვლილებები.

ამასთან სასამართლომ არაქონებრივი ზიანის 700000 ლარით განსაზღვრა გადაჭარბებულად და არაგონივრულად მიიჩნია და მორალური ზიანი განსაზღვრა 20000 ლარის ოდენობით მიუქნებული ზიანის გათვალისწინებით, კერძოდ, იმის მხედველობაში მიღებით, რომ დამწვრობამ მოიცვა დაზარალებულის სხეულის 25%, გამოიწვია მარჯვენა ზედა კიდურის ამპუტაცია (ამავე კიდურის რეამპუტაცია გარდაუვალია) მრავალმა პლასტიკურმა ოპერაციამ გამოიწვია ნეგატიური ფსიქიკური ცვლილებები, სასამართლომ ჩათვალა, რომ მითითებული თანხა გონივრულ და სამართლიან შესაბამისობაში იქნება დამდგარ შედეგებთან. ²⁸⁷

უხარისხო პროდუქტით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების ვალდებულება ასევე დელიქტური ვალდებულებაა და იწვევს სამოქალაქო სამართლებრივ პასუხისმგებლობას. სამოქალაქო კოდექსის 1009-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად უხარისხო პროდუქტის მწარმოებელი პასუხს აგებს ამ პროდუქტით გამოწვეული ზიანისათვის, მიუხედავად იმისა, იმყოფებოდა თუ არა იგი სახელშეკრულებო ურთიერთობაში დაზარალებულთან. 1014-ე მუხლის მიხედვით კი 1009-ე მუხლის მიხედვით ზიანის ანაზღაურების ვალდებულება ვრცელდება ზიანზე, რომელიც წარმოიშვა სიკვდილით, ან სხეულის ანდა ჯანმრთელობის დაზიანებით.

უზენაესმა სასამართლომ მიიჩნია რა დარღვეულად სამოქალაქო კოდექსის 1009-ე, 1010-ე მუხლები, დელიქტური პასუხისმგებლობის ფარგლებში უხარისხო პროდუქტით მიუქნებული ჯანმრთელობის ხელყოფის გამო მორალური ზიანის ანაზღაურება დააკისრა მოპასუხეს მოსარჩევის სასარგებლოდ, რომელმაც მატერიალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა მოხსნა.

ლ. ჩ-ძემ სარჩელით მიმართა სასამართლოს და მოითხოვა მოპასუხე შპს ”ბიოსაგან” მორალური და მატერიალური ზიანის ანაზღაურება 200000 ლარის ოდენობით. მოგვიანებით მოსარჩელემ მატერიალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა მოხსნა. მოსარჩელის განმარტებით საკეისრო

²⁸⁷ www.supremecourt.ge/გადაწყვეტილებანი სამოქალაქო საქმეებზე.

კვეთის ოპერაციისას დიდი რაოდენობით სისხლის დაკარგვის გამო დასჭირდა სისხლის გადასხმა. მისმა ნათესავებმა გადასხმისათვის საჭირო მასალა შეიძინეს შპს „ბიო“-ში. მოგვიანებით აღმოჩნდა, რომ დედა-შვილი დაავადებული იყვნენ „აივ,“ ქ.წ. შიდსის ვირუსით. აღნიშნულმა გარემოებამ მოსარჩელის ოჯახს მიაყენა უდიდესი მორალური და მატერიალური ზიანი, რის გამოც სამოქალაქო კოდექსის 408-ე, 412-413-ე, 992-ე, 1009-ე და 1014-ე მუხლების საფუძველზე მოპასუხეს უნდა დაეკისროს აღნიშნული ზიანის ანაზღაურება, რადგან მოსარჩელე და მისი შვილი სწორედ სისხლის ბანკის ხელმძღვანელობის ბრალეული ქმედების შედეგად დაავადდნენ. სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო კოდექსის 1011-ე, 1010-ე, 487-ე, 494-ე, 1009-ე მუხლებით, ასევე მოპასუხე საზოგადოების წესდების მე-3 მუხლით და ჩათვალა, რომ ლ.ჩ.-ის ახლო ნათესავები მოსარჩელისათვის საჭირო სისხლის შეძენისას ვარაუდობდნენ, რომ იძენდნენ უქველად საიმედო, ხარისხიან პროდუქტს და ისინი ნივთის ვარგისიანობის შესაძლო ნაკლზე არავის გაუფრთხილებია. სასამართლომ არ გაიზიარა მოპასუხე ორგანიზაციის მოსაზრება, რომ მოცემულ შემთხვევაში სარეალიზაციო პროდუქტის გატანის დროს არსებული მეცნიერულ-ტექნოლოგიური დონის გათვალისწინებით შეუძლებელი იყო პროდუქტის ნაკლის აღმოჩენა, ამდენად, საზოგადოების ბრალი არ არსებობს, რაც მის პასუხისმგებლობას გამორიცხავს. სასამართლომ განმარტა, რომ კანონის ზემოხსენებული დანაწესები სავალდებულოა მხარეთათვის ნებისმიერი მეცნიერებისა და ტექნოლოგიების განვითარების დონის მიუხედავად, რის გამოც მოპასუხე ვალდებული იყო, ეწარმოებინა და გაესხვისებინა მხოლოდ უსაფრთხო სისხლი იმ გარემოებათა გაუთვალისწინებლად, თუ რა დირექტულების გამოკვლევები ესაჭიროებოდა აღნიშნულს.

სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო კოდექსის 413-ე მუხლით და ლ.ჩ.-ის მოთხოვნა მორალური ზიანის ანაზღაურების შესახებ საფუძვლიანად მიიჩნია. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 106-ე მუხლზე დაყრდნობით სასამართლომ ჩათვალა, რომ მოსარჩელისათვის მიუწებული მორალური ზიანის არსებობა მტკიცებას არ საჭიროებს და დააკისრა მოპასუხეს არაქონებრივი, მორალური ზიანის ანაზღაურება 20 000 ლარის ოდენობით.

საკასაციო პალატამ უცვლელად დატოვა რა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება უხარისხო პროდუქტით გამოწვეული

მორალური ზიანის ანაზღაურების შესახებ განმარტა, რომ სამოქალაქო კოდექსის 1010-ე მუხლი პროდუქტის უხარისხობის კრიტერიუმად მიიჩნევს რა მის საიმედოობას, სამოქალაქო ბრუნვის მონაწილისათვის და განსაკუთრებით არამეწარმე მომხმარებლისათვის რთულია და ზოგ შემთხვევაში შეუძლებელიცაა, განსაზღვროს თუ რამდენად საიმედოა ესა თუ ის პროდუქტი. მოცემულ შემთხვევაში კასატორი, თავისი საქმიანობიდან გამომდინარე, სახელმწიფოს მიერ გაცემული სპეციალური ნებართვის საფუძველზე აწარმოებს რა სპეციფიკური პროდუქტის – სისხლის პროდუქციასა და მის რეალიზაციას, მომხმარებელს მის მიმართ განსაკუთრებული ნდობა გააჩნია. ამასთან, საკასაციო პალატამ განმარტა, რომ ვინაიდან მწარმოებელი ახდენს ისეთი პროდუქციის რეალიზაციას, რომელიც პირდაპირ მოქმედებს ადამიანის აბსოლუტურ უფლებაზე – სიცოცხლესა და ჯანმრთელობაზე და რომლის ხარისხის სრულყოფილი გამოკვლევა მეცნიერებისა და ტექნიკის არსებული დონის გათვალისწინებით გარკვეულ პრობლემებთანაა დაკავშირებული, ვალდებულია, მომხმარებელს მისცეს ინფორმაცია აღნიშნულის თაობაზე და გააფრთხილოს სავარაუდო თანამდევ შედეგებზე.²⁸⁸

§ 6.4. სახელმწიფოს პასუხისმგებლობა მისი მოსამსახურის მიერ მიყენებული ზიანისათვის

მიუხედავად, იმისა, რომ დელიქტის თითოეული სახე მნიშვნელოვანია პიროვნების დაცვის თვალსაზრისით, განსახილველ თემასთან დაკავშირებით მიზანშეწონილად მიგვაჩნია განვიხილოთ სახელმწიფოს პასუხისმგებლობის საკითხი მისი მოსამსახურის მიერ მიყენებული ზიანისათვის.

ცნობილია, რომ სახელმწიფოს მიერ მოქალაქეთა წინაშე ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობა იწვევს უნდობლობას სახელმწიფოს მიმართ და მოქალაქეთა სწრაფვას პირადი ინტერესის არასამართლებრივი გზით დაკმაყოფილებისაკენ. ასეთ პირობებში ხელისუფლებისა და მისი წარმომადგენლის პასუხისმგებლობის საკითხის გადაწყვეტისას საჭიროა შესაბამისი სახელმწიფო-სამართლებრივი პოლიტიკის უზრუნველყოფა. სახელმწიფოს პასუხისმგებლობის შესახებ კანონმდებლობის განვითარების

²⁸⁸ საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სამოქალაქო საქმეებზე, თბილისი, საქმე № ას-296-624-07, 25.09.2007 წელი.

ისტორია მეტყველებს იმაზე, რომ თავდაპირველად იგი გამოირჩეოდა უკიდურესი ზომიერებითა და იმ პირთა ძალზე ვიწრო წრის განსაზღვრით, ვისთვისაც მიუენებული ზიანი ექვემდებარებოდა ანაზღაურებას. თუმცა ნელნელა ხორციელდებოდა საკანონმდებლო გზით სამოქალაქო საქმეებზე სახელმწიფოს პასუხისმგებლობის დამკვიდრების მცდელობა. სისხლის სამართლის პროცესის ადრეულ ეპოქაში პასუხისმგებლობა მირითადად ეკისრებოდა დამნაშავე თანამდებობის პირებს, მაგრამ დროთა განმავლობაში აღიარებულ იქნა თვით სახელმწიფოს პასუხისმგებლობის აუცილებლობა. პირველად სახელმწიფოს მიერ უდანაშაულოთა დაჯილდოების (ანაზღაურების) იდეა გამოთქვა პუფენდორფმა XVIIIს-ში. XVIIIს-ში ვოლტერმა მიაღწია მრავალი პირის საქმის გადასინჯვას. 1850 წლების დასაწყისში შვეიცარიის კანტონების სისხლი სამართლის წარმოებაში შეიტანეს მუხლები, რომლის შესაბამისადაც ზიანი უნაზღაურდებოდათ იმ პირებს, რომლებიც იმყოფებოდნენ წინაპატიმრობაში, მაგრამ შემდგომ განთავისუფლებულ იქნენ. აგრეთვე პირებს, რომელთა საქმეც წყდებოდა ბრალის არარსებობის ან საკმარისი სამხილების არქონის გამო, აგრეთვე ყველა გამართლებულს ან უკანონდ გასამართლებულს. სახელმწიფოს პასუხისმგებლობის გამორიცხვის და დაუსაბუთებელი შეზღუდვისაპერ სწრაფვა ძველი დროიდან მომდინარე ტრადიციაა და დამახასიათებელია აბსოლუტური მონარქიისა ან ტოტალიტარული რეჟიმისათვის.²⁸⁹

სახელმწიფოს მიერ მოქალაქეთათვის მიუენებული ზარალის ანაზღაურების ზოგად დემოკრატიული პრინციპი განმტკიცებულია მსოფლიოს უმრავლესი სახელმწიფოს კონსტიტუციაში, რეალიზებულია სასამართლო საქმიანობის მარეგულირებელ კანონმდებლობაში ან სახელმწიფოს პასუხისმგებლობის სხვა სპეციალურ კანონებში.

ჩვენი ქვეყნისგან განსხვავებით ბევრ ქვეყანაში უკვე დიდი ხანია შექმნილია და წარმატებითაც ფუნქციონირებს სამართლებრივი ბაზა, აგრეთვე არსებობს ფართო სასამართლო პრაქტიკა სასამართლოს მიერ სახელმწიფო ორგანოების და თანამდებობის პირების მიერ მიუენებული ზიანის ანაზღაურების სფეროში. მაგ. ამერიკაში, დიდ ბრიტანეთში, საფრანგეთში და ა.შ. მიღებულია არაერთი სამართლებრივი აქტი, რომლებიც დეტალურად არეგულირებენ სახელმწიფო ორგანოებისა და თანამდებობის პირთა მიერ

²⁸⁹ Бойцова Л.В. Ответственность государства и судей за вред причиненный гражданам при отправлении правосудия ж российского права №96 2001, с 51.

მიუენებული ზიანის სასამართლოს მეშვეობით ანაზღაურების წესს, უთითებენ სახელმწიფოს პასუხისმგებლობის საფუძველს, განსაზღვრავენ შემთხვევებს, როცა გამოირიცხება სახელმწიფოს პასუხისმგებლობა, ადგენენ სახელმწიფოს მიერ დამნაშავე პირის მიმართ რეგრესული სარჩელის წარდგენის უფლებას.²⁹⁰

სახელმწიფო მმართველობის სფეროში მოქალაქეთა უფლებების და თავისუფლებების დაცვის ერთ-ერთ გარანტიას წარმოადგენს სახელმწიფოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მეცხრე პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულება აანაზღაუროს სახელმწიფო და თვითმმართველობის ორგანოთა და მოსამსახურეთაგან უკანონო ქმედებით მიყენებული ზიანი. ვინაიდან ზიანის ანაზღაურება წარმოადგენს დარღვეული უფლების დაცვის აბსოლუტურ სამოქალაქო-სამართლებრივ საშუალებას კონსტიტუციის გარდა აღნიშნულ ურთიერთობებს არეგულირებს როგორც სკ-ის 1005-ე მუხლი, ასევე სზაკ-ის 208-ე მუხლი. ამდენად სახელმწიფო ორგანოების უკანონო ქმედებით ზიანის მიყენების შემთხვევაში გამოიყენება დელიქტური პასუხისმგებლობის ზოგადი პირობები, აგრეთვე მთელი რიგი სპეციალური პირობები, დამატებით გათვალისწინებული ადმინისტრაციული კანონმდებლობის მიერ. ამასთან არც ერთი ნორმატიული აქტი დეტალურად არ არეგულირებს ამ ურთიერთობებს, რაც განაპირობებს არაერთი სირთულის თუ თავისებურების არსებობას ამ საკითხთან დაკავშირებით. სახელმწიფო მოსამსახურის უკანონო ქმედებით (უმოქმედობით) მიყენებული ზიანისათვის სახელმწიფოს პასუხისმგებლობის მატერიალურ საფუძველს შეადგენს: 1. სახელმწიფო მოსამსახურის უკანონო ქმედება. (უმოქმედობა); 2. მატერიალური ან მორალური ზიანი; 3. უკანონო ქმედებასა და ზიანს შორის მიზეზობრივი კავშირი; 4. სახელმწიფო მოსამსახურის ბრალი.²⁹¹

სახელმწიფოსაგან ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების საფუძველს პირველ რიგში წარმოადგენს სახელმწიფო მოსამსახურის უკანონო ქმედება (უმოქმედობა) ან გადაწყვეტილება. უკანონო ქმედების ქვეშ იგულისხმება ქმედება, რომელიც ეწინააღმდეგება არ მხოლოდ კანონებს, არამედ ნებისმიერი დონის სხვა ნორმატიულ-სამართლებრივ აქტებსაც. როგორც უკვე აღვნიშნეთ ანაზღაურებას ექვემდებარება ზიანი მიყენებული არა მარტო არამართლზომიერი ქმედებით, ანუ სახელმწიფო მოსამსახურის აქტიური ქმედებით (მაგ. პიროვნების უკანონო დაკავება), არამედ

²⁹⁰ Рошин Михаил Евгеньевич “Гражданско-правовая ответственность за вред, причиненный судебно-следственными органами” Москва. 2005, гл. 23.

²⁹¹ შ. ჩიკვაშვილი, მორალური ზიანი სამოქალაქო სამართალში, თბილისი, 1998, გვ.145.

უმოქმედობითაც. უკანასკნელი გულისხმობს სახელმწიფო მოსამსახურის მიერ დადგენილ ვადებში მათზე დაკისრებული გარკვეული მოქმედების შეუსრულებლობას, რომელიც მათ კანონის ან სხვა ნორმატიული აქტის შესაბამისად უნდა შეუსრულებინათ (მაგ. პეტრის გაუცემლობა, საჩივრის განუხილველობა და ა.შ.).

სახელმწიფო ორგანოების და მათი თანამდებობის პირების უკანონო ქმედებების (ან უმოქმედობების) რაიმე ჩამონათვალს, რომელთა ჩადენასაც მოჰყვება სახელმწიფოს პასუხისმგებლობა მოქალაქეთაფის ზიანის ანაზღაურების შესახებ კანონმდებლობა არ შეცავს. ამის შესაბამისად თანამდებობის პირის მიერ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების პროცესში ჩადენილი ნებისმიერი ქმედება (უმოქმედობა) შეიძლება გახდეს სახელმწიფოს მატერიალური პასუხისმგებლობის საფუძველი.

ზიანი შეიძლება გამოიწვიოს არა მარტო ქმედებამ ან უმოქმედობამ, არამედ სახელმწიფო მმართველობის სფეროში აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ მიღებულმა გადაწყვეტილებებმაც, რადგან ამ უკანასკნელთ აქვთ კანონქვემდებარე ხასიათი და წარმოადგენენ აღმასრულებელი ხელისუფლების უფლებამოსილების განხორციელების ძირითად იურიდიულ ფორმას. აშკარაა, რომ გადაწყვეტილებაში ყოველთვის აისახება მისი მიმღები ორგანოს ქმედება, თუმცა პრაქტიკაში მოქალაქეთა უფლებები გაცილებით ხშირად თანამდებობის პირთა ქმედებით ირღვევა, ამ ქმედების რაიმე აქტით გაფორმების გარეშე.²⁹²

უკანონო ქმედების დახასიათებისას მხედველობაში უნდა მივიღოთ აღმასრულებელი ხელისუფლების არა ნებისმიერი თანამშრომლის, არამედ მხოლოდ თანამდებობის პირთა ქმედება (უმოქმედობა), თუმცა ჩვენი კანონმდებლობა არ შეიცავს თანამდებობის პირის სამართლის უველა დარგისათვის საერთო ცნებას. ჩვენს მიერ განსახილველ საკითხთან მიმართებაში თანამდებობის პირის ქვეშ უფრო მართებულია ვიგულისხმოთ ის სახელმწიფო მოხელეები, რომლებიც აღჭურვილნი არიან განმკარგულებელი ხასიათის უფლებამოსილებით იმ პირთა მიმართ, რომლებიც არ არიან მათდამი ქვემდებარე. სხვა სიტყვებით, საუბარია მხოლოდ იმ მოხელეებზე რომლებიც ჩვეულებრივ იწოდებიან ხელისუფლების წარმომადგენლებად. მათი

²⁹² ზ.ადეიშვილი, ქ.ვარდიაშვილი, ლ.იზორია, მ.კოპალეიშვილი, ნ.სხირტლაძე, პ.ტურავა. დ.ქიტოშვილი „ხოგადი ადმინისტრაციული სამართლის სახელმძღვანელო“ თბილისი, 2005 წელი, გვ. 311.

ტიპიური წარმომადგენლები არიან პოლიციის, საბაჟოს, საგადასახადო ორგანოების, სხვადასხვა სახის ინსპექციის თანამშრომლები.²⁹³

უკანონო ქმედებით მიყენებული ზიანი ანაზღაურდება სახელმწიფოს მხრიდან საჯარო მოსამსახურებისა ან თანამდებობის პირთა ბრალის მიუხედავად, ხოლო ბრალის არსებობის შემთხვევაში ისინი სახელმწიფოსთან ერთად სოლიდარულად აგებენ პასუხს. ბრალი შეიძლება იყოს როგორც განზრავის, ისე გაუფრთხილებლობის ფორმით, თუმცა განსახილველ სფეროში ზიანი, როგორც წესი ადგება გაუფრთხილებლობით. სახელმწიფო ორგანოს (თანამდებობის პირის) ბრალი ყოველთვის ივარაუდება და სახელმწიფო ხელისუფლების ორგანო შეიძლება განთავისუფლდეს პასუხისმგებლობისაგან თუკი დაამტკიცებს ბრალის არარსებობას.

ზიანი შეიძლება მიადგეს როგორც პიროვნებას, ისე ქონებას, ამიტომ კანონმდებლობა როგორც დელიქტის სხვა სახეების შემთხვევაში ითვალისწინებს როგორც მატერიალური, ისე მორალური ზიანის ანაზღაურებას.

სახელმწიფოს პასუხისმგებლობის დადგომის აუცილებელ პირობას არამართხომიერ ქმედებასა (უმოქმედობასა) და დამდგარ ზიანს შორის მიზეზობრივი კაგშირის არსებობა, რაც იმაში გამოიხატება, რომ, პირველი მეორეს უსწრებს დროში და იწვევს მას.

განსახილველ სფეროში მიზეზობრივი კაგშირის გამოვლენას გარკვეული სპეციფიკა ახასიათებს. როგორც წესი სახელმწიფო მმართველობის სფეროში მიყენებული ზიანი წარმოადგენს რამოდენიმე ორგანოს ამ თანამდებობის პირის ქმედების (უმოქმედობის) შედეგს, რაც გამოწვეულია აღმასრულებელი ხელისუფლების არსებული სტრუქტურით. სახელმწიფოს პასუხისმგებლობის მატერიალურ საფუძველს წარმოადგენს აღმასრულებელი ხელისუფლების (თანამდებობის პირთა) მიერ უკანონო დავალებების და ფუნქციების მართლსაწინააღმდეგო განხორციელება, რამაც გამოიწვია მატერიალური ან მორალური ზიანის დადგომა.²⁹⁴ გარდა ამისა ზიანის ანაზღაურების დაკისრებისათვის საჭიროა პროცესუალური საფუძველიც – კომპეტენტური ორგანოს აქტი აღმასრულებელი

²⁹³ იქვე, გვ. 312.

²⁹⁴ ზ.ადეგიშვილი, ქვარდიაშვილი, დ.იზორია, მ.კოპალეიშვილი, ნ.სხირტლაძე, პ.ტურავა. დ.ქიტოშვილი “ზოგადი აღმინისტრაციული სამართლის სახელმძღვანელო” თბილისი, 2005 წელი, გვ. 312.

ხელისუფლების ქმედების (უმოქმედობის) უკანონოდ მიჩნევის, აგრეთვე არამართლზომიერი გადაწყვეტილების გაუქმების შესახებ. კანონმდებლობის ანალიზი საშუალებას იძლევა გამოვყოთ ასეთი ორი წესი, ადმინისტრაციული და სასამართლო.²⁹⁵ ადმინისტრაციული წესი გულისხმობს აღმასრულებელი ხელისუფლების ქმედების ან უმოქმედობის უკანონოდ მიჩნევას და აქტის გაუქმებას არასასამართლო გზით, აღმასრულებელი ხელისუფლების იმავე ან ზემდგომი ორგანოს მიერ. ყოველივე ამის მიზეზად შეიძლება იქცეს: მოქალაქის საჩივარი, ზემდგომი ორგანოს შემოწმების შედეგები და სხვა. სასამართლო წესი გულისხმობს აღმასრულებელი ხელისუფლების ან თანამდებობის პირთა ქმედების ან უმოქმედობის უკანონოდ ცნობის ან უკანონო სამართლებრივი აქტის გაუქმებას სასამართლო ორგანოების მიერ. ადმინისტრაციული და სასამართლო წესის შედარებისას უნდა აღინიშნოს ერთი თავისებურებაც. აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოების (თანამდებობის პირების) ქმედების (უმოქმედობის) უკანონოდ ცნობასთან ერთად სასამართლო წყვეტს ზიანის ანაზღაურების საკითხებაც, რაც სასამართლოსგან განსხვავებით შეუძლებელია საკითხის ადმინისტრაციული გზით გადაწყვეტისას.

აქვე უნდა ითქვას, რომ პიროვნების კონსტიტუციით აღიარებულ და დაცულ უფლებებს ზიანი შეიძლება თვით მოსამართლეთა ქმედებამაც მიაყენოს. მართლმსაჯულების განხორციელებისას მიყენებული ზიანისათვის მოსამართლე, როგორც წესი პასუხს აგებს უხეში შეცდომის ჩადენისას, თუმცა აღსანიშნავია, რომ როგორც ჩვენს ქვეყანაში, ისე უცხოეთის მრავალ ქვეყანაში მოსამართლეთა პასუხისმგებლობის საკითხი წარმოადგენს ერთ-ერთ არასათანადოდ მოწესრიგებულ პრობლემას და პრაქტიკაში ამ მიზეზით მოსამართლეთა პასუხისმგებაში მიცემა საკმაოდ იშვიათი შემთხვევაა.²⁹⁶ ამ საკითხთან დაკავშირებით მრავალ ქვეყანაში შემუშავებულია პასუხისმგებლობის განსაზღვრული მექანიზმი. ასე მაგალითად, საფრანგეთში სახელმწიფო ანაზღაურებს მართლმსაჯულების განხორციელებისას უკანონო ქმედების შედეგად მიყენებულ ზიანს. ამასთან ეს პასუხისმგებლობა დგება, როცა მოსამართლემ ან კოლეგიურმა ორგანომ, რომელთა მოქმედებაც

²⁹⁵ იქვე, გვ. 313.

²⁹⁶ Михно Е.А. “Компенсация морального вреда во внедоговорных обязательствах.” Дис.канд.юр.наук. СПб. 1998, გვ. 102. www.dissercat.com

გასაჩივრდა, ჩაიდინა უხეში შეცდომა და უარი თქვა მართლმსაჯულებაზე. თუმცა სახელმწიფოს აქვს რეგულისაული სარჩელის წარდგენის უფლება.

დიდ ბრიტანეთში მოქმედი წესი მოხელეთა ინდივიდუალური პასუხისმგებლობის შესახებ არ ვრცელდება მოსამართლეებზე. სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან მოსამართლეებს იმუნიტეტი იცავს.

იმუნიტეტის არსებული დოქტრინის შეცვლის და კომპენსაციის პრინციპებსა და სასამართლო დამოუკიდებლობის პრინციპებს შორის ბალანსის აღდგენის მიზნით ამერიკელმა იურისტებმა წამოაყენეს წინადადება, რომელიც გულისხმობს მოსამართლეთათვის აბსოლუტური და შეზღუდული იმუნიტეტის მინიჭებას. ²⁹⁷

მიგვაჩნია, რომ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის შესახებ სარჩელში მოპასუხედ მოსამართლის ჩართვაში შეიძლება შელახოს მისი ავტორიტეტი, ეჭვებები დააყენოს სასამართლო გადაწყვეტილებები, იმუნიტეტი-მოსამართლისათვის მინიჭებული კერძო უფლება არ არის. ეს უკანასკნელი საჯარო უფლების მატარებელია, რომლის დანიშნულება მართლმსაჯულების წინააღმდეგობების გარეშე განხორციელების გარანტიაა. სასამართლო იმუნიტეტი გამართლებულია სასამართლო პროცესების აღსრულების აუცილებლობით, რომლებიც წინააღმდეგ შემთხვევაში უსასრულოდ გაგრძელდებოდა. ყოველივე აქედან გამომდინარე საზოგადოებაში კერძო და საჯარო ინტერესებს შორის ბალანსის შენარჩუნების უპირველეს პირობას წარმოადგენს კონსტიტუციური ნორმების მკაცრი დაცვა. გარდა ამისა მიზანშეწონილია სპეციალური კანონის მიღება, რომლის საფუძველზეც უნდა მოწესრიგდეს სახელმწიფო ორგანოების, თანამდებობის პირთა თუ მოსამართლეთა მიერ თვითანთი სამსახურეობრივი უფლებამოსილების განხორციელების პროცესში მოქალაქისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების საკითხი. მთლიანობაში კი საჭიროა ხელისუფლების და მოსამართლეების პასუხისმგებლობის პრინციპის გამიჯვნის მექანიზმის და აგრეთვე მოსამართლეთა პასუხისმგებლობის დაზღვევის სქემის შემუშავება.

მოქალაქეებს შეიძლება ზიანი მიადგეთ გამოძიებისა და პროკურატურის ორგანოების და სასამართლოს თანამდებობის პირთა უკანონო ქმედების შედეგად.

უსაფუძვლოდ პატიმრობაში ყოფნა ზნეობრივი სასიათის მწვავე განცდების გარდა, თითქმის ყოველთვის დაკავშირებულია უდიდეს ფიზიკურ

²⁹⁷ იქვე, გვ. 103. www.dissercat.com

ტანჯვასთანაც. პრაქტიკულად შეუძლებელია უდანაშაულო ადამიანს აუნაზღაურო ასეთ პირობებში განცდილი და გადატანილი ფიზიკური და ზნეობრივი ტანჯვა. და მაინც ამ ტანჯვის ფულადი კომპენსაცია რეაბილიტირებულ პირთა დარღვეული უფლებების აღდგენის ერთ-ერთი საშუალებაა. ²⁹⁸

აღნიშნული საკითხი გარკვეულწილად მოწესრიგებულია როგორც საქართველოს კონსტიტუციით, ისე სამოქალაქო და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსებითაც. სახელმწიფოს პასუხისმგებლობის პრინციპის ერთ-რთი სამართლებრივი წყარო საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლია, რომელიც უკანონოდ დაკავებულ და დაპატიმრებულ პირს აძლევს კომპენსაციის მოთხოვნის უფლებას. იმის გამო, რომ პირის მიმართ ზემოთ აღნიშნული დონისძიებების უკანონოდ გამოყენების გამო ირღვევა მისი უმნიშვნელოვანესი კონსტიტუციური უფლებები, როგორიცაა პირადი ხელშეუხებლობა, უდანაშაულობის პრეზუმაცია და სხვა. საქართველოს კანონმდებლობამ ასეთ შემთხვევაში დაადგინა სახელმწიფოს ბრალის გარეშე პასუხისმგებლობა.

სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლის მიხედვით, თუ სახელმწიფო მოსამსახურე განზრას ან უხეში გაუფრთხილებლობით არღვევს თავის სამსახურებრივ მოვალეობას სხვა პირთა მიმართ, მაშინ სახელმწიფო ან ის ორგანო, რომელშიც მოსამსახურე მუშაობს, ვალდებულია აანაზღაუროს დამდგარი ზიანი. განზრახვის ან უხეში გაუფრთხილებლობის დროს მოსამსახურე სახელმწიფოსთან ერთად სოლიდარულად აგებს პასუხს.

ზიანის ანაზღაურების ვალდებულება არ წარმოიშობა, თუ დაზარალებული განზრას ან უხეში გაუფრთხილებლობით არ შეეცადა სამართლებრივი გზებით თავიდან აეცილებინა ზიანი.

რეაბილიტირებული პირისათვის უკანონო მსჯავრდების, სისხლის სამართლის პასუხისმგებაში უკანონოდ მიცემის, აღკვეთის დონისძიების სახით პატიმრობის უკანონოდ გამოყენების, ადმინისტრაციული პატიმრობის ან გამასწორებელი სამუშაოების სახით ადმინისტრაციული სახდელის არასწორად დაკისრების შედეგად მიუენებულ ზიანს აანაზღაურებს სახელმწიფო, გამოძიების, პროკურატურის ორგანოებისა და სასამართლოს

²⁹⁸ ზ.ადეგიშვილი, ქვარდიაშვილი, დ.იზორია, მ.კოპალეიშვილი, ნ.სხირტლაძე, პ.ტურავა. დ.ქიტოშვილი “ზოგადი ადმინისტრაციული სამართლის სახელმძღვანელო” თბილისი, 2005 წელი, გვ. 310.

თანამდებობის პირთა ბრალის მიუხედავად. განზრახვისას ან უხეში გაუფრთხილებლობისას ეს პირები სახელმწიფოსთან ერთად სოლიდარულად აგებენ პასუხს.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 208-ე მუხლის მიხედვით “სახელმწიფო ადმინისტრაციული ორგანოს, აგრეთვე მისი თანამდებობის პირის ან სხვა სახელმწიფო მოსამსახურის მიერ მისი სამსახურებრივი მოვალეობის განხორციელებისას მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებელია სახელმწიფო.” დადგენილია სახელმწიფოს პასუხისმგებლობა როგორც ადმინისტრაციული ორგანოს მიერ სამართლებრივი აქტის გამოცემით, ისე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ პირდაპირი მოქმედების შესრულებით გამოწვეული ზიანისათვის. კანონმდებლობამ დაადგინა, რომ პასუხისმგებლობა შეიძლება წარმოშვას არა მხოლოდ ადმინისტრაციულმა აქტმა, არამედ ნორმატიულმა ადმინისტრაციულმა აქტმაც. ავტორთა ნაწილის მოსაზრებით “პრაქტიკაში უნდა დაინერგოს მიღვომა, რომელიც დააწესებს კრიტერიუმებს ნორმატიული აქტით მიყენებული ზიანის საკომპენსაციოდ და არ დაუშვებს ასეთი სახის პასუხისმგებლობის მეტისმეტად გაფართოებას. ასეთი კრიტერიუმი შეიძლება იყოს ის, რომ მიყენებული ზიანი უნდა იყოს პირდაპირი და უშუალო, ანუ გამოირიცხოს ნორმატიული აქტით მიყენებული ყველა სახის არაპირდაპირი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის შესაძლებლობა.”²⁹⁹

სახელმწიფოს ან ადგილობრივ თვითმმართველობას ეკისრება მხოლოდ იმ ზიანის ანაზღაურების ვალდებულება, რომელიც უკავშირდება საჯარო მოსამსახურის მიერ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებას. სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებად ჩაითვლება ის შემთხვევა, როდესაც პირი ზიანს მიაყენებს სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებით. მაგ: სააღსრულებო პოლიციის თანამშრომელი ზიანს მიაყენებს პირის ქონებას. სადაცო საკითხი, ითვლება თუ არა ზიანის საფუძვლად, როცა ზიანის მიყენებას ადგილი ჰქონდა საჯარო მოსამსახურის მიერ სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებით. იმისთვის, რომ წარმოშვას პასუხისმგებლობა საჯარო მოხელის მიერ სამსახურებრივი ვალდებულების შესრულებისას მიყენებული ზიანისათვის, საჭიროა ზიანის წარმოშობას საფუძვლად ედოს საჯარო მოსამსახურის მიერ თავისი

²⁹⁹ ზ. ადეიშვილი, ქვარდიაშვილი, ლ.იზორია, მ.კოპალეიშვილი, ნ.სხირტლაძე, პ.ტურავა. დ.ქიტოშვილი “ხოგადი ადმინისტრაციული სამართლის სახელმძღვანელო” თბილისი, 2005 წელი, გვ. 311.

სამსახურებრივი მოვალეობის დარღვევა სხვა პირთა მიმართ.³⁰⁰ დარღვეული უნდა იყოს ისეთი სამსახურებრივი ვალდებულება, რომელსაც შექსაბამება სხვა კერძო პირის უფლება. მაგალითად, თანამდებობის პირის ვალდებულებას გასცეს ლიცენზია, განცხადების მიღებიდან განსაზღვრულ ვადაში შექსაბამება განმცხადებლის უფლება ლიცენზიაზე ან ლიცენზიის მიღებაზე დროულად უარის თქმაზე. ამასთან კერძო და საჯარო ინტერესების გათვალისწინებით აუცილებელია სახელმწიფოს პასუხისმგებლობის შეზღუდვა. თუკი საჯარო მოსამსახურე თავის სამსახურებრივ მოვალეობას არღვევს სხვა კერძო პირთა მიმართ სახელმწიფომ უნდა აანაზღაუროს ასეთი ზიანი. თუ საჯარო მოსამსახურე ზიანს აყენებს პირს მისი ზოგადი, პირთა განუსაზღვრელი წრისადმი მიმართული ვალდებულების დარღვევით, არ დგება სახელმწიფოს პასუხისმგებლობს საკითხი. რეალურ ცხოვრებაში ხშირად არის შემთხვევები, როცა ზიანის მიყენება ხდება საჯარო მოსამსახურის ქმედებით, მაგრამ სამსახურებრივ მოვალეობათა დარღვევის გარეშე. ევროპულ სამართალში ასეთი შემთხვევები მოიხსენიება, როგორც Administrative Damages in Tort.³⁰¹

ქართული კანონმდებლობით, ასეთ შემთხვევაშიც პასუხისმგებლობა დაეკისრება იმ ორგანოს სადაც მუშაკი მუშაობს, მხოლოდ პასუხისმგებლობის საკითხის განსაზღვრა მოხდება არა ადმინისტრაციული სამართლით დადგენილი სახელმწიფოს პასუხისმგებლობის ნორმების საფუძველზე, არამედ სამოქალაქო კოდექსით დადგენილი იმ ნორმების საფუძველზე, რომლებიც არეგულირებენ პასუხისმგებლობის საკითხებს საწარმოს და მუშაქს შორის სკ-ის 997-ე მუხლის საფუძველზე. ადმინისტრაციულ სამართალში ბრალის გარეშე პასუხისმგებლობის სპეციფიკური სახეა სახელმწიფოს პასუხისმგებლობა ისეთი ზიანისათვის, რომელიც გამოწვეულია საჯარო მოხელეთა კანონიერი მოქმედებით. (სზაკ-ის 209-ე მუხლი.) “თუკი სახელმწიფო საერთო საზოგადოებრივი სარგებლის მოსატანად მიიღებს გადაწყვეტილებას, რომელიც არღვევს აღნიშნული საზოგადოების წევრთა შორის თანასწორობას, ანუ, მთლიანი საზოგადოების სარგებლისათვის ზიანს აყენებს საზოგადოების ერთ ან რამდენიმე წევრს, სახელმწიფო ვალდებულია აანაზღაუროს დამდგარი ზიანი. კომპენსაციის

³⁰⁰ იქვე, 2005 წელი, გვ. 311.

³⁰¹ H.W.R Wade & c.f. Forsyth, Administrative law, English Edition, Oxford, 2000.

ვალდებულება წარმოიშობა მხოლოდ მაშინ, როცა არათანაბარი მოპყრობით გამოწვეული ზიანი მნიშვნელოვნად დიდია.”³⁰²

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი ადგენს, რომ კომპენსაციის გამოთვლა უნდა მოხდეს საჯარო და კერძო ინტერესების პროპორციულობის საფუძველზე.

კერძო პირთა მიმართ სახელმწიფოს პასუხისმგებლობის კიდევ ერთი შემთხვევა, როცა სახელმწიფოს მხრიდან ადგილი არა აქვს ბრალეულ მოქმედებას გახდავთ საზოგადოებრივი საჭიროებისას გადაუდებელი აუცილებლობისას საკუთრების ჩამორთმევა. ასეთი შემთხვევის თავისებურება ის არის, რომ სახელმწიფო მოქმედებს კანონის სრული დაცვით, მაგრამ ზიანი ადგება პირის ფუნდამენტურ უფლებას-საკუთრებას. სახელმწიფო ამ დროს შეზღუდულია “საზოგადოებრივი საჭიროებისას გადაუდებელი აუცილებლობისას საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ” საქართველოს ორგანული კანონით რომელიც ადგენს საკუთრების ჩამორთმევისა და კომპენსაციის გადახდის მკაცრად განსაზღვრულ და საკმაოდ შეზღუდულ წესს.³⁰³

სახელმწიფო მოსამსახურის მიერ მიყენებული ზიანისათვის სახელმწიფოს მიერ ანაზღაურებას ექვემდებარება, როგორც მატერიალური, ისე მორალური ზიანი. “პირის თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის დარღვევას, როგორც წესი, ყოველთვის თან სდევს, მძიმე ხარისხის რეალური განცდები და ფიზიკური ტანჯვა.”³⁰⁴

მიუხედავად იმისა, რომ სამოქალაქო კოდექსის ნორმები პირდაპირ არ ადგენებ ასეთ შემთხვევაში მორალური ზიანის მოთხოვნის შესაძლებლობას, კონსტიტუციისა და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ნორმებზე დაყრდნობით სახელმწიფოს მაინც უნდა დაეკისროს მორალური ზიანის ანაზღაურება პირის მიმართ უკანონო მსჯავრდების, სისხლის სამართლის პასუხისმგებაში უკანონოდ მიცემის, აღკვეთის დონისძიების სახით პატიმრობის უკანონოდ გამოყენების, პატიმრობის, გამასწორებელი სამუშაოების სახით

³⁰² ზ. ადგიშვილი, ქ.ვარდიაშვილი, ლ.იზორია, მ.კოპალეიშვილი, ნ.სხირტლაძე, პ.ტურავა. დ. ქიმოშვილი “ზოგადი ადმინისტრაციული სამართლის სახელმძღვანელო” თბილისი, 2005 წელი, გვ. 328.

³⁰³ ზ. ადგიშვილი, ქ.ვარდიაშვილი, ლ.იზორია, მ.კოპალეიშვილი, ნ.სხირტლაძე, პ.ტურავა. დ. ქიმოშვილი “ზოგადი ადმინისტრაციული სამართლის სახელმძღვანელო” თბილისი, 2005 წელი, გვ. 330.

³⁰⁴ შ. ჩიკვაშვილი, მორალური ზიანი სამოქალაქო სამართალში, თბილისი, 1998, გვ.137.

ადმინისტრაციული სახდელის არასწორად დაკისრების შემთხვევაში.³⁰⁵ უსაფუძვლოდ პატიმრობაში ყოფნა ზნეობრივი ხასიათის მწვავე განცდების გარდა, თითქმის ყოველთვის დაკავშირებულია უდიდეს ფიზიკურ ტანჯვასთანაც. პრაქტიკულად შეუძლებელია უდანაშაულო ადამიანს აუნაზღაურო ასეთ პირობებში განცდილი და გადატანილი ფიზიკური და ზნეობრივი ტანჯვა და მაინც ამ ტანჯვის ფულადი კომპენსაცია რეაბილიტირებულ პირთა დარღვეული უფლებების აღდგენის ერთ-ერთი საშუალებაა.

ევროპის სასამართლომ საქართველოს სასამართლოების მიერ პირის მიმართ წინასწარი პატიმრობის შეფარდებისას მხოლოდ ფორმალური საფუძვლებით ხელმძღვანელობა მიიჩნია ევროკონვენციის მე-5 მუხლით დაცული თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლების დარღვევად და საქართველოს სახელმწიფოს, განმხცადებლისათვის მორალური და მატერიალური ზიანის ანაზღაურების მიზნით, მთლიანობაში 3670 ევროს გადახდა დააკისრა.

გ. ფ-იას საჩივარი ძირითადად უკავშირდებოდა მისთვის წინასწარი პატიმრობის შეფარდების უსაფუძვლობას. ევროპის სასამართლომ განმარტა, რომ განმცხადებლის წინასწარი პატიმრობა 9 თვისა და 12 დღის განმავლობაში იყო უსაფუძვლო და გაუმართლებელი. ხელშეკრულებით, „სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტრომ“ აიღო ვალდებულება მოსარჩელისათვის გადაეცა „საქართველოს სახელმწიფო დაზღვევის კომპანიის (JSC)“ წილის 90%-ი, იმის სანაცვლოდ (სხვა ვალდებულებებთან ერთად), რომ იგი (მოსარჩელე) მიმდინარე თვის ბოლომდე კომპანიის საწყის კაპიტალს 480.000 (ოთხასოთხმოცი ათასი) ლარით გაზრდიდა. სამინისტრომ მოითხოვა იმის შემოწმება, თუ რამდენად წარმატებით ხდებოდა ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულება. მოსარჩელის მიერ ამის საპასუხოდ წარმოდგენილ დოკუმენტაციის საფუძველზე და ასევე საქართველოს ეროვნული ბანკის (სახელმწიფო ორგანო) რეკომენდაციით, „გენერალურმა პროცერატურამ“ მოახდინა მოსარჩელის საფინანსო ოპერაციების შემოწმება, რის შედეგადაც დაადასტურა მოსარჩელის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის ნამდვილობა და უარი თქვა დოკუმენტების

³⁰⁵ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეოთხე, ტომი II, თბ. 2001 წ. გვ. 421.

გაყალბების ბრალდებით მის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმის აღძვრაზე.

მოგვიანებით გენერალურმა პროკურორმა პირადად მოითხოვა მოსარჩელის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმის აღძვრა. სახელმწიფო წილის 90%-ის მითვისება-გაფლანგვა თაღლითობითა და საბანკო დოკუმენტების გაყალბების ბრალდებით მოსარჩელეს ბრალი წაუყენეს და დააკავეს. რაიონულმა სასამართლომ გაასამართლა მოსარჩელე და თაღლითობის მცდელობისათვის მიუსაჯა სამი წლით თავისუფლების აღკვეთა. სააპელაციო და საკასაციო სასამართლოებმა არ დააკმაყოფილეს მოსარჩელის საჩივრები.

საქართველოს შიდა სასამართლოების გადაწყვეტილებები წინასწარი პატიმრობის შეფარდებისა და შემდგომი გაგრძელების ეტაპზე იყო დაუსაბუთებელი და ეყრდნობოდა მხოლოდ პროკურატურის მიერ გამოთქმულ ეჭვებს ბრალდებულის მიმალვის საფრთხისა და მტკიცებულებათა განადგურების საშიშროების თაობაზე, რომელიც არ იყო გამყარებული რაიმე მტკიცებულებებით.

სასამართლომ აღნიშნა, რომ მტკიცების ტვირთის გადატანა დაკავებულ პირზე თავისუფლების აღკვეთის საქმეზე არის კონკრეტული მე-5 მუხლის დარღვევის ექვივალენტური. სასამართლო განსაკუთრებით შეშფოთებულია რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებით, როდესაც მან განიხილა აპლიკანტის საქმე და გაუგრძელა პატიმრობა 200 წლის 6 დეკემბერს. იმის ნაცვლად, რომ „განსაკუთრებული გულმოდგინების“ უმაღლესი სარისხით განეხილა პატიმრობის საკითხი, რაც თითქმის შვიდ თვეზე მეტხანს გაგრძელდა სასამართლომ მიიღო სტანდარტული, ტრაფარეტული გადაწყვეტილება. ნაცვლად იმისა, რომ სრულყოფილად შეესრულებინათ თავიანთი მოვალეობანი, რათა დაედგინათ ბრალეულობის საფუძვლები პატიმრობის გაგრძელების საკითხთან დაკავშირებით რაიონულმა სასამართლომ გამოიყენა ბლანკის ფორმა და თავისი აბსტრაქტული განმარტებანი. სასამართლო მიიჩნევს რომ გადაწყვეტილება პატიმრობის გადის გაგრძელების შესახებ არის განსაკუთრებით სერიოზული შეზღუდვა აპლიკანტის უფლებებისა, რომელიც გარანტირებულია კონკრეტულის მე-5 მუხლის მე-3 ნაწილით.

სასამართლომ კონკრეტულის მე-5 მუხლის მე-3 ნაწილის გათვალისწინებით ასევე საზო გაუსვა იმ გარემოებას, რომ როდესაც

ოფიციალური პირები წყვეტენ, გაათავისუფლონ თუ არა პირი პატიმრობიდან, გალდებულნი არიან გაითვალისწინონ ალტერნატიული ღონისძიებები სასამართლოს წინაშე აპლიკანტის წარდგენის უზრუნველყოფად. მართალია, ეს დადგენილება მიუთითებს არა მხოლოდ გონივრულ ვადაში საქმის განხილვისა, ან საქმის განხილვის განმავლობაში გათავისუფლების უფლებაზე, არამედ ასევე ადგენს, რომ ასეთი გათავისუფლება შეიძლება პირობადადებული იყოს სასამართლოში მისი გამოცხადების რაიმე გარანტით.

მიუხედავად ამისა, წარმოდგენილ საქმეზე სასამართლო ადგენს, რომ არც 200.. წლის 8-13 მაისის გადაწყვეტილებებში, რომელიც ეხებოდა პირველადი დაკავების პერიოდს, და არც 200.. წლის 6 დეკემბრის გადაწყვეტილება, როდესაც გაგრძელდა პატიმრობა, ადგილობრივმა სასამართლოებმა არ მიმართეს შესაძლო არასაპატიმრო პრევენციულ ზომებს, რომლებიც ნათლად წარმოდგენილი იყო 152-ე მუხლის პირველ ნაწილში. ადგილობრივი სასამართლოების მიერ დაშვებული ასეთი შეცდომა არის კიდევ ერთი მინიშნება მათი მიერ კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 ნაწილის მოთხოვნების უპატივცემულობაზე.

ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, სასამართლომ დაადგინა, რომ აპლიკანტის საქმეზე არსებული განსაკუთრებული ფაქტების უგულებელყოფა, ან არასაპატიმრო წინასწარი გამოძიების ალტერნატიული ზომების გაუთვალისწინებლობა და განსაკუთრებით ბრალეულობის სიმძიმეზე აქცენტის გაპეტება, ხელისუფლების წარმომადგენლების მიერ აპლიკანტის დაპატიმრება, რაც არ შეიძლება განიხილებოდეს, როგორც შესაბამისი, ან გონივრული. 200.. წლის 6 დეკემბრის გადაწყვეტილების ტრაფარეტული ფორმა, რომელიც შეიცავდა შაბლონურ და სტანდარტულ არგუმენტებს, წარმოადგენდა აპლიკანტის უფლებების დარღვევას. კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 ნაწილის (თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლება) დარღვევის გამო მოპასუხე სახელმწიფოს აპლიკანტის სასარგებლოდ დაეკისრა 1500 (ათასეუთასი) ევროს გადახდა არამატერიალური ზიანის დასაფარად, ხოლო 2170 (ორიათას ასსამოცდათი) ევრო დანახარჯების დასაფარად.³⁰⁶

სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის ანალიზის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ კანონმდებლობა ზიანის

³⁰⁶ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განჩინებათა კრებული საქართველოს საქმეებზე. თბ. 2010 წელი, გვ. 104.

ანაზღაურების უფლებით ადჭურავს არა მარტო დაზარალებულს, არამედ დაკავებულს, ბრალდებულსა და განსასჯელს და აძლევს მათ საშუალებას სამოქალაქოსამართლებრივი წესით მოითხოვონ ზიანის ანაზღაურება. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 3.22-ე მუხლის მიხედვით დაზარალებულია სახელმწიფო, ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელსაც მორალური, ფიზიკური თუ ქონებრივი ზიანი მიადგა უშუალოდ დანაშაულის შედეგად. მასვე აქვს უფლება სასამართლოში საქმის არსებითად განხილვისას სასჯელის შეფარდების შესახებ სასამართლო სხდომაზე მისცეს ჩვენება ზიანის შესახებ, რომელიც მას მიადგა. (სსსკ-ის 57.პ მუხლი.) მნიშვნელოვანია, რომ საპროცესო შეთანხმება დაზარალებულს არ ართმევს უფლებას შეიტანოს სამოქალაქო სარჩელი. (სსსკ-ის 217.3 მუხლი) პირს, რომელსაც ზიანი მიადგა მისი პირადი ცხოვრების შესახებ ცნობების უკანონოდ გამჟღავნებით, აქვს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ზიანის სრულად ანაზღაურების უფლება. (სსსკ-ის 7.3 მუხლი.) პირს უფლება აქვს, სამოქალაქო/ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით მოითხოვოს და მიიღოს უკანონოდ ჩატარებული საპროცესო მოქმედებისა და უკანონო გადაწყვეტილების შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურება. მასვე აქვს უფლება სამოქალაქო სამართალწარმოების წესით მოითხოვოს მიყენებული ზიანის ანაზღაურება. (სსსკ-ის 92-ე მუხლი) სასამართლო ვალდებულია საპროცესო შეთანხმების დამტკიცებამდე ბრალდებულისგან დარწმუნდეს, რომ ბრალდებულის მიმართ სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლის მხრიდან არ ყოფილა წამება, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობა. (სსსკ-ის 212.4 მუხლი) საპროცესო შეთანხმების დადებისას პროკურორი ვალდებულია ბრალდებული გააფრთხილოს იმის თაობაზე, რომ საპროცესო შეთანხმება არ ათავისუფლებს მას სამოქალაქო ან სხვა სახის პასუხისმგებლობისაგან. განსაკუთრებულ შემთხვევებში საქართველოს მთავარ პროკურორს ან მის მოადგილეს უფლება აქვს, სასამართლოს მიმართოს შუამდგომლობით ბრალდებულის სამოქალაქო პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლების შესახებ. ამ შემთხვევაში სამოქალაქო პასუხისმგებლობა ეკისრება სახელმწიფოს. (სსსკ-ის 209.5.6. მუხლი).

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 176.5 მუხლის მიხედვით “იმის მიუხედავად იქნება თუ არა დაკავებული მსჯავრდებული, მას უკანონო და დაუსაბუთებელი ზიანი სრული მოცულობით აუნაზღაურდება

სახელმწიფო ბიუჯეტიდან სამოქალაქო სამართალწარმოების წესით. კოდექსი არაფერს ამბობს უკანონო პატიმრობის შედეგებზე (კომპენსაციაზე). მის 205-ე მუხლში და მომდევნო მუხლებში არაფერია ნათქვამი უკანონო პატიმრობის შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურებაზე. აღნიშნული ხარვეზი თუ უზუსტობა პირდაპირ ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის მე-18.7 მუხლს, რომელიც ითვალისწინებს კომპენსაციის მოთხოვნის უფლებას, პირის უკანონოდ დაპატიმრების შემთხვევაში.

საპროცესო კოდექსის 176.5 მუხლი, მართალია ითვალისწინებს უკანონო დაკავებით მიყენებული ზიანის ანაზღაურებას, მაგრამ არ აზუსტებს, თუ რა სახის ზიანზეა აქ საუბარი (ქონებრივი, არაქონებრივი (მორალური) თუ ფიზიკური ზიანი. აღნიშნული მუხლი მხოლოდ ზიანის ანაზღაურებისთვის სამოქალაქო სამართალწარმოების წესზე მიუთითებს.

მიგვაჩნია გასაზიარებელია ავტორთა მოსაზრება, რომ სკ-ის 413.1-ე მუხლისა და სსსკ-ის 176.5 მუხლების ერთობლიობით არაქონებრივი ზიანის ანაზღაურებაზე საუბარიც კი ზედმეტია, რადგან საპროცესო ნორმა არ აკონკრეტებს, თუ როგორი ზიანის ანაზღაურებას ითვალისწინებს იგი. ამ შემთხვევაში ვერც კანონის და ვერც სამართლის ანალოგია გამოგვადგება, რადგანაც სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ასეთ ცნებებს არ იცნობს. ამ კოდექსის მე-2.3 მუხლში მითითებულია, რომ საქართველოს კანონმდებლობაში ხარვეზის არსებობისას, დასაშვებია, სისხლის სამართლის საპროცესო ნორმის ანალოგიით გამოყენება, თუ ამით არ იზღუდება საქართველოს კონსტიტუციით და საერთაშორისო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ადამიანის უფლებები. კოდექსში არაფერია ნათქვამი იმის თაობაზე, დასაშვებია თუ არა სამართლის და კანონის ანალოგიის გამოყენება თავად სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ხარვეზის არსებობისას. ”ნორმატიული აქტების შესახებ” საქართველოს კანონის მე-5.1 მუხლის დანაწესის მიხედვით ანალოგიას ვერ გამოვიყენებთ, ვინაიდან კანონი ამას პირდაპირ არ ითვალისწინებს.³⁰⁷

უკანონო დაკავებისას პირის ზიანის ანაზღაურება (ქონებრივი, არაქონებრივი და ფიზიკური ზიანი) წარმოებს სამოქალაქო კოდექსის 992-ე, 1005.1, 412-ე, 413.1 და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 176.5 მუხლის ერთობლიობით, არგუმენტაციისთვის შეიძლება ასევე კონსტიტუციის მე-18.7 და ევროკონვენციის 5.5 მუხლების მოყვანა.

³⁰⁷ გიორგი მარიამიძე “დელიქტური ვალდებულებანი” თბილისი, 20011 წელი. გვ. 49.

უკანონო დაპატიმრებისას პირის ზიანის ანაზღაურება მოხდება სამოქალაქო კოდექსის 992-ე, 1005.1, 412-ე, 413.1-ე მუხლების, ასევე საქართველოს კონსტიტუციის მე-18.7 და მე-6.1 მუხლების, ევროკონვენციის მე-5.5 და I-ლი მუხლების ერთობლიობით. ³⁰⁸

მნიშვნელოვანი საკანონმდებლო სიახლეა, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის XXXIV.3 თავით დადგინდა დანაშაულის ან ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ სარჩელების განხილვის გამარტივებული წესი.

ზემოთ მითითებულ შემთხვევებში სახელმწიფოს პასუხისმგებლობა წარმოიშობა მისი საჯარო მოსამსახურეებისა თუ თანამდებობის პირთა ბრალის მიუხედავად. განზრახი ქმედების ან უხეში გაუფრთხილებლობის შემთხვევაში ასეთი პირები სახელმწიფოსთან ერთად სოლიდარულად აგებენ პასუხს.

საყურადღებოა ევროპის ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლითაც სასამართლომ მიიჩნია რა განმცხადებლის პატიმრობა უკანონოდ სახელმწიფოს დააკისრა 150 000 ევროს გადახდა და პატიმრობიდან მისი განთავისუფლება.

სასამართლომ მიუთითა, რომ განმცხადებელი ა-ძე დაპატიმრებული იყო აჭარის ხელისუფლების ორგანოების მიერ მე-5 მუხლის 1-ელ (გ) პუნქტში განსაზღვრული მიზნებისათვის 1999 წლის 11 დეკემბრიდან, ანუ იმ დღიდან, როდესაც მას ბრალი წაეყენა ახალ სისხლის სამართლის საქმეზე თუმცადა, ხსენებული სიტუაცია დასრულდა საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ 2001 წლის 29 იანვარს მისი გამართლებით, რომელმაც ამავე დროს ბრძანა მისი დაუყოვნებელი გათავისუფლება. ამის შემდეგ, იმ ფაქტის მიუხედავად, რომ მისი საქმის ხელახალი განხილვა არ დაწყებულა და რაიმე შემდგომი სასამართლო ბრძანება არ ყოფილა გაცემული მის პატიმრობასთან დაკავშირებით, განმცხადებელი პატიმრობაში დარჩა. ასე რომ, არ არსებობდა რაიმე საკანონმდებლო ნორმა ან სამართლებრივი საფუძველი 2001 წლის 29 იანვრის შემდგომ განმცხადებლისათვის თავისუფლების აღკვეთისა. ამიტომაც პატიმრობა არ შეიძლება გამართლებულ იქნეს კონვენციის მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის რომელიმე ქვეპუნქტით.

რაც შეეხება განმცხადებლის პატიმრობის შესაბამისობას მე-5 მუხლის მიზანთან, რაც გულისხმობს თვითნებობისაგან დაცვას, სასამართლო

³⁰⁸ იქვე, გვ. 50.

აღნიშნავს, რომ დაუჯერებელია ის ფაქტი, რომ იმ სახელმწიფოში, რომელიც ექვემდებარება კანონის უზენაესობას, გრძელდებოდეს პირისათვის თავისუფლების აღკვეთა, მიუხედავად გათავისუფლების შესახებ სასამართლოს ბრძანებისა. სასამართლო ადგენს, რომ 2001 წლის 29 იანვრის შემდგომ განმცხადებლის პატიმრობა თვითნებურია, რაც ეწინააღმდეგება კონვენციის მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის დებულებებს. რაც შეეხება უკვე განცდილ არამატერიალურ ზიანს, სასამართლო ადგენს, რომ კონვენციის დარღვევამ უდავოდ მიაყენა განმცხადებელს არსებითი ზიანი. იმყოფება რა თვითნებურ პატიმრობაში კანონის უზენაესობის უმნიშვნელოვანესი პრინციპის დარღვევით, განმცხადებელი იმედგაცრუებული და შეცტუნებულია, რადგანაც მას არ ძალუბს გამოასწოროს არსებული სიტუაცია. მას უხდებოდა წინააღმდეგობის გაწევა აჭარის ავტონომიური ხელისუფლების ორგანოებისათვის, რომლებმაც უარი განაცხადეს დაახლოებით სამი წლის წინ გამოცემული გამამართლებელი განაჩენის აღსრულებაზე, და ასევე ცენტრალური ხელისუფლების უუნარობისათვის, ეიძულებინა ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების ორგანოები, აღესრულებინათ განაჩენი. რაც შეეხება მატერიალურ ზიანს, იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ განმცხადებელმა ვერ წარმოადგინა მტკიცებულება, რომელიც ასახავდა დაკავებამდე მის ყოველთვიურ შემოსავალს, სასამართლოს არ ძალუბს განახორციელოს ზუსტი გამოანგარიშება. თუმცადა, სასამართლო თვლის, რომ განმცხადებელს უნდა განეცადა ასეთი დანაკარგი 2001 წლის 29 იანვრის შემდგომ უკანონო პატიმრობის გამო. სენებული თარიღის შემდგომ მას უნდა შეძლებოდა სამსახურის ნახვა და საქმიანობის განახლება. შესაბამისად, ადგენს რა თანასწორობის პრინციპის საფუძველზე და პრეცედენტული სამართლით დადგენილი კრიტერიუმების გათვალისწინებით, სასამართლო განმცხადებელს ანიჭებს 150,000 ლარს პატიმრობის იმ პერიოდთან დაკავშირებით, რომელიც განისაზღვრება 2001 წლის 29 იანვრიდან ამ განაჩენის გამოტანამდე ერთად აღებული უკელა მისი საჩივრისათვის, იმ თანხებთან ერთად, რომლებიც შესაძლოა დაექვემდებაროს საშემოსავლო გადასახადს.³⁰⁹

საკითხის გადაწყვეტისას მნიშვნელოვანი როლი ენიჭება თვით დაზარალებულის ქმედებას, ვინაიდან ზოგჯერ უდანაშაულო პირისათვის მსჯავრის დადება ან მის მიმართ იძულებითი ღონისძიების გამოყენება

³⁰⁹ www.supremecourt.ge. ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს გადაწყვეტილებები.

გამოწვეული იქნას ცრუ აღიარებით ყოველგვარი ძალადობის გარეშე. თუკი ზიანი მოჰყვა დაზარალებულის ასეთ ქმედებას, იგი არ ანაზღაურდება.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 413-ე და 1005-ე მუხლების შედარებითი ანალიზი ცალსახად გვარწმუნებს, რომ სახელმწიფოს (ან მასთან ერთად სახელმწიფო მოსამსახურეების) პასუხისმგებლობის საკითხი დელიქტური ვალდებულების საფუძველზე უნდა გადაწყდეს და 413.2 ნაწილით სხეულის დაზიანების ან ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შემთხვევაში დაზარალებული მოითხოვს არაქონებრივი ზიანის ანაზღაურებასაც. მაგრამ სხვა შემთხვევაში, როცა ასეთი მატერიალური შედეგი არა გვაქვს სახეზე, მაგალითად, სახელმწიფო მოსამსახურის, მოსამართლის, პროკურორის მხრიდან უხეში გაუფრთხილებლობისას თუკი სკ-ის 992-ე მუხლით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის საფუძვლები სახეზეა, დაზარალებული მოითხოვს მატერიალური ზიანის ანაზღაურებას, მაგრამ მას მორალური ზიანის ანაზღაურების სამართლებრივი საფუძველი არ გააჩნია. ამიტომ, ვინაიდან სკ-ის 1005-ე მუხლი მოცემული დეფინიციით ნაწილობრივ იძლევა არაქონებრივი ზიანის კომპენსაციის საშუალებას მიზანშეწონილად მიგვაჩნია ნორმაში მიეთითოს მორალური ზიანის ანაზღაურების შესაძლებლობაზე.

საქართველოს საქმეებზე ადამიანის უფლებათა ევროპის საერთაშორისო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებებიდან საინტერესო და ყურადსაღებია გადაწყვეტილებები, სადაც საქართველოს ფულადი კომპენსაცია არაქონებრივი ზიანისათვის დაეკისრა სამართლიანი სასამართლოს უფლების (კონვენციის მე-6 მუხლი) დარღვევისათვის, რაც უშუალოდ უკავშირდება სახელმწიფოს პასუხისმგებლობის საკითხს. ქვემოთ მოტანილ გადაწყვეტილებებში ევროსასამართლომ მატერიალურთან ერთად საქართველოს დააკისრა არამატერიალური ზიანის ანაზღაურება ევროკონვენციის დარღვევისათვის. მოქმედი კანონმდებლობა საქართველოში ასეთ შემთხვევაში არამატერიალური ზიანის დაკისრების შესაძლებლობას არ იძლევა, რადგან არ არსებობს სკ-ის 413.2-ე მუხლის შემადგენლობა, ხოლო ნორმის არარსებობის გამო სკ-ის 413.1-ის გამოყენება შეუძლებელია.

გ-დ-ძის საქმეზე ევროპის ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სასამართლომ მიიჩნია, რომ განმცხადებელის არგუმენტები არ იქნა ეფექტურად მოსმენილი შიდა სასამართლოების მიერ, რომლებმაც არ უზრუნველყველ მისთვის სამართლიანი სასამართლოს უფლება კონვენციის მე-

6 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად. განმცხადებელი გ. დ-ჟე მუშაობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კიბერნეტიკის ინსტიტუტში. ხელმძღვანელობასთან გართულებული ურთიერთობის გამო მან ითხოვა რობოტექნიკის დეპარტამენტში გადაყვანა. მისი გადაყვანა გადაწყდა 1991 წელს, მაგრამ განმცხადებელი ვერ უზრუნველყველ შესაბამისი კაბინეტითა და ლაბორატორიით. აღნიშნულით უზრუნველყოფა მოხდა მხოლოდ 1998 წელს. 1999 წლის ოქტომბერს განმცხადებელმა სარჩელი აღძრა ისტიტუტის დირექტორის წინააღმდეგ. ის ჩიოდა, რომ 1991-დან 1998 წლამდე მას არ ჰქონდა საშუალება ინსტიტუტის ახალ შენობაში ესარგებლა თავისი კაბინეტით, ხოლო მას შემდეგ, რაც მას გადაეცა სამუშაო კაბინეტი, ორი წლის მანძილზე ვერ შეძლო ლაბორატორიის დამონტაჟება. 1999 წელს, ომის ვეტერანთა შესახებ აქტის მე-19 მუხლის უხეში დარღვევით შტატების შემცირების საფუძვლზე ის გაათავისუფლეს სამსახურიდან, რის შედეგადაც მან დაკარგა ხელფასი, რომელიც 1997 წლიდან უნდა აედო. სამივე ინსტანციის სასამართლომ უარი თქვა სარჩელის დაკმაყოფილებაზე სარჩელის დაუსაბუთებლობის მოტივით.

სასამართლომ აღნიშნა, რომ არც ერთმა შიდა ინსტანციის სასამართლომ შეედგელობაში არ მიიღო ის ფაქტი, რომ განმცხადებელი დავობდა 1991-1998 წლებში ინსტიტუტის ახალ შენობაში სამუშაო ადგილის არ ქონას, მისი მიღების შემდეგ კი ძველი ლაბორატორიის მოთავსების შეუძლებლობას ორი წლის განმავლობაში, ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა შესახებ კანონის მე-19 მუხლის დარღვევით შემცირების გამო გასათავისუფლებელ პირთა სიაში ჩაწერას დამქირავებლის მიერ, რასაც შედეგად მოჰყვა ხელფასის დანამატების გაუქმება, რომლითაც იგი სარგებლობდა 1997 წლიდან. განმცხადებელს წარდგენილი ჰქონდა გარკვეული რაოდენობის მტკიცებულებები, რომლებზედაც ამყარებდა თავის მოთხოვნებს. პასუხად, შიდა ინსტანციის სასამართლოებმა დაასკვნეს, რომ განმცხადებელი სარგებლობდა ხელფასის დანამატით 1997 წლიდან და 1998 წლიდან მას ჰქონდა სამუშაო კაბინეტი ინსტიტუტის ახალ შენობაში. მაშინ როდესაც, განმცხადებლის მიერ სადაცოდ გამხდარი საკითხები არასდროს ეხებოდა ამ ფაქტებს. საქმის არსებითად განმხილველი სასამართლოების არგუმენტები, რომლითაც მათ დაასაბუთეს მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა, გამომდინარეობდა იმ გარემოებებიდან, რომლებზეც

განმცხადებელი არც დაგობდა და არც უარყოფდა თავის საჩივრით და რომლებსაც შესაბამისად, დავის საგანთან კავშირი საერთოდ არ ჰქონდა.

ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლომ დაასკვნა, რომ განმცხადებელის არგუმენტები არ იქნა ეფექტურად მოსმენილი შიდა სასამართლოების მიერ, რომლებმაც არ უზრუნველყველ მისთვის სამართლიანი სასამართლოს უფლება კონვენციის მე-6 მუხლის პირველი ნაწილისთანახმად. შესაბამისად, ადგილი აქვს ამ მუხლის დარღვევას.

განმცხადებელი თავს შეურაცხყოფილად მიიჩნევს მოსამართლეთა დაუდევარი და უპატივცემულო მოპყრობის გამო, რამაც მასში გამოიწვია უნდობლობა და გადიზიანება. ის სასამართლოს ყურადღებას ამახვილებს მოსამართლე ნ.დ.-ს ქცევაზე, რომელმაც საქმე განიხილა პირველი ინსტანციით.

წარმოდგენილი გარემოებების მხედველობაში მიღებით, სასამართლო არ უარყოს, რომ მოსამართლეთა დაუდევარ მოპყრობას, ასევე ქ-ნ ნ. დ-ს შემაშფოთებელ მოურიდებლობას შეეძლო დაენგრია განმცხადებლის ნდობა სამართლიან სასამართლოზე. ამასთან, ზემოთ მითითული დარღვევის მხედველობაში მიღებით სასამართლოს ზედმეტად მიაჩნია დაადგინოს ადგილი ჰქონდა თუ არა ამ მხრივ მე-6 მუხლის პირველი ნაწილის დარღვევას. სასამართლომ დაადგინა, რომ საქართველოს სახელმწიფო განმცხადებელს უნდა გადაუხადოს 3 500 ევრო (სამი ათას ხუთასი ევრო) მთლიანობაში მიყენებული ზიანისათვის; ასევე, გადასახადის სახით კუთვნილი ნებისმიერი თანხა 300 ევრო (სამასი ევრო) სასამართლო ხარჯებისა და დამატებითი დანახარჯებისათვის.³¹⁰

ევროპის ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სასამართლომ არამატერიალური ზიანი დააკისრა საქართველოს სახელმწიფოს იმის გამო, რომ სახელმწიფო ორგანოებმა ვერ აღასრულეს სასამართლო გადაწყვეტილება, რომელიც განმცხადებელთა სასარგებლოდ იქნა გამოტანილი. მათი მტკიცებით დარღვეულია კონვენციის მე-6 §1 და მე-13 მუხლები და №1 დამატებითი ოქმის პირველი მუხლი. სასამართლომ აღნიშნა, რომ სახელმწიფო საბიუჯეტო დაწესებულებათა წინააღმდეგ გამოტანილი საბოლოო გადაწყვეტილებების აღუსრულებლობა მუდმივი პრობლემაა.

³¹⁰ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განჩინებათა კრებული საქართველოს საქმეებზე. თბ. 2010 წელი, გვ. 59.

განმცხადებელი კომპანია შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაა. მეორე განმცხადებელი გახლდათ რა სამშენებლო კომპანია შპს "იზას" დამფუძნებელი და დირექტორი, ხელი მოაწერა კონტრაქტს სახელმწიფო სკოლასთან სამშენებლო რემონტის ჩატარების თაობაზე. კონტრაქტი უზრუნველყოფდა განათლების სამინისტროს ბიუჯეტიდან 117514 ლარის (53892,50 ევრო) გადარიცხვას განმცხადებელი კომპანიის ანგარიშზე. ამის სანაცვლოდ განმცხადებელი კომპანია ვალდებულებას იღებდა, ჩაეტარებინა სკოლის რემონტი. განათლების სამინისტრომ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება მხოლოდ ნაწილობრივ შეასრულა. საგადასახადო სამსახურებმა განმცხადებელი კომპანიისა და პირადად მეორე განმცხადებლის წინააღმდეგ აღმრეს საქმე 30735 ლარის (14104 ევრო) ოდენობით გადასახადის გადახდის მოთხოვნით. განმცხადებელთა მტკიცებით გადასახადის მოთხოვნა ეფუძნებოდა გადასახადის საერთო ოდენობას, რომლის გადახდაც უნდა მომხდარიყო სამინისტროსთან გაფორმებული კონტრაქტით გათვალისწინებული სამუშაოსათვის, მაშინ როცა სინამდვილეში განმცხადებელმა კომპანიამ მხოლოდ ნაწილობრივი დაფინანსება მიიღო.

რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებით სრულად დაკმაყოფილდა განმცხადებელი კომპანიის სარჩელი განათლების სამინისტროს წინააღმდეგ შესრულებული სამუშაოსათვის დარჩენილი თანხის 7200 ლარისა (3304 ევრო) და ასევე მეორე განმცხადებლის საგადასახადო დავალიანების 4347 ლარის (1994 ევრო) გადახდის მოთხოვნით. აღნიშნული გადაწყვეტილება არ გასაჩივრებულა და შევიდა კანონიერ ძალაში.

განმცხადებლები ჩივიან იმის თაობაზე, რომ სახელმწიფო ორგანოებმა გერ ადასრულეს სასამართლო გადაწყვეტილება, რომელიც მათ სასარგებლოდ იქნა გამოტანილი. მათი მტკიცებით დარღვეულია კონვენციის მე-6 §1 და მე-13 მუხლები და №1 დამატებითი ოქმის პირველი მუხლი.

სასამართლომ მიუთითა, რომ გადაწყვეტილების აღუსრულებლობა გამოწვეული იყო სათანადო საბიუჯეტო ღონისძიებებით და არა სააღსრულებო ორგანოების ქცევით. ამდენად, განმცხადებელი კომპანია არ შეიძლება დადანაშაულებულ იქნას იმაში, რომ მან ამ ორგანოების წინააღმდეგ შემდგომ სასამართლო წარმოებას არ მიმართა. სასამართლომ აღნიშნა, რომ სამართლიანი განხილვის უფლება მოიცავს ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულების უფლებას. ნებისმიერი სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების აღსრულება „სასამართლო პროცესის“

განუყოფელ ნაწილად უნდა განიხილებოდეს მე-6 მუხლის მიზნებიდან გამომდინარე. მიუხედავად ამისა, სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების შეჩერება გარკვეული ვადით, საზოგადოებრივ წესრიგთან დაკავშირებული სირთულების მოგვარების აუცილებლობიდან გამომდინარე, შესაძლებელია, გამართლებული იყოს განსაკუთრებული გარემოებების შემთხვევაში. სასამართლოს მიაჩნია, რომ განმცხადებელ კომპანიას ხელი არ უნდა შეშლოდა, ესარგებლა მის სასარგებლოდ გამოტანილი სასამართლო გადაწყვეტილებით, რასაც მისი ფუნქციონირებისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობა ჰქონდა.

სასამართლომ პრეცედენტულ სამართალზე მითითებით აღნიშნა, რომ განმცხადებლის მიმართ მის სასარგებლოდ გამოტანილი გადაწყვეტილების აღსრულების შეუძლებლობა წარმოადგენს საკუთრებით მშვიდობიანად სარგებლობის უფლებაში ჩარევას, როგორც ეს №1 დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლის პირველ წინადადებაშია ჩამოყალიბებული. სასამართლომ მოპასუხე სახელმწიფოს აპლიკანტის სასარგებლოდ დააკისრა 10000 ევრო (ათი ათასი ევრო) მატერიალური ზიანის ანაზღაურების სახით, 1000 ევრო (ათასი ევრო) არამატერიალური ზიანის ანაზღაურების სახით, 2050 ევრო (ორი ათას ორმოცდათი ევრო) სასამართლო ხარჯებისათვის გადახდა.³¹¹

ევროპის ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სასამართლომ მორალური ზიანი დააკისრა საქართველოს, იმის გამო, რომ მოსარჩევეს მართლმსაჯულების ორგანოების მიერ მისი სარჩელების განხილვაზე უარი ეთქვა, რაც წარმოადგენს ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონკრეტის მე-6 მუხლის I ნაწილის, „სასამართლოს ხელმისაწვდომობის უფლების დარღვევას“.

განმცხადებელი ქ-ძე იყო შპს „მარსი-91“-ის თანადამფუძნებელი და მისი გენერალური დირექტორი. 199.. წელს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის ა, ა-ძის დავალებით მოსარჩევეს რეგიონში უნდა შემოეტანა ფქვილი შიმშილისა და „სოციალური კრიზისის“ თავიდან ასაცილებლად. მოსარჩევის თანახმად, ფქვილის შემოტანისთანავე ა-ძემ მოახდინა აღნიშნული საქონლის კონფისკაცია, რათა იგი გადაეცა „პურ-ფუნქციურულის სახელმწიფო საცხობისათვის.“

³¹¹ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განჩინებათა კრებული საქართველოს საქმეებზე. თბ. 2010 წელი, გვ. 56.

მოსარჩელის დიდი ძალის ხმელის „შედეგად, „მარსი-91”-მა შეძლო შემოტანილი ფქვილის რაღაც ნაწილის გაკონტროლება. მაშინ ა.ა-ძემ აიძულა მოსარჩელე თანხის გარკვეული ნაწილი შეეტანა მის პოლიტიკურ პარტია აღორძინებაში.

ა-ძემ მოსარჩელეს მოსთხოვა პარტიის მაღალინოსანთათვის მანქანების შეძენა. მოსარჩელე იძულებული შეიქმნა შეესრულებინა აღნიშნული მოთხოვნა

199.. წ აჭარის შესაბამისმა ორგანოებმა მოსარჩელეს ბრალი დასდეს ფინანსურ მაქინაციებში. მათი მტკიცებით, მოსარჩელემ 845 000 აშშ დოლარი გამოსძალა ბათუმის „თუთუნის გადამამუშავებელ სამქროს”, რათა დაეფარა ფქვილის იმპორტირების შედეგად დაგროვილი გადაუხდელი ვალი. საბოლოოდ, მოსარჩელემ დატოვა ქვეყანა და თავი შეაფარა გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას.

საკუთარი ინტერესების დასაცავად, მოსარჩელემ სხვადასხვა სარჩელებით მიმართა როგორც ბათუმის საქალაქო სასამართლოს, ასევე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს სასამართლოს, მაგრამ უშედეგოდ. მისი სარჩელები ან არ იქნა განხილული, ანდა მათი განხილვა განუსაზღვრელი ვადით იქნა შეჩერებული.

სტრასბურგის ადამიანის უფლებათა სასამართლომ მიიჩნია, რომ სასამართლოსა და სამართალდამცავი ორგანოების უმოქმედობას სააშკარაოზე გამოაქვს „სასამართლოში საქმის განხილვის გაჭიანურების პრობლემა“ და შესაბამისად, ადასტურებს „სასამართლოს ხელმისაწვდომობის უფლების ხელყოფას“. სტრასბურგის სასამართლომ ასევე მიიჩნია, რომ სასამართლოში საქმის განხილვა უნდა მოხდეს მოსარჩელის ინტერესების გათვალისწინებით „გონივრულ ვადაში“, რომელიც გათვალისწინებულია ევროკონგრესის მე-6 მუხლის I ნაწილით. იმის დასადგენად, თუ რა შემთხვევაში შეიძლება ჩაითვალოს საქმე გონივრულ ვადაში განხილულად, საჭიროა ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში საქმის მასალებისა და სასამართლოს კრიტერიუმების გათვალისწინება, განსაკუთრებით: საქმის სირთულის, მოსარჩელისა თუ შესაბამისი კომპეტენტური ორგანოების მოქმედების, დავის საგნისა და ა.შ. გათვალისწინება.

კონკრეტულ შემთხვევაში, სტრასბურგის სასამართლომ დაადგინა, რომ სავარაუდოდ ადგილი არ ჰქონია საქმის „რაიმე განსაკუთრებულ სირთულეს“ და ასევე მოსარჩელის ქცევაც, რომელიც გერმანიაში ცხოვრობდა, არ

ბადებდა საქმის განხილვის გაწელვის არავითარ საჭიროებას. პირიქით, სტრასბურგმა ჩათვალა, რომ მთავრობას არ წარმოუდგენია არავითარი გამამართლებელი მტკიცებულება, რომლითაც იგი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს ამგვარ უმოქმედობას გააძართლებდა. შესაბამისად, ადგილი პქონდა ევროკონფენციის მე-6 მუხლის I ნაწილის დარღვევას.

პირის მიერ სასამართლოს ხელმისაწვდომობის უფლების ეფექტურად განხორციელება მოითხოვს, რომ პირს პქონდეს სრული და კონკრეტული შესაძლებლობა სასამართლოში გაასაჩივროს ყველა ის ქმედება, რომელიც წარმოადგენს მის უფლებებში ჩარევას.

წინამდებარე შემთხვევაში, 200.. წლის ოქტომბერში, მოსარჩევებ სარჩელით მიმართა ბათუმის საქალაქო სასამართლოს და მოითხოვა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის აღმასრულებელი ხელისუფლების ხელმძღვანელისაგან მისთვის მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურება, იმ პირველადი მდგომარეობის აღდგენა, რომელიც არსებობდა მის უფლებებში ჩარევამდე. საკუთარი სარჩელის გასამყარებლად, მოსარჩელემ წარმოადგინა სხვა და სხვა მტკიცებულებანი. დღემდე მას სასამართლოსაგან არავითარი პასუხი არ მიუღია.

ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, სტრასბურგის სასამართლომ გადაწყვიტა, რომ ბათუმის საქალაქო სასამართლოს მიერ საქმის განხილვაზე უარის თქმა წარმოადგენდა „მართლმსაჯულების განხორციელებაზე უარის თქმას“, რომელიც პირდაპირ არღვევს პირის „სასამართლოში საქმის განხილვის მოთხოვნის უფლებას, გარანტირებულს ევროკონფენციის მე-6 მუხლის I ნაწილით. შედეგად, ადგილი პქონდა ევროკონფენციის მე-6 მუხლის I ნაწილის დარღვევას.

სასამართლომ მოპასუხე სახელწიფოს დააკისრა განმცხადებლისათვის სამი თვის ვადაში მორალური ზიანის 4 400 ევრო მორალური ზიანის და 500 ევრო ხარჯების ასანაზღაურებლად გადახდა.³¹²

სახელმწიფო ორგანოებისა და თანამდებობის პირთა უკანონო ქმედების შედეგად მოქალაქისათვის მიეკუთვნილი ზიანის ანაზღაურების ვალდებულება, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია, რომელიც ხელს უწყობს მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებების განმტკიცებას და წარმოადგენს მათი

³¹² ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განჩინებათა კრებული საქართველოს საქმეებზე. თბ. 2010 წელი, გვ. 120.

დაცვის ერთგვარ გარანტიას. ამასთან ერთად მოცემული უფლებების მარეგულირებელ ნორმებს გააჩნიათ პრევენციული დანიშნულებაც, რამდენადაც მიმართულია სახელმწიფო ორგანოების, მისი თანამდებობის პირებსა და მოქალაქეებს შორის ურთიერთობებში კანონიერების განმტკიცებისაკენ.

თავი VII. დასკვნა

კაცობრიობის განვითარების ისტორია უძველესი დროიდან დღემდე გვიჩვენებს, რომ ცხოვრების ყველა ეპოქაში ინტელექტუალური ადამიანისთვის უმნიშვნელოვანესი სულიერი ღირებულებები უფრო ძვირფასია მატერიალურთან შედარებით. სიყვარული, რელიგიური გრძნობები, პირადი ღირსების შეგნება და სოციალური სტატუსის არსებობა განაპირობებენ მის სულიერ სიცოცხლეს, რასაც მეტნაკლებად მატერიალური კუთილდღეობა განაპირობებს. შესაბამისად ცივილიზებულობისა და უმაღლესი დემოკრატიულობის პრეტენზის მქონე საზოგადოების უპირველესი საზრუნავი პიროვნების უფლებებისა და თავისუფლებების უზენაესობის აღიარება, მისი დაცვა და არსებობის რეალური განხორციელებაა.

თანამედროვე მსოფლიოს თითქმის ყველა სამართლებრივი ოჯახი და საერთაშორისო სამართალი აღიარებს პიროვნების სიცოცხლეს, ჯანმრთელობას, პირად და ოჯახურ ცხოვრებას, პატივსა და ღირსებას იმ ფასდაუდებელ ღირებულებებად, რომელთა შენარჩუნება და დაცვა ყველაზე მეტად აღელვებს ადამიანს. სახელმწიფოთა უმრავლესობის ძირითად კანონში დეკლარირებულია ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები, რომელთა პარმონიული განვითარება ადამიანის უპირველესი საზრუნავია.

საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავი ახდენს ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების დეკლარირებას, რაც იმას ნიშნავს, რომ სახელმწიფო აღიარა, რომ ყველას აქვს საკუთარი პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება, ადამიანი დაბადებით თავისუფალია, სიცოცხლე, პატივი, ღირსება, თავისუფლება ხელშეუვალია, სიტყვის, აზრის, სინდისის, აღმსარებლობის, რწმენის, პირადი ცხოვრების უფლება ხელშეუხებელია, საკუთრება აღიარებული და უზრუნველყოფილია.

სამართლის ისტორიის მანძილზე ადამიანის მატერიალური უფლებების დაცვა—შენარჩუნების ძირითადი იარაღი მიყენებული ზიანის ანაზღაურებაა, რითაც მეტნაკლებად კომპენსირდება დარღვეული უფლება, აღდგება პირვანდელი მდგომარეობა, მაგრამ განსაკუთრებით რთული და ფაქტი სულიერი, ფსიქიკური, ემოციური სფეროს დაზიანების აღდგენა—რესტიტუციაა, რომლის სრულყოფილება თანამედროვე სამართლის უპირველესი საზრუნავია.

მორალი მოიცავს ზნეობრივ შეხედულებებს და გრძნობებს, ცხოვრებისეულ ორიენტაციას და პრინციპებს, ქცევებისა და ურთიერთობების მიზანს და მოტივს, ზღვარს ავლებს სიკეთესა და ბოროტებას, დირსებას და ულირსობას, სამართლიანობას და უსამართლობას, სინდისიურებასა და უსინდისობას, გულმოწყალებას და სისასტიკეს შორის. მორალური კატეგორიები პირველ რიგში მოიცავს საყოველთაოდ დეკლარირებულ პირად უფლებებს, ამიტომ სამართალდარღვევის შედეგად მათი ხელყოფა აღიქმება, როგორც მორალური ღირებულებების ხელყოფა და შესაბამისად მორალური ზიანის დაკისრებისა და ანაზღაურების სამართლებრივი საფუძველი.

კანონით აღიარებული არაქონებრივი უფლებით დაცული სიკეთეები მორალური ფასეულობების იდენტურია, ამდენად მათი ხელყოფა პიროვნების მორალის ხელყოფის ტოლფასია. მორალური ზიანი, როგორც არამატერიალურ, არაქონებრივ უფლებათა ბრალეული ხელყოფის შედეგი ტერმონოლოგიურადაც კი გამოხატავს მის არსეს. მორალური ზიანი როგორც ადამიანის არსების განმსაზღვრელ სულიერ ფასეულობათა ხელყოფის შედეგი სახეზეა, როცა ადგილი აქვს ფიზიკურ და ფსიქიკურ ტანჯვას, ძლიერ სტრესს, ცვლილებებს ადამიანის ფსიქოლოგიაში.

სამოქალაქო სამართალში დარღვეული უფლებების დაცვისა და აღდგენის ყველაზე ქმედითი და ეფექტური საშუალება მიყენებული მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურებაა. სწორედ მორალური ზიანის დაკისრებისა და კომპენსაციის საკითხია წინამდებარენაშრომის კიდევ ერთხელ შესწავლის საგანი.

სამართლის ისტორიის ხანგრძლივობის მიუხედავად ზოგადად მოძღვრება პირადი არაქონებრივი უფლებების, როგორც მოძღვრება საკუთარ პიროვნებაზე უფლების შესახებ, შედარებით ახალგაზრდად და ძირითადად მეოცე საუკუნის პირმშოა.

1. სამოქალაქო კოდექსი არ იძლევა არც ქონებრივი და არც არაქონებრივი ზიანის დეფინიციას. ეს საკითხი დოქტრინისა და სასამართლო

პრაქტიკის პრობლემაა. სამართლის თეორეტიკოსთა უმრავლესობა ერთხმად აღიარებს, რომ მორალური ზიანი ეს არის მართლსაწინააღმდეგო ქმედებით გამოწვეული ფიზიკური და ზნეობრივი ტანჯვა. თუმცა სხვადასხვა შეხედულებაა ტერმინთან დაკავშირებით. არის მოსაზრება, რომ მას ეწოდოს არაქონებრივი, ფიზიკური ან ფსიქიკური ზიანი. ვფიქრობთ, ზიანის შინაარსს, რომლის გაზომვა ფულადი ექვივალენტით შეუძლებელია და კომპენსირება მხოლოდ ნაწილობრივ ავსებს არაქონებრივი სიკეთების ხელყოფით გამოწვეულ სულიერ ტაივილს ყველაზე მეტად მორალური ზიანი შეესაბამება. ვთვლით, რომ უფრო სწორი დეფინიცია იქნებოდა მორალურ ზიანად მიგვეწია მართლსაწინააღმდეგო ქმედების შედეგად კანონით დაცული სიკეთების ხელყოფით გამოწვეული პირის სულიერი ტანჯვა.

2.საყურადღებოა, რომ კონტინენტური და საერთო სამართლის ქვეყნების უმრავლესობათა სამართლებრივი აქტები (კოდექსები) პიროვნების უფლებათა დაცვის შესახებ სპეციალურ ნორმებს არ შეიცავს. კოდიფიცირებული სისტემების მქონე კონტინენტური სამართლის სახელმწიფოები, როგორც წესი აღნიშნულ უფლებათა დაცვას დელიქტური ურთიერთობების სფეროში ახორციელებენ. გერმანიის სამოქალაქო კოდექსმა, რომელიც პანდექტური სულისკეთებით შეიძლება ითქვას ყველაზე მეტად ენათესავება საქართველოს სამოქალაქო კოდექსს, მხოლოდ რამდენიმე ნორმა მიუძღვნა აღნიშნულ საკითხს. არაქონებრივი ზიანის მიყენებისას კომპენსაციის გადახდა გათვალისწინებულია გერმანიის სამოქალაქო კოდექსის §823 და §12-ში. გერმანიის სამოქალაქო კოდექსის &253 მიუთითებს, რომ მორალური ზიანი ანაზღაურდება კანონით გათვალისწინებულ განსაკუთრებულ შემთხვევებში. ვალდებულებითი სამართლის შესახებ შვეიცარიის კანონის 49-ე მუხლის თანახმად, ზიანის ანაზღაურების შესახებ სარჩელი შესაძლებელია წარდგენილ იქნეს მხოლოდ მაშინ, თუ ეს “გამართლებულია დარღვევის სერიოზულობით და მისი სხვაგვარად გამოსწორება ვერ მოხერხდება.”

ფრანგულ კანონმდებლობაში მორალური ზიანი არ გამოიყოფა როგორც ზიანის ცალკე სახე, მისი მიყენებისათვის პასუხისმგებლობის საფუძვლების შემადგენლობა ემთხვევა ზიანის მიყენებისათვის პასუხისმგებლობის საერთო საფუძვლებს.

საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსის მე-9 მუხლით “ყველას აქვს უფლება პატივი სცენ მის კერძო ცხოვრებას.” ფრანგული სასამართლო

პრაქტიკა ისედაც უზრუნველყოფდა პიროვნების სამოქალაქოსამართლებრივ დაცვას კოდექსის 1382-ე და 1383-ე წოგადი დათქმების მეშვეობით. მათ თანახმად “ყველა მოვალეა აანაზღაუროს თავისი მართლსაწინააღმდეგო მოქმედებით სხვა პირისათვის მიყენებული ზიანი.” როგორც ზემოთ აღვნიშნეთ სამოქალაქო კოდექსის ტექსტი არ განასხვავებს მატერიალურ და მორალურ ზიანს. ასევე არ განასხვავებს მას თანამედროვე სასამართლო პრაქტიკა, სასამართლო გადაწყვეტილებებში არ უთითებს, თუ რა ოდენობით უნდა ანაზღაურდეს ქონებრივი ზიანი და რა ოდენობით – არამატერიალური. გერმანულისგან განსხვავებით ფრანგული კანონმდებლობა და სასამართლო პრაქტიკა არ ზღუდავს პირად არაქონებრივ უფლებებს და სიკეთებს რაიმე განსაზღვრული ჩამონათვალით და მორალური ზიანის კომპენსაციას უშვებს ძალიან ბევრ შემთხვევაში, რაც ობიექტურად ზრდის ამ სიკეთების სამართლებრივ დაცვის შესაძლებლობას. მიიჩნევა, რომ პიროვნების უფლებებისათვის მიყენებული ნებისმიერი ზიანი ექვემდებარება კომპენსაციას.

ინგლისური სამართალი ზიანის ანაზღაურებისას ასევე არ აკეთებს არანაირ განსხვავებას მატერიალურ და არამატერიალურ ზიანს შორის. ყოველ ზიანს ეკუთვნის ანაზღაურება თუ იგი ნამდვილი და სერიოზულია. პირადი უფლებების დაცვის სფეროში საერთო სამართლის ქვეყნები ერთმანეთისგან განასხვავებენ პატივის დაცვასა და სხვა პირადი უფლებების დაცვას. პატივის დაცვას უზრუნველყოფს როგორც ინგლისური, ასევე ამერიკული სამართალი. ამ მიზანს ემსახურება დელიქტური სამართლის ისეთი ინსტიტუტი, როგორიცაა დიფამაცია (“difamashion”). ზოგადად დელიქტი დიფამაცია გულისხმობს ადამიანის პრესტიჟის, მისი პატივისა და საზოგადო აღიარების ხელყოფას იმ გზით, რომ მესამე პირის გამონათქვამები ამცირებს ადამიანის იმიჯს თანამოქალაქეების წინაშე, სასაცილოს ხდის მის ავტორიტეტს, უარყოფით განწყობას უქმნის გარშემომყოფთ ამ ადამიანის მიმართ. საერთო სამართალი ასეთი ხელყოფისათვის დაცვას უზრუნველყოფს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამას საზოგადოებაში პირის იმიჯის შეღახვა მოჰყვა.

ამერიკულ სამართალში ფსიქიკური ზიანი ექვემდებარება კომპენსაციას, თუკი იგი მიყენებულია გაუფრთხილებელი ქმედებით და თან ახლავს სხეულის დაზიანება. თუკი მართლსაწინააღმდეგო გაუფრთხილებელი ქმედება დაზარალებულს აყენებს მხოლოდ ფსიქიკურ ზიანს ეს ზიანი, როგორც წესი, კომპენსაციას არ ექვემდებარება. საინტერესოა მორალური (ფსიქიკური)

ზიანის ანაზღაურების საკითხი ხელშეკრულების შეუსრულებლობისას. ამერიკულ სამართალში მხარეთა შორის სახელშეკრულებო ურთიერთობების არსებობისას ხელშეკრულების არასათანადო შესრულებით მიყენებული ფსიკური ზიანი ანაზღაურებას არ ექვემდებარება, თუკი ზიანი განზრას არ არის მიყენებული ან არსებობს გარემოება, რომელიც მიუთითებს, რომ ზნეობრივი ტანჯვა შეიძლება იყოს ხელშეკრულების არასათანადოდ შესრულების ბუნებრივი და სავარაუდო შედეგი, ხოლო ინგლისის პრეცედენტულ სამართალში საკონტრაქტო სამართლის თანახმად კომპენსაცია ემოციური განცდისათვის არ დაეკისრება, თუკი ჯანმრთელობისათვის ზიანის მიყენება, მხოლოდ ხელშეკრულების დარღვევით არ იყო გამოწვეული ან თუ ემოციური განცდა არ წარმოადგენს მისი დარღვევის სავარაუდო შედეგს.

ქართულ სამართალში არაქონებრივი ზიანის ფულადი კომპენსაცია სრულიად ბუნებრივი ყოფილა. უფრო მეტიც ძველი სამართლის ძეგლები გამოირჩეოდნენ თვით არაქონებრივი ზიანისა და მისი კომპენსაციისათვის საჭირო თანხის (თუ ეკვივალენტად გამოყენებული სხვა ერთეულის) ერთობ სრული კონკრეტიზაციით, რაც სასამართლო პრაქტიკას უადვილებდა გადაწყვეტილების მიღებას. ძველი ქართული სამართალი ბრუნვის მონაწილის არაქონებრივ ფასეულობებს განსაკუთრებულ პატივს სცემდა. არაქონებრივ სიკეთეთა მიმართ იგრძნობოდა ერთგვარი სოციალური თანასწორობა, რაც იშვიათი უნდა ყოფილიყო საერთოდ წოდებრივი სამართლისათვის.

სამოქალაქო კოდექსის მნიშვნელოვანი სიახლეა, რომ კანონმდებელმა კოდექსის ზოგად ნაწილში პირების შესახებ თავში სპეციალური ნორმები დაუთმო პირად არაქონებრივ უფლებებს. სამოქალაქო კოდექსში მორალური ზიანისათვის პასუხისმგებლობის საკითხს მე-18 და 413-ე მუხლები არეგულირებენ. მე-18 მუხლი ეძღვნება პირად არაქონებრივ უფლებებს. მასში კანონმა დააკონკრეტა ის არაქონებრივი სიკეთეები, კერძოდ, სახელი, პატივი, დირსება, პირადი ცხოვრების საიდუმლოება, პირადი ხელშეუხებლობა, საქმიანი რეპუტაცია, უფლება გამოსახულებაზე რომელთა ბრალეული შელახვის შემთხვევაში პირს უფლება აქვს მოითხოვოს როგორც მატერიალური, ისე მორალური ზიანის ანაზღაურება. ხოლო 413-ე მუხლი განსაზღვრავს ზიანის ანაზღაურების წესს არაქონებრივი ზიანისათვის. მუხლის დანაწესის მიხედვით არაქონებრივი ზიანისათვის ფულადი ანაზღაურება შეიძლება მოთხოვილ იქნეს მხოლოდ კანონით ზუსტად

განსაზღვრულ შემთხვევაში გონივრული და სამართლიანი ანაზღაურების სახით. სხეულის დაზიანების ან ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შემთხვევებში კი დაზარალებულს შეუძლია მოითხოვოს ანაზღაურება არაქონებრივი ზიანისთვისაც.

სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლი ითვალისწინებს პატივის, ლირსების, საქმიანი რეპუტაციის შეღახვის შემთხვევებში მოსარჩევის უფლებათა დაცვის ისეთ ფორმებს, როგორიცაა: а) გავრცელებული ცნობების უარყოფა; ბ) გავრცელებული არასრული ცნობების შევსება ისეთი ცნობებით, რომლებიც სინამდვილეს შეესაბამებიან და ამასთან ერთად, აქარწყლებენ გავრცელებულ არასრულ, პატივის, ლირსების, საქმიანი რეპუტაციის შემლახავ ცნობებს; გ) გავრცელებული ცნობების უარყოფა მედიის იმავე საშუალებით, რომლითაც ისინი გავრცელდა; დ) იმ საბუთის შეცვლა, რომელიც სინამდვილის შეუსაბამო ცნობებს შეიცავდა და გავრცელდა არა ფიზიკური პირის, არამედ ორგანიზაციის მიერ.

3. გასაზიარებლად მიგვაჩნია ავტორთა პოზიცია, რომ კანონმდებლობასა და იურიდიულ ლიტერატურაში პიროვნული უფლებების გამომხატველი ტერმინების მრავალფეროვნება შეინიშნება. სამოქალაქო კოდექსი იყენებს “პირადი უფლებების” ცნებას (სსკ-ის I მუხლი), ასევე ტერმინს “პირადი არაქონებრივი უფლებები” (სსკ-ის მე-18 მუხლი). იურიდიულ ლიტერატურაში იყენებენ ასევე ტერმინ “პიროვნულ უფლებებს”. ამ ტერმინის უპირატესობა სწორედ “პიროვნულობის” ხაზგასმაა. ყველა სხვა ტერმინში სიტყვა “პირადის” გამოყენება ნაკლებად მკაფიოს ხდის ამ უფლებების სხვა “პირადი” ანუ რეალურად, ნებისმიერი სუბიექტური უფლებისგან გამიჯვნას.

ზიანის, მათ შორის მორალური ზიანისათვის პასუხისმგებლობის დაკისრების პირობებია: მორალური ზიანი – როგორც პირადი არაქონებრივი უფლებების ან სხვა არამატერიალური სიკეთების ხელყოფის შედეგი, არამართალზომიერი ქმედება, რომელიც არღვევს არაქონებრივ უფლებებს, მიზეზობრივი კავშირი არამართალზომიერ ქმედებასა და მორალურ ზიანს შორის, ზიანის მიმყენებლის ბრალი.

ნაშრომში მოცემულია პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლებისა და ბრალის გარეშე პასუხისმგებლობის საფუძვლები, მორალური ზიანის ანაზღაურების ნორმატიული საკითხი და კომპენსაციის პრობლემა.

4. მორალური ზიანისათვის პასუხისმგებლობას არაერთი ნორმატიული, მათ შორის სამოქალაქო თუ საჯარო ხასიათის სამართლებრივი აქტი ადგენს.

კერძოდ, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, კანონი “საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ”, კანონი “რეკლამის შესახებ”, კანონი “პაციენტის უფლებების დაცვის შესახებ” და სხვა.

მიგვაჩნია, რომ კანონმდებლი უფრო გაბეჭდულად უნდა მიუდგეს აღნიშნულ საკითხს და საკანონმდებლო აქტებში ცვლილებების გზით დააფიქსიროს სამოქალაქო—სამართლებრივი პასუხისმგებლობა მორალური ზიანისათვის, რაც ხშირ შემთხვევაში ადამიანის უფლებების ზუსტი და აბსოლუტური დაცვის შესაძლებლობას იძლევა. უპირველეს ყოვლისა მხედველობაში გვაქვს შრომის კოდექსი და სამართლებრივი აქტები სოციალური უზრუნველყოფის სფეროში. მოგეხსენებათ, სამუშაოდან უკანონოდ დათხოვნა, პენსიის უკანონოდ არდანიშვნა ან სხვა ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის მნიშვნელოვანი სოციალური შეღავათის მიღების ბრალეული გაჭიანურება უპირველესად იწვევს სულიერ ტანჯვას, რაც მორალური ზიანის ანაზღაურების საფუძველი შეიძლება გახდეს. შრომის უფლება ადამიანის სოციალურ უფლებათაგან ერთ-ერთი უპირველესია. შრომის უფლების რეალიზაცია განაპირობებს და უზრუნველყოფს პიროვნების, მისი ოჯახის, ახლობლების, არა მარტო ფიზიკურ და მატერიალურ, არამედ სულიერ სტაბილურობას. ამდენად, სამუშაოდან უკანონოდ დათხოვნა დაკავშირებულია არა მარტო მატერიალურ ზიანთან, არამედ გამოუსწორებელ სულიერ ტკივილთან, განცდებოან, საზოგადოების თვალში არაპირდაპირ პიროვნების პატივისა და ღირსების შელახვასთან. მორალურ ზიანს (სულიერ და ფიზიკურ ტანჯვებს) შეიძლება ხანგრძლივი ხასიათი ჰქონდეს ან თავი იჩინოს როგორც სარჩელის წარდგენისას, ისე გადაწყვეტილების გამოტანის შემდეგ. ვინაიდან მიუენებული მორალური ზიანის ანაზღაურების საკითხი პროცესუალური თვალსაზრისით დროში განგრძობადია, დავაში სამოქალაქო კოდექსის 413.2-ე მუხლით ზიანის არსებობისთვის სხეულის ან ჯანმრთელობის დაზიანების დამადასტურებელი მტკიცებულების წარდგენა როგორც წესი შეუძლებელია და უსამართლოც.

გთვლით, რომ კანონმდებლობა უფრო მეტად ლიბერალური უნდა გახდეს და ზოგიერთ საკანონმდებლო აქტში თამამად შევიდეს საკანონმდებლო ცვლილებები მორალური ზიანის ანაზღაურების შესაძლებლობის თაობაზე. უპირველეს ყოვლისა შრომის კოდექსში, რათა შრომითი უფლებების ხელყოფის შემთხვევაში პირს ჰქონდეს სამოქალაქო

კოდექსის 413.1-ე მუხლის საფუძველზე მორალური ზიანის ანაზღაურების უფლება.

ასევე მიზანშეწონილად მიგვაჩნია ზოგიერთ ნორმატიულ აქტში, მაგ: “არბიტრაჟის შესახებ”, “საინვესტიციო საქმიანობის ხელშეწყობისა და გარანტიების შესახებ”, “გარემოს დაცვის შესახებ”, “მომსმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ” საქართველოს კანონებში და სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლში ცვლილებების განხორციელება და მორალური ზიანის ანაზღაურების შესახებ ცალსახად და უშუალოდ მითითება.

5. პიროვნების სამართლებრივი დაცვის თვალსაზრისით მნიშვნელოვანია სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლი, რომელიც ადგენს სახელმწიფო მოსამსახურის მიერ მიყენებული ზიანისათვის სახელმწიფოს პასუხისმგებლობას. სახელმწიფოს მიერ ანაზღაურებას ექვემდებარება საჯარო მოხელეების ან თანამდებობის პირების მიერ მიყენებული როგორც მატერიალური, ისე მორალური ზიანი. სახელმწიფო ორგანოების და მათი თანამდებობის პირების უკანონო ქმედებების (ან უმოქმედობების) რაიმე ჩამონათვალს, რომელთა ჩადენასაც მოჰყვება სახელმწიფოს პასუხისმგებლობა მოქალაქეთათვის ზიანის ანაზღაურების შესახებ კანონმდებლობა არ შეცვას. ამის შესაბამისად თანამდებობის პირის მიერ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების პროცესში ჩადენილი ნებისმიერი ქმედება (უმოქმედობა) შეიძლება გახდეს სახელმწიფოს მატერიალური პასუხისმგებლობის საფუძველი.

უკანონო ქმედებით მიყენებული ზიანი ანაზღაურდება სახელმწიფოს მხრიდან საჯარო მოსამსახურებისა ან თანამდებობის პირთა ბრალის მიუხედავად, ხოლო ბრალის არსებობის შემთხვევაში ისინი სახელმწიფოსთან ერთად სოლიდარულად აგებენ პასუხს

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი ადგენს, რომ კომპენსაციის გამოთვლა უნდა მოხდეს საჯარო და კერძო ინტერესების პროპორციულობის საფუძველზე.

მიუხედავად იმისა, რომ სამოქალაქო კოდექსის ნორმები პირდაპირ არ ადგენენ ასეთ შემთხვევაში მორალური ზიანის მოთხოვნის შესაძლებლობას, კონსტიტუციის, სისხლის სამართლის საპროცესო და სამოქალაქო კოდექსის ნორმებზე დაყრდნობით სახელმწიფოს მაინც უნდა დაეკისროს მორალური ზიანის ანაზღაურება პირის მიმართ უკანონო მსჯავრდების, სისხლის სამართლის პასუხისგებაში უკანონოდ მიცემის, აღკვეთის ღონისძიების სახით

პატიმრობის უკანონოდ გამოყენების, პატიმრობის, გამასწორებელი სამუშაოების სახით ადმინისტრაციული სახდელის არასწორად დაკისრების შემთხვევაში. უსაფუძვლოდ პატიმრობაში ყოფნა ზნეობრივი ხასიათის მწვავე განცდების გარდა, თითქმის ყოველთვის დაკავშირებულია უდიდეს ფიზიკურ ტანჯვასთანაც. პრაქტიკულად შეუძლებელია უდანაშაულო ადამიანს აუნაზღაურო ასეთ პირობებში განცდილი და გადატანილი ფიზიკური და ზნეობრივი ტანჯვა და მაინც ამ ტანჯვის ფულადი კომპენსაცია რეაბილიტირებულ პირთა დარღვეული უფლებების აღდგენის ერთ-ერთი საშუალებაა.

სამოქალაქო კოდექსის 413-ე და 1005-ე მუხლების შედარებითი ანალიზი ცალსახად გვარწმუნებს, რომ სახელმწიფოს (ან მასთან ერთად სახელმწიფო მოსამსახურების) პასუხისმგებლობის საკითხი დელიქტური ვალდებულების საფუძველზე უნდა გადაწყდეს და 413.2 ნაწილით, სხეულის დაზიანების ან ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შემთხვევაში, დაზარალებული მოითხოვს არაქონებრივი ზიანის ანაზღაურებასაც. მაგრამ სხვა შემთხვევაში, როცა ასეთი მატერიალური შედეგი არა გვაქს სახეზე, მაგალითად, სახელმწიფო მოსამსახურის, მოსამართლის, პროკურორის მხრიდან უხეში გაუფრთხილებლობისას თუკი სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის საფუძვლები სახეზეა, დაზარალებული მოითხოვს მატერიალური ზიანის ანაზღაურებას, მაგრამ მას მორალური ზიანის ანაზღაურების სამართლებრივი საფუძველი არ გააჩნია.

სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლი მოცემული დეფინიციით ნაწილობრივ იძლევა არაქონებრივი ზიანის კომპენსაციის საშუალებას, მაგრამ მიზანშეწონილად მიგვაჩნია ნორმაში მიეთითოს მორალური ზიანის ანაზღაურების შესაძლებლობაზე. (რაზეც ზემოთ საერთო კონტექსტში უკვე აღვნიშნეთ.)

ნაშრომში განხილულია საქართველოს საქმეებზე ევროპის ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები, სადაც საქართველოს არაქონებრივი ზიანისათვის ფულადი კომპენსაცია დაეკისრა სამართლიანი სასამართლოს უფლების (კონვენციის მე-6 მუხლი) დარღვევისათვის, რაც უშუალოდ უკავშირდება სახელმწიფოს პასუხისმგებლობის საკითხს. მოქმედი კანონმდებლობა საქართველოში ასეთ შემთხვევაში არამატერიალური ზიანის დაკისრების შესაძლებლობას არ იძლევა, რადგან არ არსებობს სამოქალაქო კოდექსის

413.2-ე მუხლის შემადგენლობა, ხოლო სამართლებრივი საფუძვლის არარსებობის (სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლში მიუთითებლობის) გამო სამოქალაქო კოდექსის 413.1-ის გამოყენება შეუძლებელია.

6. ვთვლით, რომ ქართულმა სამოქალაქო კოდექსმა აირჩია რა გერმანული კოდექსის გზა და მხოლოდ კანონით ზუსტად განსაზღვრულ შემთხვევებში დაადგინა მორალური ზიანისათვის პასუხისმგებლობის დაკისრების შესაძლებლობა, გარდა 413.2 მუხლისა, ამით ზოგიერთ შემთხვევაში მოუსპო პირს მორალური ზიანისათვის კომპენსაციის მოთხოვნის უფლება, ან უკიდურეს შემთხვევაში არასწორი სასამართლო პრაქტიკის საფუძველი გახდა. მხედველობაში გვაქვს დაზარალებულის ან გარდაცვლილის ახლობლებისათვის მორალური ზიანის ანაზღაურებაზე უარის თქმის პრაქტიკა.

ვფიქრობთ, საწინააღმდეგო არგუმენტად არ გამოდგება მოსაზრება, რომ მორალური ზიანის ანაზღაურების კოდექსის 413-ე მუხლით განსაზღვრულ საკანონმდებლო წესრიგში მოქცევა, შესაძლებლობას იძლევა თავი დავიზღვიოთ მისი მოქმედების ფარგლების დაუსაბუთებელი გაფართოებისაგან. რას ნიშნავს მოქმედების ფარგლების დაუსაბუთებელი გაფართოება? თუკი ასეთი დათქმა აუცილებელია, კანონმდებელი არ უნდა მოერიდოს მორალური ზიანის მიყენების ყველა შესაძლო შემთხვევაში უზრუნველყოს საკანონმდებლო აქტებში შეტანის გზით პიროვნების უფლებათა მაქსიმალურად დაცვის მიზნით მორალური ზიანისათვის პასუხისმგებლობის დაწესება, რაც თავისთავად გამორიცხავს კანონიერი დათქმის გარეშე სასამართლოს მიერ მოქმედების ფარგლების გაფართოებას. სამართლის ნორმები პირებისთვის იქმნება და არა ფორმალურად კანონებისთვის, ამდენად მათი ურთიერთობების ან ინტერესების სამართლებრივი დაცვის გარეშე დატოვება უსამართლოა და სამართლის ხარვეზზე მიუთითებს.

ქართული სამართლებრივი სივრცისა და სასამართლო პრაქტიკისთვის სასიამოვნო პერსპექტივა იქნება ფრანგული ორიენტაცია, რაც მორალური ზიანის ანაზღაურების საკითხში უფრო ლალია და უფლებაშელახული პირის ინტერესებზე ორიენტირებული. ჩვენი სიმპათია უდაოდ ეპუთგნის ფრანგულ კანონმდებლობას და სასამართლო პრაქტიკას, რომელიც არ ზღუდავს პირად არაქონებრივ უფლებებს და სიკეთეებს რაიმე განსაზღვრული ჩამონათვალით და მორალური ზიანის კომპენსაციას უშვებს ბევრ შემთხვევაში, რაც

ობიექტურად ზრდის ამ სიკეთევების სამართლებრივი დაცვის შესაძლებლობას. გეთანხმები ანალოგიურ თემაზე მომუშავე მეცნიერს (ლ.დოღონაძე) და უცხოეთის და საქართველოს კანონმდებლობის და სასამართლო პრაქტიკის ანალიზიდან გამომდინარე, მიზანშეწონილად მიგვაჩნია არსებობდეს ისეთი ზოგადი (დისპოზიციური) ნორმა, რომელიც სასამართლოს მისცემს შესაძლებლობას დაადგინოს არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების ახალი შემთხვევები იმისთვის, რომ შენარჩუნებული იქნეს ამ კუთხით სამართლის განვითარების შესაძლებლობა.

7. მსოფლიოს სამართლებრივ სივრცეში მეცნიერ და პრაქტიკოს იურისტთა არაერთი მცდელობა შეემუშავებინათ რაიმე უნივერსალური წესი, სტანდარტი, ფორმულა რომლითაც დარეგულირდებოდა და ამოიხსნებოდა მორალური ზიანისათვის კომპენსაციის საიდუმლო უშედეგოდ დამთავრდა. ერთადერთი კრიტერიუმი რომლითაც ზოგად სტანდარტებზე დაყრდნობით ისაზღვრება კომპენსაციის ოდენობა “მისი უდიდებულესობა” სასამართლო პრაქტიკა. სწორედ მას მიანდო კანონმდებელმა საკითხის გადაწყვეტა, მისცა მოქმედების ფართო არეალი და დააკისრა მის კომპეტენციაში ჩვეულებრივზე მეტი პასუხისმგებლობა. გამომდინარე აღნიშნულიდან ჩვენ კომპენსაციის ოდენობის განსაზღვრისათვის ყველაზე სწორი პოზიციის შემუშავებისათვის ბუნებრივია სასამართლო პრაქტიკის გაცნობა—ანალიზი მივიჩნიეთ. იმის გათვალისწინებით, რომ ქართველი მოსამართლეები სულ უფრო აქტიურად იყენებენ სამართალშეფარდებისა თუ სამართალშემოქმედებისას ევროპის ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს მიზანშეწონილად მივიჩნიეთ ქართულ პრაქტიკასთან ერთად საქართველოს საქმეებზე ამ სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების გაცნობა. მორალური ზიანის სპეციფიკიდან გამომდინარე გადაწყვეტილებების ფაბულა შედარებით კრცლად წარმოვადგინეთ, რომ გაადვილდეს საკითხით დაინტერესებული მკითხველის მიერ კომპენსაციის გონივრულობა—სამართლიანობის საკითხის ობიექტური შეფასება. ნაშრომში განხილული მაგალითებით თუ ვიმსჯელებთ, მორალური ზიანისათვის კომპენსაციის ოდენობა მერყეობს ერთი ლარიდან 150 000 ევრომდე. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა საკასაციო პალატის რეკომენდაციების მიხედვით, რაც არსებული სასამართლო პრაქტიკის ანალიზის საფუძველზე შემუშავდა და ზოგადად წინგადადგმული ნაბიჯია მორალური ზიანის კომპენსაციის საკითხზე ერთგვაროვანი

პრაქტიკის ჩამოყალიბების გზაზე, მორალური ზიანის ანაზღაურების მოცულობას სასამართლო მოსარჩევის მოთხოვნის საფუძველზე განსაზღვრავს. მოსარჩევე უფლებამოსილია სასარჩევო განცხადებაში მიუთითოს ფულადი თანხა, მიყენებული სულიერი თუ ფიზიკური ტკიფილის კომპენსაციისათვის, მაგრამ ეს მოთხოვნა მოსარჩევის მხოლოდ მოსაზრებაა და ანაზღაურების მოცულობის განსაზღვრა სასამართლოს მიხედულობით უნდა გადაწყდეს. მორალური ზიანის ანაზღაურებას აკისრია სამი ფუნქცია: პირველი – დააკმაყოფილოს დაზარალებული; მეორე – ზემოქმედება მოახდინოს ზიანის მიმყენებელზე; მესამე – თავიდან აიცილოს პიროვნული უფლებების ხელყოფა სხვა პირების მიერ. მორალური ზიანის ანაზღაურების უმთავრეს მიზანს არ შეადგენს ხელყოფილი უფლებების რესტიტუცია, რადგან მიყენებულ ზიანს ფულადი ეკვივალენტი არ გააჩნია და შეუძლებელია მისი სრული კომპენსაცია. ძალიან ხშირად დამდგარი შედეგების გამოსწორება შეუქცევადი მოვლენაა და როგორი დიდიც არ უნდა იყოს კომპენსაცია, იგი მაინც ვერ აღუდგენს დაზარალებულს ხელყოფამდე არსებულ სულიერ მდგომარეობას. კომპენსაციის მიზანია მოსარჩევის გამართლება საზოგადოების თვალში და მორალური ზიანით გამოწვეული ტკიფილის შემსუბუქება. კომპენსაცია მიმართულია უარყოფითი ემოციების გასაქარწყლებლად. მორალური ზიანის ანაზღაურების პრევენციული ფუნქციის განხორციელებისათვის მნიშვნელობა ენიჭება ისეთ ფაქტორს, როგორიცაა სამართალდარღვევის განმეორების საშიშროება ზიანის მიმყენებლის მიერ, მაგრამ პრევენციული ფუნქციის გადამეტებამ შესაძლოა გამოიწვიოს ფულადი კომპენსაციის უზომოდ გაზრდა და პრესის თავისუფლების დაუსაბუთებელი შეზღუდვა.

კომპენსაციის ოდენობა უსაშეელოდ არ უნდა იყოს გაზრდილი და არ უნდა მოწყდეს რეალობას, მისი მიზანი არ უნდა იყოს მოპასუხის დასჯა, რის გამოც კომპენსაციის განსაზღვრის დროს გათვალისწინებული უნდა იყოს მოპასუხის ქონებრივი მდგომარეობაც.

სამართლის მეცნიერებაში აღიარებული შეხედულებისა და არსებული სასამართლო პრაქტიკის ანალიზის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ სასამართლომ მიყენებული მორალური ზიანის ფულადი ანაზღაურებისას მხედველობაში უნდა მიიღოს დაზარალებულის ინდივიდუალურ თავისებურებებთან დაკავშირებული ფიზიკური და ზნეობრივი განცდების მოცულობა და ხასიათი, ზიანის მიმყენებლის ბრალის ხარისხი, პატივის,

დირსებისა და საქმიანი რეპუტაციის შემლახველი ინფორმაციის გავრცელების არეალი, დაზარალებულისა და ზიანის მიმყენებლის მატერიალური მდგომარეობა და სხვა ყურადღების დირსი გარემოებები. მიგვაჩნია, რომ საკითხის გადაწყვეტისას გათვალისწინებული უნდა იქნეს ეროვნული ტრადიციები და ჩვევები, დაზარალებულის დამოკიდებულება რელიგიასთან, ეკონომიკური ვითარება და შეიძლება მეტად სპეციფიკური საკითხები საქმის ინდივიდუალური თავისებურებების გათვალისწინებით. მორალური ზიანის ოდენობის განსაზღვრისას, სასამართლომ ასევე მხედველობაში უნდა მიიღოს, როგორც დაზარალებულის სუბიექტური დამოკიდებულება ასეთი ზიანის სიმძიმის მიმართ, ისე ობიექტური გარემოებანი, რითაც შეიძლება მისი ამ კუთხით შეფასება, როგორიცაა: ხელყოფილი სიკეთის (სიცოცხლე, ჯანმრთელობა, პატივი და ღირსება, პირადი თავისუფლება, ბინის ხელშეუხებლობა, ნივთის ფასეულობა და ა.შ.) ცხოვრებისეული მნიშვნელობა; სამართალდარღვევის შედეგთა სიმძიმე (ახლო ნათესავის მკვლელობა, სხეულის დაზიანება, დაზარალებულის დაინვალიდება, თავისუფლების აღკვეთა, სამუშაოს წართმევა და ა.შ.); ყალბი და სახელის გამტები ცნობების ხასიათი და მისი გავრცელების სფერო; დაზარალებულის ცხოვრების პირობები (სამსახურებრივი, საოჯახო, ყოფითი, მატერიალური, ჯანმრთელობის მდგომარეობა, ასაკი და ა.შ.); სხვა პატივსადები გარემოებანი, როგორიცაა: დაზარალებულის მკურნალობის ხანგრძლივობა, სპეციფიკურ თვისებათა შენარჩუნების შესაძლებლობა და ა.შ. ვინაიდან კანონი საბოლოო ვერდიქტის გამომტან მოსამართლეს ფართო ინტერპრეტაციის საშუალებას აძლებს მიზანშეწონილად მივიჩნიეთ ნაშრომში ყურადღება გაგებებისა და არაქონებრივი დავების განხილვისა და გადაწყვეტის პროცესუალურ-სამართლებრივ წესზე.

8. მორალური ზიანის ანაზღაურების ზოგადი კრიტერიუმები სასამართლო პრაქტიკამ მეტ-ნაკლებად თითქოს ჩამოაყალიბა, მაგრამ პრაქტიკის ანალიზი ცხადყოფს, რომ სასამართლოები (ნაშრომში მითითებული უზენაესი სასამართლოს არაერთი გადაწყვეტილების მიხედვით კომპენსაციის ოდენობა საკასაციო ინსტანციის მიერ შემცირდა) არ ან ნაკლებად ასაბუთებენ მორალური ზიანისათვის გადაწყვეტილებით დადგენილი კომპენსაციის ოდენობას. როგორც წესი გადაწყვეტილებებში ზოგადად მითითებულია, რომ სასამართლომ სამართლის ნორმის დისპოზიციის მიხედვით გონივრულად და სამართლიანად მიიჩნია მორალური

ზიანისათვის კონკრეტული თანხის დაკისრება, მაგრამ სხვა დასაბუთება არ არსებობს, რაც პრაქტიკის ნაკლად უნდა ჩაითვალოს.

მიგვაჩნია, რომ სასამართლომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე, 249-ე მუხლების მოთხოვნათა შესაბამისად უნდა დასაბუთოს კომპენსაციის ოდენობის ან შემცირების მიზანშეწონილობის საკითხი, იმსჯელოს რატომ მიაჩნია მორალური ზიანის ასანაზღაურებლად კონკრეტული თანხის განსაზღვრა გონივრულად და მითუმეტეს სამართლიანად და რატომ არ ეთანხმება ან ამცირებს მოსარჩელის მიერ მოთხოვნილ ან ქვემდგომი სასამართლოს მიერ დადგენილ მოცულობას. შეიძლება აღნიშნული ტენდენცია ნაწილობრივ სტრასბურგის ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სასამართლოს გადაწვეტილებათა გავლენის შედეგიცაა, სადაც როგორც წესი დაზარალებულისათვის მიყენებულ და სახელმწიფოს მიერ ასანაზღაურებელ მატერიალურ და არამატერიალურ (ზოგჯერ სახელდებით მორალურ) ზიანის კომპენსაციაზე ერთობლივი თანხაა მითითებული, მაგრამ არაა გამოკვეთილი სასამართლომ არამატერიალური ზიანისათვის თანხის რა ოდენობა დაადგინა და რას ეფუძნება მორალური ზიანის ნაწილში ასეთი გადაწყვეტილება.

9. უახლესი საკანონმდებლო სიახლეა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 92-ე მუხლის დანაწესი, რომლითაც პირს უფლება აქვს, სამოქალაქო/ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით მოითხოვოს და მიიღოს უკანონოდ ჩატარებული საპროცესო მოქმედებისა და უკანონო გადაწყვეტილების შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურება. მასვე აქვს უფლება სამოქალაქო სამართალწარმოების წესით მოითხოვოს მიყენებული ზიანის ანაზღაურება. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 176.5 მუხლის მიხედვით “იმის მიუხედავად იქნება თუ არა დაკავებული მსჯავრდებული, მას უკანონო და დაუსაბუთებელი ზიანი სრული მოცულობით აუნაზღაურდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან სამოქალაქო სამართალწარმოების წესით.” კოდექსი არაფერს ამბობს უკანონო პატიმრობის შედეგებზე (კომპენსაციაზე). მის 205-ე მუხლში და მომდევნო მუხლებში არაფერია ნათქვამი უკანონო პატიმრობის შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურებაზე. აღნიშნული სარვეზი თუ უზუსტობა პირდაპირ ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის მე-18.7 მუხლს, რომელიც ითვალისწინებს კომპენსაციის მოთხოვნის უფლებას, პირის უკანონოდ დაპატიმრების შემთხვევაში.

საპროცესო კოდექსის 176.5 მუხლი, მართალია ითვალისწინებს უკანონო დაკავებით მიყენებული ზიანის ანაზღაურებას, მაგრამ არ აზუსტებს, თუ რა სახის ზიანზეა აქ საუბარი (ქონებრივი, არაქონებრივი (მორალური) თუ ფიზიკური ზიანი. აღნიშნული მუხლი მხოლოდ ზიანის ანაზღაურებისთვის სამოქალაქო სამართალწარმოების წესზე მიუთითებს.

მიგვაჩნია გასაზიარებელია ავტორთა მოსაზრება, რომ სკ-ის 413.1-ე მუხლისა და სსსკ-ის 176.5 მუხლების ერთობლიობით არაქონებრივი ზიანის ანაზღაურებაზე საუბარიც კი ზედმეტია, რადგან საპროცესო ნორმა არ აკონკრეტებს, თუ როგორი ზიანის ანაზღაურებას ითვალისწინებს იგი. ამ შემთხვევაში ვერც კანონის და ვერც სამართლის ანალოგია გამოგვადგება, რადგანაც სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ასეთ ცნებებს არ იცნობს. ამ კოდექსის მე-2.3 მუხლში მითითებულია, რომ საქართველოს კანონმდებლობაში ხარვეზის არსებობისას, დასაშვებია, სისხლის სამართლის საპროცესო ნორმის ანალოგიით გამოყენება, თუ ამით არ იზღუდება საქართველოს კონსტიტუციით და საერთაშორისო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ადამიანის უფლებები. კოდექსში არაფერია ნათქვამი იმის თაობაზე, დასაშვებია თუ არა სამართლის და კანონის ანალოგიის გამოყენება თავად სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ხარვეზის არსებობისას. ”ნორმატიული აქტების შესახებ” საქართველოს კანონის მე-5.1 მუხლის დანაწესის მიხედვით ანალოგიას ვერ გამოვიყენებთ, ვინაიდან კანონი ამას პირდაპირ არ ითვალისწინებს.

გამომდინარე აღნიშნულიდან გთვლით, რომ უკანონო დაკავებისას პირის ზიანის ანაზღაურება (ქონებრივი, არაქონებრივი და ფიზიკური ზიანი) უნდა მოხდეს სამოქალაქო კოდექსის 992-ე, 1005.1, 412-ე, 413.1 და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 176.5 მუხლის ერთობლიობით, არგუმენტაციისთვის შეიძლება ასევე კონსტიტუციის მე-18.7 და ევროკონვენციის 5.5 მუხლების მოყვანა.

უკანონო დაპატიმრებისას კი- სამოქალაქო კოდექსის 992-ე, 1005.1, 412-ე, 413.1-ე მუხლების, ასევე საქართველოს კონსტიტუციის მე-18.7 და მე-6.1 მუხლების, ევროკონვენციის მე-5.5 და I-ლი მუხლების ერთობლიობით.

მიგვაჩნია, რომ სისხლის სამართლის პროცესში პირის მარეაბილიტირებელი მთელი რიგი ღონისძიებების გაუქმებით გარკვეულწილად შეიზღუდა რეაბილიტაციის შედეგებით დაინტერესებული პროცესის სუბიექტების სამართლებრივი დაცვის შესაძლებლობა.

10. საქართველოს კანონმა “სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ” განსხვავებულად მოაწესრიგა ზოგიერთი როგორც მატერიალურ-სამართლებრივი, ისე პროცესუალური საკითხი პირის მიმართ ცილისწამების, უხამსობის გავრცელების შემთხვევაში, განმარტა და დააზუსტა სიტყვისა და გამოხატვასთან დაკავშირებული ძირითადი ტერმინები, მოახდინა აზრის, განცხადების, გამოხატვის საგნის, ცილისწამების, სახელმწიფო, პირადი და კომერციული საიდუმლოების, აბსოლუტური და კვალიფიციური პრივილეგიის დეფინიცირება.

ნორმატიული აქტების შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-8 ნაწილის თანახმად სამოქალაქო კოდექსსა და “სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ” საქართველოს კანონს შორის წინააღმდეგობისას გვიქრობთ უპირატესობა ამ უკანასკნელს უნდა მიენიჭოს.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს კანონი “პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების შესახებ” და სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის ქველი რედაქცია ნორმის დისპოზიციაში მიუთითებდნენ ხელმყოფის მიერ “ცნობების” გავრცელებაზე. ბუნებრივია ამ კანონების გავლენით სასამართლო პრაქტიკაში არაქონებრივი უფლებების შელახვის ფორმად დამკიდრდა ცნობების გავრცელება. როგორც ევროსასამართლომ ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში მიუთითა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლი არ გამოყოფდა სუბიექტური აზრისა და ფაქტის კონსტატაციის ცნებებს, და ადგენდა მხოლოდ ერთ ცნებას - „ცნობები“. სიტყვის შეფასების მსგავსი მიდგომა, სასამართლოს აზრით, შეუთავსებელია აზრის გამოთქმის თავისუფლების უფლებასთან, რაც კონვენციის მე-10 მუხლით გათვალისწინებული ფუნდამენტური უფლების დარღვევას წარმოადგენს.

ამჟამად უფრო მიზანშეწონილია სასამართლო პრაქტიკაში ცილისწამებასთან მიმართებაში დაგამკიდროთ ტერმინი განცხადება, რომელიც წარმოადგენს სახელის გამტებას არსებითად მცდარი ფაქტის შემცველ და პირისათვის ზიანის მიმუნებელ ინფორმაციას და კონკრეტული საქმის თავისებურებების მიხედვით შეფასდეს საქმე გვაქვს ფაქტის მითითებით ინფორმაციის გავრცელებასთან, თუ აზრის გამოხატვასთან.

გვიქრობთ, რომ ტერმინი “ცნობები” მართალია, სამართლებრივი ტექნიკის თვალსაზრისით არასწორად იყო გამოყენებული ფაქტისა და სუბიექტური აზრის გამოსახატავად, რაც კანონმა “სიტყვისა და გამოხატვის

თავისუფლების „შესახებ” მოაწესრიგა, მაგრამ სასამართლოების მიერ იგი ინფორმაციისა და მოსაზრების აღმნიშვნელად გამოიყენებოდა და ამდენად, კანონის შინაარსთან აზრობრივ წინააღმდეგობაში არ მოდიოდა. “სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების „შესახებ” კანონის გამოყენების შესახებ სასამართლო პრაქტიკა ამჟამად ძალიან მცირება. ამიტომ მიგვაჩნია, რომ პრაქტიკის განვითარების კვალობაზე გადაწყვეტილებები ტერმინოლოგიურად კანონშესაბამისად მოწესრიგდება.

11. “სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების „შესახებ” კანონის მე-6 მუხლის თანახმად ცილისწამების თაობაზე სასამართლო დავა არ შეიძლება ეხებოდეს გარდაცვლილი პირის პირადი არაქონებრივი უფლებების დაცვას. გარდაცვალებით ადამიანი ქრება როგორც პირი, სამართლებრივ ურთიერთობათა სუბიექტი. მაგრამ როგორც პიროვნება, როგორც განსაკუთრებული სულიერი ღირებულება არ ქრება, გრძელდება მისი სოციალური ზემოქმედება. იგი რჩება ადამიანთა ცნობიერებაში და სიკვდილის შემდეგაც ინარჩუნებს ღირებულებას საზოგადოებისათვის. გარდაცვლილის პიროვნების დაცვით ხორციელდება არა მხოლოდ გარდაცვლილის ახლობლების, არამედ მთელი საზოგადოების ინტერესი.

ამიტომაც, მიგვაჩნია, რომ კანონში იმპერატიულად მითითება, ცილისწამების თაობაზე გარდაცვლილი პირის პირადი არაქონებრივი უფლებების დაცვის „შესახებ დავის დაუშეგებლობის „შესახებ არ არის სამართლიანი და სწორი, არა მარტო გარდაცვლილის პატივისა და ღირსების, არამედ დაინტერესებული პირების ინტერესების დაცვის თვალსაზრისიდან გამომდინარე. “სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების „შესახებ” კანონის ძალაში შესვლის შემდეგ უნდა გიგულისხმოთ, რომ სამოქალაქო კოდექსის მე-19 მუხლით დაცულია პირად უფლებათა ისეთი ხელყოფა, რომლებიც არ არის დაკავშირებული ცილისწამებასთან ანუ დაცულია გარდაცვლილის პიროვნულობის ისეთი ელემენტები, როგორიცაა: სახელი, რეპუტაცია, პირადი ცხოვრების საიდუმლოება, საკუთარი გამოსახულების უფლება, საავტორო უფლებები.

12. არანაკლებ საკამათოა საკითხი გარდაცვლილთა ახლობლებისათვის გარდაცვალებით მიყენებული ტანჯვისათვის მორალური ზიანის ანაზღაურების „შესახებ. როგორც წესი პატივი და ღირსება პირის პირადი, განუყოფელი და განუსხვისებელი უფლებებია, რომელთა მესამე პირთათვის ნებისმიერი სახით გადაცემაც დაუშვებელია. უდაგოა, რომ მშობლების,

შვილების და ახლობლების სახელი და ავტორიტეტი გაფლენას ახდენს პირის რეპუტაციაზე. ამიტომ მათი არაქონებრივი უფლებების დაცვით იგი არა მარტო ვალს იხდის გარდაცვლილის წინაშე, არამედ იცავს თავის ინტერესებსაც. ამასთან, როგორც წესი მორალური ზიანის ანაზღაურებისათვის სასამართლოსათვის მიმართვისას პირი ხელმძღვანელობს საკუთარი ინტერესებით. მაშინაც კი, როცა პირის გარდაცვალების შემდეგ მისი ახლობლები მიმართავენ სასამართლოს არაქონებრივი უფლებების დასაცავად, მორალური ზიანის ანაზღაურებისას შეფასდება სწორედ ამ პირთა ზნეობრივი თუ ფიზიკური ტანჯვის ხარისხი რადგან “მორალური ზიანი შეიძლება მდგომარეობდეს ზნეობრივ განცდაში ნათესავის დაკარგვასთან დაკავშირებით”. ანუ ახლობელი ადამიანის სიკვდილის შემთხვევაში მორალური ზიანის ანაზღაურების უფლება ენიჭება პირთა განსაზღვრულ წრეს.

13. **ლიტერატურაში პრობლემურია საკითხი იმის თაობაზე უნდა აუნაზღაურდეთ თუ არა მორალური ზიანი დაზარალებულის ახლობლებს.** ზოგადად ერთი პირის არაქონებრივი უფლებების და არამატერიალური სიკეთეების დარღვევა არ აძლევს სხვა პირს მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას, რამდენადაც ეს ზიანი მიადგა სწორედ იმ პირს ვისი უფლებებიც დაირღვა და მხოლოდ მას შეუძლია შეიტანოს სარჩელი ასეთი მოთხოვნით. თუმცა არც თუ იშვიათად შეიძლება დაზარალებულის ახლობლებმა იგივე ან უფრო მეტი ფიზიკური თუ მორალური ზიანი გაანიცადონ, ვიდრე თვით დაზარალებულმა, რაც დღის წესრიგში აყენებს მათ მიერ მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის მიზანშეწონილობის საკითხს. მეცნიერთა ნაწილის აზრით, აღნიშნული გარემოება არ აძლევს დაზარალებულის ახლობლებს ასეთი მოთხოვნის უფლებას, რადგანაც ასეთ შემთხვევაში მორალური ზიანის ანაზღაურების უფლების მქონე სუბიექტთა წრე იმდენად გაფართოვდება, რომ პრინციპული მნიშვნელობა მორალური ზიანის კომპენსაციის დანიშნულებისა აზრს დაკარგავს. (ამ არგუმენტზე ზემოთაც მივუთითეთ.)

მეორენი თვლიან, რომ მსგავს შემთხვევაში მორალური ზიანის ანაზღაურების უფლება აქვთ დაზარალებულის ახლობლებსაც. ვინაიდან, ახლობელი ადამიანის ჯანმრთელობისათვის ზიანის მიუენებამ და სიცოცხლისათვის სერიოზული საფრთხის შექმნამ მათში შეიძლება

გამოიწვიოს არანაკლები ზნეობრივი განცდები, რაც საბოლოოდ სხვა არაფერია თუ არა მათი არაქონებრივი სიკეთების და უფლებების შედახვა.

მიგვაჩნია, რომ დაზარალებულის ახლობლებს დაზარალებულისგან დამოუკიდებლად, ხოლო გარდაცვლილის ახლობლებს საქმის ინდივიდუალური თავისებურებების გათვალისწინებით უნდა წარმოეშვათ მორალური ზიანის ანაზღაურების უფლება, თუნდაც იმის გათვალისწინებით, რომ ხშირად ახლობელთა განცდის ხარისხი შეიძლება გაცილებით დიდი იყოს, ვიდრე დაზარალებულის და სარჩელის წარდგენით ისინი სწორედაც რომ საკუთარ ინტერესებს იცავენ. ცალკეულ შემთხვევებში ახლობელი ადამიანის ჯანმრთელობისათვის ზიანის მიყენება მართლაც შეიძლება გახდეს მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის საფუძველი, თუმცა საკითხის გადაწყვეტა მთელი რიგი გარემოებების გათვალისწინებით მაინც სასამართლოს პრეროგატივაა. ვფიქრობთ, ქართულმა სასამართლოებმა უფრო გაბედულად უნდა მიიღონ გადაწყვეტილებები ფრანგული სასამართლო პრაქტიკის მსგავსად. დაზარალებულის ახლობლებისათვის (ნათესავებისათვის) კატეგორიულად უარის თქმა მორალური ზიანის ანაზღაურებაზე იმ საფუძვლით, რომ მათ ასეთი ზიანი არ მიუღიათ, კანონის შეზღუდული განმარტების შედეგია.

13. ლიტერატურაში სადაც გახდა საკითხი იმის თაობაზეც აქვს თუ არა იურიდიულ პირს უფლება მოითხოვოს მორალური ზიანის ანაზღაურება. ავტორთა ნაწილი ჩვენი პოზიციის საწინააღმდეგოდ თვლიდა, რომ იურიდიულ პირს სავსებით შესაძლებელია გააჩნდეს პატივი და ლირსება და მათი ხელყოფის შემთხვევაში აქვს დაცვის დირსი ინტერესი. ავტორთა მეორე ჯგუფი მიიჩნევდა, რომ იურიდიული პირისათვის მორალური ზიანის ანაზღაურების საკითხი დგება მხოლოდ საქმიანი რეპუტაციის შედახვისას. პირადი არაქონებრივი უფლებების დარღვევის უგელა სხვა დანარჩენ შემთხვევაში დაზარალებლის სახით შეიძლება გამოვიდეს მხოლოდ ფიზიკური პირი.

მორალური ზიანის დახასიათებიდან შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ მორალური ზიანის მიყენება მხოლოდ ფიზიკური პირისთვის შეიძლება, ვინაიდან ფიზიკური და ზნეობრივი ტანჯგის განცდა მხოლოდ ფსიქო-ფიზიკურ პირს შეუძლია და არა ისეთ სოციალურ ერთობლიობას, როგორიც იურიდიული პირია. აღნიშნულ პოლემიკას, ნაწილობრივ, ვფიქრობთ წერტილი დაუსვა საკანონმდებლო ცვლილებამ, სამოქალაქო კოდექსის 27.5-ე მუხლში,

რომლითაც იურიდიულ პირზე სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლით დადგენილი რეგულაცია ვრცელდება მხოლოდ საქმიანი რეგულაციის შელახვის შემთხვევაში.

თუმცა ამ შემთხვევაშიც მიგვაჩნია, რომ არ არსებობს იურიდიულ პირისათვის მორალური ზიანის კომპენსაციის ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძველი.

14. ბოლო დროინდელმა საკანონმდებლო სიახლეებმა, მხედველობაში გვაქვს, ცვლილებები სამოქალაქო და ზოგად ადმინისტრაციულ კოდექსებში და კანონი “სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ”, მნიშვნელოვნად გააფართოვა არაქონებრივ უფლებათა სამართლებრივი დაცვის გარანტიები, რაც უდავოდ მნიშვნელოვანი და წინგადადგმული ნაბიჯია სამართლის განვითარების ოვალსაზრისით. ამ უკანასკნელი კანონის პირველი მუხლის “ნ” პუნქტის მიხედვით, პირადი საიდუმლოებაა პირადი ფასეულობის მქონე ინფორმაცია, რომლის საიდუმლოობის დაცვასაც მოითხოვს კანონი, აგრეთვე ყველა ის ინფორმაცია და გარემოება, რომელთან დაკავშირებითაც ადამიანს აქვს კერძო ცხოვრების ხელშეუხებლობის გონივრული მოლოდინი. სამოქალაქო კოდექსმა პერსონალური მონაცემები პირის შესახებ მიაკუთვნა რა პირად საიდუმლოებას საკანონმდებლო წესით განამტკიცა მისი მიღების უფლება. სზაკ-ის 44-ე მუხლით დაცულია პერსონალური მონაცემების საიდუმლოება. საჯარო დაწესებულება ვალდებულია არ გაახმაუროს პირად საიდუმლოებას მიკუთვნებული ინფორმაცია თვით ამ პირის თანხმობის ან კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში – სასამართლოს დასაბუთებული გადაწყვეტილების გარეშე, თანამდებობის პირთა (აგრეთვე თანამდებობაზე წარდგენილ კანდიდატთა) პერსონალური მონაცემების გარდა. მნიშვნელოვანია, რომ პირს საჯარო დაწესებულების ან საჯარო მოსამსახურის გადაწყვეტილების გაუქმების ან შეცვლის მოთხოვნით შეუძლია არა მარტო სასამართლოს მიმართოს, არამედ მოითხოვოს ქონებრივი და არაქონებრივი ზიანის ანაზღაურება. ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება აქვს შემდეგ შემთხვევებში: ა) საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის, კოლეგიალური საჯარო დაწესებულების სხდომის სრული ან ნაწილობრივი დახურვის, აგრეთვე საჯარო ინფორმაციის გასაიდუმლოებისას; ბ) არასწორი საჯარო ინფორმაციის შექმნისა და დამუშავებისათვის; გ) პერსონალური მონაცემების უკანონო შეგროვების, დამუშავების, შენახვისა და გაგრცელებისას, აგრეთვე

მათი სხვა პირისა ან საჯარო დაწესებულებისათვის უკანონოდ გადაცემისას; დ) საჯარო დაწესებულების ან საჯარო მოსამსახურის მიერ ამ თავის სხვა მოთხოვნათა დარღვევისას. მტკიცების ტვირთი ეკისრება მოპასუხე საჯარო დაწესებულების ან საჯარო მოსამსახურეს. სზაპ-ის 27(I)-ე, 37.II-ე, 43-ე “თ” და 44-ე მუხლების ანალიზის საფუძველზე შესაძლებელია ითქვას, რომ პერსონალური მონაცემების პირად საიდუმლოებად მიჩნევის საკითხს წყვეტს პირი ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში.

15. ნაშრომში მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით განხილულია საექიმო, საადვოკატო, სანოტარო, საბანკო, შვილად აყვანის, აღსარების საიდუმლოების საკითხები, რომლებიც ჩვენი აზრით სწორედ პირადი საიდუმლოების სფეროში შედის.

მიგვაჩნია, რომ აღსარების საიდუმლოება ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პირადი საიდუმლოა, რომელიც პირადი ცხოვრების ნაწილია და მისი გამჟღავნება სწორედ, რომ ხელყოფს ადამიანის სულიერ სამყაროს, რაც შეიძლება მორალური ზიანის ანაზღაურების საფუძველი გახდეს. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 129-ე მუხლის “ბ” პუნქტის თანახმად, არ შეიძლება ახსნა-განმარტების მიღება სასულიერო პირისაგან ისეთ გარემოებათა შესახებ, რომლებიც მას გაანდგეს აღსარების დროს. მხარის მიერ აღსარების დროს ამა თუ იმ ფაქტის განდობა და მისი მონანიება დაკარგავდა ყოველგვარ აზრს, თუ შესაძლებელი და დასაშვები იქნებოდა მისი გახმაურება. იგი არ შეიძლება ასეთი ფაქტების შესახებ მოწმედაც დაიკითხოს. (სსსპ-ის 141-ე მუხლი). სასულიერო პირის მიმართ კანონმდებლის ასეთი აკრძალვის მიზანი გახლავთ, როგორც სასულიერო პირის დაცვა აღსარების საიდუმლოს გათქმისაგან, რაც ნებისმიერი დვთისმსახურისათვის უდირსი და არაქრისტიანული საქციელია, ასევე იმ პირის დაცვა, რომელმაც მოინანია და გულწრფელად მისცა აღსარება. სასულიერო პირს გაანდო მის ცხოვრებასთან დაკავშირებული ცნობილი თუ უცნობი ფაქტები და გარემოებები და ბუნებრივია აქვს მოლოდინი, რომ საიდუმლო არ გამჟღავნდება.

16. პირადი უფლებების, მათ შორის პატივისა და ღირსების დაცვის საკითხი განსაკუთრებული სპეციფიკით ხასიათდება როცა საქმე ეხება პოლიტიკოსების, სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირების ან საზოგადოებისთვის ცნობილი საჯარო მოხელეების დაგას არაქონებრივი უფლებების დასაცავად. მართალია კანონი რაიმე დათქმას ამ სუბიექტთა

პატივისა და დირსების დაცვასთან მიმართებაში არ შეიცავს, მაგრამ სასამართლო პრაქტიკაში საერთაშორისო სასამართლო პრეცედენტების გათვალისწინებით გამოიკვეთა ჩვენთვის მისაღები ერთგვაროვანი ტენდენცია მსგავსი დავების გადასაწყვეტად.

საკასაციო სასამართლომ არ დააკმაყოფილა სარჩელი, იმ საფუძვლით, რომ ადგილი პქონდა საჯარო პოლემიკას და მიუთითა, რომ მოსარჩელე, რომელიც სახელმწიფო—პოლიტიკური თანამდებობს პირია ვალდებულია ითმინოს მოპასუხისგან შეურაცხმყოფელი გამონათქვამები. პოლემიკისას გამოთქმული მწვავე შეფასებები (თუნდაც უტაქტო და არაკორექტული) თავსდება საქართველოს კონსტიტუციის 24-ე მუხლით გათვალისწინებულ აზრის გამოთქმისა და გავრცელების თავისუფლების ფარგლებში. ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოს გადაწყვეტილებაზე მითითებით სასამართლომ განმარტა, რომ „პოლიტიკური მოღვაწის მიმართ დასაშვები კრიტიკის ფარგლები უფრო ფართოა, ვიდრე ჩვეულებრივი ინდივიდის მიმართ“. პოლიტიკური მოღვაწე, ჩვეულებრივი ინდივიდისაგან განსხვავებით, წინასწარ შეცნობილად და აუცილებლად უქვემდებარებს თავის ქმედებებს და ქესტებს მასობრივი ინფორმაციის საშუალებების და საზოგადოების კონტროლს. აქედან გამომდინარე, პოლიტიკური თანამდებობის პირებმა და სახელმწიფო მოხელეებმა პრესისა და ტელევიზიის მეშვეობით გამართულ დებატებში დასაშვებ ზღვარზე მეტი კრიტიკა უნდა ითმინონ, თუ ეს კრიტიკა უხეშად არ ხელყოფს მათ პირად ცხოვრებას და ხელშეუხებლობას.

გასაზიარებლად მიგვაჩნია ავტორის მოსაზრება, რომელიც მიიჩნევს, რომ დაზუსტებას მოითხოვს წრე, რომლის მიმართაც სასამართლო აფართოებს “დასაშვები კრიტიკის ფარგლებს”. კერძოდ ბუნდოვანია, თუ ვინ ჩაითვლება, “პოლიტიკოსთან გათანაბრებულ საზოგადო მოღვაწედ და თანამდებობის პირად”. სასურველია მან მოიცვას როგორც პოლიტიკოსი, ისე ნებისმიერი სხვა პირი, რომლის მიმართაც ობიექტურად შეიძლება არსებობდეს საზოგადოების განსაკუთრებული ინტერესი. სწორედ ეს ინტერესი განაპირობებს ასეთი პირების მიმართ “დასაშვები კრიტიკის ფარგლების” გაფართოებას.

17. ქართულ კანონმდებლობაში პირადი არაქონებრივი უფლებებისგან განსხვავებით, რომლებიც კანონში ამომწურავადაა ჩამოთვლილი კანონი იძლევა დელიქტური ურთიერთობიდან გამომდინარე დარღვევათა მხოლოდ შეზღუდულ ჩამონათვალს, სამაგიეროდ იძლევა ზოგად დეფინიციას, რომ

პირი, რომელიც სხვა პირს მართლსაწინააღმდეგო, განზრახი ან გაუფრთხილებელი მოქმედებით მიყენებს ზიანს, ვალდებულია აუნაზღაუროს მას ეს ზიანი. (სსკ-ის 992-ე მუხლი.)

დელიქტური სამართალდარღვევისას მიყენებული მორალური ზიანის ანაზღაურება წარმოებს სამოქალაქო კოდექსის 413-ე მუხლის საფუძველზე სხეულის დაზიანების ან ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შემთხვევაში. ნაშრომში განხილულია, რა დელიქტური პასუხისმგებლობის საფუძველი და სახეები, ყურადღება გამახვილებულია დელიქტებზე რომლებმაც გამოიწვია სიცოცხლის ან ჯანმრთელობის დაზიანება. ჯანმრთელობის ხელყოფის შედეგად მიყენებული მორალური ზიანი შეიძლება მდგომარეობდეს ზნეობრივ ან ფიზიკურ ტანჯვაში, რაც პირმა განიცადა შრომისუნარიანობის მთლიანად ან ნაწილობრივ დაკარგვის, აქტიური ცხოვრების წესის გაგრძელების შეუძლებლობის, რამე უფლების შეზღუდვის და დაკარგვის, ფიზიკური ტკივილების განცდის და ა.შ. გამო, რაც გამოიწვია მისი ჯანმრთელობის შერყევამ, მის მიმართ განხორციელებული არამართლზომიერი ქმედების ან გადატანილი განცდების შედეგად. ვინაიდან კონტინენტური და საერთო სამართლის ქვეყნების უმრავლესობათა სამართლებრივი აქტები (კოდექსები) პიროვნების უფლებათა დაცვის შესახებ სპეციალურ ნორმებს არ შეიცავს. კოდიფიცირებული სისტემების მქონე კონტინენტური სამართლის ქვეყნები, როგორც წესი აღნიშნულ უფლებათა დაცვას დელიქტური ურთიერთობების სფეროში ახორციელებენ. რაც, ბუნებრივია, მეტად ფართო სფეროა. დელიქტთა დიდი წრიდან მნიშვნელოვნად მივიჩნიეთ ყურადღების გამახვილება სახელმწიფოსა და სახელმწიფო მოსამსახურეთა პასუხისმგებლობის საკითხზე და შესაბამისად ჩვენი მოსაზრებები სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლის სრულყოფის თაობაზე ზემოთ მოგახსენეთ.

უცხოური ლიტერატურისა და სასამართლო პრაქტიკის კვლევამ გვიჩვენა, რომ რაიმე პრინციპული, კონცეპტუალური ხასიათის სხვაობა მორალური ზიანისათვის პასუხისმგებლობისა და კომპენსაციის საკითხის სამართლებრივ რეგულაციაში არ არსებობს. თუ არ ჩავთვლით, დელიქტური ურთიერთობის სფეროში საკითხის უფრო “გაბედულ” და პიროვნებაზე და არა “მშრალ” კანონზე ორიენტირებულ სასამართლო პრაქტიკას.

ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ მორალური ზიანისათვის კომპენსაციის დაკისრების მიზანშეწონილობისა და ოდენობის განსაზღვრისას უპირველესია

სასამართლო პრაქტიკის როლი, სამოსამართლო სამართლის მნიშვნელობა არა მარტო სამართალშეფარდების, არამედ სამართალშემოქმედების თვალსაზრისით. მხოლოდ პრაქტიკაა ის მიუკერძოებელი არბიტრი, რომელსაც ძალუბს დროთა განმავლობაში ჩამოაყალიბოს მორალური ზიანის კომპენსაციის სტაბილური, გონივრული და სამართლიანი სისტემა. ქართული სასამართლო პრაქტიკა ამ მხრივ ჯერ საკმაოდ ახალგაზრდაა, საკითხი მეცნიერულ ლიტერატურაშიც სუსტადაა დამუშავებული. სასამართლო პრაქტიკა კი მუდმივად განვითარებადია და იცვლება საზოგადოებასთან ერთად. თავის მხრივ, ერთგვაროვანი პრაქტიკა ვერ ჩამოყალიბდება საკითხის მეცნიერული დამუშავების, ანალიზის და რეკომენდაციების შემუშავების გზით დახმარების გარეშე. აღნიშნულის, ასევე საკითხის სპეციფიკისა და მის მიმართ საყოველთაო ინტერესის გათვალისწინებით მიგვაჩნია, რომ მორალური ზიანისათვის კომპენსაციის პრობლემის ოპტიმალური გადაწყვეტის სრულყოფის მიზნით მომავალშიც პლანის გაგრძელების სერიოზული პერსპექტივა არსებობს.

ა ბ რ ე გი ა ტ უ რ ე ბ ი :

ქართულ ენაზე:

ა.შ.	ასე შემდეგ
გამომ.	გამომცემლობა
გამოც.	გამოცემა
გპ.	გვერდი
დასახ. ნაშრ.	დასახელებული ნაშრომი
ე.ი.	ესე იგი
ე.წ.	ეგრეთ წოდებული
იხ.	იხილეთ
მაგ.	მაგალითად
მით. ნაშრ.	მითითებული ნაშრომი
სზაკ	საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი
სსსკ	საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი
სსკ	საქართველოს სამოქალაქო კოდექსი
სსსსკ	საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი
სსსკ	საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი
სხვ.	სხვა
ტ.	ტომი
ციტ.	ციტირებულია
ა/რ	ავტონომიური რესპუბლიკა
შ	შერნალი
სუსგ	საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი
საია	საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია
ოსუ	ობილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ҶԱԿԵՄԱՐ յԵՅՅԵՅ:

Изд.	Издательство
Канд. дисс.	кандидатская диссертация
Л.	Ленинград
М.	Москва
ч.	часть
ст	страница
авт	автореферат
Aufl.	Auflage
BGB	Das Burgerliche Gesetzbuch (fur die Bundesrepublik Deutschland)
LG	Landesgericht
ZR	Zivilrecht
f	folgende
Einl.	Einleitung
L.J.	Law journal
Oxf.J Leg. Stud.	Oxford journal of legal studies University of Oxford. Faculty of
Duke L.J.	Law. Duke Law Journal
ed.	edition
L.	London
N.Y.	New York
U.S.	United States

ბ ი ბ ლ ი მ გ რ ა ფ ი ა

ქართულ ენაზე

- საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი პირველი, თბ. 1999 წ.
- საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მესამე, თბ. 2001 წ.
- საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეოთხე, ტომი II, თბ. 2001 წ.
- ზაზა მეიშვილი, ომარ ჯორბენაძე, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარები, თბილისი, 2007 წელი.
- გიორგი მარიამიძე “დელიქტური ვალდებულებანი” თბილისი, 2011 წელი
- ლადო ჭანტურია “შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში”, თბ. 1997წ.
- მზია თოდეა, შალვა ქურდაძე “ცალკეული კატეგორიის სამოქალაქო საქმეზე გადაწყვეტილებათა მიღების თავისებურებანი” თბილისი, 2005 წელი.
- მზია თოდეა, პუშბ ვილემსი, “ვალდებულებითი სამართალი”, თბილისი, საია, 2006 წელი.
- გ. რცხილაძე, მორალური ზიანის ანაზღაურება, უურნ. „საბჭოთა სამართალი”, 1928წ, №4.
- კონრად ცვაიგერტი, ჰაინ კოტცი, “შედარებითი სამართალმცოდნეობის შესავალი კერძო სამართლის სფეროში,” ტომი I, თბ. 2000 წელი.
- კონრად ცვაიგერტი, ჰაინ კოტცი “შედარებითი სამართალმცოდნეობის შესავალი კერძო სამართლის სფეროში,” ტომი II, თბ. 2001.

- ზურაბ ახვლედიანი, “ვალდებულებითი სამართალი,” მეორე გამოცემა, 1999 წ.
- შალვა ჩიკვაშვილი “მორალური ზიანი სამოქალაქო სამართალში,” თბ. 1998 წ.
- შალვა ჩიკვაშვილი “პასუხისმგებლობა მორალური ზიანისათვის,” თბილისი, 2003 წელი.
- გიორგი ნადარეიშვილი, ადამიანის პატივისა და ღირსების დაცვა ქართული ფეოდალური სამართლის ძეგლებისა და სასამართლო პრაქტიკის გამოცდილების მიხედვით— ალმანახი ქართული სამართლის ისტორიის საკითხები, თბილისი, 2000 წელი, №14.
- მარიამ ცაცანაშვილი, “სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი ისტორია”, თბილისი, 1995 წელი.
- დოქტორი ჰაინ ბიოლინგი, პეტერ ლუტრინგპაუსი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ცალკეული მოთხოვნის საფუძვლების სისტემური ანალიზი, ბრემენი-თბილისი, 2004–2009 წელი.
- ჰაენ ბოელინგი, ლადო ჭანტურია “სამოქალაქო საქმეებზე სასამართლო გადაწყვეტილებათა მიღების მეთოდიკა”, თბილისი, 2003 წელი.
- ლადო ჭანტურია, თედო ნინიძე, მეწარმეთა შესახებ კანონის კომენტარი, თბილისი, 2002 წელი.
- დავით კერესელიძე “გამოხატვის თავისუფლება”, ჟურნალი “ქართული სამართლის მიმოხილვა”, 5/2002, №5.
- დავით კერესელიძე, „კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები“, თბილისი, 2009 წელი.
- გიორგი ვაშაკიძე „სამოქალაქო კოდექსის გართულებულ ვალდებულებათა სისტემა“. თბილისი, 2010 წელი.

- ზურაბ ჭეჭელაშვილი, “სახელშეკრულებო სამართალი”, თბილისი, 2008 წელი.
- ლევან დოღონაძე “მორალური ზიანის ანაზღაურება”, 2010 წელი.
- კონსტანტინე კორპელია, ირინე ქურდაძე “ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მიხედვით.” 2004 წელი.
- კონსტანტინე კორპელია “ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის გამოყენება საქართველოში,” 2004 წელი.
- დავით ძამუქაშვილი, რომან შენგელია, დავით გაბუნია, ვალერი ხრუსტალი, სანდრო ჯორბენაძე “საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ,” თბილისი, 2003 წელი.
- თემურ მონიავა “პატივი, დირსება და საქმიანი რეპუტაციის სამართლებრივი დაცვა”, თბილისი, 1999 წელი.
- ბესარიონ ზოიძე “ევროპული კერძო სამართლის რეცეზცია საქართველოში,” თბილისი, 2005 წელი.
- უჩა ზაქაშვილი “სამოქალაქო სარჩელი სისხლის სამართლის პროცესში”, ჟურნალი “მართლმსაჯულება”, №1, 2010 წელი.
- პრაქტიკული რეკომენდაციები სამოქალაქო საპროცესო სამართლის საკითხებზე მაგისტრატი მოსამართლეებისათვის, თბილისი, საქართველოს უზენაესი სასამართლო, 2008 წელი, იანვარი.
- საქართველოს უზენაესი სასამართლოს რეკომენდაციები სამოქალაქო სამართლის სასამართლო პრაქტიკის პრობლემატურ საკითხებზე, თბილისი, 2007 წელი.
- ქართული კერძო სამართლის კრებული (სტატიები, კომენტარები, თარგმანები), წიგნი I, თბილისი, 2004 წელი.

- ზ. ადეიშვილი, ქ.ვარდიაშვილი, ლ.იზორია, მ.კოპალეიშვილი, ნ.სხირტლაძე, პ.ტურავა. დ.ქიტოშვილი “ზოგადი ადმინისტრაციული სამართლის სახელმძღვანელო” თბილისი, 2005 წელი.
- პაატა ტურავა, ნათია წერებულება, “ადმინისტრაციული სამართლის დამხმარე სახელმძღვანელო,” თბილისი, 2005 წელი.
- ირმა მერებაშვილი, “ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო და მის განხილვას დაქვემდებარებული სამოქალაქო საქმეები,” ჟურნალი “მართლმსაჯულება”, №1, 2010 წელი.
- ქეთი ჭელიძე, “სული და სამშვინველი”, ჟურნ. “ამბიონი”, 2010, 21.01.
- თენგიზ ლილუაშვილი, ვალერი ხრუსტალი “საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი,” თბილისი, 2004 წელი.
- თენგიზ ლილუაშვილი “სამოქალაქო საპროცესო სამართალი”, თბილისი, “ჯისიათ”, 2005 წელი
- ემანუელ ლევინა, “რთული თავისუფლება,” სამართალი საფრანგეთში, თბილისი, 2001 წელი.
- რომან შენგელია “მოქალაქის პატივისა და ღირსების სამართლებრივი დაცვა”, 1989 წელი.
- მერაბ ტურავა სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, მერვე გამოცემა, 2010 წელი, თბილისი.
- თედო ნინიძე, მორალური ზიანის პრობლემა სამოქალაქო სამართალში, ქ. “საბჭოთა სამართალი,” №2, 1978.
- ქეთევან ქოჩაშვილი “ბრალი, როგორც სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობის პირობა”. სამართლის ჟურნალი, თსუ, №1, 2009 წელი.
- მზია დუნდუა “დელიქტური პასუხისმგებლობისა და სახელშეკრულებო პასუხისმგებლობის თანაფარდობა.” სამართლის ჟურნალი, თსუ, იურიდიული ფაკულტეტი, №1, 2009 წელი.

- გულნაზ გალდავა “სამოქალაქო უფლებათა დაცვის ფორმები და საშუალებები საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით.” სამართლის უკრნალი, თსუ, იურიდიული ფაკულტეტი, №1, 2009 წელი.
- ზურაბ ბექაიძე, “საქართველოს კანონი სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ,” უკრნალი ქართული სამართლის მიმოხილვა, 7 №2-3(1) 2004.

უცხოურ ენაზე

- Гражданское и торговое право зарубежных государств, т. 2, 2005 г. М, международное отношение.
- Гражданское и торговое право зарубежных государств С. Юпятин, М. 2009 г.
- Эрделевский А.М. Компенсация морального вреда в Росий и за рувежом. М. 1997г
- Эрделевский А.М. Моральный вред: соотношение с другими видами вреда. Российская юстиция, 1998, № 6
- Эрделевский А.М.Моральный вред и компенсация за страдания. Москва, Издательство БЕК, 1998 г.
- Эрделевский А.М Компенсация морального вреда 2-е изд. М. 2000.
- Эрделевский Александр Маркович “Проблемы компенсации за причинение страданий в российском и зарубежном праве” Москва. 2000
- Малеина М.Н. “нематериальные блага и перспективы их развития,” закон, 1995, #1
- Малеина М.Н. “Личные неимущественные права граждан понятие осуществление защиты” М. 2001.
- Бойцова Л.В. Ответственность государства и судей за вред причиненный гражданам при отправлении правосудия ж российского права, №9, 2001.

- Гражданское право, часть 1, Учебник под ред Сергеева А.П. Толстого Ю. 1997 .
- Сергеева А.П. права на защиту репутаций ,Л Знания 1989г.
- К .И Голубев, С. В Нарижний Компенсация морального вреда как способ защиты неимущественных благ личност, ст. 146
- Гаврилов Э “Как определить размер компенсаций морального вреда”, ж. Российская юстиция #6.2000 .
- Смиренская Елена Витальевна, Компенсация морального вреда как деликтное обязательство, Автореферат, Волгоград , 2000. www.dissercat.com
- Бакунин Сергей Николаевич “Гражданско-правовая защита жизни и здоровья гражданина” Краснодар, 2006 г. www.dissercat.com
- Головкин Роман Борисович , “Правовое и моральное регулирование частной жизни в современной России”, Нижний Новгород, 2005 . www.dissercat.com.
- Смирнов В.Т. Совчак А.А “Общее учение о деликтных обязательствах в современном гражданском праве” Л 1983г
- Беляцкин С.А. “Возмещение морального вреда” 1913 М юр бюро ГОРОДЕЦ 1996г.
- Гацкий Михаил Анатольевич “Правовое регулирование и механизм определения размера компенсации морального вреда в гражданском праве” Москва. 2006
- Измайлова Наталия Сергеевна “Неприкосновенность частной жизни в гражданском праве: на примере права Великобритании, США и России”, Москва. 2009
- Рошин Михаил Евгеньевич “Гражданско-правовая ответственность за вред, причиненный судебно-следственными органами” Москва. 2005. www.dissercat.com
- Эрдлевский Александр Маркович “Правовое регулирование возмещения морального вреда в гражданском праве”, Москва. 1995

- Маленко Татьяна Владимировна “Правовые проблемы возмещения вреда, причиненного жизни и здоровью граждан”, Москва. 2006
- Хлыстак Елена Васильевна “Возмещение вреда, причиненного жизни или здоровью гражданина при исполнении договорных обязательств” Абакан. 2008.
- Тихомиров Алексей Владимирович “Проблемы правовой квалификации вреда здоровью при оказании медицинских услуг” Москва. 2008
- Репьев Георгий Анатольевич “Гражданско-правовое регулирование возмещения вреда, причиненного судебными органами” Москва. 2007
- Хавжокова Залина Борисовна “Зашита чести, достоинства и деловой репутации: теория и практика гражданско-правового регулирования”, Москва .2009. www.dissercat.com.
- Гаврилов Э.П. “Как определить размер компенсации морального вреда?”, Российская юстиция. 2000. № 6.
- Нарижний С., Голубев К. “Компенсация морального вреда при нарушении имущественных прав гражданина”, Российская юстиция. 2001 №4.
- Михно Е.А. “Компенсация морального вреда во внедоговорных обязательствах.” Дис.канд.юр.наук. СПб. 1998. www.dissercat.com.
- Романов Виктор Сергеевич “Моральный вред как институт гражданского права”, Москва. 2006. www.dissercat.com
- Беляева К.Г Право на неприкосновенность частной жизни: международно-правовое и внутригосударственное регулирование. Российский юридический журнал. №1-2000.
- Cloonan M. Privacy and Media Intrusion in a Democratic Society: Britain and the Calcult Reports, Democratisation and the Media / Ed. by Randell K. - L., 2000.

- Глобальная кампания по свободам в Интернет. Международное исследование законодательства и практики в области защиты частной жизни.
//<<http://privacy.hro.org/docs/laws/world/research.php>>.
- Медел Т. Свобода выражения мнения и право неприкосновенности частной жизни.
// <www.privacy.hro.org/docs>.
- Шелютто И.А. Гражданско-правовая защита чести, достоинства и деловой репутации, автореферат, М. 1997.
- Брагинский М.И., Витрианский В.В. Договорное право, М., 1997
- H.W.R Wade & c.f. Forsyth, Administrative law, English Edition, Oxford, 2000.
- Civil Liability For Invasion Of Privacy, Sub-Committee On Privacy, The Law Reform Commision Of Hong kong.
- Thomas Cooley, *Laws of Torts* (2nd edn, 1888), 29.
- F. Westin, *Privacy and Freedom* (New York: Atheneum, 1968), 31-3
- R .Gavison in F. D. Schoeman (ed), *Philosophical Dimensions of Privacy: An .*
- Lowish Manfred in Staundinger (2004) , §276.
- Dertmann P. Recht der Schuldverhaltnisse, I, 1928. G
- Fikentscher W., Schuldrect, 8, Auflage, Berlin-New-York, 1992.
- Dieter Medicus, Schuldrecht, Allgemeiner Teil, 149.
- Semler in MunchkommAKtG (2004), 116. Rn. 507.
- Hens-Heinrich jesheck, Thomas Weogend, Lehrbuch des strafrechts. Allg. Teil. Berlin, 1996.
- Gierke, Deutsches Privatrecht, Band I, 1895, &81.

- Larenz/Wolf, AT des Burgerlichen Rechts, 2004.
- Prosser, Privacy, California Law Review, 1960.
- F. Westin, Privacy and Freedom, 1967.
- Harris et al. Compensation and Support for Illness and Injury, 1984.
- Hellner, Tort Liability and Liability Insurance, 1962.
- Atiyah/Cane, Accidents Compensation and the Law, 1993.
- Dias/Markesinis, The English Law of Torts, A Comparative Introduction, 1976.
- Honore, Causation and Remoteness of Damage, 1971.
- Lipstein, Protected Interests in the Law of Torts, Camb.L.J. 1963.
- Posner, A Theory of Negligence, 1972.
- Solyom, The Decline of Civil Law Liability, 1980.
- White, Tort Law in America, An Intellectual History, 1980.
- Brittan, The Right of Privacy in England and the United States, 1963.
- Krause, The Right to Privacy in Germany, Duke L.J. 1965.
- Lorenz, Privacy and the Press. The German Experience, 1990.
- Redmond-Cooper, The Press and the Law of Privacy, 1985.
- Seipp, English Judicial Recognition of Right to Privacy, Oxf.J Leg. Stud. 1983.
- www.law.duke.edu
- www.ncbi.nlm.nih.gov.
- www.dissercat.com

- www.supremecourt.ge
- www.privacy.hro.org/docs
- <http://ru.wikipedia.org/wiki.moral.>

ნორმატიული მასალა

- საქართველოს კონსტიტუცია. თბილისი, 1995 წელი. /[www.laws.codexserver.ge.](http://www.laws.codexserver.ge/)/
- ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, მიღებული გაეროს გენერალური ასამბლეის მესამე სესიაზე 1948 წლის 10 დეკემბერს. /[www.laws.codexserver.ge.](http://www.laws.codexserver.ge/)/
- სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო პაქტი. (ნიუ-იორკი, 19 დეკემბერი, 1966 წელი) /[www.laws.codexserver.ge.](http://www.laws.codexserver.ge/)/
- ადამიანის უფლებათა და მირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია. (რომი 1950 წლის 4 ნოემბერი.) თბილისი, 2004 წელი.
- საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, 1997 წ.
- საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, 1997 წელი.
- საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, თბილისი, 1999 წელი.
- საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 2009 წელი.
- საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, თბ. 1999 წელი.
- საქართველოს შრომის კოდექსი, 2010 წელი.
- საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, 1984 წელი.

- საქართველოს კანონი “სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ” 2004 წელი.
- საქართველოს კანონი “ნორმატიული აქტების შესახებ” 1999 წელი.
- საქართველოს კანონი “საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ” 1999 წელი.
- საქართველოს კანონი “სააღსრულებო წარმოებათა შესახებ.” 1999 წელი.
- საქართველოს კანონი “მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ” 1996 წელი.
- საქართველოს კანონი “პაციენტთა უფლებების დაცვის შესახებ” 2000 წელი.
- საქართველოს კანონი “ჯანმრთელობის დაცვის შესახებ,” 1997 წელი.
- საქართველოს კანონი “რეკლამის შესახებ.” 1998 წელი.
- საქართველოს კანონი “კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ.” 1996 წელი.
- საქართველოს კანონი “ნოტარიატის შესახებ” 2009 წელი.
- საქართველოს კანონი “ადვოკატთა შესახებ” 2001 წელი.
- საქართველოს კანონი “სახელმწიფო ბაჟის შესახებ” 1998 წელი.
- საქართველოს კანონი “პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების შესახებ,” 1991 წელი.
- საქართველოს კანონი „გარემოს დაცვის შესახებ“, 1996 წელი, 10 დეკემბერი.
- საქართველოს კანონი „საინვესტიციო საქმიანობის ხელშეწყობისა და გარანტიების შესახებ“ 1996 წელი, 12 ნოემბერი.

- საქართველოს კანონი „არბიტრაჟის შესახებ“, 2009 წელი, 19 ივნისი.
- საქართველოს კანონი „შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ“, 2009 წელი, 18 დეკემბერი.
- გერმანიის სამოქალაქო კოდექსი (bgb). ობილისი. 2010 წელი, გამომცემლობა “სიესტა.”
- Гражданское право Франций, Л. Жюлио, Д. Л. Морандьер, т. 2, М. 1960 г.
- Гражданский кодекс Российской Федерации, Научно-практический комментарий, М. 1996 г.
- www.laws.codexserver.ge.
- საქართველოს უზენაესი სასამართლოს და ევროპის ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სასამართლოს გადაწყვეტილებები.
- საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სამოქალაქო საქმეებზე, ობილისი, ქურნალი №9, 2003 წელი, გვ. 2423.
- საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სამოქალაქო საქმეებზე, ობილისი, ქურნალი 2003 წელი, №2, გვ.267
- საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სამოქალაქო საქმეებზე, 2004 წელი, №9, გვ. 2108
- საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სამოქალაქო საქმეებზე, ობილისი, 33-804-02 25 სექტემბერი, 2002 წ.
- საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სამოქალაქო საქმეებზე, 24.04.02. 33-1218-01.
- საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სამოქალაქო საქმეებზე, ობილისი, ქურნალი №7, 2003 წელი, გვ. 1848.

- საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სამოქალაქო საქმეებზე, თბილისი, 3კ-783-02, 17.07.02.
- საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა, №ბს-1521-1478 (2კ-08) 5 აგვისტო, 2009წ.
- საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სამოქალაქო საქმეებზე, თბილისი, 3კ-433-03, 30 მაისი, 2003 წელი.
- საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სამოქალაქო საქმეებზე, თბილისი, გადაწყვეტილება, 4.07. 02. 3კ-390-02.
- საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სამოქალაქო საქმეებზე, თბილისი, საქმე № ას-296-624-07, 25.09.2007 წელი.
- www.supremecourt.ge. უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებები.
- ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განჩინებათა კრებული საქართველოს საქმეებზე. თბ. 2010 წელი.